გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№8

2015

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2014 წლის 24 ივლისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on July 24, 2014 at LEPL-Gori State Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by Gori State Teaching University History and Archaeology Centre.

სარედაქციო კოლეგია:
გიორგი სოსიაშვილი
გიორგი ხორბალაძე
ალექსანდრე მღებრიშვილი
ნუგზარ აბრამიშვილი
ვიანორ ახალაია
ივანე ბალახაშვილი
ქეთევან ბარბაქაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
ზურაბ ზერაკიძე
ხათუნა კაკაურიძე
მარიამ კობერიძე
მალხაზ ლომსაძე
ელდარ მამისთვალიშვილი
ლევან მიდოდაშვილი
ზურაბ ტიელიძე
ჯემალ ქირია
პაატა ქურდაძე
მარიკა შერაზადიშვილი
დავით ჩოჩიშვილი
ზურაბ ჩხიკვაძე
ნელი ჭამპურიძე
თეა ხორგუაშვილი
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:
Giorgi Sosiashvili
Giorgi Khorbaladze
Aleksandre Mghebrishvili
Nugzar Abramishvili
Vianor Akhalaia
Ivane Balakhashvili
Ketevan Barbakadze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Zurab Zerakidze
Khatuna Kakauridze
Mariam Koberidze
Malkhaz Lomsadze
Eldar Mamistvalishvili
Levan Midodashvili
Zurab Tielidze
Jemal Kiria
Paata Kurdadze
Marika Sherazadishvili
David Chochishvili
Zurab Chkhikvadze
Neli Champuridze
Tea Khorguashvili
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

შინაარსი

ლინგვისტიკა

ვიანორ ახალაია - *შერწყმული წინადადების სინტაქსურ-სემანტიკური პარადიგმები მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მიხედვით – 6*
მარიამ კობერიძე - *ზოგი ვნებითი გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში – 10*
ნიკოლოზ ოთინაშვილი - *ლარგვისის მონასტრის 1470 წლის ტიპიკონის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება – 12*

ლიტერატურა

თამარ გოგოლაძე - *გიორგი ერისთავის დრამატურგიის შესწავლისათვის – 15*
ვახტანგ ინაური - *მხატვრული და რეალური დრო გრიგოლ რობაქიძის რომანში „ჩაკლული სული“ – 20*
მარინე ცერცვაძე - *სერგი მაკალათია - პერსონაჟი (ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანე“) – 26*
გიორგი ხორბალაძე - *ზოგიერთი საკითხი „წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაის“ დაწერის თარიღის დაზუსტებისათვის – 29*

განათლება

მზია გოგიაშვილი - *სკოლამდელი ასაკის ბავშვის ესთეტიკური განვითარება – 34*
ქეთევან ლომსაძე, მარიამ უბირია - *სპეციალური სწავლების ზოგიერთი თეორიული სკითხი* (რუსულ ენაზე) *– 37*

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ალექსანდრე იაშვილი - *გაზეთი „ლელო“ ქართული სპორტის სამსახურში – 40*
გიორგი მძინარაშვილი - *გორის მწვრთნელებთან და სპორტსმენებთან ჩატარებული ანკეტირება თავისუფალ ჭიდაობაში მნიშვნელოვან საკითხებზე – 45*
მარიამ უბირია - *დოზირებული სიარულის მოქმედება სტუდენტების გულ–სისხლძარღვთა სისტემასა და ვეგეტატიურ რეაქციებზე* (რუსულ ენაზე) *– 50*

ბიზნესი და მართვა

მაია აზმაიფარაშვილი - *საერთაშორისო ტურიზმი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემები – 51*
ხათუნა ბებნაძე - „ტალანტ – მენეჯმენტი“ – *ადამიანის პოტენციალის მართვის აქტუალური მიმართულება – 55*
ლია ბიბილაშვილი - *დროის მართვა, როგორც წარმატების დასაწყისი – 60*
დავით ბიძინაშვილი - *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა და მისი ფინანსური უზრუნველყოფა – 63*
გიული გიგუაშვილი, მაყვალა გოგოლაძე - *ეკონომიკური ზრდის ძირითადი ინდიკატორები და საქართველოს მდგრადი განვითარება – 67*
ლალი ოსაძე - *საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასექტები – 73*
ხალიანა ჩიტაძე, ლალი სადაღაშვილი - *საქართველოს საგადასახადო სისტემაში მოგების გადასახადის ანალიზი – 79*
თეა ხორგუაშვილი, ნინო ორჯონიკიძე - *საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის თავისებურებები – 83*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

მალხაზ ლომსაძე - *თანამონაწილეობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში – 88*
ქეთევან ლომსაძე, მარიამ უბირია - *სტრესის ემპირიული გამოვლინებები და ფსიქოდიაგნოსტიკა – 91*

CONTENTS

Linguistics

Vianor Akhalaia - *STYLISTIC FUNCTION OF MAKING A SENTENCE ACCORDING TO THE PROSE OF MIKHEIL JAVAKHISHVILI – 6*
Mariam Koberidze - *ON THE FORMATION AND FUNCTIONING OF PASSIVE VOICE IN THE KARTLURI OF THE FRONE GORGE – 10*
Nikoloz Otinashvili - *SOME LANGUAGE PECULIARITIES OF TYPICONS OF LARGVISI MONASTARY MADE IN 1470 – 12*

Literature

Tamar Gogoladze - *FOR THE HISTORY OF PLAYWRITING OF GIORGI ERISTAVI – 15*
Vakhtang Inauri - *ARTISTIC AND REAL TIME IN GRIGOL ROBAKIDZE'S NOVEL "KILLED SOUL" – 20*
Marine Tsertsvadze - *THE CHARACTER - SERGI MAKALATIA (“MY REFUGE” BY OTAR CHKHEIDZE) – 26*
Giorgi Khorbaladze - *SOME IMPORTANT ISSUES REGARDING THE SPECIFICATION OF THE WRITING DATE OF “MARTYRDOM OF THE NINE ADOLESCENTS” – 29*

Education

Mzia Gogiashvili - *AESTHETICAL DEVELOPMENT OF A PRESCHOOL AGE CHILD – 34*
Ketevan Lomsadze, Mariam Ubiria - *SOME THEORETICAL ISSUES OF SPECIAL EDUCATION* (in Russian) – *37*

Exact and Natural Sciences

Aleksandre Iashvili - *NEWSPAPER „LELO“ IN GEORGIAN SPORT SERVICE – 40*
Giorgi Mdzinarashvili - *THE RESULTS OF QUESTIONNAIRE ABOUT IMPORTANT ISSUES IN FREE WRESTLING WITH TRAINERS AND SPORTSMEN FROM GORI – 45*
Mariam Ubiria - *INFLUENCE OF DOZED OUT WALKING ON CARDIOVASCULAR AND VEGETATIVE REACTIONS OF STUDENTS* (in Russian) – *50*

Business and Management

Maia Azmaiparashvili - *INTERNATIONAL TOURISM AND PROBEMS OF RATIONAL USE OF NATURE – 51*
Khatuna Bebnadze - *TALENT MANAGEMENT - ACTUAL DIRECTION OF HUMAN POTENTIAL – 55*
Lia Bibilashvili - *TIME MANAGEMENT AS THE BEGINNING OF SUCCESS – 60*
Davit Bidzinashvili - *SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE STRATEGIC PLAN AND ITS FINANCIAL ARRANGEMENTS OF GEORGIA – 63*
Giuli Giguashvili, Makvala Gogoladze - *KEY INDICATORS OF ECONOMIC GROWTH AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA – 67*
Lali Osadze - *THE POLITICAL AND ECONOMIC ASPECTS OF GEORGIA-EUROPEAN UNION – 73*
Khaliana Chitadze, Lali Sadaghashvili - *PROFIT TAX ANALYZE IN GEORGIA’S TAX SYSTEM – 79*
Tea Khorguashvili, Nino Orjonikidze - *PECULIARITIES OF THE NATIONAL BANK'S MONETARY POLICY – 83*

Social Sciences and Law

Malkhaz Lomsadze - *PARTICIPATION INTO A PREMEDITATED MURDER WITH AGGRAVATING CIRCUMSTANCES – 88*
Ketevan Lomsadze, Mariam Ubiria - *EMPIRICAL MANIFESTATIONS OF STRESS AND PSYCHODIAGNOSTIC – 91*

ლინგვისტიკა
Linguistics

შერწყმული წინადადების სინტაქსურ-სემანტიკური პარადიგმები მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მიხედვით

ვიანორ ახალაია, პროფესორი

მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენის დიდი მოჭირნახულეა და თავდაუზოგავად იბრძვის მისი განვითარების და დამკვიდრებისათვის. თავდაპირველად შევეხებით მწერლის თვალსაზრისს, თუ რა როლი აკისრია მწერალს სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვასა და განვითარებაში, გამდიდრებასა და სრულყოფაში. ამ საკითხზე ვრცელი ამონარიდი მოყვანილია წიგნიდან: რ. ჭიკაძე, ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, თბილისი, 2014.

მიხეილ ჯავახიშვილის მრწამსით, ,,ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება (393)...

რადგან ,,ხალხური ენა მუდამ უფრო მოქნილია, მსუქანი, კონკრეტული, სისხლით სავსე და ფერადოვანი“ (336), ამიტომაც ,,ლექსიკის მუდმივი გამდიდრება და თავდაპირველად სასაუბრო ქართული ენის შესწავლა ის საჰირკველია, ურომლისოდაც ვერავითარი სალიტერატურო ძეგლი ვერ შეიქმნის“ (392). ამასთანავე, ხალხური ენიდან გამომდინარე ,,შენაკადები უნდა ჰხვდებოდეს მთავარ მდინარესთან, რომელსაც სამწერლო ენა ჰქვიან“ (280).

მიხეილ ჯავახიშვილი აქაც სიფრთხილისაკენ მოუწოდებს მწერლებს: მწერალმა ,,უნდა გაწმინდოს ერთიანი და სუფთა ლიტერატურული ქართული პროვინციალურ კილოკავებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ყოველი კუთხიდან ფრთხილად უნდა ამოიკრიფოს უხვად გაბნეული და დღევანდელ მწერლობაში მივიწყებული სიტყვები“ და იქვე სიამაყით აცხადებს: ,,ჩვენდა საბედნიეროდ, ნამდვილი ქართული ლიტერატურა და ხალხური სალაპარაკო ენა ღვიძლი ძმები არიან“ (294).

ყურადსაღებია მისი გაფრთხილება იმის თაობაზე, თუ რაოდენი ზომიერებაა საჭირო სალიტერატურო ქართულში კუთხური სიტყვების შემოტანისას. ასეთ შემთხვევაში ,,სად არის ზომსადარი?“ - კითხულობს მწერალი და თვითონვე პასუხობს: ,,უტყუარი, მათემატიკური ზომსადარი არ არსებობს. მხატვრული ალღო და ენის ცოდნა - აი ერთადერთი საზომიც და იარაღიც სალიტერატურო ქართულის დაწმენდისა და გამდიდრებისათვის“ (336).

მართალია, ,,ქართული ენის დაწმენდისა და გამდიდრებისათვის“ მწერლობა ხალხური სასაუბრო ენის ლექსიკას მოუხმობს, მაგრამ მ. ჯავახიშვილის აზრით, არანაკლები მნიშვნელობისაა ენის სინტაქსი. მწერალი იზიარებს იოსებ ყიფშიძის დებულებას, რომლის მიხედვითაც, ,,საქმე სიტყვები კი არ არის, საქმე სინტაქსია“ და შეშფოთებულია, რადგან, დღევანდელი ქართულიც უმთავრესად სინტაქსურად მახინჯდება, ე.ი. იმსხვრევა ენის ბუნება, სული და ხასიათი“ (344).

ი. ჯავახიშვილის შეხედულებით, იმდენად მძლავრია სინტაქსის გავლენა, რომ, როცა ,,XIX ს. პირველ ნახევარში... აიმღვრა ქართული სინტაქსი“, ამ ფაქტორმა ზეგავლენა მოახდინა სასაუბრო ენაზე და ,,მოქნილი, გამჭვირვალე სასაუბრო ენა გაჰყინა“ (339).

მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენის სინტაქსურ წყობას თვალს გაადევნებს იაკობ ხუცესიდან მოყოლებული მის თანადროულობამდე, აანალიზებს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა სტილს და, ვინაიდან, მისი მართებული აზრით, სტილს უმთავრესად სინტაქსი ქმნის, აღიარებს, რომ „ჭავჭავაძისა და წერეთლის სინტაქსი რკინისგან არის გამოჭედილი“ (371). სამაგიროდ, ბარნოვის ენის სინტაქსი და სტილი ყურსა სჭრისო. მას შეუწყნარებლად მიაჩნია ვასილ ბარნოვისეული სიტყვათა წყობა“ ,,კაცი მოდის მაღალი“, ,,სახლები ღრუბლებს ეთამაშებიან მაღალნი“ (347).

მიხეილ ჯავახიშვილი დაასკვნის: ,,სინტაქსი ენის გულია და თავდაპირველად მას სჭირია დაცვა და გაწმენდა“ (349).

საბედნიეროდ, ,,გლეხი უმთავრესს-სინტაქსს მაინც წაურყვნელად ინახავს“ (365).

მიხეილ ჯავახიშვილი აჯამებს თავის ნააზრევს მწერლის როლისა და ფუნქციის შესახებ სალიტერატურო ენის დაცვა-გაწმენდა-განვითარებაში და მის უმთავრეს სასიცოცხლო ძარღვად მიიჩნევს ხალხურ სასაუბრო ენასა და დაწმენდილ სინტაქსს. (1,126-129).

მიხეილ ჯავახიშვილის პროზაში ძალიან ხშირია შერწყმული წინადადების ისეთი სახე, როცა ერთ წინადადებაში ორი წყება ერთგვარი წევრებია წარმოდგენილი, რომელთაგან მეორე თითქმის შესატყვისობაშია პირველთან, რაღაცით ეხამება მას. ამგვარი ორმაგი შერწყმა არის როგორც სახელებში, ისე ზმნებში, ან სახელისა ზმნასთან. სახელებით ერთგვარ წევრთა შესატყვისობების ნიმუში:

,,და ის დუმილი, - ცივი, უღვთო და სასტიკი, - უფრო შხამიანი და გაუსაძლისი იყო, ვიდრე მარგოს ბრაზიანი კივილი, ლანძღვა და საქვეყნო საყვედური.“ (I, 233)

შერწყმულ წინადადებაში სახელებსა და, მით უმეტეს, მიმღეობებს ნაკლები დამოუკიდებლობა ახასიათებთ. პასიური აქტანტის როლი იმითაა განპირობებული, რომ მწერალი ,,არ ენდობა“ მათ შინაგან მუხტს და მათი პოზიცია განმტკიცებულია ან მსაზღვრელით, ან სინტაქსურ წყვილად გაერთიანებით. ამ შემთხვევაში მდგომარეობა შეცვლილია: თითქოს პირველი რიგის ერთგვარ წევრთა არსებობა კიდევ უფრო მტკიცე რომ იყოს, მას მხარს უმაგრებს მეორე რიგი იმავე ხასიათს ერთგვარი წევრებისა. მართალია, ,,'ცივი, უღვთო და სასტიკი'“ ზედსართავი სახელებია, მაგრამ მათ დამოუკიდებლობას ანიჭებს ის, რომ განკერძოებული განსაზღვრების ფუნქცია აქვთ. ამიტომ ამ ერთგვარი წევრების ემოციური ძალა ეტოლება მეორე რიგის ერთგვარ წევრთა ემოციურ ძალას, მით უმეტეს, რომ ,,კივილი, ლანძღვა და საყვედური“ სახელებია და ემოციური შეფერილობით ზედსართავთან ძალიან ახლოს დგანან.

უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ორი რიგის ერთგვარ წევრთაგან ერთი ზმნაა, მეორე - სახელი (უფრო ხშირად მიმღეობა ან არსებითი), ან ორივე ზმნა. ასეთ შემთხვევაში ერთგვარწევრთა რიგების მიმართებებს სულ სხვა სტილური ღირებულება აქვს.

,,სულმილეული თეიმურაზი დიდხანს ჰვედრებდა, ეძიებდა ეკითხებოდა
და ედავებოდა უფალსა ღმერთსა, გარნა ვერ იხილნა იგი
უფალი სულსა თვისსა გვემულსა, ტანჯულსა და გოლგოთისა
მთაზედ მავალსა..“ (I, 309)

,,ვგრძნობ და ვხედავ, მისი სული იკეტება, თრთის, ძრძწის და
იბრძვის - ბრაზიანად, გაშმაგებით, თავგანწირვით.“ (III, 221)

აქაც ორი რიგია ერთგვარი წევრებისა: პირველი - ზმნური, მეორე - სახელური. მათ შორის მიმართება განსხვავებულია სახელებით შერწყმულ წინადადებაში არსებულ რიგთა ურთიერთმიმართებისაგან. თუ იქ ერთგვარად შერწყმულთა ერთი რიგი მეორის არსებობას განაპირობებდა, რაღაცით ავსებდა ან მის პოზიციებს აძლიერებდა, ამ შემთხვევებში, როცა ერთგვარ წევრთა პირველი რიგი ზმნური შემადგენლობისაა, მეორე კი სახელური, ვითარება იცვლება: ამ ორ რიგს შორის ერთგვარი მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება მყარდება პირველი რიგი ერთგვარი წევრებისა (მაგ.: ,,იკეტება, თრთის, ძრწის და იბრძვის“) მიზეზია მეორის არსებობისთვის (,,ბრაზიანად, გაშმაგებით, თავგანწირვით“).

მიხ. ჯავახიშვილის პროზაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა შერწყმულ წინადადებას მეორე შერწყმული მოსდევს, რის გამოც ფრაზა გამოდის მთლიანად შერწყმული.

,,სოფელი ცოტა ხნით ახმაურდა, მაგრამ მალე ისევ მიწყნარდა,
მიინაბა, მიყუჩდა. სკოლის პატარა შენობა ბუმბერაზ
კაკლების ჩრდილში მოიკუმშა, მიიბნიდა, შთაინთქა.“ (I, 158).

ან: ,,ქურუმი დადნა და დაპატარავდა. უხედო მარგოსაც
ყველაფერი მოსწყინდა და მოჰბეზრდა.“ (I, 220).

აშკარად შეინიშნება ერთგვარი მიზეზ-შედეგობრიობა. ის, რომ ,,ქურუმი დადნა და დაპატარავდა“, განაპირობებს იმას, რომ ,,მარგოსაც ყველაფერი მოსწყინდა და მოჰბეზრდა“, ასევეა პირველ ნიმუშშიც. ფორმათა შორის შესაბამისობა ქმნის ერთგვარ წევრთა ერთი რიგის მიერ მეორის განპირობებულობას.

ეს მეტყველების ნაკადში რიტმის შექმნის ფუნქციით გვხვდება შერწყმულის კიდევ ერთი უცნაური გამოყენება: ფრაზა მთლიანად შედგება შერწყმული წინადადებებისაგან: ზმნურ შერწყმულს სახელური ენაცვლება, შემდეგ ისევ ზმნური და ა. შ. მაგრამ, რადგან სტილურ სიახლეს ამგვარი მონაცვლეობა არ იძლევა, დაწვრილებით არ განვიხილავთ.

როგორც ვხედავთ, მიხ. ჯავახიშვილის პროზაში რამდენიმე სახის შერწყმული წინადადება გამოირჩევა. სხვადასხვაობას განაპირობებს არა ერთგვარ წევრთა სინტაქსური დანიშნულება, - რომელი წევრის გავრცობა იწვევს შერწყმულობას, - არამედ ის, თუ რა მეტყველების ნაწილია ეს წევრი, როგორია მისი პოზიცია -მხოლოდ ამ წევრის მიხედვითაა შერწყმული წინადადება, თუ კიდევ არის სხვა ერთგვარი წევრი და როგორია მათ შორის მიმართება. აღმოჩნდა, რომ თუ ერთგვარ წევრებად ზმნებია, მათ სრული ინფორმაციულობის ფუნქცია აკისრია, მაგრამ თუ ერთგვარი წევრი სახელია, მისი მნიშვნელობითი ღირებულება იმდენად დაბალია, რომ აუცილებელია იმავე წინადადებაში მეორე სახის ერთგვარი

წევრებიც იყოს მოცემული. ასე რომ, ერთის არსებობა განაპირობებს მეორეს და, პირიქით. თუ შერწყმულში ერთგვარ წევრთა ერთი რიგი ზმნურია, მეორე - სახელური, მათ შორის მყარი ურთიერთგანპირობებულობის მიმართება დგინდება: ზმნური რიგის არსებობა აპირობებს სახელური რიგის არსებობას ფორმობრივად, ხოლო თუ ორივე რიგი ზმნურია, მაშინ მათ შორის სემანტიკური შეპირობებულობაც მყარდება - პირველი რიგი შინაარსობრივად მიზეზია იმისა, რომ შეიქმნეს მეორე. ამდენად, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი მიმართებაა.

გარდა ამ სტილური დანიშნულებისა, შერწყმულ წინადადებას გააჩნია შემდეგი მხატვრული ფუნქციებიც:

გმირის სულიერი მდგომარეობის გადმოცემა მარტივად შერწყმული წინადადება მხოლოდ ზმნური ერთგვარი წევრებისაგან შედგებოდა. ამ სახის შერწყმულს გმირის განწყობილების გადმოცემის უნარიც გააჩნია. მაგ:

,,- ნება მიბოძეთ ბინამდე მიგაცილოთ.

- თუ გნებავთ...

- მნებავს კი არა, მსურს, მწყურიან, მშიან“. (III, 324).

ან: ,,მაგრამ ყოველივე წავიდა, გაჰქრა, გათავდა!“ (III, 161).

პირველ ნიმუშში ზმნათა რამდენჯერმე განმეორება ხაზს უსვამს ემოციის სიძლიერეს, ამასთანავე იგი გმირის სულიერი აღფრთოვანების გამომხატველია. მეორე ნიმუშში კი ხაზი ესმება გმირის სასოწარკვეთას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამის მიზეზი ზმნათა სემანტიკური მხარეა, რომ ,,მსურს, მწყურიან, მშიან“ თავისთავად არიან ამგვარი ემოციური დატვირთვის მქონენი ისევე, როგორც ,,წავიდა, გაჰქრა, გათავდა“ მოვლენათა განვითარების უარყოფითი რეზულტატის მაჩვენებელია. მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე ნიმუში ფაქტის აღნიშვნა ერთი ზმნური ფორმითაც შეიძლებოდა. ,,მნებავს კი არა, მსურს“ ზუსტად იმასვე გამოხატავს, რასაც ეს წინადადება შერწყმულის სახით. მეორე ნიმუშშიც ასეთივე სიტუაციაა. წინადადებათა გავრცობა რამდენიმე სემანტიკურად მსგავსი ზმნური ერთეულით ავტორს გმირის სულიერი მდგომარეობის ჩვენებისათვის დასჭირვებია. ამით ერთდროულად ჩვენ მივიღეთ ინფორმაციაც და პერსონაჟის დამოკიდებულებაც მის მიმართ.

წყვილად შერწყმული წინადადების საშუალებით გამოიხატება ის, რომ გმირის განწყობილება განაპირობებს მის მოქმედებას:

,,ის თითქოს უწმინდეს საქმეში იყო გართული:

კოპებშეკრული და ჩაცივებული, დინჯად და ხანგრძლივ სჭამდა.“ (V, 405).

გმირი რომ ,,კოპებშეკრული და ჩაცივებულია“, ეს არის პირობა იმისა, რომ იგი ,,დინჯად და ხანგრძლივ“ სჭამდეს.

შერწყმული წინადადების რაგვარობა განაპირობებს ავტორის პოზიციის გამოვლენას.

,,და დაირას ან კასტანტებს აიღებდა და თეიმურაზის

გარშემო ჩამოივლიდა. ხან ვნებიან და გველურ

უზანდარით დაიწვებოდა, ხან ესპანურის ცეკვით აიგრიხებოდა.

და, ხან კიდევ გიჟმაჟურ ტარანტელას ისეთის ალქაჯურ

სიმარდით დაატრიალებდა, რომ თეიმურაზს

თვალი უჭრელდებოდა და თავბრუ ეხვეოდა.“(I, 221-22).

ავტორს თავისი პოზიციის ჩვენებისთვის სპეციალური მიმათითებელი ფორმა არ უხმარია, მაგრამ ქვეტექსტში გვაგრძნობინებს პერსონაჟის - ქალის მიმართ მის სიმპატიურ განწყობილებას.

მეორე ნიმუში:

,,თეიმურაზმა თავი გადაიწია, მომაკვდავის სასოწარკვეთილი თვალები შეანათა მარგოს და ნაცემი ძაღლის მუდარით შეემუდარა.“ (I, 361).

ამ დაბეჩავებული, განადგურებული კაცის მიმართ ჩვენ ვგრძნობთ ავტორის თანადგომას, მის ტკივილიან შეცოდებას და სიყვარულს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მუდარა ნაცემ ძაღლთანაა შედარებული (რაც ადამიანისთვის დამამცირებელია). ავტორის შინაგანი კეთილდღეობა ჩანს ამგვარ დამოკიდებულებაში, რადგან ,,წაქცეულს არ სცემენ“. თეიმურაზი კი უკვე განადგურებული კაცია.

სახელური სინტაქსური წყვილები თუ ერთ შემთხვევაში გმირის მიმართ ირონიის გამომჯღავნების საშუალებაა, მეორეგან იგი სატირულ დამოკიდებულებას ავლენს. მაგ.:

,,[თეიმურაზს] ტფილისში მოუთმენლად ელოდებოდნენ მჭლე გაზეთი,

კოტრი კოოპერატივი, ძილმორეული კულტურული საზოგადოება“... (I, 211).

აშკარაა, რომ ავტორი დასცინის თავის გმირს, მაგრამ ეს მაინც კეთილი დაცინვაა, რადგან მას ელოდება პერსონაჟი, რომელიც თავის ენერგიას ახარჯავს სრულიად უსარგებლო საქმეს, უსარგებლოს

როგორც მისთვის, ისე სხვისთვისაც, დასცინის, რადგან გმირს თავისი ადგილი ვერ უპოვია - ერთდროულად კოტრ კოოპერატივსაც ეჭიდება და მჭლე გაზეთსაც. თუმც ორივე უმისოდაც კარგად გაძლებს.

ყოველთვის ასეთი მიმტევებელი არაა ავტორი. სხვა შემთხვევაში მისი დაცინვა მკაცრი, სარკასტულია, რაც ისევ იმავე ხასიათის შერწყმულ წინადადებით გადმოიცემა.

- (...) ეხლა კი, აი რა უნდა გითხრა ჩემო ივანე
და თეიმურაზს ხელმეორედ აუვარდა ენის ქავილი
და ლაყბობის მუნი, რომელიც შუადღემდე ძლივს
მოიფხანა და ჩამოირეცხა.“ (I, 278).

ან: ,,მოჰკალ, მოჰკალ!
რა თქმა უნდა, მოჰკლავს, უეჭველად მოჰკლავს!
მხოლოდ ეს არ იცის ხევისთავმა, ხმლით მოჰკვეთოს
თავი, ხანჯლით გაჰგმიროს თუ მაუზერით გახვრიტოს.“ (I, 342).

ორივე შემთხვევაში ნათელია, რომ ავტორი დასცინის გმირს, მაგრამ ეს კეთილი სიცილი არაა, ეს გმირის უქნარობითა და უღონობით გაღიზიანებული კაცის სიცილია, რომელიც განსაკუთრებით დამამცირებელია და გამანადგურებელი მეორე შემთხვევაში: როგორც იქნა, გადაწყვიტა თეიმურაზმა შური იძიოს თავისი შეგინებული კაცობისა და დანგრეული ოჯახისათვის, მაგრამ ახლა ახალი პრობლემა დამდგარა მის წინაშე - რომელი იარაღი აირჩიოს შურისძიებისათვის. ისეთ დიდმნიშვნელოვან აქტთან, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლის გამოსალმება საკუთარი ღირსების დაცვის სახელით, რაც გმირის სულიერ სიძლიერესა და სიმაღლეზე უნდა მეტყველებდეს, სრულად შეუთავსებელია ფიქრი შურისძიების იარაღზე. ასეთი დაწვრილმანება კარგად გამოხატავს, რომ ჩვენ წინაშე გმირი კი არა, გამწარებული ლაჩარია, ამ ლაჩრობის პატიება კი უკვე ავტორსაც არ შეუძლია, რადგან არის რაღაც ზნეობრივი კატეგორიები, რისი დაკარგვა ადამიანობის დაკარგვის ტოლფასია და ამის არ გაკიცხვა, ამის მიტევება ავტორის ნებას აღემატება. აქ იკვეთება მწერლის ზნეობრივი პოზიცია.

ლიტერტურა:

1. რ. ჭიკაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო ენა, ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბ., 2014.
2. მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. I, თბ., 1977, ტ. III, თბ., 1973, ტ. V, თბ., 1977.

რეზიუმე

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ თავის ნაწარმოებებში შერწყმული წინადადებების ხშირი გამოყენება აძლიერებს აზრის ემოციურ ძალას, შინაარსის მხატვრულ წარმოსახვას, ექსპრესიულობას.

STYLISTIC FUNCTION OF MAKING A SENTENCE ACCORDING TO THE PROSE OF MIKHEIL JAVAKHISHVILI

Vianor Akhalaia, Professor

RESUME

Frequent use of rich sentences in the creative works by Mikheil Javakhishvili strengthens emotional power of idea, literary portray and expressionism of a content.

ზოგი ვნებითი გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში

მარიამ კობერიძე, პროფესორი

ვნებითი გვარის ფორმები წარმოებისა და ფუნქციის თვალსაზრისით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. ამ მხრივ, არც ქართლური დიალექტია გამონაკლისი. ქართლის ცალკეული კუთხეების, რაიონებისა და ხეობების მიხედვით მეტყველების სხვაობა საგრძნობია. ფრონეს ხეობის თავისებურებებს გარკვეულად ქმნის ისიც, რომ ,,მეტყველებაში რამდენიმედ შერწყმულ-შერეულია ქართლურის, ზემოიმერულის, რაჭულისა და მესხურ-ჯავახური მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებები" (ალ. ღლონტი, 1988: 4).

ფრონეს ხეობის ქართლურში პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები პირველი სერიის მწკრივებში ყოველთვის -ებ თემისნიშნითაა წარმოდგენილი. უფრო გავრცელებულია მყოფადის ფორმები. მაგ.: ,,ხორცი თუ **ჩაიქაფება** არაფრად ვარგია"; ,,ამ სიცხეებში **მეითუთქება** ყველაფერი".

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ,,სუფიქსიანი ვნებითის დ მიღებულია ნ-ს დისიმილაციის ნიადაგზე ნ, რ, ლ ბგერებთან. ისინი სახელთა ფუძეებს აბოლოვებდნენ: გან-მდიდრ-დ-ა, გან-მართლ-ნ-ა - გან-მართლ-დ-ა და მისთ. შემდეგ ეს განზოგდა და ყოველგვარი ბგერით გათავებულ ფუძეს დაერთო: შეწუხ-ნ-ა -- შეწუხ-დ-აღყუავნ-ნ-ა -- ა(ღ)ყუავ-დ-ა, დაძიმ-ნ-ა -- დამძიმ-დ-ა და სხვ. ენ/ნ ნაშთია ენ მარცვლისა, რომელიც აღდგებოდა წყვეტილის 1-ელსა და მე-2 პირში: შევწუხ-ენ, მაგრამ შეწუხ-ნ-ა" (ა. შანიძე, 1980: 289-290).

საგულისხმოა მოსაზრება, რომ დ არ უნდა იყოს ნ-საგან მომდინარე, ნ და დ ერთდროულად უნდა ყოფილიყო ვნებითის მაწარმოებელი სუფიქსი (ვ. თოფურია, 1942: 965-972; ფ. ერთელიშვილი, 1960: 77-91; მ. მაჭავარიანი, 1973: 107-121).

ფრონეს ხეობის ქართლურში, მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა, -დ სუფიქსი ზედსართავი სახელებისაგან ნაწარმოებ დონიანი ვნებითი გვარის ზმნებში გამოხატავს გადაქცევითობას: ,,შეხე, საით **მიშავდება** ი ჩემი მეზობელი?"; ,,ნანა, არ იტყვი, როგორ **კარქდები**?".

ზმნების ერთი ნაწილი გამოხატავს მოქმედების დაწყებას. მაგ.: ,,ხედანს ვაჟი, რო ცხოვრებას **აკლდება** და არაფერი ემატებოდა"; ,,ჩემი შვილი **დაქორწინდება** ამა და ამ სოვდაგრის ქალზეო".

პასიურ სემანტიკას გამოხატავენ შემდეგი ფორმები: ,,მერე თვალები **მტკივდება,** თორე ხედვითა ვხედან"; ,,ხენწიფის ქალი **ჩნდება** ხანხან მთვარესავით".

ფრონეს ხეობის ქართლურში იშვიათად გვხვდება -დ სუფიქსი პირველად ზმნებში. ეს ფორმები I და II სერიის მწკრივებისაა. მაგ.: ,,ნა, მოიტა, მაჭამეი რამეი, თორე ისე **მამშივდა,** ლამი მოვკვდე"; ,,ძმაი საშინლათ **გაბრაზდა,** ზეზე წამოვარდა".

ფრონეს ხეობაში საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ვნებითის ორმაგი ნიშნით (თავსართ-ბოლოსართით) წარმოება: ზმნის ფორმაში ერთდროულად არის ე-პრეფიქსი და -დ სუფიქსი. მაგ.: ,,ძმა **დეენიძლავდება**, მე ასეთი და არ მყავსო"; ,,მე **გამეცინდება** და ვცდილობ ეს სიტყვები კარგათ დავიმახსოვრო".

შეინიშნება ენიანი ვნებითის ფორმების დონიანით შეცვლის შემთხვევები II სერიის მწკრივებში. მაგ.: ,,ძაან **დაშურდა** (= დაეშურა) ამ ცხოვრებას" ; ,,გული მწუხარებით **დაწურადა** (= მოეწურა)".

ვნებითი გვარის -დ სუფიქსის ნაცვლად შეინიშნება ი- და ე- პრეფიქსიანი ფორმების გაჩენა. მაგ.: ,, **მეემშივა** (= მოშივდა) პური და იქვე ჭამა დაიწყო"; ,,**მოეწყურა** (= მოსწყურდა) ვაჟს ქალის ნახვა" (მ. კობერიძე, 2008: 125). ვნებითის ერთი ტიპიდან მეორეში გადასვლის შემთხვევები საკმაოდ გავრცელებულია ქართლურში (გრ. იმნაიშვილი, 1974: 230, 231), კახურში (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956: 110, 111), ჯავახურში (გრ. ბერიძე, 1988: 124). ვფიქრობთ, ამ ფორმების სიხშირით გავრცელება მოსახლეობის მიგრაციით უნდა იყოს გამოწვეული. ეს მოვლენა კონტამინაციით არის ახსნილი (ა. შანიძე, 1980: 302).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ,,დროთა მეორე სერიაში ინიან და ენიან ვნებითთან მრავლობით რიცხვში ხშირად გვენახება ძველი ქართულის -ენ სუფიქსი. მაგ.: დავიზარდენით, დაიზარდენით, დაიზარდნენ, დავიმალენით, მოვერიდენით, შევეფარენით და სხვ. ფრონეს ხეობაში ძველი ქართულის -ენ სუფიქსი, ინიან და ენიან ვნებითებთან ერთად, შენახულია სუფიქსიანი წარმოების დროსაც. მაგ.: ,,მაშითვე წუხარებით **გავრკინავდენით** (=გავრკინავდით)".

-ენ/ ნ სუფიქსი ხშირად გვხვდება პრეფიქსიან ვნებითის ფორმებთან. მაგ.: ,,ბევრი **ეხვეწენით, ებრძოლენით,** მაგრა მაინც თქვენი ვერ გაიტანეთ"; ,,**მივეშველენით** და ძლივს გადავარჩინეთ".

ი-პრეფიქსიანი ვნებითისა და მოქმედებითი გვარის სიახლოვეზე მიგვანიშნებს ფრონეს ხეობის ქართლურში ორი ფორმის დამთხვევა მეორე სერიის მწკრივებში. მაგ.: ,,გველკაცა იმ დედაბრიანად **ჩაიფუფქა (ვნებითი)** ადუღებულ წყალში"; ,,იმდენი სვა, რომ გულ-მუცელი **ჩაიფუფქა (მოქმედებითი);** ,,ბოსტნის ჭირია თუ რაა, ყველაფერი **გაიმურა (ვნებითი);** ,,ი დედაბერმა თავ-პირი **გაიმურა (მოქმედებითი),** რო არ ეცნო ხელმწიფის ვაჟსა" (მ. კობერიძე, 2008: 124).

ფრონეს ხეობის ქართლურში ინიანი ვნებითები აქტიურ სემანტიკას გამოხატავენ. მაგ.: ,,დგას ნეფე და სიმწრით **იკბინება"**; ,,**იგრიხება** საწყალი კაცი და გამოვა მეფეცა კიდეც". ზოგჯერ ინიან ვნებითები ერთდროულად შესაძლებლობისა და პოტენციალისის ფუნქციასაც გამოხატავენ. მაგ.: ,,ფიქრით თავი არ **დაიჭყლიტება**"; ,,დედა გულით არ **დაიწყევლება**" (მ. კობერიძე, 2008: 124).

ჩვეულებრივ საუბარში აქტიური სემანტიკის გამომხატველია ისეთი ენიანი ვნებითები, რომელთაც საპირისპირო ინიანი არ ეწარმოებათ. მაგ.: ,,ისე **ეგურგულებიან** ერთმანეთსა, როგორც დიდი ხნის მოკეთეები"; ,,თუ ცოლი იყო ინ ვაჟისა, ძმობილს როგორ **შეეცილებოდა**".

გუნება-განწყობილებას გვიჩვენებენ პირველადი და ნასახელარი ზმნებით წარმოდგენილი ე-პრეფიქსიანი ვნებითები. მაგ.: ,,რას **მემცხვირება,** რა მართია მაგისი"; ,,დედაბერი ცივ ნიავს არ აკარებს ქალს, ის კი **ემრუხება** მაინცა", ,,ჭკვიანებისა რა **მეეწონება,** ახლა სულელს უნდა დაუსვას კითხვა".

ინიანი ფორმების საპირისპირო ენიანი ვნებითები პასიურ სემანტიკას გამოხატავენ. მაგ.: ნაწვიმარზე მთლად **გადაეჯიჯგნა (←გადაიჯიჯგნა)** წვანილეულობა"; ,,დევ სიბრაზისაგან სულ **აეფოთლა (← აიფოთლა)** თავ-პირი".

ფრონეს ხეობის საანალიზო მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ვნებითი გვარის ფორმები წარმოებისა და ფუნქციის მიხედვით მისდევს ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართლურ დიალექტს, ხოლო განსხვავებული ფორმები მიგანიშნებს იმაზე, რომ მომიჯნავე დიალექტებში და ერთი დიალექტის კილოკავებში თქმების დონეზე თავს იჩენს ურთიერთგამიჯვნისა და უნიფიკაცია ტენდენცია.

ლიტერატურა:

ბერიძე ვ., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1988.
ერთელიშვილი ფ., -დ/-ნ (-ენ) ვნებითის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის, თსუ, შრ., ტ. 93, თბ., 1960.
თოფურია ვ., მესამე ტიპის წარმოება ქართულში, მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, #9, თბ., 1942.
იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.
კობერიძე მ., ვნებითი გვარის სუფიქსური წარმოებისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში: საზრისი, შრომების კრებული # 24, თბ., 2008.
კობერიძე მ., ვნებითი გვარის პრეფიქსული წარმოებისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVII, თბ., 2008.
მარტიროსოვი არ., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
მაჭავარიანი გ., ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, ,,მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, #1, თბ., 1973.
ღლონტი ალ., ფრონეს ხეობის ტოპონიმია, ტიპოლოგიური ძიებანი, თბ., 1988.
შანიძე ა., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

რეზიუმე

ფრონეს ხეობის ქართლურში, სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტების მსგავსად, ვნებითი გვარის ფორმებს აწარმოებს -დ სუფიქსი, ის ნასახელარ ზმნებთან გამოხატავს გადაქცევითობას.

საინტერესოა ვნებითის ორმაგი ნიშნით (ე- პრეფიქსით და -დ სუფიქსით) წარმოება. ეს მოვლენა გვხვდება მესხურ-ჯავახურშიც და მიგვანიშნებს დიალექტთა შერევისა და უნიფიკაციის პროცესზე.

ON THE FORMATION AND FUNCTIONING OF PASSIVE VOICE IN THE KARTLURI OF THE FRONE GORGE

Mariam Koberidze, Professor

RESUME

Like in literature language and other dialects, suffix - d is used to form Passive Voice in Kartluri of Frone's Gorge. Together with nominative verbs it expresses transition. Passive Voice formation with prefix -e - and suffix -d - simulaneously is of great interest. The same process is happening in Meskheti-Javakheti and it points to the dialects mixture and process of unification.

ლარგვისის მონასტრის 1470 წლის ტიპიკონის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სოფელი ლარგვისი მდებარეობს მდინარე ქსნის ხეობაში, მარცხენა მხარეს, ხოლო მონასტერი მარჯვენა მხარეს ქსნისა და ჭურთის წყლის (ჭურთულა) შესართავში.

მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით „..არს მონასტერი ლარგვისი, წმინდა თევდორესი. აღმოსავლეთ უდის ქსანი, სამხრით ჭურთისწყალი, უგუნბათო, შემკული ყოვლითა“ (ვახუშტი, 1997).

„აღწერაში“ ჩანს მონასტერი და არა სოფელი ლარგვისი, რომელიც შესაძლებელია იქვე იყო მონასტრისა და ციხე-სიმაგრის ახლოს. აქ ახლაც არის ნანგრევები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების კვალზე მიუთითებს.

ლარგვისი, რომელიც მთისა და ბარის შესაყარზე მდებარეობს ქსნის ერისთავების რეზიდენცია იყო საუკუნეების განმავლობაში. შემდგომ მეთექვსმეტე საუკუნიდან ერისთავებმა რეზიდენცია ლარგვისიდან ახალგორში გადაიტანეს, სადაც დიდი თავდაცვითი კომპლექსი და სასახლე ააგეს.

ლარგვისის მონასტრის აშენებას აღნიშნავს ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“, თითქოს „როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისს VI საუკუნეში და განასრულა, შეამკო ყოვლითურთ ეკლესია“, რომლის შესახებ მკვლევარები უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ.

წყალდიდობას ძეგლი დაუზიანებია და ისევ „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით იოანე ერისთავს აუშენებია. შემდგომ კი მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში შალვა ქვენიფნეველს განუახლებია, რაც მოთხრობილია მის მიერ დაწერილ ტიპიკონში. „მე მინდობილმან თქვენმან ქვენიფნეველმან ერისთავმან შალვა ვიგულისმოდგინე შემდგომათ ჩემთა ჩამომავალთა ერისთავთა და ხელვყავ მათგან სასოებით აშენებულსა საუკუნოსა სამკვიდრებელსა, საძვალესა ჩვენსა მონასტერსა ლარგვისსა რომელი პაპათა, მამათა და ჩამომავალთა ჩვენთა აღეშენა და ყოვლითურთ უნაკლო შეემკო... დავაწერინე ახალი საულ-დავითი და საწინასწარმეტყველოჲ ერთ წიგნად“ (შეწირულობის წიგნი, 1470).

როგორც ჩანს, არამარტო ქსნის, არამედ სხვა ხეობებში მდგარი ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდენ თავისებური ტიპის ფეოდალურ-სამეურნეო ერთეულებს, რომლებიც სათავადოებში შედიოდნენ და წარჩინებულ პირთა საძვალეს წარმოადგენდნენ. არაერთი მაგალითი არის იმისა, როცა თავადი ან ერისთავი მონასტერს ტიპიკონს უდგენდა და მათ შორის შალვა ქვენიფნეველი, რომელმაც თავის მიერ განახლებული ლარგვისის მონასტერს ტიპიკონი შეუდგინა და დაუმტკიცა 1470 წელს. ერისთავი წერს: „და განუჩინეთ ესე რომე ნურცა ვინ იკადრებს შუღლს სიძვასა, პარვასა, ანუ ღალატისა მოგონებასა, ანუ მღვდელთა, მონაზონთა, დედაბერთა უპატიობასა“ (შეწირულობის წიგნი, 1470).

ლარგვისი დიდი კულტურული ცენტრი ყოფილა. ამ დროისათვის იქ მოღვაწეობდა ავგაროზ ბანდაისძე, რომელიც რამდენიმე ხელობას ფლობდა და ამშვენიერებდა მონასტერს. იგი მიჩნეულია ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ ავტორად. ეს მნიშვნელოვანი მატიანე სწორედ ამ მონასტერშია დაწერილი 1348-1400 წლებში.

ძველი ქართული სალიტერატურო ენის, როგორც საეკლესიო-დოგმატური სტილის რღვევა მეთორმეტე საუკუნიდან იწყება. შემდგომ საუკუნეებში სალიტერატურო ენის ძირითადი ნიშანი არის

ხალხურობა. ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებამ გამოიწვია გრამატიკულ ფორმათა სიჭრელე რაც კარგად გამოჩნდა ლექსიკაში, ენის სტრუქტურაში.

როგორია ამ ბრწყინვალე ძეგლის ორთოგრაფია?

ცნობილია, რომ ძველი ქართულს ახალი ქართულისაგან განსხვავებით მოეპოვება რამდენიმე ასო-ბგერა, რომლებიც დიდხანს შემორჩნენ ქართულ ორთოგრაფიას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღარ შეესაბამებოდნენ ხსენებულ მეთხუთმეტე და შემდგომი დროის ფონეტიკურ სისტემას, მიგვაჩნია, რომ სამი სტილის თეორიამ და სხვა მიმდინარეობებმა ხელი შეუწყო მათ შენარჩუნებას. ცნობილია, რომ ორთოგრაფიის გამარტივებაში დიდი წვლილი მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც ბრძოლის გადატანა მოუხდა ძველ თაობასთან.

ძველი ორთოგრაფიის ნიმუშებიდან აღსანიშნავია ჲ (იოტა) ბგერა, რომელიც გვხვდება ბრუნებად და უღლებად სიტყვებში როგორც ხმოვნის წინ, ისე შემდგომ. როგორც სიტყვის თავში ისე ბოლოში. მაგალითად: დაუჭკნობელი წყაროჲ უკვდავებისაჲ. სიბრძნე კაცთაჲ და რიტორობაჲ. მონასტერი ესე საუკუნოჲ. საეშმაკოჲსა დახსნილსა. ღვაწლითა წამებისაჲთა. ეკლესიაჲ ნათლისმცემლისაჲ.

რაჲც ეკლესიისა შემკობილობაჲ. მაშინღა გაჲბრჭობოდენ. უპატიობაჲ დაჲბრჭობოდეს. რაჲგინდა უმართლე იყოს და სხვები.

ტიპიკონში ორი ერთნაირი ბგერა ხმოვანი და თანხმოვანი ჩვეულებრივია, რომ ერთად იყოს: სამებისა წმიდისსა, ქადაგსა მეუფისსა, სანთელს წინააღნთებულისა.

თქვენ გადაახდევინეთ.

მისი სისხლი გაცუდდეს და მოკლულსა დაურუვდეს.

ამ ბგერათაგან ერთი მაწარმოებელია ან ნაწილია ზმნისწინისა. ეს მოვლენა გვხვდება თანამედროვე სალიტერატურო ენაშიც და მიზეზი შეიძლება იყოს „ძველი და ახალი ქართულის საერთო ენობრივი საფუძველის ვარიანტები და არა სხვადასხვა საფუძველისაჲ (ჩიქობავა, 1952).

ტიპიკონში მართალია გვხვდება ᲔᲘ (ეი) მაგრამ სულ რამდენიმე შემთხვევაა: შუᲔᲚᲐᲓ (შველად), ქუᲔᲜიფნეველი, არასუᲔთი - არასეთი (გეოგრაფიული სახელი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ იოტა არის უმარცვლო ი, რომელიც წარმოითქმის ენის შუაწელის მიახლოებით სასასთან. ეს მიახლოება ჰაერისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს, მაშინ ის სპირანტად იქცევა და თანხმოვანია. ასეთი თავისებურების გამო მას ნახევარ ხმოვანს უწოდებენ (აკ. შანიძე, 1976).

გ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ ქართულში ისტორიულად ჭარბობს დამავალი დიფთონგები, რომლებიც დიფთონგის უმარცვლო ნაწილად არის გამოყენებული უმრავლეს შემთხვევაში (გ. ახვლედიანი, 1949).

მართალია, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ჲ გრაფემა აღარ იხმარება, მაგრამ ქართულში, ქსნის და არაგვის ხეობების მეტყველებაში დღესაც შენარჩუნებულია.

ტიპიკონში ხშირია ემფატიკური ა-ს გამოყენების შემთხვევები ძირითადად მიცემით და ნათესაობით ბრუნვებთან: პატივი ეცით ჩვენსა საძვალესა, საუკუნისა აღდგომისა მოსალოდებელსა.

უკეთესისა სულმყალისა, ვეშაპისა შემმუსვრელისა, ძოძეულისა ბრწყინვალსა, შემმოსელისა მენავეთა თანამოგზაუროსა, ჭირველთა შემწესა დიდისა მეფისა.

ტიპიკონში სისტემატიურად იხმარება მოთხრობითი ბრუნვის არქაული ფორმა: ღმერთმან და ნათლისმცემელმან ქრისტესმან და წმინდანმან მოწამემან, ღმერთმან უტყუელმან. მე მინდობილმან თქვენმან მსასოებელმან ქვენიფნეველმან ერისთავმან შალვა ხელვყავ მათგან აღშენებულსა საუკუნოსა საძვალესა ჩვენსა მონასტერსა ლარგვისს. ტიპიკონის ავტორი მან დაბოლოებიან ფორმას უპირატესობას ანიჭებს მის გამარტივებულმა სახეობასთან შედარებით, ეს ალბათ კეთილხმოვანების გამო და იმდროინდელი ნორმების გამოისობით.

ტიპიკონში ნარ-თანიანი მრავლობითი ერთგვარი გამოვლინებაა, რადგან ის ძველ ქართულში გაბატონებული იყო, ხოლო -ებიანი შედარებით იშვიათად გვხვდებოდა, მაგალითები: შემოვავლენ ზღუდენი, აღვაშენენ ტრაპეზნი, მოვაწყვენ ჩარდახნი, შევხურენ სიპითა, აღვაშენენ მარანნი, ჩარდახთა წინაით, მოვაწყვენ ჭურებითა, მოვჭედენ კარნი კოშკისანი და ზღუდისანი, აღვაშენე ზღუდისა კართა ზედა სამრეკლოჲ, დავხურე სიპითა, დავდგენ ბეღელნი.

აღვაშენენ სოფელნი, მეჯუდის ხევს სოფელ ახალუბანი, შემოუკრიბენ მამულნი, გაუჩინენ სავენახენი.

ასეთი ფორმების გამოყენება ტიპიკონში არის ნორმა, რომელიც სტილისტური მოთხოვნით არის გამოწვეული. -ებიანი მრავლობითი ორჯერ არის გამოყენებული: ჭურ-ჭურები. ზმნისწინები გვხვდება

როგორც ძველი, არქაული ფორმით ისე გამარტივებულად: აღვაშენე, აღვაშენენ, განვადიდე, აღმიშენებიან, განუჩინეთ.

გამარტივებული: დავახატვინე, დავაწერინე, დავაკაზმინე, დავდევ, დავხურე, დავასვენე და სხვა.

არქაიზმები ვლინდება თანდებულების გამოყენებაში: მოვაწყენ ზედა ჩარდახნი, მონასტერსა შინა, მამულსა შინა, რომლებიც რამდენჯერმეა ტექსტში გამეორებული.

გან თანდებული გამოყენებულია ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში: მისგან, რომლისაგან, ადამისითგან, კაცისაგან, გაბრიელისაგან, ჩამომავალთაგან, ხელისუფალთაგან...

ტიპიკონში რამდენჯერმეა გამოყენებული -ით სუფიქსიანი ფორმები - ჯლეხით, ღმრთისით, სოფლით, ასეთი მოქმედებითი ბრუნვა ძველ ქართულში გამოყენებულია რაც ნიშნავდა სოფლიდან. ახალ ქართულში კი გამოყენებულია გარკვეულ კონტექსტებში.

ტექსტში ხშირად გამოყენებულია და კავშირი: ოხერი აღვაშენე და ზვარი, ასევე თუ კავშირი. ასევე გვხვდება „რომე“ არქაული კავშირი: განუჩინეთ ესე რომე, ითქუმოდეს ამას რომე, გაევლინებოდეს რომე...

ტიპიკონი არის უკვდავი ძეგლი, რომელიც ჩვენი ისტორიის მატიანეა, მან შემოგვინახა ჩვენი წარსულის მრავალი ისტორიული, ეთნოგრაფიული ფაქტი, ენობრივი მოვლენები და ყოველივე ის ნიუანსი, რომელიც დღესაც არის გამოყენებული საერთო ქართულ ენაში და დიალექტში, რაც სამომავლოდ კიდევ გახდება კვლევის ობიექტი.

ლიტერატურა:

ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეორგაფია, თბ., 1997, გვ. 71.
ქართული მწერლობა, ტ. V, თბ., 1988, შეწირულების წიგნი შალვა ქვენიფნეველ-ერისთავისა ლარგვისისადმი, 1470, გვ. 128, გვ. 130.
შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 14.
ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 10.
ჩიქობავა ა., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 27.
მაკალათია ს., ქსნის ხეობა, თბ., 1968.

რეზიუმე

სოფელი ლარგვისი მდებარეობს მდინარე ქსნის ხეობაში მარცხენა მხარეს, ხოლო მონასტერი მარჯვენა მხარეს. სოფელი საუკუნეების განმავლობაში ქსნის ერისთავების რეზიდენცია იყო, შემდგომ კი მეთექვსმეტე საუკუნიდან ერისთავებმა რეზიდენცია ახალგორში გადაიტანეს, სადაც დიდი თავდაცვითი კომპლექსი ააგეს.

ლარგვისის მონასტერი რამდენჯერმეა განახლებული, მათ შორის მეთხუთმეტე საუკუნეში ფაქტიურად ახლად ააშენა ერისთავმა შალვა ქვენიფნეველმა, რომელმაც მონასტერს ტიპიკონი (წესდება) შეუდგინა და დაუმტკიცა 1470 წელს.

როგორია ამ ბრწყინვალე ძეგლის ორთოგრაფია?

ძველი ორთოგრაფიის ნიმუშებიდან აღსანიშნავია ჲ (იოტა), ᲘᲔ (ეი), რომლებიც ტექსტში არის გამოყენებული. ხშირია ემფატიკული -ა-ს გამოყენება, რომელიც ძირითადად მიცემით და ნათესაობით ბრუნვის ფორმებთან გვხვდება.

ტიპიკონში ხშირია მოთხრობითი ბრუნვის მან არქაული დაბოლოების ფორმები: ღმერთმან, მინდობილმან, ქვენიფნეველმან, ერისთავმან და სხვა.

გვხვდება ნართანიანი მრავლობითები, რომლებიც ძველ ქართულში გაბატონებული იყო, მაგალითად: ზღუდენი, ჩარდახნი, ტრაპეზნი, მარანნი, ბეღელნი...

-ებიანი მრავლობითი, რომელიც ძველ ქართულში მეორე მრავლობითია სულ ორჯერ არის გამოყენებული.

ტიპიკონში ზმნისწინები გვხვდება, როგორც ძველი, არქაული ისე გამარტივებული ფორმით: განვადიდე, განუჩინეთ, დავახატვინე, დავასვენე და სხვა.

გამოყენებულია ძველი და ახალი კავშირები და და რომე კავშირები, ასევე თანდებულები.

ტიპიკონი არის უკვდავი ძეგლი, რომელიც ჩვენი ისტორიისა და ენის დიდი მატიანეა, რომელიც ყოველთვის იქნება კვლევის ობიექტი.

SOME LANGUAGE PECULIARITIES OF TYPICONS OF LARGVISI MONASTARY MADE IN 1470

Nikoloz Otinashvili, Associate Professor

RESUME

The village of Largvisi is situated on the left side of Ksani Gorge and the Monastary itself on the right side. The village was the residence of the Ksani Eristavis for ages and then since the 16th century the Eristavis moved their residence to Akhalgori where a big defense complex was built.

Largvisi Monastery was restored for a few times and among them is was in fact is was newly-rebuilt by Shalva Kvenipneveli, who made typicons (regulations) and confirmed it in 1470. What is the orthography of this wonderful document like? From the old orthographical model we can distinguish ჲ (jota), ᲔᲘ (ei), which are used in the text. We can often meet emphatic –a mainly in the possessive case. Archaic endings such as gmertman, eristavman etc are widely used throughout the text.

We can often see the plurals ending by nar which was dominated in old Georgian for example: zgureni, chardakhni, trapezni and the plural names ending by eb are used only twice. In the typicons we can meet various kinds of verbs as the old ones as well as the archaic ones with simplified forms like ganvadide, davakhatvine, davaskveni and so on.

There are widely used old and new conjunctions and prepositions.

Typicon is an immortal document which is the part of our history and language and it will always be the research object.

ლიტერატურა
Literature

გიორგი ერისთავის დრამატურგიის შესწავლისათვის

***თამარ გოგოლაძე**, პროფესორი*

გიორგი ერისთავის დრამატურგია განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. XIX საუკუნის 40-50-იან წლებამდე ძირითადად თარგმნილ-გადმოკეთებულ პიესებს დგამდნენ საოჯახო-სალონურ სცენებზე, მათში კი იგრძნობოდა სცენური გაუმართაობა, მძიმე, არქაული ენით გაჯერებული დიალოგები, სიუჟეტ-კომპოზიციის ნაწილების შეუსაბამობა. პიესებს მხოლოდ გასართობი, სახალისო, მაგრამ ხალხურ წარმოდგენებს აშკარად დაშორებული იერი ჰქონდა.

გიორგი ერისთავთან დაიბადა ჭეშმარიტად ქართული პიესა, თავისი უკიდურესად შეკრული კომპოზიციით, მარტივი, ადვილად გასაგები (თუმცა ქალაქური მეტყველების სიჭრელით გამორჩეული) ენით, საოცრად კომიკური ანტურაჟით, მოულოდნელობებით აღსავსე დრამატურგია. გ. ერისთავის დრამატურგია პირველი კრიტიკოსებიდან მოყოლებული, ლიტერატურათმცოდნეობაში ძირითადად აღქმული იქნა, როგორც „გავლენის ბრწყინვალე შედეგი“. ალბათ, ამიტომაც უწოდა მთავარმართებელმა მ. ვორონცოვმა მას „ქართველი მოლიერი“.

იყო კი ეს გავლენა, ან მოლიერის მიბაძვა? ჩვენი აზრით, არა. ამის თავად გ. ერისთავის დრამატურგიის ანალიზი იძლევა. საქმე ისაა, რომ გ. ერისთავის პიესები შესანიშნავად იკითხება წარმოდგენის გარეშეც. თუმცა წარმოდგენა მის სახეობრიობას უფრო ამძაფრებს და, განსაკუთრებით, სცენაზე კომიკური სიტყვიერი კომპოზიციების, ზეპირი და წერილობითი პაროდირების ფორმირების გამოხატულებაა, რომელშიც რამდენადმე რეალიზებულია ბახტინისეული „კარნავალური სიტყვის“ „ამბივალენტური სტრუქტურა“, პროვოცირებულია „თავისუფალი და ფამილარული ურთიერთობა“ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს შორის (მაგ.: ბარამ-ანდუყაფარის და გაბრიელ-ივანეს დიალოგები „გაყრიდან“), იგრძნობა რამდენადმე ოპოზიციურ წყვილთა გამთლიანება (სიბრძნე/სისულელე, ქება/ლანძღვა „დავაში“).

„კარნავალიზაცია ბახტინის თეორიაში გროტესკული რეალიზმის ექვივალენტური ცნებაა, ხალხის მიერ პაროდირებული ყოფის სინონიმი, სადაც სიცილი მკვეთრად დეგრადაციულ და მატერიალიზებად ფუნციას ასრულებს“ **(რატიანი 2005 : 31)**.

გ. ერისთავთან სწორედ ეს „კარნავალიზაცია“ აძლევს მის პიესებს მოქნილ, გასაგებ, ადვილად აღსაქმელ და მხატვრულად განსახოვნებად იერს. პერსონაჟ მიკირტუმ გასპარიჩის ბოლო ფრაზა პიესა „გაყრის“ დასასრულს საზოგადოებასთან გაერთიანების ერთგვარი გამოხატულებაა:

„ჩესნი პუბლიკი პრაშჩაი,
პუტრუ პროშუ ვას ნა ჩაი,
ბუდეთ უგოშჩათ კნეინა..
ახლა კი წაბრძანდით შინა“ (ერისთავი 1966:214)

მიკირტუმა „კარნავალში“ „ითრევს“ დამსწრეთ და ამით სანახაობრიობას, მეტ დამაჯერებლობასთან ერთად, მხიარული გართობის იერს მატებს.

ასეთივე დასასრულს გვთავაზობს კარაპეტა „ძუნწიდან“:

„თუ გინდათ, რომ მხიარულად
გაატაროთ ამ თიატრში,
ნუ დაგვაგდებთ გულნაკლულად,
ყველამ დაგვიკარით ტაში“ (ერისთავი 1966:242).

„კარნავალიზაცია“ საერთო მხიარულების ერთ არეალად წარმოგვიდგება, სადაც დაცინვაც მოდის, შენიშვნაც, დარიგებაც.

გიორგი ერისთავის კალამს ეკუთვნის კომედია-პოემა „შეშლილი“, 5 პიესა: „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“, „უჩინმაჩინის ქუდი“, „წარსული დროების სურათები“, ერთიც დაუმთავრებელი პიესა „ქართველი პირველი აკტიორები და აკტრისები“, რომელიც შემონახულია ერთადერთი ავტოგრაფის სახით (ლიტ. მუზ. ფ.ხ. №18021) და პირველად გამოაქვეყნა ლელა ბარნაველმა 1951 წელს.

გარდა ამისა გ. ერისთავს უთარგმნია ა. გრიბოედოვის „უბედური ჭკუისაგან“, გადმოუკეთებია „თილისმის ხანი“ და ჰალმის ტრაგედია „ყვარყვარე ათაბაგის“ სახელწოდებით, დრამა „მაიკო“. მასვე პიესად გადაკეთებული აქვს შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

გიორგი ერისთავის, როგორც დრამატურგის, ნიჭი ცოცხლად იკვეთება პიესაში „გაყრა“. სიუჟეტური ქარგა ერთი თავადის ოჯახის გარშემო იშლება, რომლის არსებითი ანტურაჟია – ქონების განაწილება ხასიათით, აღზრდითა და მიზნებით სრულიად განსხვავებულ ძმებს შორის. სოციალური ფაქტორი (ყმების ძარცვა, უსაქმური ყოფა ბატონებისა) ივანეს, ამ „ვარშაველი ფრანტის“, თვალითა და რეპლიკებით, მოძველებულია, არამოდური, ამდენად – მიუღებელი. არის თუ არა ეს ავტორის პოზიცია, რომელმაც რამდენჯერმე თვით ითამაშა პიესაში (მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვის) როლი? არა. ავტორი სწორედ მიკირტუმას რეპლიკებით მასხარად იგდებს ყველა დიდებულიძეს:

„ამ დიდ ბატონს მართებს ფული,
მე ხელში მყავს იმის სული,
ორი წელი მომატყუა,
რა კაცია გიჟ ვრაცუა!
მეორე ძმა ჰყამს ტუტუცი,
ასი იმანაც მივეცი.
კურტყელს იჭერს, ყვირის: უა, უა!
აი კიდევ გიჟ ვრაცუა.
ერთი ძმაც ჰყამს რუსეთუმე,
ტანცი-მანცი ლავ ხაღუმე,
ამე თავში არ აქვს ჭკუა,
ისიც ისევ გიჟ ვრაცუა!“

(ერისთავი 1966 : 193).

გროტესკულია სამივე ძმა, ვაჭარი მიკირტუმ გასპარიჩი და თვით სასამართლოს მდივანი რამაზი. ნაწარმოებში დროითი მონაკვეთი რაღაც 3-4 დღეა, გაყრის გადაწყვეტილების მიღებიდან ივანესა და შუშანას ქორწილის ჩათვლით. სივრცე - დიდებულიძეთა სახლ-კარია და შემდგომ მიკირტუმ ტრდატოვის ბინა, მაგრამ მეტამორფოზულობა სწორედ მე-4 მოქმედებაში ვითარდება: ივანე, ვარშავაში განათლებამიღებული, მეურნეობის ახლებურ ყაიდაზე მოწყობის მოსურნე, მაღალი

იდეალების მქონე და მხოლოდ სიყვარულით ქორწინების მომხრე, ფარ-ხმალს ყრის მიკირტუმას მხოლოდ ერთი ფრაზით:

„სუყველა კარგა ფიქრობ, კნიაზ, მაგრამ
ფული, სულ ფული... ფული..."

(ერისთავი 1966 : 209).

მიუხედავად იმისა, რომ იგი თავდაპირველად მიკირტუმას სატანასთან ათანაბრებს, სულ რაღაც 20 დიალოგში გადაწყვეტილებას ცვლის და ამბობს: „პასმოტრიმ!" მხოლოდ ერთი პირობა აქვს: „ესტ ლი ანა ხარაშა?" აქ ივანე რუსული ფრაზებით მანიპულირებს, რათა აჩვენოს თავისი თავი, როგორც თანამედროვე ადამიანმა. მიკირტუმა ითრევს თავის თამაშში ჯადოსნური სიტყვით – „ფული", რომელიც „ატრიალებს" როგორც ივანეს ოცნებებს, ისე მიკირტუმას სურვილებს: „მეც კნიაზი გავხდე, ჰა". თამაშის მეორე წრეში (მეოთხე მოქმედებაში) ერთვება ყველა: (მიკირტუმ, თათელა, შუშანა, ივანე, ანდუყაფარი, პავლე, ბარძიმი, კამისიონერი), სანახაობრიობის ემატება ლეკურიც. რეალობა რეპლიკათა მონაცვლეობაში წარმოჩნდება, თითოეული ფრაზა კი გაჟღენთილია მწვავე ირონიით. ავტორი არ ერიდება პროზაულ სცენაში პოეტური სტრიქონების ჩართვას:

"<u>ივანე</u>. ია რაზდელიუ პოლე ნა სემ.

<u>მიკირტუმ</u>. მაგითი ფულს ვერ გასცემ." (ერისთავი 1966:209).

ქართული, რუსული, სომხური და ზოგჯერ პოლონურიც კი ირევა ივანესა და გაბრიელის საუბარში. ეს არაა ენების აღრევა, როგორც ბრალს სდებდა გ. ერისთავს ზოგიერთი კრიტიკოსი. ესაა რეალობის მხატვრული რეტროსპექცია და ავტორის, როგორც დრამატურგის, ოსტატობა.

„გაყრის" პოპულარობის მიზეზები მის კომპოზიციურ მთლიანობაშია საძიებელი. აქ არაფერია გაწელილი. დინამიურ რკალში მიმდინარეობს დიალოგები და სრულიად მოულოდნელი დასასრული თითოეული მოქმედებისა. აშკარაა, დრამატურგი შესანიშნავად ფლობს დრამატულ ხელოვნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავად სიცილიც, როგორც კომედიისათვის აუცილებელი, არაბუნებრივი იქნებოდა. იცინიან პერსონაჟები, იცინის მაყურებელიც. გ. ერისთავს უხმო პერსონაჟებიც შემოჰყავს. თუ ნინო, პავლე დიდებულიძის ქალიშვილი, სასტიკად ბრაზობს სუდის სეკრეტარ რამაზზე გათხოვების ხსენებისას, მიკირტუმას ასული შუშანა უხმო პერსონაჟია. მან, მიკირტუმას თქმით, იცის საოჯახო საქმე, ლამაზია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია იმ დროისათვის, ფულიანი საპატარძლოა.

საგნებს, რეკვიზიტს საერთოდ გ. ერისთავი იყენებს საოცრად გამიზნულად. გაყრის პროცესში მუთაქა იმდენად დიდ მნიშვნელობას იძენს, რომ მასზე დაობენ ძმები. ბოლოს ივანე ჭრის ხანჯლით მუთაქას და უყოფს უკვე გამოსაყენებლად უვარგის ნაწილებს ძმებს, პავლესა და ანუყაფარს. ჯოხი, იგივე „ტროსტი", ახალი თაობის, განსწავლულთა პრეროგატივის მაჩვენებელია. ასევე საცეკვაო ილეთებიც.

კომედია „გაყრა" მართლაც შედევრია თავისი სცენურობითაც, რასაც არაერთგზის აღნიშნავდნენ. ვლადიმერ ბიბილეიშვილი წერს: „გ. ერისთავის პიესების რემარკებიდან ჩანს, რომ მას არ ჰქონდა მისი პიესების გამოცდილი ოსტატის ხელში აღმოჩენის იმედი, ამიტომ რემარკებს ხშირად იყენებდა, როგორც სამოქმედო გარემოს... გ. ერისთავი არა მარტო ქმედით სიტყვას აწოდებს მსახიობს, არამედ რემარკების საშუალებით მიუთითებს მის ყველა ქცევაზე, მიზანსცენის ზუსტ ნახაზს აძლევს, რათა ეს ნახაზი ზუსტად გადაეტანა მსახიობს სცენაზე" (ბიბილეიშვილი 2013:10). ჩვენ კი დავსძენდით, რომ აღნიშნული რემარკები პიესის მკითხველისათვის თვალსაჩინოს ხდის მთელ მოქმედებას, სწორედ ეს აძლევს მას ასეთ „წაკითხვად" იერს.

გ. ერისთავის პიესა „გაყრის" დადგმა 1850 წლის 2 იანვარს ზოგიერთმა მისმა თანამედროვემ ნაადრევად მიიჩნია, ახალი მთავარმართებლისადმი თავის მოწონების მცდელობად. თუმცა, აშკარაა, რომ ამ ყოველივემ გაამართლა – შეიქმნა ქართული თეატრი.

პიესა „დავა" ანუ „ტოჩკა და ზაპეტაია" „გაყრაზე" ადრე დაიწერა. მისი შეტანა 1867 წლის გამოცემაში ვერ მოხერხდა და პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში" 1871 წელს, თუმცა, რადგან ავტოგრაფი ვერ აღმოჩნდა, იგი იმ პირთა სიტყვებით შედგა, რომლებსაც უკვე ეთამაშათ პიესაში. „დავა" (ავტოგრაფიდან) მხოლოდ 1936 წელს შევიდა გ. ერისთავის თხზულებათა კრებულში.

„დავა" ავტორს დაუწერია 1840 წელს. იგი ხუთმოქმედებიანია. მოქმედი პირები არიან თავადები, მათი შვილები, მსახურები, სუდის პერევოჩიკი, სტრიაფჩი, ზასედატელი. აქაც იგივე პრობლემაა: სადაო მიწა, „ჩალიანი" ორ თავადს ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ითრევს. არც ონოფრე თმობს, არც ამირინდო, რომლის შვილი ბეგლარი პირდაპირ გადმოდის

„შეშლილიდან“ განათლებული წესიერი ახალგაზრდის, მაგრამ არაპრაქტიკული, რომანტიკული პიროვნების სახით, რომელიც საჩივრის ქაღალდზე ლექსს წერს. არადა არზის შედგენისას მოხელეები ითხოვენ სწორ მართლწერას ანუ წერტილისა და მძიმის სწორად დასმას. ზუსტად თითქოს ეს აფერხებს ბეგლარს. მაგრამ აი გამოჩნდა მეგობარი, ონოფრეს ვაჟი, მიხეილი, და „საქმე იჩარხება“ – თუკი ნინო ბეგლარს გაჰყვება ცოლად, მზითევში „ჩალიანს“ გაატანენ და დავის საბაბიც მოიხსნება. თუმცა ეს „გარიგება“ მხოლოდ საბაბია შეყვარებულებისათვის.

სწორედ ამ „ვნებათა ჭიდილში“ შემოჰყავს გ. ერისთავს იმერელი აზნაური, ამირინდოს ნაცნობი ლომინ გოდაბრელიძე, რომელსაც სურს მიიღოს მეოთხე ცოლის მოყვანის უფლება. უცნაური თამაში იმართება მთხოვნელ ლომინს, სტრიაფჩს ხარიტონ ფილიპიჩსა და სუდის სეკრეტარ სარქის ბუღდანიჩ კუმუხტოვს შორის. დიალოგები მიდის საოცარი დინამიურობით. აქ თითოეული ფრაზა, ნათქვამის დამახინჯებული თარგმანი კუმუხტოვის მიერ, სარქისას და ხარიტონ ფილიპიჩის ოცნებები ფულის გაკეთებაზე, თავად ენის უცოდინარ ლომინისათვისაც კი გასაგებია, იგი თანახმაა ქრთამზე:

"სარქისა. რას იძლევი?

ლომინ. ოცდაათი კაკალი მანათი მაქვს და შენც გემსახურები“ (ერისთავი 1966:176).

სტრიაფჩის მონოლოგი ცხადად ააშკარავებს საქართველოში მომსახურე რუს მოხელეთა მომხვეჭელურ მიზნებს.

აშკარაა, აღნიშნულ პიესით ვერ დაიწყებდა გ. ერისთავი „ქართული თეატრის დაბადებას“. თუმცა „დავამ“ მაინც გაიკაფა გზა ქართული სცენისაკენ და სადღეისოდაც კი შედის რეპერტუარში გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრისა („გაყრასა“ და „ძუნწთან“ ერთად) სათაურით „როგორც გენებოთ“ (რეჟისორი სოსო ნემსაძე).

„ძუნწი“ მიჩნეულია ცნობილი ანტიკური კომედიოგრაფის პლავტესა და ჟ. მოლიერის „ძუნწის“ „ქართულ გამოძახილად“. თუმცა სიძუნწე, რომელსაც ასე კიცხავს გ. ერისთავი თავის „პიესაში“, მხოლოდ კარაპეტა დაბაღოვის სახლში დატრიალებულ ისტორიას შეესაბამება, აღნიშნული ეპოქისა და ქართული სინამდვილის შესატყვისი მოვლენაა.

კარაპეტას სახე უაღრესად კონკრეტულია (სომეხი წუწურაქი ვაჭარი, შეყვარებული ზანდუკში შენახულ ფულებზე) და, ამავდროულად, ზოგადიც: ძუნწი ოცნებობს გაიგოს, როდის მოკვდება, რომ პირში ჩაისხას ოქრო და თან წაიღოს საიქიოსაც, რათა არ მოხვდეს ქართველის გახვრეტილ ჯიბეებში.

გადაცმა, მოტყუებით ფულის კენჭებით შეცვლა, კარაპეტას თანხმობა არჩილისა და ხამფერას ქორწინებაზე, ვითარდება ბუნებრივად და ისეთი საზეიმო იერი ეძლევა, თითქოს კარაპეტას გულის მოგებით ყველაფერი ნათდება მაგრამ ძუნწი ძუნწად რჩება, შეყვარებულები ბედნიერნი არიან, თავად არჩილი კი უსაზღვროდ კმაყოფილია სიმამრის მიერ ნაჩუქარი ხანჯლით. ავტორი სწორედ აქ ჩართავს ხანჯალთან დაკავშირებულ ქართველთა საგმირო ისტორიას.

"მოვედ, შემერტყი მის შვილიშვილსა,
ლეკთა და სპარსთა ვსჭრიდე, ვით ცვილსა,
შთამბერე მისი ვაჟკაცობა,
მისი სახელი, პატიოსნება“

(ერისთავი 1966 : 241).

კონტაქტი მაყურებელთან ისევ კარაპეტას რეპლიკით მყარდება.

კომედიები „უჩინმაჩინის ქუდი“ და „წარსული დროების სურათები“ ხასიათების კომედიებია და მათი მხატვრული ღირებულება პერსონაჟთა დიალოგებში წარმოჩენილი წინამორბედ პიესათა ტრადიციული ხაზია: იყოს სასაცილო, ზნეობრივი გაკვეთილი მისცეს მაყურებელს, უბიძგოს გამოსწორებისაკენ.

გიორგი ერისთავი უცხოური პიესების გადათარგმნა-გადმოკეთებასაც ცდილობს. ჰალმის ცნობილი ტრაგედია მის პიესაში „ყვარყვარე ათაბაგის“ სახელით გადმოკეთდება ქართული თეატრის სცენაზე. „ათას ერთი ღამის ზღაპრების“ ერთი ეპიზოდი კი იქცევა „თილისმის ხანის“ („თილისმის მოარშიყის“) ფაბულად.

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ფონდებში ინახება საკმაოდ დიდი ხელნაწერი (ფ. III, ხ.5342 №35) შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, დრამა 5 მოქმედებად. თავის დროზე მას მიაკვლია პროფესორმა შალვა რადიანმა ელისაბედ დავითის ასულ ერისთავთან დაცულ ერისთავების არქივში. შ. რადიანი წერდა: „ვინაიდან მასში არაფერია გ. ერისთავის, გარდა იმისა, რომ მოქმედები პირების სახელები დრამატურგიულ ფორმაშია ჩამოყალიბებული, დანარჩენში კი

მთლიანად შ. რუსთაველის ტექსტია გამოყენებული **(ერისთავი 1936 : VII),** ვფიქრობთ, სწორედ ეს ტექსტია საინტერესო და თანაც დრამატული თვალსაზრისით შერჩეული, გასცენიურებული. 1850-იან წლებში გ. ერისთავი პოლონელი კაზიმირ ლაფჩინსკისთან ერთად მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის" პოლონურ თარგმანზე. და, თუმცა ბავშვობიდანვე საყვარელი ნაწარმოები გ. ერისთავს საოჯახო ხელნაწერებში არაერთხელ უნდა გადაეკითხოს, სავარაუდოა, რომ პარალელურად ამ დროს უნდა ემუშავა დრამის სცენარზე. ამ პიესის მოქმედებანი სხვადასხვა ვარიანტების სახითაა წარმოდგენილი ხელნაწერში. აშკარაა, გ. ერისთავს სურდა ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ისტორია ცალკე პიესად ექცია, რამდენადაც ერთ ვარიანტში მოქმედნი პირნი არიან: ინდოეთის მეფე, დედოფალი, ნესტან-დარეჯანი, დავარი, ასმათი, ტარიელი, მოლარე, მოსამსახურენი, მხევალნი, ორნი ქაჯნი. პირველ მოქმედებაში წარმოდგენილია ნესტანის შეხვედრა ტარიელთან და დავალება: „წა, შეები ხატაელთა". სხვა ვარიანტი იწყება როსტევან მეფის სასახლეში ვეზირებთან თათბირით და თინათინის გამეფებით.

ერთი შეხედვით აქ ტექსტია, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორია მისი მხატვრული გადაწყვეტა. გ. ერისთავი პირდაპირ არ მიჰყვება „ვეფხისტყაოსანს". რემარკები აქაც მისეულ კანონებს ემორჩილება.

გ. ერისთავის, როგორც დრამატურგის, საოცარი ოსტატობა ახალი მოვლენა იყო XIX საუკუნის 50-იანი წლებისათვის. ასეთი მიიღო იგი ჯერ მაყურებელმა, შემდეგ – მკითხველმაც.

ბიბლიოგრაფია:

აბაშიძე კიტა: აბაშიძე კ. „ეტიუდები", თბ., 1962;

ანდრონიკაშვილი ნიკო: ანდრონიკაშვილი ნ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1984;

ბიბილეიშვილი ვლ.: ბიბილეიშვილი ვლ., „მწერლის რეჟისურა", ქ. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები", III, თბ., „უნივერსალი", 2011;

გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მარიამ: გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008;

გაჩეჩილაძე ამბერკი: გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952;

ერისთავი გიორგი: ერისთავი გ., თხზულებანი, 1884;

ერისთავი გიორგი: ერისთავი გ., თხზულებანი, ტფილისი, 1936;

ერისთავი გიორგი: ერისთავი გ., თხზულებანი, თბ., 1966;

ლიტერატურული მემკვიდრეობა: ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, თბ., 1935;

ლიტერატურული მუზეუმი: ლიტერატურული მუზეუმის ხ.ფ. 18005/241; ხ. 18032;

მეგრელიძე იოსებ: მეგრელიძე ი., „სიძველეები ლიახვის ხეობაში", II, თბ., 1997;

მეუნარგია იონა: მეუნარგია ი., ქართველი მწერლები, II, 1944;

რატიანი ირმა: რატიანი ი., ლექციები ლიტერატურის თეორიაში, თბ., 2005;

ყიფიანი დიმიტრი, ყიფიანი დ., მემუარები, თბ., 1930.

რეზიუმე

დრამატურგ გიორგი ერისთავის გამოჩენა ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული მოვლენაა. მან შექმნა ქართული პიესები მისი კომპოზიციით, ადვილად გასაგები ანტურაჟით და მოულოდნელი სიტუაციებით. მისი შემოქმედების შესწავლისას, პირველივე პიესიდან კრიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ შეიმჩნეოდა მოლიერის გავლენა. მაგრამ მისი დრამატურგიის ანალიზისა და ბახტინის „ბერიკაობის სიტყვის" შესწავლისას, ვფიქრობთ, რომ ზუსტად საკარნავალო განწყობა აისახება მის პიესებში, რომელთა ფესვები შესაძლებელია ქართულ სახალხო სანახაობებს (ბერიკაობა, ყეენობა) უკავშირდებოდეს. ეს მშობლიური მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელია. ამ თვალსაზრისს ასევე მის მიერ თარგმნილი პიესების სასცენო დადგმები და ასევე სხვათა ნაწარმოებებზე შექმნილი პიესები (შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი") ადასტურებენ. ეს მიუთითებს მის ოსტატობასა და დრამატურგიულ ნიჭზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს არა გავლენის შედეგია, არამედ საკუთარი შემოქმედებაა.

FOR THE HISTORY OF PLAYWRITING OF GIORGI ERISTAVI

Tamar Gogoladze, Professor

RESUME

Playwriting of Giorgi Eristavi is a special appearance in Georgian literature. He created really Georgian play with its composition, simple, easily understandable entourage, unexpected situations and still from the first critics in literary study his playwriting is considered as an influence of J. Moliere. Taking into consideration the analysis of playwriting of Giorgi Eristavi and "a carnival word" by Bakhtini we think that just this carnival mood is felt in his plays which may have roots in Georgian public shows (Berikaoba, Keenoba), it is organic for native readers and is amusing as well. This point is proved also by the plays staged according to his translation, and the plays written by him according to creative works of others ("The Knight in the Panther's Skin" by Shota Rustaveli) and staged, this points to his mastery and proves the talent of the playwright and it is not the result of influence.

მხატვრული და რეალური დრო გრიგოლ რობაქიძის რომანში „ჩაკლული სული“

ვახტანგ ინაური, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

„ჩაკლული სული“ გრ. რობაქიძის ემიგრანტული პერიოდის პირველი ნაწარმოებია, რომელიც ბერლინში დაიბეჭდა და გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო გერმანული ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. მას მაღალ შეფასებას აძლევენ ცნობილი მეცნიერები, კრიტიკოსები და მწერლები: ო. ფრენკელი, ფ. ჰოენტში, ვ. შეფერი, ფ. მარაონი, რ. კარმანი და სხვ.

მწერალი ობიექტურად ასახავს მეოცე საუკუნის 20-იანი წლების რეალურ სინამდვილეს, საქართველოს ანექსიის შემდგომ პერიოდს, ბოლშევიკურ რეპრესიებსა და პარტიულ დიქტატს ხელოვნებასა და მწერლობაზე. ეს იყო საბჭოური წითელი ტერორის პირველი გაბედული მხილება.

რომანში მხატვრული და რეალური დრო კონცენტრირდება XX საუკუნის 20-იან წლებში. ამ ათწლეულში ხდება მითიური დროის ალუზია. რომელიც ქვეყანაში პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების წარმოსახვისა და გააზრების ერთ-ერთი მხატვრული მეთოდია, მწერლის მიერ გაურკვეველი და ბუნდოვანი აწმყოს ლაბირინთებში გზის მისანიშნებლად.

მწერალი ბოლშევიკური დიქტატის ზეწოლას მწერალსა და ინტელიგენტზე რომანის მთავარი გმირის, თამაზ ენგურის, ცხოვრების ფონზე ასახავს. მოთხრობილია ამ ძლიერი პიროვნებისა და მაღალი სულის ადამიანის დაკნინება, გაორება და მისი მრწამსის დათრგუნვა, სულის ჩაკვლა გაპუს საპატიმრო საკანში. ნაჩვენებია ბოლშევიკური რეჟიმი როგორ ართმევს ადამიანს სულიერ და ფიზიკურ დამოუკიდებლობას, როგორ აიძულებს მას, აღიაროს რევოლუციური დოქტრინა, იაზროვნოს ბოლშევიკური იდეოლოგიის შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი წარმატების გზა დახშულია.

სამეცნიერო კრიტიკაში გამოთქმულია აზრი, რომ ჩაკლული სულით“ გრიგოლ რობაქიძემ იწინასწარმეტყველა 1937-იანი წლების რეპრესიები. ეს შეხედულება მწერლის გვიან, 1937 წელს დაწერილ ბოლოსიტყვას ემყარება, ავტორი წერს: „რაც ამასობაში მოხდა, ადასტურებს იმ შეხედულებას, რომელიც საფუძვლად უდევს ნაწარმოებს. საკმარისია გავიხსენოთ მოსკოვის შემზარავი პროცესები, რომელთა ბნელი წანამძღვრები, ვგონებ, წინასწარმჭვრეტელურად გადმოვეცი“ (1, 155). ეს სიტყვები იძლევა იმის საბაბს, რომ „ჩაკლულ სულში“ რომანის გამოქვეყნების შემდგომ წლებში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის წინასწარჭვრეტა ამოვიკითხოთ, მაგრამ გასათვალისწინებელია რომანში აღწერილი ფაქტების რეალობა და ის დრო, რომელსაც ნაწარმოებში ასახული მოვლენები შეესატყვისება. მოვლენებისა, ფაქტებისა და დროს შეჯერება ერთმანეთთან ცხადყოფს, რომ გრ. რობაქიძე „ჩაკლულ სულში“ ასახავს 20-იანი წლების ეპოქას, რომელიც შეიძლება უფრო დაკონკრეტდეს და შემოიფარგლოს 1926-1931 წწ.

ამ პროცესების შემდეგ იწყება მწერლებზე სულიერი წნეხი მთელ საბჭოთა კავშირში და, განსაკუთრებით, საქართველოში, სწორედ ეს პერიოდია ასახული „ჩაკლულ სულში“, რომელშიც

ნაჩვენებია მწერლის სულის დათრგუნვა, „ჩაკვლა“. მაგრამ არა დახვრეტა, რაც 1937 წელს ხდებოდა.

რეალური დრო, ბოლშევიზმის ეპოქა და მითიური დრო რომანის მთავარი გმირის თამაზ ენგურის ცხოვრების ფონზე აისახება. ამ ორი დროის მიმართება ერთმანეთთან ამ პერსონაჟის გვარსა და სახელშიც მოიაზრება. იგი ერთდროულად განასახიერებს გილგამეშის „ციკლოპურ ეპოსსა” და 1920-იანი წლების მწერალსა და ინტელიგენტს, რომელსაც შუმერული ღვთაების, თამუზის, სახელი აურჩევია ლიტერატურულ ფსევდონიმად. მასში მითიურისა და რეალურის თანაარსებობის თავისებური მინიშნებაა. ამ ღვთაებისა და უძველეს ქალდაველთა სისხლის და სულის სიახლოვეს გრძნობდა თამაზი.

მწერალს შეგნებულად გამოჰყავს სვანური წარმომავლობის გმირი თავის რომანში, რომელშიც აფიქსირებს პერსონაჟის ორივე დროის განზომილებას. სვანური ყველაზე ახლოა ქალდეურთან, „სვანთა ტომობრივ ცნობიერებაში დღესაც ცოცხალია უძველესი სიტყვა „ხალდე“, ენგურის ხეობაში კლდოვან ფერდობზე მდებარე ერთი პატარა სოფელი ამ სახელს ატარებს“ (1, 101).

ავტორი ხაზს უსვამს სვანების მჭიდრო ნათესაურ კავშირს ქალდაველებთან. იგი აღნიშნავს, რომ ლურსმულის მსგავსი 2700-3000 წლის წინანდელი წარწერების ამოხსნა სვანურის დახმარებით შეიძლებაო, ამ სტრიქონებით გვაგრძნობინებს მწერალი პერსონაჟის, როგორც კაცის და როგორც მისი მშობლიური სვანეთის, გენეტიურ კავშირს მსოფლიოს უძველეს ერთან, რომელთა პრეისტორიული სისხლი და მითოსური აზროვნება მათ შორეულ შთამომავალ თამაზ ენგურის ძარღვებსა და გონებაშია შენახული. ეს რომანის პირველ ეპიზოდში ვლინდება სასცენარო განყოფილების სხდომაზე, როდესაც რწმენის შეურაცხმყოფელი სცენარი განიხილებოდა.

„რწმენის ახსნა სიცრუით შეუწყნარებელია, ყოველი კულტი კანონზომიერად უნდა იყოს წარმოშობილი“ (1, 01), ეს არის უძველეს ღვთაებათა მოსავის აზრი, ამ აზრს გამოვლილი აქვს ათასწლეულები და ახლა, ბოლშევიზმის ეპოქაში თამაზ ენგურის სიტყვებით გამოიხატება, ეპოქის ბოლშევიკური ხედვა ამავე სხდომაზე სახიერდება იქ დამსწრე ლენინელის გამოსვლაში, ლენინის ციტირებით: „რელიგია ხალხის ოპიუმია“ (1, 10). აქ ვლინდება მითიური დროის აზროვნებისა და საბჭოური შეხედულებების დაპირისპირებაც და შერიგებაც, რაც იმით გამოიხატება, რომ სცენარი არც თამაზის და არც ლენინელის მოთხოვნათა მიხედვით არ დამტკიცებულა, აქ ჩანს შუალედი მითიურსა და რეალურს შორის.

თამაზ ენგური მტკიცე, პრინციპული და ტრადიციული ტიპია, იგი თვლის, რომ დათმობაზე წავიდა, რადგან ამ „შუალედურ გზას გვერდს ვერ აუქცევდა“. მას მიაჩნია, რომ „ტექნიკური პროგრესი უფრო აღრმავებს კოსმოსს, ახალი აღმოჩენები საიდუმლოს ახსნას კი არ გვაახლოებენ – გვაშორებენ“ (1, 11). ის შინაგანად აწყმოთი, ანუ რეალური დროით ვერ კმაყოფილდება. მისი აზრით, ორი ასტროლოგიური ნიშანი მართავს აწმყოს: „მერკური და მარსი. მერკური ევროპა-ამერიკის რაციით, მარსი კი – ძალა ბოლშევიკური გაქანებისა“ (1, 11). იგი ბოლომდე არც ერთის მომხრეა და არც მეორესი, რადგან ორივე მიმართულება ადამიანებს წყვეტს საკუთარ გენს, წარსულსა და რწმენას, ნაცვლად იმისა, რომ კოსმიური მთლიანობისა და მომავლის საიდუმლოს ახსნას ემსახურებოდეს, ისინი, პირიქით, ერთმანეთს აშორებენ წარსულსა და აწმყოს, მითიურსა და რეალურს, ამდენად დრო იხლიჩება და მასთან ერთად იშლება ადამიანის მთლიანობა. მას კი მიაჩნია, რომ, თუკი „ათასები და მრავალათასები საუკუნეების მანძილზე გულმხურვალედ ემთხვეოდნენ ხატს, მისი შეურაცხყოფა უძველესი წმინდა რწმენის უარყოფაა და ღმერთთან დაპირისპირება. ამ აზრს ავითარებს თამაზ ენგური იმ დროს, როცა იხსენებს კომკავშირელების მიერ საყდარში ხატის შეურაცხყოფის ეპიზოდს, ეს სინამდვილიდან აღებული ფაქტია, რადგან მსგავსი შემთხვევა შემონახულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის ზეპირ გადმოცემებში. ეს მრავლისმეტყველი პასაჟია რომანში ბოლშევიკური ძალადობისა და უღმერთობის წარმოსაჩენად.

„კომკავშირელებმა სასწაულმოქმედ ხატზე მიიტანეს იერიში. საყდარში შეცვივდნენ. ერთმა დაამხო წმინდანის ხატი და, ცოფისაგან დაბრმავებული, ფეხით ზედ შედგა. „აბა დამსაჯოს თქვენმა ყოვლისშემძლე ხატმა!“ სახეში მიახალა უძრავად მიშტერებულ მდუმარე გლეხებს. ერთმა მოხუცმა გლეხმა დაარღვია სიჩუმე, წყნარად მიუგო: „მეტი რაღა გიყოს? უკვე გაუგიჟებიხარ და ეგ არის“ (1, 11).

თამაზ ენგურისთვის მოხუცი არის სახე, რომელიც ადასტურებს, რომ ერის მოდგმის გენია ცოცხლობს მის გონებასა და ცნობიერებაში. ცხადია, თვითონ ვიზუალურად და შინაგანად ასახიერებს ამ გენიას. ვიზუალურად იგი, სცენარის განხილვისას, ნაწილობრივ დათმობაზე მიდის. ეთანხმება მას, რაც მის რწმენას არ ესადაგება. ეს კი მისი გაორების დასაწყისია. მთლიანი პიროვნება, რომელიც რომანში ერის უძველეს გენიას მითოსური დროის სიბრძნესა და აზროვნებას

წარმოაჩენს, საბჭოურ, რეალურ ეპოქაში პოლიტიკური კლიმატისა და იდეოლოგიური ზეწოლის შედეგად ორად იყოფა. ერთი ნაწილი ზრუნავს თავის სიცოცხლესა და თავისუფლებაზე, ცდილობს აირიდოს რეპრესია, საპყრობილე და იცხოვროს ადამიანურად. მეორე ნაწილი ინარჩუნებს ეროვნულ სულს და ეროვნულ რწმენას. ანუ ინარჩუნებს ძველ მითიურ საწყისს, ეს ორი მხარე ერთმანეთთან ვერ თანხმდებიან, მისი სულიერება ითრგუნება რეალურ დროში, სინამდვილე უპირისპირდება მითიურს, რაც იწვევს თამაზ ენგურის პიროვნებაში სულიერ დაძაბულობას. იგი შინაგანად მითიურ ძალას განასახიერებს,. გარეგნულად ბოლშევიკური ხელისუფლების სამსახურშია.

ეს სტრიქონები ნათლად ასახავენ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ძალმომრეობას, ისე ღმერთის საპირისპირო პოლიტიკას, ხელისუფლების განწყობა არა მარტო ათეისტურია, არამედ იგი დევნის ადამიანების შეგნებიდან უფლის რწმენას, კლავს მათში ღმერთს და ცდილობს საერთოდ ქვეყანაში მოსპოს ყოველგვარი თავისუფალი აზრი, ყოველი ხალხური ტრადიცია, რაც ბოლშევიკებს ხელს არ შეუწყობს იბატონონ ხალხის გონებაზე და მართონ იგი თავიანთი იდეოლოგიის მიხედვით. ამ მიზნით ცდილობენ ადამიანებში, პირველ რიგში, ღმერთის რწმენა მოკლან, რასაც მწერალი მეტაფორული გამოთქმით გამოხატავს „ღმერთი კვდება“,

დიალოგი პეტროვსა და თამაზს შორის წარმოაჩენს მოსაუბრეთა მითოსის, რელიგიის, ისტორიის ღრმა ცოდნას. მხოლოდ საუბრის მიზანი სხვადასხვაა. პეტროვს აინტერესებს თანამედროვეობა, რევოლუციური სისხლისღვრის აუცილებლობის დამტკიცება და კანონზომიერება, ანუ პოლიტიკური თვალსაზრისით იყენებს წარსულის მსხვერპლშეწირვის საკითხს, ხოლო თამაზ ენგური ისტორიულ-რელიგიური იდუმალების ახსნაც ცდილობს. ამიტომ როდესაც პეტროვი აცტეკური მსხვერპლშეწირვის დროს და რევოლუციისთვის დაღვრილ სისხლს ერთმანეთს შეადარებს და ამასთან ქურუმსა და გაპუელს შორის გაავლებს პარალელს და მათ მიერ მიღებულ ოკულტურ ძალას ახსენებს, მაშინ ხვდება თამაზი, რომ პეტროვი გაპუს ჯაშუშია და დემაგოგიურად იყენებს მითსა და რელიგიას. ამით გაპუელის ძალის წარმოჩენასა და თამაზის სიმტკიცის დათრგუნვას ცდილობს: „ზოგიერთი გაპუელი ხელებს სისხლში იბანს. ერთი გაპუელი მძიმე ჩექმებიან ერთ ლამაზ ქალს აიძულებს სისხლით სავსე აბაზანაში ჩაწვეს – ქალს თვალი ეხილება და წინასწარმეტყველებას იწყებს“ (1, 51).

პეტროვის ეს ნაამბობიც მოწმობს, რომ იგი უძველესი მითიურ-რელიგიური წესებით ხსნის და ამართლებს ბოლშევიკების სისხლისღვრასა და ადამიანების ხოცვას. მისი სახით მწერალი ხატავს 20-იანი წლების ჯაშუშს, პროვოკატორსა და ვერაგ ადამიანს, ამავე დროს განათლებულ ინტელიგენტს, რომელიც სწორედ განათლებული და ხელოვანი, შემოქმედი ადამიანების კონტრევოლუციური სულისკვეთების გამოსავლენად არის მიჩენილი ხელისუფლების მიერ.

თამაზ ენგური, (ფსევდონიმად ძლიერი მდინარის სახელი აქვს აღებული) ტომით სვანი, არაფრით არ ამჟღავნებს, რომ ძველი წარჩინებული გვარის შთამომავალია. იგი უბრალო ხალხის შვილი ჩანს – ჯანსაღი, წინაპართა ცოდვებით დამძიმებული ფსიქიკის მქონე. თამაზი ევროპაში ნასწავლი – სულიერად გამორჩეული ინტელიგენტია. მისი შინაგანი კონფლიქტი ახალ სინამდვილესთან, მისი სულიერი ტრაგიზმი არანაკლებ მძაფრია, ვიდრე ხვედრი „წარმავალი“ კლასის წარმომადგენელთა.

საერთოდ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში და ასევე „ჩაკლულ სულშიც“ პიროვნება ძლიერი, ჰარმონიული და მთლიანია. სწორედ ამ თვისებით გამოირჩევა თამაზ ენგურიც. იგი არსებითად განირჩევა მე-20 საუკუნის მწერლობის ლიტერატურულ-ფსიქიკური ტიპისაგან, რომლის შექმნას საფუძვლად უდევს ხასიათის განვითარება. მას უკვე ჩამოყალიბებული და მტკიცე ხასიათი აქვს.

თამაზი პოეტია და იმისათვის არის მოწოდებული, რომ თავის სულიერ მონაპოვარს სხვებიც აზიაროს. თავდაცვა იმ ძალისაგან, რაც განადგურებით ემუქრება, მისთვის ყოფნა-არყოფნის ტოლფასია. უფრო კარგად რომ გავიგოთ რა ღირებულებებზეა აქ საუბარი, გავიხსენოთ პირველი თავი, როდესაც თამაზ ენგური „სახკინმრეწვში“ ისმენს ხევსურთა ცხოვრების ამსახველ კინოსცენარის განხილვას. სცენარი ათეიზმისა და საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის პროპაგანდაა., ენგურისათვის კი ადამიანის უმთავრესი ზნეობრივ-სულიერი საყრდენი ღმერთია. სცენარი სხვა მხრივაც მიუღებელია. იქ ხევისბერი გამოყვანილია მატყუარა, ხალხის მყვლეფავ ადამიანად. დამახინჯებული და გაყალბებულია ისტორია, უძველესი ტომის ზნე-ჩვეულებანი და წმინდა ტრადიცია შებილწულია. თამაზისთვის კი ყოველივე ეს, წინაპართა ტრადიცია და შინაგანი ერთიანობა დიდ ფასეულობას შეადგენს. თამაზი შეძლებისდაგვარად ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ მაინც იკავებს თავს, რადგან აშკარა წინააღმდეგობა და საპირისპირო თვალსაზრისის

გამოთქმა მტრულ განწყობად ითვლება. სწორედ აქედან იწყებს ეჭვის, უნდობლობისა და შიშის მოტივი. უპიროვნო, უცხო შიშისა. ადამიანს დაუფლებია გრძნობა, რომ ვიღაც გამუდმებით უთვალთვალებს. ამიტომ არის, რომ როდესაც თამაზი „სახკინმრეწვი“-დან გარეთ გამოდის, ფიქრში სათითაო სიტყვას აღიდგენს, რომელიც სცენარის განხილვის დროს წარმოთქვა, რათა ვიღაცამ მის სიტყვებში ხელჩასაჭიდი არ ნახოს.

ადამიანი დაშინებულია, საუბრისაც კი ეშინია, აზრების გაზიარებას ხომ სრულიად ერიდება, რადგან შეიძლება სწორედ „ის“ ერთი სიტყვა გახდეს მისი დაღუპვის მიზეზი.

თამაზი კინოსტუდიის ეზოში კითხულობს კედლის გაზეთს, რომელშიც წააწყდება იმ საკითხს სიყვარულის თემაზე, რომლის შესახებაც ამასწინათ მას პირადი საუბარი ჰქონდა ერთ ნაცნობთან. ენგურს გული სტკივა, რომ ინტიმური გრძნობებიც კი არ რჩება ხელშეუხებელი.

თამუზო-იშთარის მითოსურ-მისტერიული ნაკადი კარგად ჩანს მთავარი გმირების, თამაზსა და ნატასთან მიმართებაში. ისინი მოაზრებულნი არიან, როგორც ასურულ-ბაბილონურ ღვთაებათა - იშთარისა და თამუზის რეალური განსხეულებანი კონკრეტულ ისტორიულ დროში, მორალური თვალსაზრისით, ნატა ეწირება თამაზს, სწირავს თავის ქალობას, ღირსებას, რათა მიჯნური გადაარჩინოს. „ქალი ამჩნევდა, ბერზინს ძლიერ მოსწონდა. თამაზის სიყვარულზე ფიქრობდა და ამ სიმპათიას ჩხვლეტასავით განიცდიდა. მაგრამ რას არ გადაიტანდა თამაზის გულისათვის? საკუთარ ქალობასაც კი შესწირავდა მას. იქნება სწორედ ამას ელის ბერზინი? უნდობლად ეკითხებოდა საკუთარ თავს“ (1, 152).

ძალიან უყვართ ნატას და თამაზს ერთმანეთი. მათი ურთიერთობა შეიცავს მზერას ადამიანის შინაგან სამყაროსაკენ.

ნატას და თამაზის ინტიმური სიახლოვე იმავე დროს საკრალური აქტიცაა. იმ საკრალური ქორწინების რეალური განხორციელებაა, რითაც ერთიმეორეს ეუღლებიან. ადგილი კაკლის ხის ქვეშ, სადაც ეს საკრალური ქორწინება სრულდება, წმინდა ადგილია. აქაც თამუზო-იშთარის ღვთაებათა წყვილი ასოცირდება.

თამაზი ამართლებს თვით ადამიანის პირველ ცოდვას, რადგან ამით სიცოცხლის გამრავლებას, მიწიერ ქმნილებას მიეცა დასაბამი.

საკრალური ქორწინების აქტი ღია ცის ქვეშ რომ სრულდება, ამით ხაზი გაესმის ამ აქტის უშუალო კავშირს ბუნებასთან, ბუნების ძალებთან. ეს ხომ იგივე შესაქმის აქტია, იგივე ცისა და მიწის კავშირია, რაც მათი შეუღლებით ხორციელდება. (მართლაც, შემდგომში ნატა ფეხმძიმედაა, თამაზის ნაყოფს ატარებს. დასაბამს აძლევს ახალ სიცოცხლეს).

გრიგოლ რობაქიძე ხშირად საუბრობს ქართულ რასაზე. ხაზს უსვამს ქართულ ჯიშს, რომელიც ოდითგანვე წმინდადაა ცნობილი. ეს სიწმინდე და ჯიში სახიერდება რომანის პერსონაჟის, ლევანის, პიროვნებაში.

მწერლის დახასიათებით ლევანი „ოცდახუთი წლისა ძლივს იქნებოდა. ქართულ რასას მასში ნამდვილი ვაჟკაცის სახე გამოიკვეთა. პროფესიაც არ ჰქონდა, არც სჭირდებოდა. სიცოცხლის სიყვარული ტალღასავით მოაქვს მზის სხივს. ლევანი თვითონ იყო ცოცხალი ტალღა. რა საჭიროა მზის ხოტბა, თუკი მზის გულში ცხოვრობ? იგი არ წერდა ლექსებს. რა საჭიროა მეცნიერებით თავის დამძიმება, თუკი ციცაბო კლდეზე ამაყ ჯიხვს უცქერი და ხელში ისარი გიჭირავს? ლევანი სწავლაზე არ გადარეულა უბრალოდ ხარობდა იმით, რომ ცოცხლობდა. ის ადამიანთა ნარჩევი იყო, ლამაზი და ჯიშიანი. ათასწლეულებს ემუშავნათ მისი შექმნისათვის. ხანდახან ფილმებში თამაშობდა, როგორც ფეოდალური ტიპების შესანიშნავი შემსრულებელი“ (1, 47).

ლევანია ქართული რასის ცოცხალი წარმომადგენელი, რომელშიც ხორციელდება იმ ბუნების სილაღე და თავისუფლება, სადაც იგი დაბადებულა. არავინ ბატონობს მასზე. არწივივით თავისუფალია და ლაღი, მაგრამ არც მას ასცდება „გპუ“-ს თვალი, სწორედ იმისათვის იღუპება იგი, რომ ასეთი ლაღი და თავისუფალია, წმინდა სისხლის ქართველია.

წმინდა სუფრაზე ბერზინი გამოიწვევს თამაზს რევოლუციაზე საუბარში და სთხოვს, მოუყვანოს ლიტერატურიდან რაიმე მაგალითი, სწორედ ამ დროს ყვება თამაზი ამბავს, რომელიც წმინდა სისხლის ცხენს ეხება.

უკრაინის ერთ-ერთ გუბერნიაში რევოლუცია მიმდინარეობდა. მთელი ერთი სოფელი ფეხზე დამდგარიყო. დიდი და პატარა, ქალი და კაცი შეიარაღებულიყო კომბლებით, ცელებით, დანებით და მემამულის სახლს თავს დაეცნენ. ოჯახი გახიზნულიყო. გაბოროტებული გლეხები სახლში შეიჭრნენ, რაც მოხვდათ ხელში, ყველაფერი გაანადგურეს, დაამსხვრიეს. განადგურების ჟინს შეეპყრო გლეხები. სწორედ ამ დროს თავლიდან ცხენები გამოიყვანეს. ერთი განსაკუთრებით

გამოირჩეოდა დანარჩენებისაგან, მთლად თეთრი იყო, კოხტა. გლეხები ერთხანს გაშეშდნენ მისი მშვენებით. ბოლოს შურმა და ბოღმამ იმძლავრა და ატეხეს ყვირილი: „ჯიშიანია, ჯიშიანია“. ცხენი დაფრთხა, რამაც უფრო გაახელა აჯანყებულები, სიძულვილი მიეძალათ და ცხენი ცოცხლად გაატყავეს. ხალხმა ამ ცხენში ჩაგვრის სიმბოლო იხილა და ათასწლეულობით დაგროვილი ბოღმა მასზე გადმოანთხია.

მწერალმა აჩვენა ბრბოს ფსიქიკა, ბრბოსთვის განსხვავებული, მასზე უკეთური და ამაღლებული მიუღებელთა, ბრბოსთვის ბარაბა იყო, ქრისტე – არა.

თამაზის მიერ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა, შემდგომში, თამაზის გაორებისას იჩენს თავს. ენგური მორალურ დანაშაულს გრძნობს, ნაცნობ-მეგობრების წინაშე. მართალია, ის იყო წუთიერი გადაცდომა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ პოზიცია საჯაროდ გაცხადდა, საჯაროდ გამოცხადდა მხარდაჭერა სისხლიანი პოლიტიკისადმი. თანაც მისი სიტყვა მეორე დღესვე გამოქვეყნდა გაზეთში.

თამაზი ყოველივე ამის შემდეგ, ქუჩაში ხვდება თავის პატარა მეგობარს, ბიძინას, რომელთანაც გასაუბრება სურს, მაგრამ ბავშვი ზურგს აქცევს და ცრემლიანი თვალებით უკან ბრუნდება. ენგურს ახსენდება, ორი კვირის წინ ბიძინას მამა სიკვდილით დასაჯეს. ალბათ, ბავშვს გაზეთი წაეკითხა. „ახლა თვითონ თამაზს ჩაუდგა ცრემლი თვალებში. ბიჭს რომ სცოდნოდა, რა ტკივილი გუბდებოდა თამაზის მკერდში! ვინ მიხვდებოდა ამ ტკივილს? თამაზი სიცოცხლეს წყევლიდა“. (1, 107).

რამ გამოიწვია გმირში შინაგანი კონფლიქტი? ამისათვის მის ხასიათს უნდა ჩავწვდეთ. შეიძლება ყოველივე ეს მარტივად ავხსნათ – სიფრთხილით, უცხო შიშით რომლითაც ატმოსფეროა მოწამლული. მაგრამ მიზეზი უფრო ღრმაა, შინაგანი წინააღმდეგობის სათავე უფრო ღრმად ძევს.

როდესაც სიტყვას წარმოთქვამს ენგური, დარბაზში უმთავრესად მასა ზის. სწორედ ის უპიროვნო მასა, რომელიც ეგზომ სასტიკად ამკვიდრებს გარშემო თავის შეხედულებებს, გემოვნებებს, ცხოვრების წესს.

გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვის მიხედვით განსხვავდება მასა და ხალხი. „მასა უპიროვნო ერთეულთა გროვაა, იგი ჯოგია. ხალხი მაღალი კატეგორიის ერთიანობაა. ერთიანობა დაფუძნებული საკუთარი მიწა-წყლის, ისტორიის, ტრადიციების, კულტურის სიყვარულზე უწინარესად სარწმუნოებაზე. ხალხი არაა ამა თუ იმ დროის სტატისტიკით აღრიცხული გროვა ცალკეულთა – იგი ცოცხალი არსია ზეპიროვნული ბუნებისა“ (4,25).

რამდენადაც მასა პოტენციური ხალხია, ამდენად თანაგრძნობას იმსახურებს. აქ არის მის მიმართ გაორებული დამოკიდებულების შინაგანი ყოყმანის სათავე, მაგრამ მიზეზი ამით არ ამოიწურება., იმ რთულ გრძნობაში, რაც დაუფლებია ენგურს, როცა ის უცნაურ სოლიდარობას უმჟღავნებს მასას. კიდევ რჩება რაღაც ბნელი, იდუმალი რამ, რაც არ აიხსნება. რა არის ეს ფარული ძალა? რითაც ნატას იზიდავს ბერეზინი. უპიროვნო მასის ნების ეს რეალურ-სიმბოლური განსხეულება დაახლოებით იმგვარადვე მოქმედებს თამაზ ენგურზე. ხომ არ ეჩვევა ადამიანი იმას, რაც აქამდე არ მოსწონდა? ადამიანი ეჩვევა, ცდილობს, აღარ დაინახოს მასში ის ცუდი მხარე, რაც ადრე აღიზიანებდა. სურს კარგი მხარის აღმოჩენა, ფიქრობს, რომ ეს შეიძლება შეიცვალოს, თუ რა თქმა უნდა, იგი შეეგუება მას, ამიტომ არის, ადამიანი ყოველთვის და ყველაფერს ეჩვევა. ცუდი უკვე კარგად ეჩვენება და ფიქრობს, რომ თურმე არც ისე ცუდი ყოფილა, როგორც მას ეჩვენებოდა. ეს კი უკვე მისი გამოსწორება კი არა, უბრალოდ შეჩვევა და შეგუებაა. მაგრამ ეს რეალური მარკა, მითიურ დროში ის ისეთ ის არის, რაც იყო.

თამაზს მასა, როგორც მტრული ძალა პიროვნებისა, მარტო თავის სამშობლოში კი არა, დასავლეთშიც ეგულება. „მასობრივი კულტურა“ უპირისპირდება ნამდვილ სულიერ ღირებულებებს. თამაზ ენგური კი თავის სამშობლოში ამგვარ საშუალებას მოკლებულია, აქ პიროვნული თავისუფლება ძირშივე აღკვეთილია“ (5,147).

ნაწარმოებში ხშირად არის მოხსენიებული თ. დოსტოევსკი (რუსი მწერალი). რამდენადაც ცნობილია, რობაქიძეს ძალიან უყვარდა, სტალინს კი, პირიქით. სწორედ ამის გამო დიდი ხნის განმავლობაში მისი ნაწარმოებების ბეჭდვა აკრძალული იყო.

„ჩაკლულ სულში“ ავტორმა გამოიყენა დოსტოევსკის რომანი „ეშმაკნი“, რომელიც წინასწარმეტყველურ ნაწარმოებს წარმოადგენს და სწორედ მისი მეშვეობით ხვდება თამაზი საპყრობილეში.

„მტკივნეულად აკვირდება თამაზი საბჭოთა კავშირში ღმერთის წინააღმდეგ წამოწყებულ ლაშქრობას, მაგრამ, მისი აზრით, ის, რაც ხდება, აუცილებელია, რადგანაც უღმერთო კულტურაში რევოლუციის ჯოჯოხეთი უნდა გამწვავდეს, რათა მას რწმენის აღორძინება მოჰყვეს. ეს კრიზისი

თვითონ თამაზშიც მიმდინარეობს.

ეს თამაზის მოკვდინება აღდგინების სიმბოლურია მოვლენაა. ღვთაება თამუზოს ცხოვრების პარალელი გვაქვს რომანში. რწმენის კვდომას, უფრო ძლიერი გამოცოცხლება მოჰყვება.

„ღმერთის შექმნილი ღმერთად უნდა იქცეს, ის ღმერთის წიაღში უნდა დაბრუნდეს. ღმერთს სისხლი სჭირდება, უსისხლოდ ღვთიური კვდება“ (1-59).

სწორედ თამაზის პიროვნებით დაგვანახა მწერალმა ის ატმოსფერო, რაც 30-იანი წლების საქართველოში სუფევს. დაგვანახა უღმერთო, ცას გამოკიდებული ბრბო, რომელიც ყველაფერზე აწერს ხელს, რათა თავიდან აიშოროს ის უბედურება, რაც მას ყოველ ნაბიჯზე უთვალთვალებს, გვიჩვენა სტალინური დიქტატის შედეგი – ხალხის გადაგვარება, დაჩლუნგება და მათი სულის ჩაკვლა.

რომანში ასახულია ეპოქის ანტირელიგიური განწყობილება, ღმერთის უარყოფით მკვიდრდება უზნეობა, ფსიქოზი, რაც მწერალმა მრავლისმეტყველად წარმოაჩინა კომკავშირლების მიერ ხატის შეურაცხყოფის ეპიზოდში. ღმერთის ადგილს საიდუმლო თვალი იკავებს, რომელიც ყველგან და ყოველთვის თან სდევს ადამიანს. ეს „თვალი“, „საიდუმლო მაგიდასთან“ ერთად ყველას აიძულებს ილაპარაკოს და აკეთოს ის, რაც რევოლუციას და ბოლშევიზმს მიესადაგება. ეს ფაქტიც აიძულებს თამაზ ენგურს დათმოს თავისი პირადული შეხედულებები, მაქსიმალურად შეზღუდოს ყოველი სიტყვა და აზრი, რომელსაც ის საზოგადოების წინაშე გამოთქვამს, მას არ შეუძლია ილაპარაკოს ღმერთზე, რწმენასა და ტრადიციებზე, რადგან რელიგიას ბოლშევიკები ლენინის შეხედულებებისამებრ „ხალხის ოპიუმად“ მიიჩნევდნენ.

ეპოქის ურწმუნობასა და ათეისტურ დამოკიდებულებას მწერალი მძაფრი მეტაფორით გამოხატავს „დაგლეჯილი ღმერთი“, „დანაკუწებული ღმერთი“. ბოლშევიზმი დევნიდა ადამიანის გულიდან ღმერთს, კლავდა რწმენას, იტაცებდა საეკლესიო ქონებას, ანგრევდა ტაძრებს და ხვრეტდა სასულიერო პირებს.

გრ. რობაქიძეს თამაზ ენგურის სახელი „თამაზ“ და მისი ლიტერატურული ფსევდონიმით, „ენგური“, მითოსური სახეები შემოაქვს რომანში. თამუზი შემერული ღვთაება იყო, რომელიც კვდებოდა შემოდგომაზე და უფრო მეტი დიდებით აღდგებოდა გაზაფხულზე. ხოლო ენგური, ბობოქარი აქაფებული მდინარეა, თავისუფლებისა და დაუცხრომლობის სიმბოლო. ამავე დროს წყალი, როგორც უკვდავი, სამყაროს ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, რომელიც შეიძლება გარდაისახოს სხვა ნივთიერებაში და კვლავ დაუბრუნდეს პირვანდელ ფორმას.

ეს მითიური სახეები გვაფიქრებინებს, რომ მითიური დრო გილგამეშისა და თამუზოსი ცოცხლდება რომანში და მთავარ პერსონაჟში სახიერდება. ანუ XX საუკუნის 20-იან წლების ულმობელი დრო ნეიტრალება მითიური სახელებითა და მითიურ დროის გადმოტანით ბოლშევიზმის ეპოქაში, ამდენად გმირის სულიერი დაცემა ან მასში სულის ჩაკვლა, დროებითი მოვლენაა, ეს მოცემული ეპოქის კოშმარია, ხოლო მარადიულ დროში მისი სული უკვდავია, წმინდაა, მასში უფლისმიერი ნათელი მძლავრობს და იქმნება პერსპექტივა, რომ იგი კვლავ აღდგება, როგორც სულით და ხორცით უფრო ძლიერი ერთი მთლიანი პიროვნება.

ლიტერატურა:

1. გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული“, 1990.
2. ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №47, 1964.
3. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ნარკვევები“, 1997.
4. შერისხული, გრიგოლ რობაქიძე, 1994.
5. თენგიზ ჩხაიძე, „მითის აღორძინება“, „მნათობი“, №4, 1990.

რეზიუმე

გრიგოლ რობაქიძის რომანში „ჩაკლული სული“ ასახულია XX საუკუნის ოციანი წლების რეალური სინამდვილე, რომელიც მხატვრულად უკავშირდება მითოსურ ეპოქას, უძველეს რელიგიურ და ტრადიციულ საწყისებს. ორივე დრო კონცენტრირდება რომანის მთავარი გმირის, თამაზ ენგურის პიროვნებაში, რომლის ცხოვრების ფონზე ნაჩვენებია ბოლშევიკური რეპრესიები და მითოსური სულის მარადიულობა.

ARTISTIC AND REAL TIME IN GRIGOL ROBAKIDZE'S NOVEL "KILLED SOUL"

Vakhtang Inauri, Specialist by Contract, Doctor

RESUME

In the novel by Grigol Robakidze "the killed soul" the reality of the 20th century is shown connecting to the mythical epoch, the oldest religious and traditional basics. both time are concentrated in the personality of the main character of the novel, Tamaz Enguri on whose life the eternity of Bolshevik and mythical soul is displayed.

სერგი მაკალათია - პერსონაჟი (ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანე“)

მარინე ცერცვაძე, პროფესორი

„ჩემი რჩევაა, რაც ძალიან გტკივათ და გაწუხებთ, იმაზე ნურაფერს დაწერთ“...გვირჩევს როსტომ ჩხეიძე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ამ აზრს არ იზიარებს ოთარ ჩხეიძე, ის ყოველთვის იმაზე წერს, რაც ძალიან სტკივა და აწუხებს. ამ საწუხარის დიდი ნაწილი გორი და გორის პედაგოგიური ინსტიტუტია.

მურმან ჯგუბურიას მიაჩნია, რომ „როგორც გორელი საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში უდრის მსოფლიო ჩემპიონს, ასევე არ ჩამორჩება გორელი მწერალი ოთარ ჩხეიძე თანამედროვე მსოფლიოს უდიდეს მესიტყვეებს“ [7, 46]. ასეთი შეფასება ოთარ ჩხეიძისა „გორელი მწერალი“, მე არსად შემხვედრია, რადგან თვით მურმან ჯგუბურიამაც კარგად იცის, რომ ოთარ ჩხეიძემ „არა მარტო თავისი სოფლის („ჩემი სოფლის ეტიუდები“), არამედ ყველა სოფლის (ცხოვრების) ბედ - იღბალი გამოაჩინა და გამოამზეურა“ [7, 46].

ბევრი დაწერილა ოთარ ჩხეიძის რომანზე „ჩემი სავანე“, რომელიც „უსასრულო სულიერი წვით გაჟღეთილი, ლამის ფიზიკურ ტკივილამდე ამაღლებული ერთი გაბმული საოცარი საგაა, ქრონოტიპი, რომელიც მთლიანობაში წარმოაჩენს ოთარ ჩხეიძის ეპოქის ლიტერატურულ-შემოქმედებითი პროცესის უხმლო ბატალიას, რომლის მთავარი გმირიც თვითონ ბატონი ოთარი ბრძანდებოდა“ [9, 70].

ჩვენი ნაშრომი რომანის პერსონაჟს, ამ ბატალიის ერთ მონაწილეს - სერგი მაკალათიას შეეხება.

„პერსონაჟი მხატვრულ სახეს, მოქმედების სუბიექტს წარმოადგენს. და თუ ლათინურიდან სიტყვასიტყვით ვთარგმნით, სიტყვა „პერსონაჟი“ აღნიშნავს მსახიობს, რომელიც ნიღბით ასრულებს როლს, ამდენად იგი გამოხატავს გარკვეული ხასიათის ტიპს, მოქმედ პირს“ [8, 132].

რომანი 416 გვერდიანია, 25-ე გვერდზევე გამოჩნდება სერგი მაკალათიას სახელი, გამოჩნდება და როგორ - ერთადერთი პროფესორი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, პროფესორი და როგორი - „ნამდვილი“ პროფესორი, თავისი კათედრის გამგისგან განსხვავებით, ივანე ჯავახიშვილის შრომები ყურადღებით რომ არ წაუკითხავს და „საბჭოთა კავშირის ისტორიას“ რომ უკითხავს სტუდენტებს.

საპროფესოროს აბრა საქილიკო გამხდარა ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის - ბარემ „სამაკალათიო“ დააწერონ, ჩვენ აქ რა უფლებით შემოვდივართო, და ბედის ირონია- რომანში კარგად არის აღწერილი (სტუდენტის მეხსიერებაშიც ცხადად ჩაბეჭდილა), დერეფანში მოსეირნე სერგი მაკალათია, თავისი ცნობილი პორთფელი ფანჯრის რაფაზე რომ შემოუდია და გამვლელ-გამომველს ესაუბრება, არც „სამაკალათიოში“ შედის და არც ისტორიის კათედრაზე , ახალგაზრდა, „არაორდინალურ“ პროფესორს, „ თმაში ერთი ღერი თეთრი რომ არ ურევია“, ისეთს რომ დაუკავებია.

რას მივხვდებოდით პირველი კურსის სტუდენტები, რომ დერეფანში უწყინარი სეირნობა იყო ღვაწლმოსილი პროფესორის პროტესტი ყველაფერი იმის მიმართ, რაც მაშინდელ განათლების სისტემაში ხდებოდა: საქართველოს ისტორიის კურსის პირველ სემესტრშივე „მოგუდვა“ და „საბჭოთა კავშირის ისტორიის“ (ანუ რუსეთის ისტორიის) სამ კურსზე გაგრძელება.

და, აი, ისევ სერგი! 128-ე გვერდზე ისევ სერგი მაკალათია ამოტივტივდება, მუდამ გორის ციხეს რომ გასცქერის და ისეთ ადგილს ირჩევს სადგომად, საიდანაც ციხე კარგად ჩანს: „მოევლნო ციხენი, ისტორიულნი რაღა თქმა უნდა მოევლნო ტაძარნი, მიმოეჩხრიკა ტაძარნიცა სულისა, გადაეთხარნა

ნანგრევებიცა....რაც რომ ეპოვნა, შეეგროვებინა, გაეწმინდა, გაეპრიალებინა, თავი მოეყარა, აღეწერა, მუზეუმისთვის დაედო საფუძველი, გორის მუზეუმისთვისა, ინსტიტუტსაც იქ დახვედროდა - უკვე ცნობილი ეთნოგრაფოსი, არქეოლოგოსი, ისტორიკოსი - საქართველოსი, საქართველოსი..... სხვა ისტორიები თავისით რომ იცოდა, არაფერს იტყოდა სხვა ისტორიაზე, არც რო არავის მიუგდებდა ყურსა, სხვა ისტორიას რომ მოიშველიებდნენ. ყველამ თავისი უნდა იცოდესო, სხვისიც უნდა იცოდეს ყველამაო, თავისი თავისადო ყველამაო, ყველამაო, ყველამაო“ [1, 128].

რატომ მოვიტანეთ ეს ვრცელი ციტატა? რატომ და, განსხვავებით ოთარ ჩხეიძის სხვა რომანებისგან, „ჩემი სავანე“ მსუბუქი, ოდნავ ირონიზირებული სტილითაა ნაწერი, და მხოლოდ სერგი მაკალათიაზე საუბრისას მიმართავს მწერალი ამაღლებულ-რომანტიკულ სტილს, რადგან კარგად იცის , რომ, ამ ღვაწლმოსილ ადამიანზე წერა მხოლოდ ასეთი სტილით შეიძლება: „სერგი დაყურსულია ისტორიით, ლულავდა თვალთა ისედაცა, უამურ ხალხს თუ გადაეყრებოდა, ბევრი არ მოსწონდა, მაგრამ სულმთლად ხომ ვერ გაექცეოდა წუთისოფელსა.“[1, გვ.54,] თუმცა უნდა აღინიშნოს და მწერალიც ხაზგასმულად აღნიშნავს, რომ სერგის არავინ არაფერს არ უშავებდა და ვერც დაუშავებდნენ, რადგან სერგი თვითონ გახლდათ ასეთი. მხოლოდ რუს ოფიცრებთან ლექციის დროს მოხდა უსიამოვნება, როცა ობიექტურად გააშუქა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და უჩივლეს „აფიცრებმა“-არასწორად გააშუქაო. საჩივარი ინსტიტუტს გაუგზავნეს და კათედრამ სერგი მაკალათიას საყვედური გამოუცხადა. სერგიმ, რა თქმა უნდა, ეს საყვედური არ მიიღო ამ „ყველა ისტორიების კათედრისგანა“, რომელზედაც საქართველოს ისტორია არავის იცის და კათედრის გამგემ საერთოდ არაფერი იცისო.

ასეთი საჩივრები ძალიან ძვირად უჯდებოდათ პროფესორებსაც და რიგით მოქალაქეებსაც, მაგრამ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს, გიორგი ხარაულს, ეყო ტაქტი და საქმე არ გაამწვავა, თუმცა საყვედური საყვედურად დარჩა. სერგი მაკალათიამ არც წყენა შეიმჩნია, არც ლექციების თემატიკა და ტონი შეცვალა. აქ კარგად ჩანს პერსონაჟის ხასიათი, რომელიც წარმოადგენს „ფსიქოლოგიური თვისებების ნაკრებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ლიტერატურული პერსონაჟის სახეს. მისი ცალკეული დეტალები, რომლებიც ვლინდება მოქმედებაში, ქცევაში, ამა თუ იმ სიტუაციაში, წარმოაჩენს პერსონაჟის შინაგან სამყაროს..... ყოველი ხასიათი პერსონაჟია, მაგრამ ყოველი პერსონაჟი არ არის ხასიათი“ [8, 133]. ხასიათის კლასიკურ მაგალითად შეიძლება გამოდგეს სერგი მაკალათია, რომლის შინაგანი სამყარო, რომლის მრწამსი, შინაგანი სამყარო ვლინდება მისი მოქმედების ცალკეულ დეტალებში. ოთარ ჩხეიძე ქმნის მონოლითურ, დასამახსოვრებელ ხასიათს, რომელიც მიგვანიშნებს, რომ სერგი მაკალათია პერსონაჟიც არის და ხასიათიც.

საინტერესოდ ხატავს ოთარ ჩხეიძე სერგი მაკალათიას ,,დაპირისპირებას“ გორის ინსტიტუტის თანამშრომელთან - პროფესორ თედო ჟორდანიასთან.

სერგი მაკალათია და თედო ჟორდანია - ერთი ,,დაყურსული ისტორიითა“, მეორე დატვირთული ჯოჯოებითა, ხვლიკებითა, რეპტილიებითა; ერთი უფლისციხის არქიტექტურას, უფლისციხის ისტორიას და გმირულ წარსულს რომ უხსნის სტუდენტებს, რომ ახსენებს იმ გამძლეობას და შემართებას, რითაც ეს ქალაქი ააშენეს და დღემდე შეინარჩუნეს ქართველებმა და ამ ფონზე ჯოჯოების და ხვლიკების ცხოვრებით დაინტერესებული თედო ჟორდანია, ამას რომ ასწავლის სტუდენტებს. მწერალი აღარ ამთავრებს აზრს, რომ ორივე პატიოსნად ემსახურება თავის საქმეს, რომ ორივე სტუდენტების სულის აღზრდაზე ზრუნავს საკუთარი მაგალითის ჩვენებით საქმისადმი ერთგულებისა, საგნისადმი სიყვარულისა, მხოლოდ წერს- გამოვიყენებ ამას სადმეო. და გამოიყენა კიდეც. ოღონდ ეს შემდეგ. როსტომ ჩხეიძე თავისი წიგნის “ორი მდინარის შესაყარზე“, პირველ თავს სერგი მაკალათიას ხატებას წაუმძღვარებს, იხსენებს მამამისის მიერ დახატულ სერგი მაკალათიას ხატებას, თუ როგორ მიუძღვის ეს ღვაწლმოსილი ადამიანი სტუდენტებს უფლისციხისკენ, უხსნის მის არქიტექტურას, ამ უძველესი ქალაქის გმირულსა და გასაოცარ ისტორიას, საქართველოს გამძლეობას, ქართველთა გამძლეობას. იხსენებს მამის სიტყვებს: „სერგი დაყურსულია ისტორიით“. მართლაც ასეთი იყო და პირველი კურსის სტუდენტებს, გვეგონა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო: სერგი მაკალათია ვალდებული იყო, წავეყვანეთ მცხეთაში, წავეყვანეთ უფლისციხეში, გადაეღო სურათები თავისი ფოტოაპარატით, და ეს ყველაფერი დიდი ხალისით ეკეთებინა საკმაოდ ხანდაზმულ ასაკშიც.

რომანში ოთარ ჩხეიძე თვითონვეა მთავარი პერსონაჟი; ავტორმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, განეხორციელებინა სურვილი მიხეილ ჯავახიშვილისა - დაეწერა ერთი მოთხრობა, სადაც ყველა მისი გმირი ერთ ოთახში შეგროვდებოდა და მწერალს სასამართლოს გაუმართავდა. მიხეილ ჯავახიშვილმა იცის რაც მოელის: ,,ვინ იცის რა დღეს დამაყრიან, რამდენ საყვედურს მეტყვიან, მაგრამ საინტერესოა და როგორმე ამისთვის მოვიცლი“. ეს ბუნებრივია, რადგან დროის მოვლენები ტრაგიკულია, ტრაგედიაში კი კომიკური ფიგურებიც გვევლინებიან. მწერალი კი ითვალისწინებს

ყველაფერს და მხოლოდ თავის თავს ენდობა: ,,ვხედავ აუცილებელსა და ყოველგვარ ვითარებაში როგორც ეჩვენებათ სხვებსა, როგორც თვითონ ეჩვენება თავი თვისი, როგორიცა ბრძანდება სინამდვილეში - ანუ მე როგორსაცა ვხედავ".

რაც შეეხება კრიტიკას, მის რეაგირებას ამ ყველაფერზე, ოთარ ჩხეიძეს მიაჩნია, რომ კრიტიკა არ არსებობს ნამდვილი მწერლობისთვისა. მწერალი გამოდის ასპარეზზე საკუთარი მხატვრული და იდეური სამყაროთი, საკუთარი წარმოსახვებითა, შთაბეჭდილებებითა საკუთარითა.

თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ,,ჩემი სავანე" გამოდის იმ დროს, როდესაც პერსონაჟების უმეტესობა ცოცხალია, განაგრძობს მოღვაწეობას იგივე გორის სახეშეცვლილ ინსტიტუტში. ძნელია მათი ლიტერატურულ პერსონაჟებად გადაქცევა, ძნელია ადამიანმა დაინახოს განსხვავება - როგორ ეჩვენება თავისი თავი და როგორ ხედავს მას მწერალი.

ნინო ვახანიას მიაჩნია, რომ ,,პორტრეტებისა და ხასიათების ხედვასთან ერთად საერთო - საქვეყნო საფიქრალ-სატკივარი ძალდაუტენებლადაა ჩართული თხრობაში, სულაც ფონს ქმნის სიუჟეტის განვითარებისათვის" [6, 285]

ჩვენი ნაშრომი ამ რომანის ერთ პერსონაჟს ეხება და, თუმცა, არც ერთ პერსონაჟს ამ წიგნში (,,ჩემი სავანე") ვრცლად და ამომწურავად არ განიხილავს, მაგრამ ორიოდე შტრიხით ისეთ ზუსტ, საყურადღებო, მნიშვნელოვან მონახაზს გთავაზობს, რომ თავისუფლად შეიძლება სამეცნიერო ნაშრომებს დაედოს საფუძვლად.

გულსატკენია ერთი ფაქტი, რომელსაც ოთარ ჩხეიძეც აღნიშნავს და როსტომ ჩხეიძეც -მწერალს სერგი მაკალათიას სახის სრულყოფას უნდოდა დაბრუნებოდა „ჩემი სოფლის ეტიუდებში", მაგრამ ვერ მოახერხა, მიავიწყდა და და დასანანია, რომ თავის დროზე არ დაწერა. ამიტომაც ჩივის ოთარ ჩხეიძე, ნეტა თავის დროზე მომესწრო დაწერა, თორემ ახლა ამ სიუჟეტის შესაფერისი ექსპრესია თუ იუმორი აღარ მომყვებაო.

„მოქალაქეებმა იციან და კარგადაც იციან, თუ ვინ ტრიალებს მათ გარშემო და, იმის მიუხედავად, მათ მიმდევრებად წარმოუდგენიათ თუ არა თავი, დაფასებით აფასებენ და ძალიანაც ეამაყებათ, მათი თანამედროვენი რომ არიან" [2, 124]. სერგი მაკალათია იყო ჩვენი თანამედროვე და ყველას ძალიან გვეამაყება, რომ ეს უდიდესი მეცნიერი ჩვენ გვერდით ტრიალებდა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ლიტერატურა:

1. ჩხეიძე ოთარ -„ჩემი სავანე", თბ., 2000.
2. ჩხეიძე როსტომ - „ორი მდინარის შესაყარზე",ვარიაციები „ჩემი სავანის თემებზე", თბ., 2011.
3. ნიშნიანიძე რუსუდან-შეხვედრები, თბ., 2008.
4. კლდეკარი, №1,1999.
5. კუცია ნანა, „მარადი საფიქრალი", ოთარ ჩხეიძის „მიწა" და სხვა ნოველები, ჩვენი მწერლობა, 2 სექტემბერი, 2012.
6. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „ახალი ტრენდები განათლებაში: კვლევა და განვითარება", 21-22 ოქტომბერი, 2011.
7. ჩვენი მწერლობა, №1 (209) 10 იანვარი, 2013, მურმან ჯგუბურია - „მამაჩემი ოთარ ჩხეიძე" ანუ ზოგი რამ სულიერი საკარმიდამო და სადღეღამისო საკითხავის შესახებ".
8. ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები", 2008.
9. ჩვენი მწერლობა, №10 (218) 16 მაისი, 2014. - ლალი ურდულაშვილი - „ვარიაციები", თუ „ცნობიერების უწყვეტობა".

რეზიუმე

ბევრი რამ დაიწერა ოთარ ჩხეიძის რომანზე „ჩემი სავანე". ჩვენი შრომა ეხება სერგი მაკალათიას, ნაწარმოების პერსონაჟს. სერგი მაკალათია იყო ჩვენი თანამედროვე და ყველას ძალიან გვეამაყება, რომ ეს უდიდესი მეცნიერი ჩვენ გვერდით ტრიალებდა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

THE CHARACTER - SERGI MAKALATIA ("MY REFUGE" BY OTAR CHKHEIDZE)

Marine Tsertsvadze, Professor

RESUME

Much was written about The novel "My Refuge" by Otar Chkheidze. Our work refers to Sergi Makalatia, who is the character of the novel. Sergi Makalatia was the modern scientist. We are very proud that this greatest person spent nearly a half century with us.

ზოგიერთი საკითხი „წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაის" დაწერის თარიღის დაზუსტებისათვის

გიორგი ხორბალაძე, ასოცირებული პროფესორი

ძველი ქართული მწერლობის დასაწყისს მრავალი ქართველი მეცნიერი იკვლევს. უძველესი ლიტერატურული ძეგლების დაწერის ზუსტი დროის განსაზღვრა ხშირად ძალიან რთულია და საკამათო, ვინაიდან დროის ფაქტორის გათვალისწინებით ბევრი რამ ბურუსითაა მოცული და ამჟამად ჭეშმარიტების დადგენა მხოლოდ გარკვეული ნიუანსების ანალიზსა და გონივრულ ლოგიკაზეა დამოკიდებული. აღნიშნულ საკითხს გარკვეულწილად შევეხებით წინამდებარე კვლევაში, თუმცა აქვე დავძენთ, რომ ამ საკითხის დაზუსტება ერთი კვლევით ვერ ამოიწურება, რადგან იგი კიდევ უფრო ფუნდამენტურ და ხანგრძლივ კვლევას საჭიროებს. აქედან გამომდინარე ჩვენი კვლევა ერთ რიგით მცდელობად მიგვაჩნია ამ უაღრესად საინტერესო საკითხის შესწავლის საქმეში.

,,როდიდან იწყება ქართული მწერლობა? დღეს ვიწყებთ ,,შუშანიკის წამებით'', მაგრამ ეს ისეთი სრულყოფილი ძეგლია, რომ უფრო ადრეულ განვითარებულ მწერლობას გვავარაუდებინებს, ...მაგრამ სადამდე მიდის პირველსათავის სავარაუდო ზღვარი? იქნებ, ერთ-ერთი უძველესი თხზულება მართლაც იყო ,,ცხოვრება ფარნავაზისა'', ანდა იქნებ, სწორედ ქრისტიანობის შემოსვლით დაიწყო ქართული მწერლობა?

დიდად საყურადღებოა „ნინოს ცხოვრება''. იგი დღემდე IX საუკუნის რედაქციითა მოღწეული, მაგრამ მისი ცალკეული ნაწილები გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო დაწერილი (IV საუკუნე). ასე რომ, თუ ადრე არა, IV საუკუნიდან ქართული მწერლობა ნამდვილად უნდა არსებულიყო" (სირაძე, 1987: 684).

რევაზ სირაძის მოცემული მსჯელობის მსგავსად აფასებს ვითარებას მკვლევართა ძირითადი უმრავლესობა, ასევე ჩვენ მივიჩნევთ, რომ ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაის'' მაგალითის განხილვაც საინტერესოა ამ კონტექსტში, ვინაიდან ,,ქრისტიანობის შემოსვლით" დაწყების შემთხვევაში, სწორედ ეს ნაწარმოები მიგვაჩნია ქრისტიანობის ერთგვარი ფეხის ადგმის პროცესის ამსახველად, ,,ნინოს ცხოვრება" კი, როგორც ცნობილია, ქრისტიანობის გამავრცელებლისა და საქართველოში შემომტანის ვინაობის საკითხს ეძღვნება თავისი ძირითადი შინაარსობრივი ხაზით, ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაიში'' აღწერილი სიუჟეტი კი სწორედ იმ დროის აქტუალური და პრობლემატური შინაარსით გამოირჩევა, როცა ქრისტიანობასა და წარმართობას შორის გაცხოველებული ურთიერთჩანაცვლების პროცესი მიმდინარეობდა. საინტერესოა, რომ ამ ნაწარმოების დაწერის თარიღთან დაკავშირებით ცალსახა და დაზუსტებული პოზიცია არ არსებობს, უფრო მეტიც, განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი დასკვნები იკვეთება სხვადასხვა მეცნიერთა მხრიდან, რაც ჩვენს კვლევას კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს.

ნაწარმოები, მკვლევართა უმრავლესობის მხრიდან (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ილ. აბულაძე) ძირითადად უფრო გვიანდელი პერიოდით არის დათარიღებული ვიდრე, რეალურად მოთხრობაში განვითარებულ ამბავს მიესადაგება და ფაქტიურად ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი ამ ვარაუდისა ის არის, რომ ძეგლში მოვლენები საქართველოს განაპირა, მთიან ნაწილშია განვითარებული, სადაც ქრისტიანობამ სწორედაც, რომ გვიან მოიკიდა ფეხი, რა თქმა უნდა, ეს ასეა და ამ ისტორიულ რეალობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება,, თუმცა ასევე არც ის არის საეჭვო, რომ თითოეულ

ლიტერატურულ ნიმუშში ეპოქის მაჯისცემაა ჩაქსოვილი და ყოველ მათგანს კონკრეტული იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნია. მეოთხე საუკუნის სამოცდაათიანი წლების შემდგომ საქართველოში აბსოლუტურად სხვა რელიგიური პრობლემები ჩნდება და ძნელად წარმოსადგენად მიგვაჩნია, რომ ამ ნაწარმოებით ირანის (ან უფრო მოგვიანებით არაბეთის) რელიგიური ზეწოლის დაძლევაა იდეაში მოაზრებული. მოთხრობის ძირითადი ხაზი წარმართობის წინააღმდეგ ბრძოლაა და თვალსაჩინო კონტრასტის მეშვეობით ქრისტიანობის უპირატესობის ჩვენება წარმართობის სახელით ჩადენილ ვანდალიზმთან მიმართებაში, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს ნაწარმოები, მიუხედავად მასში განვითარებული მოვლენების გეოგრაფიული მდებარეობისა, მხოლოდ ხევის და მთის სოფლების მკითხველისთვის არ იყო განკუთვნილი, მით უფრო, რომ არც იმ დროისთვის და არც შემდეგ უახლოეს საუკუნეებში მთიან დასახლებებში, ლიტერატურული ცხოვრების აქტიური კერები პრაქტიკულად არ შეინიშნება. მოთხრობის ავტორის ამოცანაა მთის სოფელ კოლას მაგალითზე მკითხველს დაანახოს წარმართობის უსულგულო სისასტიკე და დრომოჭმულობა, აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ სწორედ წარმართობასთან ბრძოლის იდეოლოგიური გამაგრება უნდა ყოფილიყო ნაწარმოების უმთავრესი დანიშნულება: ,,ცხადია, ყოველი ნაწარმოები თავისებურ საკითხებს ბადებს კონკრეტული დროისა და ვითარების შესაბამისად. ისინი მოწოდებული არიან ავტორთა შემოქმედებითი თვალთახედვით. მაგრამ მთელ აგიოგრაფიას, ისევე როგორც მთელ შუასაუკუნეობრივ მწერლობას, ბევრი საერთო ნიშანი აქვს, რომლებიც განსაზღვრულია ამ ეპოქის საერთო სულისკვეთებით" (სირაძე, 1987: 689). ამიტომ, ისევე, როგორც მოვიაზრებთ ,,შუშანიკის მარტვილობას", ან ,,აბო ტფილელის მარტვილობას" მათ თანამედროვე გამოწვევებთან ბრძოლის იარაღად, აუცილებლად უნდა ვეძებოთ, „ცხრა ყრმა კოლაელთა წამების" დაწერის უფრო ზუსტი დროის გამოკვეთის გზები, უშუალოდ ნაწარმოების თემატიკასთან კავშირში.

ჩვენი მოსაზრებისთვის საინტერესოა ის გარემოებაც, რომ, როგორც ისტორიულადაა ცნობილი, ქრისტიანობა საქართველოში ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებამდე გაცილებით ადრე გავრცელებულა, მაგრამ ფეხი მტკიცედ და ფართოდ ვერ მოუკიდებია, წარმართობის ძლიერი შემოტევისა და წინააღმდეგობის გამო. აქედან გამომდინარე, წარმართობასთან მასშტაბური იდეოლოგიური ჭიდილისათვის შესაბამისი გარემო ქრისტიანობის შემოსვლისთანავე უნდა მომზადებულიყო. ამ ფაქტისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოთხრობაში მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ წარმართები წარმოადგენენ და ტერიტორიული ერთეულის გამგებელიც წარმართია, ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმას, რომ ქრისტიანობის შემოსვლის პირველ ეტაპს ემთხვეოდეს მოთხრობაში განვითარებული ამბავი. როგორც რევაზ თვარაძე აღნიშნავს: ,,ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ალაგ-ალაგ გამოკრთება ხოლმე ჩვენამდე მოუღწეველ, ქრისტიანობამდელი ხანის თხზულებათა ნაშთები თუ ნამუსრევები. ეს მოსაზრება მეცნიერებას არც საბოლოოდ უარუყვია, არც გაუზიარებია" (თვარაძე, 1987: 9). ხოლო, თუ არსებობს აზრი, რომ შუშანიკის წამებამდე უნდა გვქონოდა ქართული ლიტერატურული ძეგლები, მაშინ ისინი, პირველყოვლისა, წარმართობის დაძლევასთან იქნებოდა თემატურად დაკავშირებული (ვინაიდან საწყისი ქართული მწერლობისა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული რელიგიურ თემატიკასთან და ჰაგიოგრაფიული ჟანრით შემოიფარგლება) რასაც საუკეთესოდ პასუხობს ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაი''. ასევე, გასათვალისწინებელია ერთი საინტერესო მხატვრული ნიუანსიც - აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით: ,,არც მეთოდების მხრივ, არც თხრობის წესის თვალსაზრისით ეს ნაწარმოები არაფერს საყურადღებოს არ შეიცავს. იქნებ მისი ასეთი თვისება მერმინდელ გადამკეთებელ-შემმოკლებელთა ბრალიც იყოს, მხოლოდ მისი აწინდელი სახე მკვლევარს საგულისხმოს არაფერს აძლევს" (ჯავახიშვილი, 1977: 74-75). მეთოდის მხრივ და თხრობის წესის თვალსაზრისით დახვეწილ ნაწარმოებზე თუკი ჩვენ ვასკვნით, რომ მას წინაპირობები უნდა ჰქონოდა, ამ შემთხვევაში ხომ არ იძლევა სწორედ ეს ნიუანსი იმის თქმის საშუალებას, რომ მის ავტორს ნაკლები წინაპირობა გააჩნდა სტრუქტურის დახვეწის თვალსაზრისით? თუკი ამ ნაწარმოების დაწერის დროს უკვე დაწერილი იქნებოდა შუშანიკის წამება, ევსტათის წამება, ან სხვა ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომლებიც ჰაგიოგრაფიისთვის დამახასიათებელი არქიტექტონიკით გამოირჩევიან; ნაკლებად წარმოსადგენია, რომ ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაის'' თავადაც ქრისტიან ავტორს წაკითხული არ ჰქონოდა ასეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. რა თქმა უნდა, მხოლოდ ნაწარმოებების წაკითხვით მწერლად არ ყალიბდებიან და მხატვრული ხერხების ოსტატურად გამოყენებას ინდივიდუალური ნიჭიერება განაპირობებს, თუმცა, ამ მოთხრობის ავტორი საკმაოდ ნიჭიერი ჩანს საიმისოდ, რომ ელემენტარულად, ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრებული არქიტექტონიკა დაეცვა, თუკი ის უკვე იქნებოდა დამკვიდრებული. ეს რომ რეალური არგუმენტია, იქიდანაც ჩანს, რომ მკვლევარები გამოთქვამენ ვარაუდს, (ჩვენი აზრით მცდარს) თითქოს მოთხრობა არასრულყოფილადაა შემორჩენილი. აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ საინტერესოდ მსჯელობს ანა ღვინიაშვილი წიგნში - ,,ნარკვევები ქართული საბავშვო

ლიტერატურის ისტორიიდან", და ასკვნის, რომ მოთხრობა შინაარსობრივად სრულყოფილია და მას არ შეიძლება აკლდეს რაიმე ნაწილი, რაც აუცილებლად გამოიწვევდა შინაარსობლივ წყვეტასა და ფრაგმენტულობას. საყურადღებოდ მიგვაჩნია ნაწარმოების დასაწყისი: ,,იყო სოფელი ერთი დიდი" მსგავსი დასაწყისი ანა ღვინიაშვილის მოსაზრებით გამორიცხავს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოთხრობას სხვა შესავალი ექნებოდა, ვეთანხმებით აღნიშნულ შეფასებას და, ჩვენის მხრივ, ხაზს გავუსვამთ იმას, რომ მსგავსი დასაწყისი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისთვის არის დამახასიათებელი, რაც ქრონოლოგიურად ჰაგიოგრაფიას წინ უსწრებს; ამიტომ ვფიქრობთ, ეს ერთი შეხედვით მცირე ნიუანსი, დიდი შინაარსის მატარებელია, როდესაც ამ მოთხრობის დაწერის დროზე ვმსჯელობთ, ხოლო მოსაზრება მოთხრობის არასრულყოფილი სახით მოღწევაზე გამომდინარეობს ჰაგიოგრაფიის, როგორც ერთგვარი ჟანრის გარკვეული მახასიათებლების ნაკლებობიდან მოთხრობაში; ეს კი როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოების არასრულყოფილ ვერსიაზე გაცილებით ნაკლებად მეტყველებს, ვიდრე იმაზე, რომ შესაძლოა ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაის'' დაწერის დროს ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული შემდგომში ჩამოყალიბებული მახასიათებლები აგიოგრაფიისა.

დამაფიქრებლად მიგვაჩნია ისიც, რომ მოგვიანებით, მაშინ, როდესაც ბარში უკვე მყარად იყო დამკვიდრებული ქრისტიანობა, მთიან სოფლებში წარმართობა კვლავ იყო შემორჩენილი, თუმცა არც ისეთი ძლიერი უპირატესობით ქრისტიანობასთან მიმართებაში, რომ წარმართთა შიშით ქრისტიანობა ასე სუსტი ყოფილიყო, როგორც ეს ამ ნაწარმოებშია წარმოჩენილი (მოძღვრის გაძევება, გამგებლის წარმართობა, ნათლობის მალულობა და ა.შ.), რამეთუ ქრისტიანულ სარწმუნოებას ხელისუფლება აქტიურად მფარველობდა.

აღნიშნულ საკითხზე ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პ. ინგოროყვას მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც ის ასკვნის, რომ ტექსტის რეალიების მიხედვით მოთხრობის დაწერის თარიღად უნდა განისაზღვროს IV-VI საუკუნეები: ,,კოლაელთა ბიოგრაფია განსაკუთრებული სიძველის მაჩვენებელია: ისტორიული გარემო, კერძოდ ლიტურგიული პრაქტიკა, რომელიც ასახულია ამ ნაწარმოებში, ლოცვა მღვდელმსახურების (,,ჟამობის'') მარტივი სახე, ნათლობის არქაულობის აღბეჭდილი წესი... ჩანს ადრინდელი ქრისტიანული ტრადიციებიდან მომდინარეობს. ასეთი უაღრესად არქაული ლიტურგიული პრაქტიკა და წესები მე-4 საუკუნის შემდეგ, და ყოველ შემთხვევაში მე-5 საუკუნის შემდეგ, მოსალოდნელი არ არის'' (ღვინიაშვილი, 1962: 77). ამ მოსაზრებას ეთანხმება აკადემიკოს კ. კეკელიძის ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა, სადაც იგი განმარტავს, რომ მართალია მოთხრობის მიხედვით ქრისტიანებს არ სდევნიდნენ და არ ავიწროებდნენ პირადი რწმენისათვის, ,,მაგრამ პროზელიტიზმი, ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება წარმართთა შორის, სასტიკად აკრძალული ყოფილა.

...არავითარი თარიღი თხზულებაში არ მოიპოვება იმის გამოსარკვევად, თუ როდინდელი ამბავია აქ აღწერილი, მაგრამ, შინაარსისა და ზოგიერთ სხვა მოსაზრებათა მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ აქ წარმოდგენილია სურათი ქრისტიანობის უძველესი ხანისა, არაუგვიანეს მეექვსე საუკუნისა" (კეკელიძე, ბარამიძე, 1969 : 84-85).

თუმცა იგი, ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაის'' აკავშირებს რა ,,დავით და ტირიჭანის მარტვილობასთან'', მისი დაწერის თარიღად განსაზღვრავს მეცხრე საუკუნეს. ამ მოთხრობათა მჭიდრო კავშირზე და სომხურ წარმომავლობაზე ასევე საუბრობს მკვლევარი ილ. აბულაძეც. მკვლევარები რამდენიმე მიზეზს ასახელებენ ამ ვარაუდის გასამყარებლად, კერძოდ: ორივე ძეგლი ერთსა და იმავე ხელნაწერშია (ათონის მრავალთავი №57) მოთავსებული, გარეგნულად მათი სტილი და ტერმინოლოგიაც მსგავსია, მაგალითად, ადმინისტრაციული ერთეულები: დიდი - ხევი, მცირე - სოფელი, გამგე სოფლისა - მთავარი, ტერმინი სოფელი - ნაცვლად დაბისა. აღნიშნულ საკითხებს მკვლევარები განიხილავენ, როგორც ნიშანს მოთხრობათა ქრონოლოგიურად ნათესაობისა. მათი აზრით, ამ კონტექსტში შინაარსიც შეიცავს გარკვეულ ნიშნებს: მოქმედება ორსავე ძეგლში ერთსა და იმავე, ტაოს რაიონში წარმოებს, სიუჟეტიც თითქმის ერთია: დავით და ტირიჭანი არიან ძმები და ყრმანი მცირეწლოვანნი; იმათაც და ამათაც კლავენ ქრისტიანობისათვის. საბოლოოდ კი ეს პარალელები ილ. აბულაძის და კ. კეკელიძის შეხედულებით განსაზღვრავს და აბამს ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაის'' დაწერის თარიღს ,,დავით და ტირიჭანის მარტვილობასთან'', შესაბამისად აბულაძის მოსაზრებითაც, მოთხრობა დათარიღებულია მე-9 საუკუნით.

მიგვაჩნია, რომ ვინაიდან ამ მოთხრობათა ერთსა და იმავე ხელნაწერში მოხვედრა, არც მათ ავტორებს გადაუწყვეტიათ და არც დაწერის დროს ყოფილა ამის თაობაზე რამე ცნობილი, რაც რა თქმა უნდა უდავოა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ერთ ხელნაწერში მოხვედრილი სხვა ნაწარმოებები

არაერთ შემთხვევაში სხვადასხვა თარიღითაა მოცემული, ვფიქრობთ ეს გარემოება მათი დაწერის თარიღის იდენტურობის განმსაზღვრელი ვერ იქნება.

საკამათოდ მიგვაჩნია სტილის ,,ერთი და იგივეობაც", შესაძლოა ვისაუბროთ სტილისტურ ზოგად მსგავსებაზე, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც ერთი მოთხრობა არ გამოირჩევა სპეციფიკური სტილისტური ნიშნებითა და განსაკუთრებულად გამოკვეთილი მახასიათებლებით; მეტიც, სწორედ სტილის უბრალოება და ამბის მარტივად თხრობაა მათი გარეგნული სახე, რაც მათ შორის განსაკუთრებულ კავშირის დასტურად ასევე ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან მსგავსი თხრობის მანერა მეტნაკლებად ყველა ძველი მხატვრული ძეგლისთვის არის დამახასიათებელი.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ზოგიერთი ძველი ტერმინის ახალი შესატყვისი ტერმინით ჩანაცვლება გადაწერის დროს ძველ ძეგლებში საკმაოდ აპრობირებული პრაქტიკა გახლდათ და თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ორი მოთხრობა ერთ ხელნაწერშია შეტანილი, მაშინ მათში მოძიებული რამდენიმე ერთნაირი ტერმინი არანაირი განსაკუთრებული ინფორმაციის მატარებელი არ არის დაწერის თარიღის განსაზღვრისთვის.

,,თითქმის ერთი სიუჟეტი" კი, შესაძლოა სუბიექტურ შეფასებადაც მივიჩნიოთ, რადგან, მათი სიუჟეტების მთავარი მსგავსება მხოლოდ ის არის, რომ მცირეწლოვნნი არიან წამებულნი ორივე მოთხრობაში, დანარჩენ ნაწილში არც რიცხოვნებით, არც სხვა გარემო ფაქტორებით (მაგალითად, არსებობს მოსაზრებები დავით და ტარიჭანის ბიძის მხრიდან აგრესიის მატერიალურ მოტივზეც) არც წამების განხორციელების უშუალო ფორმით, იმით, რომ ცხრა ყრმა სხვა და სხვა ოჯახიებს მიეკუთვნებიან, დავით და ტარიჭანი კი ძმები არიან. ისიც კი, რომ ,,იმათაც და ამათაც კლავენ ქრისტიანობისათვის", აბსოლუტურად არ წარმოადგენს სანდო არგუმენტს, ვინაიდან, ქრისტიანობისთვის სიკვდილი მთავარი იდეაა ყველა აგიოგრაფიული მოთხრობისა, რომელიც მწერლობის საწყის ეტაპზეა დაწერილი.

აქედან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაის'' დაწერის თარიღის განსაზღვრას ,,დავით და ტარიჭანთან" მიბმის მეშვეობით ისევე, როგორც მისი ქართული ორიგინალური წარმომავლობის ეჭვქვეშ დაყენების არანაირი საფუძველი არ არსებობს. ჩვენ გარკვეულწილად ვეთანხმებით ანა ღვინიაშვილის მოსაზრებას ნაწარმოების თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომელიც მოთხრობას აფასებს, როგორც ,,IV-V საუკუნეების პირველ წერილობითს საბავშვო ლიტერატურულ ძეგლს" (ღვინიაშვილი, 1962: 86). ასევე უაღრესად საინტერესოა ამ თვალსაზრისით ბიძინა ჩოლოყაშვილის კვლევა - ,,უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზულება", რომელშიც ავტორი საფუძვლიანი არგუმენტებისა და ძველი რომის სამართლის ნორმებთან პარალელების მოშველიებით, ცხრა ყრმათა კოლაელთა დაწერის სავარაუდო თარიღად 260-303 წლებს განსაზღვრავს. დასახელებულ ნაშრომში განვითარებული მსჯელობა უაღრესად საინტერესოდ მიგვაჩნია თავად მოთხრობაში გადმოცემული ამბის დროის განსაზღვრის თვალსაზრისით და ვიზიარებთ ბიძინა ჩოლოყაშვილის მოსაზრებებს ამ კონტექსტში, ხოლო რაც შეეხება თავად ნაწარმოების შექმნის თარიღს, ვფიქრობთ, ამ მოვლენას შედარებით მოგვიანებით უნდა ჰქონოდა ადგილი, ვინაიდან ქრისტიანობის ოფიციალურად სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, გაცნობიერებული რისკებიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია მსგავსი ხასიათის გალაშქრება სახელმწიფოში აღიარებულ რელიგიურ მიმდინარეობასთან (წარმართობასთან), რომელიც სწორედაც რომ იმდაგვარი სისასტიკით გამოირჩეოდა როგორადაც არის კიდეც წარმოჩენილი მოთხრობაში. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მის ავტორს უნდა ჰქონოდა გარკვეული დაზღვევა აღნიშნულის დასაწერად, რაც დიდი ალბათობით სახელმწიფო პოლიტიკის თანხვედრაში უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ამ თარიღის უკანასკნელ ზღვარს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხრობაში აქცენტირებულია არა იმდენად ქრისტიანული მართლმადიდებლობა დადებითი კონტექსტით, რამდენადაც წარმოჩენილია წარმართობის მანკიერი და სასტიკი მხარეები: ჩვენი მოსაზრებით, ამ მოთხრობის შექმნისთვის, ვერ იქნებოდა შესაბამისი დრო საქართველოში ირანის აგრესიის დაწყების შემდგომ, რადგან როგორც ცნობილია, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები ძირითადად ეკლესიის წიაღში იქმნებოდა. მათ, უმთავრესად პროპაგანდისტული დანიშნულება გააჩნდათ და ზოგიერთ შემთხვევაში აშკარა და დაუფარავი დაკვეთით ხდებოდა ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნა, რაც ზოგჯერ თავად ჰაგიოგრაფიულ თხზულებებშია ღიად გახმაურებული.

ცნობილია, რომ ,,V საუკუნის დასაწყისში საქართველო უკვე დახარკული ქვეყანა იყო სპარსელთა მიერ. მართალია, სპარსელებმა ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება, მაგრამ დაუფარავად ცდილობდნენ ქართველების ასიმილაციას. პირველ რიგში, მათ სურდათ ქართველებს მიეღოთ სპარსული სარწმუნოება - ცეცხლთაყვანისმცემლობა. ისინი ებრძოდნენ და კლავდნენ ქართულ ეროვნულ წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს. ქრისტიანობა იმ დროისათვის უკვე ქართულ ეროვნულ

სარწმუნოებად იყო ქცეული და ქართველებს ქრისტიანული წეს-ჩვეულებები ჰქონდათ. მათი მოშლით სპარსელებს იმედი ჰქონდათ, რომ ქართველების ეროვნულ სახეს მოშლიდნენ და სპარსულს დაუახლოვებდნენ" (ჯაფარიძე, 2012: 265). აგრეთვე იმის გათვალისწინებითაც, რასაც საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეორე ტომი მოგვითხრობს: ,,368 წელს შაბურმა ქართლიდან გააძევა საურმაგი, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას, და ამ ხალხის გამგებლობა ვინმე ასფაგურს გადასცა; თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი გადაწყვეტილებისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა....

...ირანელებმა, ჩანს, ქართლის ერთიანობა უკვე IV ს. 70-იანი წლების ბოლოს აღადგინეს. ამჯერად მათ მთელი ქართლი დაუქვემდებარებიათ თავისთვის. ქართული წყაროების ცნობები მხარს უჭერენ ამ მოსაზრებას. ,,მოქცევაი ქართლისაის" მატიანის თანახმად ირანელებმა თავისი მმართველობა დაამყარეს ვარაზ-ბაკურის დროს...

...IV ს. 70-იანი წლებში ირანელებმა ქართლის სამეფო მთლიანად დაიმორჩილეს. თავდაპირველად ქართლში მოსულა ირანელი სარდალი, რომელსაც ,,მოქცევაი ქართლისაის" მატიანე პიტიახშს, ხოლო ,,მეფეთა ამბავი" ერისთავს უწოდებს. ხარკსაც, ეტყობა, იგივე კრეფდა" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 79, 80, 81). აშკარაა, რომ ხსენებული 368 წლიდან მოყოლებული, საქართველოში განსაკუთრებული სიმძაფრით დგება ირანის აგრესიის პრობლემა, რომელიც უპირატესად სწორედ რელიგიური ზეწოლით გამოირჩევა და ეტაპობრივად მძაფრდება ასეული წლების განმავლობაში.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა და ის განსხვავებული პოზიციები, რომელიც დღემდე არსებობს განხილულ საკითხთან მიმართებაში, ვფიქრობთ, გვანიჭებს უფლებას გამოვთქვათ ჩვენი მოკრძალებული ვარაუდი და მოთხრობის დაწერის თარიღად მივიჩნიოთ 326 წლიდან ვიდრე IV საუკუნის 70-იან წლებამდე, (ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება - ირანელების მიერ ქართლის სამეფოს დამორჩილება).

შესაბამისად, ამ ვარაუდის გათვალისწინებით, ჩვენამდე შემორჩენილ ყველაზე უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლს შესაძლოა სწორედ ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაი" წარმოადგენდეს. ბუნებრივია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავს უმნიშვნელოვანეს საკითხს მეტი კვლევა ესაჭიროება და ამ ეტაპზე ჩვენს ვარაუდს მტკიცებითი ფორმა არ გააჩნია, თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის და მცირე წვლილი შეგვაქვს აღნიშნული საკითხის დაზუსტების კვლევაში.

ლიტერატურა:

1. სირაძე, 1987: სირაძე რ., ,,ქართული მწერლობა", გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, 1987. 763 გვ.
2. თვარაძე, 1987: თვარაძე რ., ,,ქართული მწერლობა", გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, 1987. 763 გვ.
3. ჯავახიშვილი, 1977: ჯავახიშვილი ივ., ,,თხზულებანი", ტ. VIII, თბილისი, 1977. 479 გვ.
4. ღვინიაშვილი, 1962: ღვინიაშვილი ა., ,,ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან" სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა ,,ცოდნა", თბილისი, 1962. 156 გვ.
5. კეკელიძე, ბარამიძე, 1969: კეკელიძე კ., ბარამიძე ალ., ,,ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია" თბილისი, 1969. 499 გვ.
6. ჩოლოყაშვილი, 2007: ჩოლოყაშვილი ბ., ,,უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზულება"; თბილისი, 2007. 56 გვ.
7. ჯაფარიძე, 2012: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ,,საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტომი I, თბილისი, 2012. 370 გვ.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, თბილისი 1973. 670 გვ.
9. აბულაძე, 1944: აბულაძე ილ. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბილისი, 1944. 275 გვ.

რეზიუმე

ნაშრომში მიმოხილულია აგიოგრაფიული ძეგლის - ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაი"-ს დაწერის თარიღის შესახებ გაკეთებული დასკვნები და მათ ფონზე გამოთქმულია ჩვენეული მოსაზრება. ნაწარმოები, მკვლევართა უმრავლესობის მხრიდან (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ილ. აბულაძე) ძირითადად უფრო გვიანდელი პერიოდით არის დათარიღებული ვიდრე, რეალურად მოთხრობაში განვითარებულ ამბავს მიესადაგება (ჩვენი აზრით).

ნაშრომის ფარგლებში წარმართული მსჯელობა და ის განსხვავებული პოზიციები, რომელიც დღემდე არსებობს საკითხთან მიმართებაში, აქტუალურს და საინტერესოს ხდის კვლევის პროცესს, რაც ვფიქრობთ, გვანიჭებს უფლებას, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, გამოვთქვათ ჩვენი მოკრძალებული ვარაუდი.

შესაბამისად, ამ ვარაუდის გათვალისწინებით, ჩვენამდე შემორჩენილ ყველაზე უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლს შესაძლოა სწორედ ,,წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაი" წარმოადგენდეს. ბუნებრივია, მსგავსი უმნიშვნელოვანესი საკითხის საბოლოო დაზუსტებას, კიდევ უფრო მეტი კვლევა ესაჭიროება, შესაბამისად, ამ ეტაპზე ჩვენს ვარაუდს კატეგორიული და მტკიცებითი ფორმა არ გააჩნია, თუმცა ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის და წინამდებარე ნაშრომით მცირე წვლილი შეგვაქვს აღნიშნული საკითხის დაზუსტების კვლევაში.

SOME IMPORTANT ISSUES REGARDING THE SPECIFICATION OF THE WRITING DATE OF "MARTYRDOM OF THE NINE ADOLESCENTS"

Giorgi Khorbaladze, Associate Professor

RESUME

The paper reviews the writing date and some of our opinions concerning the Georgian hagiographic monument "Martyrdom of the Nine Adolescents". According to the majority of the scientists (K. Kekelidze, I. Javakhishvili, I. Abuladze, N. Marr), the work is dated back to a later period rather than it is represented into the plot of the story (in our opinion).

Within the scope of the presented work there is a discussion and some different viewpoints which still exists up today, which can make the research process more actual and interesting, which also let us express out modest assumptions within the scope of the mentioned study.

In accordance with this assumption, "Martyrdom of the Nine Adolescents" can be considered to be the most ancient Georgian literary monument preserved up to the present day.

Naturally, in order to finally specify such an important issue, there is a need of much deeper research that is why our viewpoint cannot be either categorical or affirmative. However, we do not consider the viewpoint to be groundless; through the present paper we wish to make an little contribution towards the study of the issue.

განათლება
Education

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ესთეტიკური განვითარება

მზია გოგიაშვილი, დოქტორი

ესთეტიკური აღზრდა არის ბავშვის პიროვნებაზე მიზანმიმართული სისტემატური ზემოქმედების პროცესი, გარე სამყაროს სილამაზის, ხელოვნების აღქმისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით. იგი გულისხმობს ბავშვის ესთეტიკური დამოკიდებულების განვითარებას ბუნების, შრომის, საზოგადოებრივი ცხოვრების, ხელოვნების მიმართ და ა.შ

ესთეტიკური განვითარება ბავშვის განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი მხარეა. იგი ამდიდრებს მის ემოციურ სფეროს, ხელს უწყობს ფიზიკურ და კოგნიტურ განვითარებას, ზრდის შემეცნებით აქტივობას.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ესთეტიკური განვითარება ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. გარე სამყაროს მიმართ ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

2. შემოქმედებითი უნარების განვითარება: ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება, სიმღერა, იმპროვიზაცია, ცეკვა, სიტყვიერი შემოქმედება.

ესთეტიკური აღქმის განვითარება თავისთავად გულისხმობს სენსორულ განვითარებასაც, რადგან აღქმის ამ სახისათვის არსებითია საგნების სენსორული მახასიათებლები: ფერი, ხმა, ფორმა. ბავშვის მიერ სილამაზე აღიქმება, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, მაგრამ ესთეტიკურ აღქმად მხოლოდ მაშინ გადაიქცევა, როდესაც ის ემოციურადაა შეფერილი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელი ფლობდეს გრძნობებისა და ემოციების გამოხატვის ხერხებს: მხატვრულად წაკითხული ლექსი, რაიმე საგნის დანახვისას გულწრფელად და ემოციურად გამოხატული აღფრთოვანება, გემოვნებით ასაკისთვის შესაფერისად შერჩეული მუსიკა და ა.შ. ბავშვზე შემოქმედების აქტიური მეთოდია, რადგან ამ ასაკის ბავშვის თავისებურებას - მიმბაძველობას ემყარება. /1.32/

ესთეტიკური აღზრდა ფართო ცნებაა. მასში შედის ბუნებისადმი, შრომისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, ყოფისადმი, ხელოვნებისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების აღზრდა. მაგრამ ხელოვნება იმდენად მრავალწახნაგოვანი და თავისებურია, რომ იგი გამოიყოფა აღზრდის საერთო სისტემისაგან, როგორც მისი განსაკუთრებული ნაწილი. ხელოვნების საშუალებით ბავშვების აღზრდა მხატვრული აღზრდის საგანს წარმოადგენს. თავისთავად ესთეტიკური აღზრდა ბავშვების ყოველმხრივი აღზრდის ნაწილია. მას განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს ზნეობრივ აღზრდასთან. ცხოვრების და ხელოვნების სილამაზის გაცნობა არა მარტო აღზრდის ბავშვის გონებასა და გრძნობას, არამედ ხელს უწყობს მათში წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარებას.

ესთეტიკური აღზრდის განხორციელების პროცესში აუცილებლად უნდა გადაიჭრას შემდეგი ამოცანები: ესთეტიკური აღქმის სისტემატური განვითარება, ბავშვის ესთეტიკური გრძნობები და წარმოდგენები, მათი მხატვრულ-შემოქმედებითი უნარი, ესთეტიკური გემოვნების საფუძვლების ჩამოყალიბება. /2.354/

ესთეტიკური შემეცნება დაკავშირებულია გრძნობებთან, განცდებთან. ესთეტიკური გრძნობის თავისებურებაა, სიხარული, მშვენიერებასთან შეხვედრით გამოწვეული სულიერი მღელვარება.

საბავშვო ბაღის აღმზრდელი უნდა ეცადოს ბავშვი მიიყვანოს სილამაზის შემეცნებამდე, მსჯელობის ესთეტიკური წარმოდგენების შეფასების უნარის ჩამოყალიბებამდე. ამისათვის აღმზრდელმა ბავშვი ძალდაუტანებლად უნდა დაინტერესოს სილამაზით. ბავშვის ესთეტიკური აღზრდისათვის აუცილებელია სათანადო გარემო, რადგან სკოლამდელი ასაკი ეს არის პერიოდი სადაც ყალიბდება საწყისი შემოქმედებითი უნარები. თუ ბავშვს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს შემოქმედებით საქმიანობაში, მაშინ ეს მას საშუალებას მისცემს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. ამიტომ სწორად რომ წარიმართოს ბავშვის ესთეტიკური აღზრდა, აუცილებელია განისაზღვროს რა ამოცანებით, მეთოდებით, ხერხებით და რა ასაკში მივაღწიოთ სასურველ შედეგს. ესთეტიკური განვითარება იზოლირებული პროცესი არ არის, რომელიც განსაკუთრებულ გარემოსა და პირობებს მოითხოვს. ეს შეიძლება მიმდინარეობდეს ნებისმიერი ფორმით, თამაშის თუ სწავლების პროცესში.

სკოლამდელთა შემოქმედება ყველაზე ადრე ვლინდება თამაშის დროს და აგრეთვე მხატვრული საქმიანობის სხვადასხვა სახეობებში. ხატვით, ძერწვით, თხრობით, სიმღერით იკმაყოფილებს ბავშვი თავის მოთხოვნილებას ქმედითი წარმოსახვის საშუალებით გამოთქვას შთაბეჭდილებები. აქაც თავდაპირველად იბადება ჩანაფიქრი და შემდეგ ცხოვრებაში მისი განმახორციელებელი საშუალებები. ბავშვები ახდენენ თავიანთი შთაბეჭდილებების კომბინაციას, რომელიც მიიღეს ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოების შემეცნების დროს და ამ შემთხვევაშიც ბავშვი ისეთივე გულწრფელია, როგორიც თამაშობაში. იგი უბრალოდ ასლს კი არ იღებს დანახულიდან, არამედ გადმოგვცემს მისდამი თავის დამოკიდებულებას.

სკოლამდელ ასაკში შეიმჩნევა შემოქმედების ყლორტები, რაც ვლინდება ჩანაფიქრის შექმნისა და მისი რეალიზაციის, თავისი ცოდნისა და წარმოდგენების კომბინაციისა და აზრების, გრძნობების, განცდების გულწრფელად გადაცემის უნარში. მიუხედავად ამისა, ბავშვების მხატვრულ-შემოქმედებითი უნარის განვითარებისათვის აუცილებელია სათანადო სწავლება. სწავლების პროცესში ისინი ეუფლებიან წარმოსახვითი გამოხატვას სიტყვით, სიმღერით, ნახატით, ცეკვით, დრამატიზაციით. სწავლება წააქეზებს ბავშვებს შეგნებული მხატვრული გამოვლინებისაკენ, იწვევს მასში დადებით ემოციებს, უვითარებს უნარს. /2.357/

ესთეტიკური გემოვნება ყალიბდება მაშინ, როდესაც ადამიანი ღებულობს კმაყოფილებას, როცა ხვდება ჭეშმარიტ ხელოვნებას. ბავშვებში ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდ როლს სწავლება ასრულებს, როდესაც ბავშვები მეცადინეობაზე ეცნობიან მუსიკას და ფერწერას, საბავშვო ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებებს. ისინი სწავლობენ მათი ასაკისათვის შესაფერის ხელოვნების ნაწარმოებთა გამოცნობას.

მაგალითად: როცა ბავშვი ხატავს /მაგ. დედას/ მის აქტივობას მარტო ხატვის სურვილი განსაზღვრავს, ე.ი. მას სურს რაღაცა დახატოს, მაგრამ როგორი იქნება ეს ნაკლებად აინტერესებს, ამას ის ყურადღებას არ აქცევს. უზნაძე წერს: „მაშასადამე, სკოლის წინარე ასაკის ბავშვისათვის ჯერ კიდევ უცხოა ე.წ. შემოქმედებითი ტანჯვა". შეუჩერებელი ბრძოლა იმისათვის, რომ თავის განცდას შესაფერისი განსახიერება მისცეს. მის ხატვას უფრო პროცესუალური ხასიათი აქვს, ვიდრე შემოქმედებითი. იგი უფრო გავს თამაშს, ვიდრე ნამდვილ შემოქმედებას. მაგრამ ამის მიუხედავად, შემოქმედებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ქცევის ამ ფორმის განვითარების დასაწყის საფეხურებს წარმოადგენს"./3.538/

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვის ესთეტიკური აღზრდა რომ სწორად წარიმართოს უნდა განისაზღვროს კონკრეტული მოთხოვნები და ამოცანები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომ მივაღწიოთ სასურველ მიზანს. რადგან ესთეტიკური აღზრდის პროგრამა მიმართულია აღქმის, წარმოსახვის, მეხსიერების, ინტერესისა და შესაძლებლობების განვითარებაზე ბავშვებში.

დღეისათვის დამტკიცებულად ითვლება ის ფაქტი, რომ ყველა ბავშვი ადრეული ასაკიდანვე ავლენს მუსიკალურ მონაცემებს და მასზე ემოციური ზეგავლენა მეტყველებაზე ადრე მუსიკას აქვს. ვიზუალიზაციის თანამედროვე მეთოდებით ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ნაყოფი უკვე მუცლადყოფნისას რეაგირებს მუსიკაზე, სიმღერაზე, რაც მისი მოძრაობისა და გულისცემის სიხშირის ცვლაში აისახება. /4.107/

საბავშვო ბაღში მეცადინეობები არაერთგვაროვანია, მუსიკის სწავლების მიზანი უნდა იყოს ბავშვის მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბება, მისი მუსიკალური მონაცემების გამოვლენა-განვითარება და ბავშვის ჩართვა ერთობლივ შემოქმედებით საქმიანობაში. სიმღერით, მუსიკის მოსმენით, მუსიკალურ თამაშებში ჩართვით და საერთოდ მუსიკალური გარემოს შექმნით იწყება ბავშვებში მუსიკალური კულტურის და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება. მუსიკალური აქტივობის დროს ეცნობა და ითვისებს ბავშვი მუსიკალურ ცნებებს, მელოდიას, რიტმს, ტემპს და ა.შ.

პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია ხელოვნებასთან მისი ზიარება. ესთეტიკური აღზრდისათვის ხელოვნება ითვლება მრავალწახნაგოვან ამომწურავ საშუალებად. საბავშვო ბაღის ყოფის ესთეტიკა ვლინდება მხატვრულ უბრალოებაში, ყოველდღიური საგნების მოფიქრებულ შერჩევაში, სადაც ყოველ ნივთს თავისი ადგილი აქვს, სადაც ზედმეტი არაფერია. განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს სახვით ხელოვნებას: სურათებს, ესტამპებს, გამოყენებითი ხელოვნების საგნებს. სურათებში გამოხატული სიუჟეტი ბავშვებისათვის გასაგები და მისაწვდომი უნდა იყოს. ბავშვები მხოლოდ ლამაზი საგნების გარემოცვაში კი არ უნდა იყვნენ, არამედ მათ უნდა ვასწავლოთ სილამაზის გაგება. ყოველივე ამის სწავლება ხდება თანდათანობით. ბავშვები ცხოვრების პირველივე წლებიდან უნდა მივაჩვიოთ გარეგნული შეხედულების ესთეტიკას, ქცევის კულტურასთან შეხამებით, ბუნების სილამაზეს. / 2. 360/

სკოლამდელ ასაკში ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო, პრაქტიკული აზროვნება და სამყაროს ემოციური აღქმა სჭარბობს, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია თამაშზე დაფუძნებული აქტივობა. თამაში ფართოდ გამოიყენება როგორც ესთეტიკური აღზრდის საშუალება, ბავშვები გარე სამყაროს აღიქვამენ როლისა და სახის საშუალებით, თამაშის შინაარსში ჩართულია სიმღერები, ცეკვები, ლექსები, რაც ხელს უწყობს გააღრმაოს ბავშვის ესთეტიკური განცდები.

ბავშვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების შესრულების ხარისხს, რაზედაც ბევრადაა დამოკიდებული ბავშვის ესთეტიკური აღზრდა.

სკოლამდელ ასაკში მნიშვნელოვანია შემოქმედებითი აქტივობები, როგორიცაა ხატვა, ძერწვა და სხვა ნატიფი მოტორიკის განვითარებისათვის. ხელოვნების სწავლებას რამოდენიმე ამოცანა აქვს:

- შემოქმედებითი აზროვნებისა და გაგების უნარის განვითარება;
- ემოციური სფეროს განვითარება;
- წარმოსახვის, გემოვნების და კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- მხედველობითი აღქმის, სივრცითი წარმოდგენების, დაკვირვების უნარის განვითარება;
- მხედველობითი მეხსიერებისა და ნატიფი მოტორიკის განვითარება;
- შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, საკომუნიკაციო უნარების განვითარება. /1.35/

მაშასადამე, ესთეტიკური აღზრდის განხორციელებაში წამყვანი ადგილი საბავშვო ბაღს და ოჯახს უჭირავს. მხოლოდ მათი ერთიანი ზემოქმედებით ხდება შესაძლებელი ესთეტიკური აღზრდის ამოცანების განხორციელება. იგი აყალიბებს სულიერი კულტურის პირველ საფუძვლებს, რომელსაც ადამიანი უნდა ფლობდეს.

ლიტერატურა:
1. საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2011.
2. სკოლამდელი პედაგოგიკა, ვ. ი. იადეშკოსა და ფ. ა. სოხინის რედაქციით, თბ., 1987.
3. უზნაძე დ., შრომები ტ. V, თბ., 1967.
4. Zenter M; Eerola T; (2010) Rhythmic engagement with music in infancy, proceedings of the National Academy of sciences, 107.

რეზიუმე

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ესთეტიკური განვითარება, ეს არის ბავშვის ყოველმხრივი აღზრდის ნაწილი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ზნეობრივ აღზრდასთან. ესთეტიკური აღზრდის განხორციელებაში წამყვანი ადგილი საბავშვო ბაღსა და ოჯახს ეკუთვნის. მათი ერთიანი ზემოქმედებით ხდება შესაძლებელი ესთეტიკური აღზრდის ამოცანების განხორციელება.

AESTHETICAL DEVELOPMENT OF A PRESCHOOL AGE CHILD

Mzia Gogiashvili, Doctor of Pedagogical Sciences

RESUME

Aesthetical development of a preschool age child is a part of a comprehensive education, which is deeply connected to his/her harmonic upbringing. A family and a nursery school has the main role in fulfilling the aesthetical education. Both are needed to accomplish objectives of aesthetical education.

НЕКОТОРЫЕ ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ СПЕЦИАЛЬНОГО ОБУЧЕНИЯ

***Кетеван Ломсадзе**, Ассоцированный профессор*
***Мариам Убирия**, доктор медицинских наук*

Решение сложнейших задач обучения и воспитания молодёжи существенным образом зависит от учителя,его идейной убеждённости,профессионального мастерства, эрудиции и культуры.Среди качеств,присущих личности современного учителя, профессиональное мастерство,включающее такое важное качество,как творческий подход к делу,занимает одно из важных мест.Творческое решение педагогом психолого-педагогических задач,постоянно возникающих в процессе обучения и воспитания,является непременным условием прогресса школы.Это означает отказ от рецептурности и шаблонов в выборе средств педагогических воздействий.Но вместе с тем педагог достигает успеха лишь в том случае,если его деятельность опирается на теорию.В связи с этим на современном этапе развития специальной педагогики огромное значение приобретают теоретические исследования,направленные на разработку принципиальных дидактических положений коррекционно-воспитательного процесса в школе. Отсутствие или недостаточная определённость дидактических принципов коррекционного обучения ориентируют педагогов на механическое применение положений дефектологий.

Общепсихологические принципы,несомненно,выполняют регулирующую и направленную функции и по отношению к процессу обучения аномальных детей,что предопределено общностью целей массовой и специальной школы,общими закономерностями обучения и развития детей в норме и патологии.Тем более,что в число общих принципов специальной педагогики включён особый – принцип коррекционной направленности обучения. Вместе с тем нельзя не заметить,что вся специфика обучения аномальных детей отражена лишь в этом принципе,который в силу своей обобщённости не обеспечивает должной ориентирующей основы для педагогического управления коррекционно-воспитательным процессом.

В связи с этим нам представляется актуальной постановка вопроса о принципах коррекционно-воспитательного процесса в различных типах школ.Решение специфических для каждой конкретной области

специальной педагогики задач возможно лишь путём разработки её собственного концептуального аппарата,отражающего в дидактических категориях принципиальные положения о сущности коррекционно – воспитательного процесса с учётом общедефектологических принципов обучения.

Разработка принципов коррекционно – воспитательного процесса - многоаспектная проблема. Остановимся на аспекте,связанном с необходимостью создания системы принципов.

Речь идет о том,что все положения,претендующие на статус принципов,должны располагаться в иерархически построенной системе,в которой каждый компонент определяет одну из основных сфер коррекционных воздействий и состоит в функциональной связи с другими компонентами.Поэтому первостепенное значение приобретает выбор целей коррекционных воздействий и путей их реализации с учетом многообразия проявлений аномального развития детей и оптимальных вариантов педагогической коррекции.Это предполагает выяснение характера дефекта,степени его влияния на развитие,а также определение основных педагогических закономерностей компенсации и коррекции.

Путем анализа состава популяции аномальных детей и структуры аномального развития,гносеологической и психологической оценки сохранных и нарушенных функций,определения их места и роли в обучении и компенсаторном развитии создаются возможности для установления истинной сферы коррекционных воздействий и вытекающих из этого содержания,форм и методов педагогического управления специально организованным коррекционно – воспитательным процессом.

Задача состоит в том,чтобы выделить в качестве подлинных коррекционных воздействий учебно – познавательные действия,развитие которых оказывает решающее влияние на формирование различных психических функций и личности в целом.

Учебно – познавательные действия аномальных детей также подвержены влиянию дефекта и характеризуются различными отклонениями.Однако в иерархической лестнице психологических образований,находящихся в сложных связях и зависимостях от первичного дефекта,они занимают благоприятную позицию в силу их большей отдаленности от первопричины аномалии развития.

В соответствии с принятым в дефектологии положением психический или физический дефект нарушает связи и отношения человека с природой и социальной средой,в наибольшей мере деформирует способы и приемы взаимодействия субъекта с объектами окружающей действительности.

Анализируя проблему соотношения общего и специального в обучении и развитии аномальных детей,следует исходить из того,что это соотношение имеет место и проявляется внутри всех психических и педагогических процессов и явлений.Такая постановка вопроса обоснована системным характером влияния дефекта на развитие детей.

Вместе с тем этот подход ориентирует исследователей и практиков на целенаправленный поиск и раскрытие в контексте общей проблемы вопросов,имеющих специальное значение и связанных с особенностями развития различных категорий аномальных детей.

В общем виде эти особенности проявляются в:

1) изменении содержания и структуры перцептивной деятельности,обуслолвленном своеобразием организации сенсорных процессов аномальных детей определенной категории;

2) нарушении соотношения наглядно – действенного,наглядно – образного и словесно – логического видов мышления,обусловленном ограничением непосредственного чувственного восприятия объектов познания.

3) составе и структуре факторов,определяющих продуктивность формирования у аномальных детей компенсаторных процессов,что позволяет осуществлять выбор направлений коррекционных воздействий и отбор адекватного содержания и средств для их реализации.

Проиллюстрируем вышеизложенное на тифлопедагогическом материале. Глубокие нарушения зрения предопределяют существенные изменения в способах и приемах учебно - познавательной деятельности слепых и слабовидящих детей.Это проявляется в первую очередь в способах восприятия учебного материала на уровне непосредственных наблюдений и в соотношении наглядно – действенных,наглядно – образных и словесно – логических видов мыслительной деятельности на уровне осмысления учебной информации.

Дефицит непосредственных впечатлений о предметах и явлениях, характерный для слепых и слабовидящих, компенсируется за счет привлечения чувственных данных, полученных через анализ признаков других модальностей, что обеспечивает принципиальную возможность существенной нормализации познания в ходе учебного процесса.Однако вследствие относительно низкой по сравнению со зрением «пропускной способностью» осязательного восприятия, ослабленностью зрительного и недостаточной «предметностью» слухового восприятия учащиеся с глубокими нарушениями зрения испытывают значительные затруднения в накоплении конкретных представлений, что существенно усложняет процесс формирования у них достаточной образной базы для осуществления мыслительных операций.В связи с этим возникает необходимость в специальном руководстве учебно – познавательной деятельностью детей с глубокими нарушениями зрения.Такое руководство можно представить в виде модели, имеющей двухуровневую структуру.Первый уровень – элементарно-функциональный, второй – системно- интегративный.

На первом уровне обеспечивается формирование у учащихся сенсорного опыта на основе развития способов и приемов перцептивной деятельности;на втором – формирование способов и приемов умственной

деятельности на базе данных чувственного опыта и знаний. В процессе выполнения этих заданий осуществляется избирательное управление перцептивной деятельностью учащихся,имеющее своей целью развитие способов и приемов восприятия при преимущественной опоре на орган чувств определенной модальности.Для слепых таким органом является осязание,для слабовидящих – зрение.Необходимость приоритетного развития у детей с глубокими нарушениями зрения способов и приемов осязательного и зрительного восприятия обусловлена их решающим значением в процессе формирования у учащихся конкретно – образной основы знаний.

Для развития перцептивной деятельности детей с нарушениями зрения огромное значение приобретает слово.Различные сочетания слова и действия обеспечивают существенное повышение качества познавательной деятельности,осуществляемой на суженной сенсорной основе.В обучении слепых и слабовидящих детей слово выполняет функции,особо значимые для совершенствования их отражательной деятельности.Продуктивными в этом плане являются разнообразные задания на установление и упрочение прямых и обратных связей между словом и образом,на классификацию и обобщение;использование различных инструкций,планов, алгоритмических предписаний, установление многоваариантных связей между знаниями и др.

В развитии учебно – познавательной деятельности слепых и слабовидящих детей соблюдается поэтапность,предусматривающая определенную последовательность введения учебного материала.Анализ специальных исследований и передового педагогического опвта дает возможность представить эту поэтапность в виде последовательно решаемых задач, направленных на:

- формирование у учащихся исходной «познавательной позиции»;
- формирование представлений об объектах деятельности на основе выработки способов, приемов и алгоритмов учебно – познавательных действий;
- установление связей и отношений между объектами изучения,а также между ними и содержанием личного опыта;
- текущую коррекцию учебно – познавательных действий в процессе изучения учебного материала;
- получение сведений о качестве усвоенного учащимися учебного материала путем активации их воспроизводящей деятельности;
- восполнение пробелов в усвоенном учебном материале,закрепление и систематизацию новых знаний.

Эта последовательность управления процессом обучения отражает педагогическую логику усвоения учащимися учебного материала.Она также учитывает необходимость специальной регламентации учебно – познавательной деятельности детей с нарушением зрения в связи с особенностями их развития и задачами формирования у них компенсаторных процессов и коррекции отклонений в развитии.

Реализация специальных аспектов в обучении слепых и слабовидящих детей происходит в условиях коррекционно – воспитательного процесса.В связи с этим актуализируется задача разработки принципов,отражающих сущность коррекционно – воспитательного процесса.Эти принципы представлены в следующей системе:

- принцип усиления педагогического руководства учебно – познавательной деятельностью учащихся;
- принцип формирования сенсорного опыта;
- принцип развития осязательной и зрительной перцептивной деятельности;
- принцип интеллектуализации учебно – познавательной деятельности;
- принцип развития соотносительной деятельности.

Усиление функций педагогического руководства,несомненно, имеет общедефектологическое значение,т.е. данный принцип приложим к обучению аномальных детей всех категорий.Однако, выделяя его как специфический принцип коррекционно – воспитательной работы в школе слепых и слабовидящих,мы учитываем объективные закономерности их обучения, в частности резко ограниченные возможности самостоятельного восприятия учебного материала и опоры на материализованные источники информации.

Предпринятая разработка принципов коррекционно – воспитательного процесса можно рассматривать как попытку создания научно – обоснованной дидактической системы управления специальным обучением слепых и слабовидящих детей.Применение этой системы в специальной школе создает основу для творческого поиска оптимальных вариантов методики коррекционно – воспитательной работы.

Литература:

1. Тригер Р.Д. Психологические особенности социализации детей с задержкой психического развития. – СПб.: Питер, 2008.
2. Плаксина Л.И. Развитие зрительного восприятия в процессе предметного рисования у детей с нарушениями зрения. – М.: Владос, 2008.
3. Речицкая Е.Г. Учебная деятельность младших школьников с нарушением слуха: Монография. – М.: Прометей, МПГУ, 2009.
4. Ахутина Т.В., Пылаева Н.М. Диагностика развития зрительно-вербальных функций. – М.: Академия, 2003.

სპეციალური სწავლების ზოგიერთი თეორიული სკითხი

ქეთევან ლომსაძე, ასოცირებული პროფესორი
მარიამ უბირია, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კორექციულ-განმავითარებელი პროცესის პრინციპების საკითხი. აღწერილია ბავშვთა ზოგიერთი დეფექტის დახასიათება და კორექციული მუშაობის, ასევე სწავლების სპეციალური ფორმები. დგინდება, რომ კორექციულ-აღმზრდელობითი პროცესის სპეციალური პედაგოგიური მეთოდიკების შემუშავება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში უნდა ხორციელდებოდეს ზოგადდეფექტოლოგიური პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე.

SOME THEORETICAL ISSUES OF SPECIAL EDUCATION

Ketevan Lomsadze, Associate Professor
Mariam Ubiria, Specialist by Contract, Doctor

RESUME

The article presents the question of the principles of correctional and educational process in different types of schools. Specific solution for each particular special educational tasks is only possible through the development of its own conceptual apparats, reflecting in didactic categories the fundamental provisions of the essence of remedial and educational process with the general principles of learning defectology.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Exact and Natural Sciences

გაზეთი „ლელო“ ქართული სპორტის სამსახურში

ალექსანდრე იაშვილი, პროფესორი

გაზეთმა ლელომ დაარსებიდან 80 წლის მანძილზე განვლო ტკივილიანი და სიხარულიანი წლები. იგი დარჩა ქართული სპორტული ტრადიციების ერთგული და მრავალი თაობების სპორტულ წარმატებათა მეხსიერების შემნახველი მსახური.

პირველი სპორტული გაზეთი ქართულ სპორტთან ერთად ერთიან ძალით ეწეოდა მძიმე, მაგრამ უაღრესად საპატიო ჭაპანს საქართველოს სპორტის განვითარებისა და მისი ინტერესების დაცვის სავალ გზაზე.

ქართველები რომ ოდითგანვე კარგი მოასპარეზენი ყოფილან ეს დასტურდება ისტორიული, არქეოლოგიური და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებით. ლიტერატურული წყაროები, ქართველ და უცხოელ მემატიანეთა ცნობები მიგვანიშნებს, რომ ასპარეზობებთან დაკავშირებული ინფორმაცია საქართველოში აღმოცენებულია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ფუძეჩაყრილ იმ ეროვნულ ტრადიციებზე, როცა ჩვენი წინაპრები თავიანთ ყოფაში ხალხურ თამაშობებს თუ რაინდულ ორთაბრძოლებს ამკვიდრებდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი, ქართული გაზეთები „დროება“ და „ივერია“ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საკითხებზე თავიანთ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებით ქმნიდნენ სამომავლოდ საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში სპეციალური გამოცემების წინაპირობას. გაზეთზე ადრე ქართველმა მკითხველმა სპორტული ჟურნალები იხილა.

1920 წლის თებერვალში ქუთაისში დაიბეჭდა ჟურნალი „შევარდენი“, 1922 წელს კი იგივე სახელით თბილისში გამოიცა ერთადერთი ნომერი.

1925 წელს თბილისში ჟურნალი „ფიზიკური კულტურა“, რომელსაც 1927 წელს „საბჭოთა ფიზკულტურა“ დაერქვა, ხოლო ერთი წლის შემდეგ „თავდაცვა და ფიზკულტურა“, ბოლოს - 19930 წელს ისევ „საბჭოთა ფიზკულტურა“ ეწოდა.

საქართველოს პირველი სპორტული გაზეთისადმი საზოგადოების შეუნელებელი ინტერესი ქართული სპორტის აღმასვლის თვალსაჩინო პროცესმა განაპირობა XX საუკუნის 30-იან წლებში.

პირველი სპორტული, პროგრესულად განვითარებადი გაზეთი სწორედ ამ პროცესების ავანგარდში ჩადგა.

1934 წლის 13 აპრილიდან მკითხველთა ფართო წრის საყვარელი გამოცემა გახდა ეს გაზეთი, რომელსაც 1936 წელს „ფიზკულტურელი“ ეწოდა. მისი ბოლო ნომერი გამოვიდა 1939 წლის 28 თებერვალს.

ქართული სპორტისათვის და სპორტის გულშემატკივრებისათვის მსოფლიოს სპორტულ სამყაროში გზამკვლევის პირველ ქართულ სპორტულ გაზეთს დრომ არგუნა.

პირველმა ქართულმა სპორტულმა გაზეთმა შემოგვინახა იმის შესახებ უტყუარი ცნობები, თუ რა განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევდნენ 30-იან წლებში ჩვენი ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, ძალოსნები, ფეხბურთელები და მოჭადრაკე ვაჟები.

პირველი სპორტული გაზეთის გამოცემის დროებითმა შეჩერებამ, გარდა იმისა, რომ ამ სფეროში საინფორმაციო ვაკუუმი შექმნა, ქართული სპორტის მატიანემაც იმ განაცდენში ბევრი დაკარგა, გაქრა იმპულსის გულიდან-გულში გადაცემის შესაძლებლობა, თითქოს ქართულ სპორტს მთავარი ნერვი გადაუჭრეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სულ სხვა რეალობის წინაშე დადგა საერთაშორისო სპორტი. 1920 წლიდან მოყოლებული, 1952 წლამდე არც ზაფხულისა და არც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის სახელით სპორტსმენებს არ უასპარეზიათ.

მსოფლიო ოლიმპიური თანამეგობრობა საბჭოთა კავშირს, როგორც სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად იურიდიულად არ აღიარებდა. ამიტომ, ხსენებულ პერიოდში, არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად მისი მიღების საკითხი დამდგარა დღის წესრიგში. კომუნისტური რუსეთი ოკუპანტ ქვეყნად მიიჩნეოდა. ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე დააყენა ქვეყნებს შორის ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეებთან ერთად საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ.

საბჭოთა კავშირისა და, შესაბამისად, მის შემადგენლობაში შემავალი ხალხების სპორტსმენთა მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში ღირებულებათა გადაფასების შედეგად ვეტო მოეხსნა. უფრო მეტიც, 1948 წელს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც ლონდონში ჩატარდა საბჭოთა კავშირმა მიწვევა მიიღო, მაგრამ ასპარეზობაში მონაწილეობაზე თანხმობა არ განუცხადებია. ოლიმპიადისათვის კარგად მომზადება იყო საჭირო, რათა მშვიდობიან ომში, სპორტულ სარბიელზეც დაემტკიცებინა თავისი სიძლიერე.

ომის შემდგომ ქვეყანამ სპორტისთვისაც მოიცალა და 50-იანი წლებიდან განვითარების ახალი იმპულსი შეიძინა საბჭოთა სპორტულმა მოძრაობამ, მაგრამ ეს იმპულსი ვერანაირად ვერ გაძლიერდებოდა და ვერც საჭირო შედეგს მოიტანდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანადგომის გარეშე. ამიტომაც საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკებში სპორტული გაზეთების გამოცემის შესახებ.

საქართველოში ფაქტობრივად განახლდა სპორტული გაზეთის გამოცემა. 1949 წლის 10 ივლისიდან ქართველმა მკითხველმა მიხეილ კაკაბაძის რედაქტორობით უკვე მიიღო გაზეთი „ლელო“, რომელიც წინამორბედი სპორტული გამოცემის სამართლიანი მემკვიდრე იყო. რატომ „ლელო“? ვის მიერაა ეს სახელი შერჩეული? მიხეილ კაკაბაძის გადმოცემის მიხედვით გაზეთის სახელი „ლელო“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს შეურჩევია. 1949 წლის ივლისის თვიდან საქართველოს სპორტულ გაზეთს ფიზკულტურელის ნაცვლად უძველესი, ვაჟკაცური, ჭეშმარიტად ხალხური სახელი - ლელო ეწოდა.

მას შემდეგ, რაც 1952 წელს ჰელსინკში ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის საკითხი გადაწყდა, მთელ საბჭოთა სივრცეში დაიწყო ჩვენი პლანეტის ამ უდიდესი და უპოპულარესი სპორტული ასპარეზობისთვის მზადება. ამ მოვლენით ფაქტობრივად საფუძველი ეყრებოდა სპორტში მუშაობის სისტემის განახლებას, რასაც მასობრივობა დაედო საფუძვლად. სპორტი სასწავლო დაწესებულება იყო თუ შრომითი კოლექტივი, ყველგან იკიდებდა ფეხს. აუცილებელია ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში სათანადო ყურადღება დაეთმო სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშობების აღორძინების საქმეს. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ქართველ

ახალგაზრდობას ადვილად გაეთავისებინა სპორტის საერთაშორისო სახეობები. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა საბჭოთა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში ათეულობით ქართველი სპორტსმენის დამკვიდრება, მათი ტრიუმფალური მიღწევები 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებზე 14 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათგან მოპოვებული იქნა სამი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი (ოქროს მედლები მოიპოვეს: დავით ციმაკურიძემ, რაფაელ ჩიმიშკიანმა და მზია ჯუღელმა, ვერცხლის მედლები წილად ხვდათ: ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ლევან სანაძეს და მზია ჯუღელს, ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ: ხნიკინა დვალიშვილი და ნინო დუმბაძე).

ვინც გაეცნობა 1952 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების პერიოდში გამოცემულ „ლელოს“ სხვადასხვა ნომრებს, დარწმუნდება, რომ გაზეთის ჟურნალისტებმა ტიტანური შრომა გასწიეს ქართველ სპორტსმენთა მომზადებისა და მათი მიღწევების ღირსეულად დაფასების საქმეში.

საქართველოს სპორტის ხელმძღვანელებთან სხვადასხვა პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ლელოს“ რედაქცია. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების განხილვა ხდებოდა სპორტის ხელმძღვანელი ორგანოს კოლეგიის სხდომებზე.

დიდი საერთაშორისო სპორტული ასპარეზობების შემდეგ საქართველოს სახელოვანი სპორტსმენების „ლელოს“ რედაქციაში მოწვევა ტრადიციად დამკვიდრდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უწყვეტი ციკლით გრძელდებოდა მზადება ოლიმპიური თამაშებისთვის, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებისათვის. საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე მწვავე კონკურენციისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზრდის პირობებში დღის წესრიგში დადგა სიახლეების მოძიება და დანერგვა.

დღის წესრიგში დადგა მოწოდება „მასობრივიდან“ – „ოსტატობისაკენ“. შეიძლება ითქვას, უაღრესად საჭირო აღნიშნული მოწოდების სამსახურში იყო გაზეთ „ლელოს“ რედაქციის მთელი შემადგენლობა.

1960 წლიდან „ლელო“ ყოველდღიური გამოცემა გახდა იგი ყოველთვის მხარში ედგა ქართული სპორტის, ახალგაზრდობის შესაძლებლობებისა და ხალხის კეთილდღეობის სასიკეთოდ გაწეულ დიდ საერთო ძალისხმევას.

„ლელოს“ კორესპონდენტები ყოველთვის გამოირჩეოდნენ პრინციპულობით, ისინი არავის არაფერს პატიობდნენ, რადგან მათ სწამდათ, რომ ისინი ყოველთვის ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდის სამსახურში იყვნენ. გაზეთი შეურიგებელი იყო სპორტში გამოვლენილი გულგრილობისა და უგულისყურობისადმი. კრიტიკის ქარცეცხლს თავს ატეხდა გულარხეინ ხელმძღვანელებს.

განსაკუთრებით შიშის ზარს სცემდა რუბრიკა „ლახტის წრეში“ არაერთი ამბიციური ხელმძღვანელის კარიერა დამთავრებულა აღნიშნულ რუბრიკაში მოხვედრით.

„ლელოში“ ყოველთვის გამოირჩეოდა პირუთვნელობით, ქართული სპორტული სამყარო კარგად იცნობდა უმწვავესი მამხილებელი პუბლიკაციების ავტორებს ზურაბ ჯაფარიძეს, გივი კაკაბაძეს, ვლადიმერ მდივანს, ოთარ გელაშვილს და ვიქტორ ბუკინს.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქვეყნის მასშტაბით „ლელოს“ სამართლიან კრიტიკაზე ყოველთვის იყო საქმიანი რეაგირება, რომელიც მიმართული იყო ნაკლოვანებების გამოსწორებისაკენ.

როდესაც კრიტიკას ვეხებით „ლელოს“ არასდროს გადაუხვევია ობიექტურობის პრინციპებიდან და მისთვის უცხო იყო სიძულვილის ენით საუბარი, რადგან რედაქციის თითოეულმა წევრმა კარგად იცოდა, რომ ერთ გადაბრუნებულ სიტყვას შეიძლება გამოეწვია დაპირისპირება სპორტის გულშემატკივრებში, ქალაქებს, რაიონებსა და მხარეებს შორისაც.

არ შეიძლება ცალკე არ შევეხოთ „ლელოს“ ჯანსაღ ურთიერთობას კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და გამოჩენილ მოღვაწეებთან.

ასეთი ადამიანების მოსაზრებები, შეხედულებები და შეფასებები სპორტის რაობაზე და ამ ფენომენის როლზე ხელს უწყობდა საქართველოში როგორც მაღალი მიღწევების, ისე მასობრივი სპორტის განვითარებას.

მინდა აუცილებლად იცოდეს საზოგადოებამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდზე „ლელოს“ ისტორიაში, 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მოსკოვმა კონტროლს გამკაცრება გადაწყვიტა ეროვნულ ენაზე გამომავალ დარგობრივ რესპუბლიკურ გაზეთებზე.

საქართველოში, ცენტრის ამ გადაწყვეტილების შესაბამისად რუსულ ენაზე დუბლირებული გამოდიოდა „სოფლის ცხოვრება“, „სახალხო განათლება“, „ნორჩი ლენინელი“, მაგრამ „ლელოს“ მაშინდელმა რედაქტორმა ბატონმა თენგიზ გაჩეჩილაძემ დაარწმუნა საქართველოს მაშინდელი

პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომ „ლელოს“ დუბლირება მიუღებელი იქნებოდა საზოგადოების ფართო ფენებისათვის და ასე გადაურჩა „ლელო“ მოსკოვის მკაცრი გადაწყვეტილების შესრულებას.

„ლელოს“ რედაქციიდან ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის პირობებში დაიწყო აქტიური მოძრაობა საქართველოში ოლიმპიური დამოუკიდებლობისათვის.

რედაქციის თითოეული წევრი ჩადგა ეროვნული ინტერესების დაცვის სამსახურში და მათ თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბების საქმეში.

საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა ერთ-ერთმა პირველმა „ლელომ“ მიიტანა ხალხის გულებამდე.

„ლელომ“ 1989 წლის გაზაფხულიდან ნელ-ნელა ღიად დაიწყო საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის შექმნის აუცილებლობის პროპაგანდა.

1989 წლის 11 ივლისს „ლელოში“ გამოქვეყნებულ ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის წერილში - საქართველოს ოლიმპიური პოტენცია, ავტორი ყურადღებას ამახვილებდა პრეცენდენტებზე, კერძოდ, უნგრეთს, ნორვეგიას, ავსტრალიას, კუბას, კანადას, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობამდე უასპარეზიათ ოლიმპიურ თამაშებში.

ავტორმა ღრმად გააანალიზა ოლიმპიური მოძრაობის ისტორია და საქართველოს სპორტსმენთა წვლილი ამ მოძრაობაში.

„საქართველოს ცალკე გუნდად გამოსვლა ოლიმპიურ თამაშებზე სულაც არ იქნება სიმბოლური აქტი“ - ასეთი იყო ბატონ პაატა ნაცვლიშვილის დასკვნა.

საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა მთელმა საქართველომ სიხარულით აიტაცა.

სწორედ „ლელოს“ რედაქციაში შეიქმნა 1989 წლის ივლისის თვეში ჯერ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბების საინიციატივო და შემდგომ საორგანიზაციო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი იყო გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე.

1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში შეიკრიბა საქართველოს სპორტის გამოჩენილი მოღვაწეები, ცნობილი პოლიტიკური და სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი 377 დელეგატი.

უნდა ითქვას, რომ ამ დღიდან დასაბამი მიეცა ახალი ეროვნული სპორტის ისტორიას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია გახსნა „ლელოს“ რედაქტორმა და საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა თენგიზ გაჩეჩილაძემ. დელეგატებმა ერთხმად მიიღეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის გადაწყვეტილება და ამავე დღეს აირჩიეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში არჩეული იქნენ: ნონა გაფრინდაშვილი, ვაჟა კაჭარავა, ვიქტორ სანეევი, თენგიზ გაჩეჩილაძე, დავით კუპრეიშვილი, ავთანდილ ციბაძე, დავით კინწურაშვილი, ივანე ყიფიანი, ნოდარ გუგუშვილი და პაატა ნაცვლიშვილი.

1990 წლის 4 მარტს კი, „ლელოს“ მეშვეობით ქართველმა ხალხმა იხილა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა.

პირველი ქართული სპორტული გაზეთის ფურცლებზე შემონახული არის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი და მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია 80 წლის მანძილზე საქართველოს სპორტის შემდგომი განვითარების საქმესთან.

ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის მოპოვებას მასმედიის დამოუკიდებლობა მოჰყვა.

ერთი-მეორის მიყოლებით წყვეტდნენ არსებობას საბჭოთა პერიოდის ჟურნალ-გაზეთები „ლელომ“ კი ბევრი გაჭირვება და განსაცდელი გამოიარა რომ შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული ფუნქცია.

2007 წლის გაზაფხული „ლელოს“ ახალი სიცოცხლის ათვლის წერტილად ითვლება, რადგან ამ დროს „მედიაპალიტრის“ ხელმძღვანელობამ ბოლო მოუღო ამ ისტორიული გაზეთის მომავალ ბედზე წლების მანძილზე დაგროვილ წუხილს.

გაზეთის გასაძლიერებლად და მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობის მმართველობის საგამომცემლო სახლთან ერთიან სისტემაში მოყვანის უზრუნველსაყოფად, საგამომცემლო სახლმა თავისი წარმომადგენელი ჩართო „ლელოს“ ორგანიზაციულ საქმიანობაში.

ამ ნაბიჯის წყალობით ბევრი პრობლემა მოგვარდა და მართლაც გაზეთს დაეხმარა ახალ სიმაღლეზე ასულიყო.

„მედიაპალიტრის“ ორბიტაში მოქცევამ, ბოლო წლებში „ლელოს“ სარედაქციო და საგამომცემლო საქმიანობის ხარისხობრივი გაუმჯობესების რეალური პირობები შექმნა.

2013 წლის ბოლოს კიდევ ერთი ღირსსახსოვარი ნაბიჯი გადაიდგა „ლელოს“ ისტორიაში - შაბათობით გაზეთის ნაცვლად გამოდის ყოველკვირეული ჟურნალი „ლელო“.

„ლელომ“ XX საუკუნე დამსახურებული აღიარებით დაამთავრა. 2000 წელს საყოველთაო გამოკითხვით გამოვლინდა სპორტის სფეროში სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული. წარმატება ქართულ სპორტულ გამოცემებს შორის წილად ხვდა „ლელოს“.

„ლელოს“ ფუნქციას ყოველთვის ამაღლებდნენ და აძლიერებდნენ სპორტის სფეროში, კერძოდ კი პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში, მედიცინაში, ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, ბიოქიმიასა და ბიომექანიკაში მოღვაწე ცნობილი მეცნიერები და მკვლევარები.

დაუსრულებლად შეიძლება წერა „ლელოს“ ღვაწლზე და დამსახურებაზე, მაგრამ გვინდა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ერთ-ერთ ღირსსახსოვარ დამსახურებას გაზეთი „ლელო“ ყოველთვის იცავდა ქართული ენის სიწმინდის პრინციპებს, ამ საქმეში რედაქციას მხარში მუდამ ედგნენ ქართველი ენათმეცნიერები.

როდესაც ვაანალიზებთ გაზეთის მიერ განვლილ სახელოვან გზას, აუცილებლად მიგვაჩნია საზოგადოებას გავაცნოთ ის ადამიანები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს „ლელოს“ მრავალწლიან გამოცემებში: მიხეილ კაკაბაძე, ერემო მახათაძე, ირაკლი უგულავა, ანზორ ბასილაია, არჩილ გოგელია, თენგიზ გაჩეჩილაძე, გიორგი სიხარულიძე, ნუგზარ ენდელაძე, დავით პერტენავა, თენგიზ გიორგაძე, კახი ასათიანი, ნუგზარ მემმარიაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნუგზარ შატაიძე, ცისანა ნიკოლაიშვილი, გოგი იაშვილი, ელგუჯა ბერიშვილი, ირაკლი ბერიაშვილი, პეპი ბოჭორიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, შალვა ქირია, კობა ინასარიძე, თენგიზ პაჭკორია, გია ტუხაშვილი, ბიჭიკო ქორქია, ვლადიმერ მდივანი, ლევან ფალავანდიშვილი, ვიქტორ ბუკინი, ვაჟა დანელია, ზურაბ ჯაფარიძე, ომარ გოგიაშვილი, ვასილ ელაშვილი, ავთანდილ ციბაძე, დურმიშხან ჩიტაშვილი, ჯემალ ძაგანია, დავით კვინიკაძე და ალექსანდრე ფარულავა.

ლიტერატურა:

1. კანონი სპორტის შესახებ, თბილისი, 1996.
2. თამარ მჭედლიშვილი, სპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი, თბილისი, 2006.
3. თენგიზ გაჩეჩილაძე, „ლელო 80“, თბილისი, 2014.
4. www.msy.gov.ge

რეზიუმე

ნაშრომი „ლელო“ 80 წელი ქართული სპორტის სამსახურში მოგვითხრობს ქართულ სპორტულ ცხოვრებაში არსებულ სირთულეებზე მისი დაარსებიდან დღემდე. 80 წლის განმავლობაში და დღესაც იგი იყო ტრადიციების ერთგული, თაობათა წარმატებების აღმზეჭდავი და შემნახველი. გაზეთმა „ლელო“ 80 წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა ქართული სპორტის მომავალი განვითარებისა და მისი ინტერესების დაცვისათვის.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა იმ ადამიანებს, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რათა შეენახათ და განევითარებინათ ქართული სპორტის მდიდარი ტრადიციები.

NEWSPAPER „LELO“ IN GEORGIAN SPORT SERVICE

Aleksandre Iashvili, Professor

RESUME

The article newspaper „Lelo“ 80 years in Georgian spots service retells about the difficult period of Georgian sport life and activities of chronicler newspaper from its establishment till today. Along 80 years it was and even today it is still devoted to traditions, saving generation sporting success and in service of common cause. Newspaper „Lelo“ during 80 years along with Georgian sport did a lot in the sphere of sports future development and protecting its interests.

The article pays great attention to the people, who supported and did lots of activities to save and develop Georgian sports rich traditions.

გორის მწვრთნელებთან და სპორტსმენებთან ჩატარებული ანკეტირება თავისუფალ ჭიდაობაში მნიშვნელოვან საკითხებზე

გიორგი მძინარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სპორტში არსებულ მრავალ საშუალებებსა და შესაძლებლობებს შორის, რომლის გამოყენებით შეიძლება სასწავლო-საწვრთნო პროცესის ეფექტურობის გაზრდა, მოხდეს მასში კორექტირების შეტანა და შემდგომ ამ პროცესის ახალი ეტაპისა და საფეხურის დაგეგმვა - არსებობს საყოველთაოდ ცნობილი და მისაღები ანკეტირების მეთოდი. ანკეტირების საშუალებით შესაძლებელი ხდება აზრთა და გამოცდილებათა შეგროვება ანკეტირების შევსების საფუძველზე.

გორის მწვრთნელების და სპორტსმენების პრაქტიკული მუშაობის განზოგადების მიზნით, ჩვენ გორის ჭიდაობის სკოლის ბაზაზე მარტის თვეში ჩავატარეთ თავისუფალი ჭიდაობის წამყვანი მწვრთნელების, სპეციალისტების და სპორტსმენების ანკეტირება და გავესაუბრეთ 20-მდე წარმომადგენელს. ანკეტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რომელიც პრაქტიკაში არსებული საკითხის შესახებ რეალურ სურათს გვაძლევს. ჩვენ მიერ ჩატარებული ანკეტირება მოიცავდა 46 საკითხს და შვიდი მათგანი იყო ანამნესტიკური ხასიათისა.

ამ საკითხებს შორის იყო: 1) გვარი, სახელი, მამის სახელი; 2) სპორტული წოდება; 3) მწვრთნელად მუშაობის სტაჟი; 4) რამდენი წელიწადი ვარჯიშობთ (ვარჯიშობდით); 5) რა შედეგი გაქვთ მოპოვებული; 6) განათლება; 7) გაქვთ თუ არა გავლილი ტრენინგები და ა.შ.

ანკეტირებაში მონაწილე მწვრთნელ-სპეციალისტებს შორის არიან ახალდამწყები მწვრთნელები და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები, რომელთა სტაჟი არის ერთი წელი და ყველაზე მეტი 34 წელიწადი. ეს მწვრთნელები არიან საქართველოს ყოფილი ჩემპიონები და პრიზიორები ჭაბუკებში, ახალგაზრდებში და დიდებში, ევროპის ჩემპიონები ჭაბუკებში, ახალგაზრდებში და დიდებში, მსოფლიო ჩემპიონები ჭაბუკებში, მსოფლიო პრიზიორები დიდებში, მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები, სპორტის ოსტატები და დამსახურებული სპორტის ოსტატები. ამ მწვრთნელებში არიან მრავალი ჩემპიონების აღმზრდელები. გამოკითხულ სპორტსმენებში მონაწილეობა მიიღეს მოჭიდავე გოგონებმა, რომლებიც არიან საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები როგორც ჭაბუკებში, ასევე ახალგაზრდებში.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ანკეტაზე პასუხი არ გასცა ერთმა მწვრთნელმა, წარსულში ტიტულოვანმა მოჭიდავემ, რომელმაც საიდუმლოდ დატოვა თავისი ცოდნა და გამოცდილება.

ორმა მწვრთნელმა კი ვერ გასცა პასუხები მოცემულ კითხვებზე. გორის სპორტულ სკოლაში თავისუფალი ჭიდაობის მომუშავე მწვრთნელებიდან 95% აქვს განათლება მიღებული გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტის სპეციალობაზე, სხვადასხვა წლებში.

<u>შეკითხვაზე - გაქვთ თუ არა გავლილი ტრენინგები თქვენი სპეციალობით</u> - სპეციალისტების 10%-მა არ გასცა პასუხი ამ შეკითხვას. 50%-ის პასუხი იყო - არა. 10%-მა თქვა, რომ არ მაქვს (საქართველოში მსგავსი ტრენინგები არ ტარდება, ტარდება მხოლოდ უცხოეთში), 10%-მა უპასუხა - საქართველოში ჩვენი სპეციალობის ტრენინგები არ ტარდება. 10%-მა აღნიშნა დიახ და 10%-მა აღნიშნა - მაქვს გავლილი, როგორც პედაგოგიური, ასევე მწვრთნელებისთვის.

<u>შემდეგ კითხვაზე - ჭიდაობაზე მოსვლის და დანებების მიზეზი</u> - 10%-მა აღნიშნა მათი სპორტის მასწავლებლის დამსახურება, დანებების მიზეზი კი მწვრთნელად მუშაობის დაწყება. 10%-მა დანებების მიზეზი დაასახელა ოჯახის შექმნა. 10%-მა მოსვლის მიზეზი დაასახელა მამისა და ბიძის ჭიდაობის სიყვარული, დანებების მიზეზი ასაკი. 30%-მა იგივე მამის დამსახურება აღნიშნა, მხოლოდ დანებების მიზეზი ფიზიკური ტრავმა და ოჯახური მდგომარეობას ასახელებს. 10% პასუხობს - მშობლის დამსახურება მოსვლის მიზეზია, დანებების კი - ოჯახური პირობები. სპორტული ჟინი და ინტერესი ასე პასუხობს ამ კითხვაზე 10%-ზე მეტი, დანებების მიზეზად კი იმედგაცრუებას, ტრავმას და ოჯახურ მდგომარეობას. მოჭიდავე გოგონების 10% აღნიშნავს, რომ უნდა იყოს წარმატებული სპორტულ კარიერაში და მომავალში აპირებენ მწვრთნელობას. 10% კი - მოსვლის მიზეზად ასახელებს ინტერესს, რომელიც გადაიზარდა მოწონებაში და სიყვარულში ამ სპორტისადმი.

<u>რაც ეხება შემდეგ კითხვას - როგორი უნდა იყოს მოჭიდავეთათვის შესასწავლი ტექნიკური ილეთების მოცულობა ვარჯიშის პირველ და მეორე წელიწადს</u> - 30% პასუხობს საშუალო (ეს პასუხი ჩვენთვის არის გაუგებარი, რას გულისხმობს მწვრთნელი საშუალოში?), 10% ასახელებს 15 ილეთს; 10% აღნიშნავს, ილეთების უმეტესობა, რომლებიც არ მიეკუთვნება რთული ილეთების რთულ კატეგორიას.

10% პასუხობს, რომ დამოკიდებულია სპორტსმენების ფიზიკურ მომზადებაზე; 10% - პირველ წელიწადს ჩოქბჯენში ასწავლის - 10 ტექნიკურ მოქმედებას, დგომში 20-25 ილეთს; მეორე წელს ჩოქბჯენში 10 - ტექნიკურ ილეთს, დგომში 15-20 მოქმედებას. 10% ასწავლის პირველ წელს დგომში 15 ილეთს, ჩოქბჯენში - 10 ილეთს, მეორე წელს კი ასწავლის ამ ილეთებთან დაკავშირებულ დაცვებს და კონტრილეთებს.

გამოკითხული მოქმედი მოჭიდავე გოგონები და ეს მთელი რაოდენობის 20%-ს შეადგენს, აღნიშნეს, რომ თავდაპირველად დგომში ფეხის დაცვები გვასწავლეს, ჩოქბჯენში კი - ტრიალი.

<u>კითხვაზე - როდის იწყებთ ილეთის მომზადების ტაქტიკის შესწავლას</u> - 10%-მა გასცა პასუხი - მოთელვის შემდეგ; 30% - ილეთის სწავლებასთან ერთად; 10% - როდესაც სპორტსმენი კარგად დაეუფლება ამა თუ იმ ილეთს; 10% - როდესაც მოსწავლე საშეჯიბრო ასაკის ხდება; 10% - ილეთის შესწავლის შემდეგ; 10% - 1 წლის შემდეგ; 10% - ვარჯიშზე მოსვლის 2 დღის შემდეგ; 10%-მა არ გასცა პასუხი ამ შეკითხვას.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ანკეტაში, სადაც მწვრთნელებს და სპეციალისტებს უნდა აღენიშნათ ჩატარებული მუშაობის პრიორიტეტული მიმართულება, სწავლება წვრთნის პირველ და მეორე წლებში და ჩამოთვლილი სამი ვარიანტიდან აერჩიათ ერთ-ერთი ვარიანტი, რომელსაც მწვრთნელები აძლევენ უპირატესობას, ეს ვარიანტებია:

ა) მრავალმხრივი გამაჯანსაღებელი (გამოყენებული მეთოდებისა და საშუალებების მრავალფეროვნება, საერთო განმავითარებელი ვარჯიშების ფართო გამოყენება სხვა სპორტის სახეობის ელემენტების გამოყენება, შემოსაზღვრული დატვირთვები, მრავალმხრივი სპორტული პრაქტიკა, არა მხოლოდ ჭიდაობის შერჩეულ სახეობაში);

ბ) ვიწრო - სპეციალიზირებული (სპეციალურ-მოსამზადებელი და საშეჯიბრო ვარჯიშების ფართო გამოყენება და საერთო განმავითარებელი ვარჯიშების შემოსაზღვრა);

გ) სამონაკვეთო (პირველ-ორ შორის საშუალო).

<u>გამოკითხული მწვრთნელების 30-მა პროცენტმა ანკეტაში აღნიშნა</u> პირველი ვარიანტის პრიორიტეტული მნიშვნელობა, 20%-მა - მეორე ვარიანტის, 50%-მა კი - სამონაკვეთო ვარიანტს მიაკუთვნა მნიშვნელობა.

<u>სასურველი მეცადინეობების საშუალო რაოდენობა კვირაში სწავლების პირველ და მეორე წელიწადს</u> - არის ჩვენი ანკეტის შემდეგი კითხვა. ამ შეკითხვაზე მწვრთნელებმა უპასუხეს შემდეგნაირად:

გამოკითხული მწვრთნელების 60% თვლის, რომ სწავლების პირველ წელიწადს ვარჯიშების რაოდენობა კვირაში უნდა იყოს სამი; 20% - სამი ან ოთხი; 10% - ორი ან სამი; 10% - ოთხი დღე კვირაში.

<u>რაც შეეხება მეორე წელიწადს</u>: 10%-მა არ უპასუხა ამ შეკითხვას; 20% თვლის მეორე წელს აუცილებელია ოთხი ან ხუთი ვარჯიში; 10% - სამი ან ხუთი ვარჯიში; 10% - სამი ვარჯიში; 30% - ოთხი ვარჯიში; 20% - სამი ან ოთხი ვარჯიში.

<u>რამდენ წუთს უნდა შეადგენდეს ცალკეული მეცადინეობების საშუალო ხანგრძლივობა პირველ და მეორე წელიწადს</u>? ეს იყო ჩვენი ანკეტის მორიგი კითხვა. აღნიშნულ კითხვაზე მწვრთნელებმა ამგვარად უპასუხეს:

პირველ წელიწადს ვარჯიშების ხანგრძლივობა უნდა იყოს: 1 საათი - 1 საათი და 30 წუთი, აღნიშნავენ გამოკითხული მწვრთნელების 20%; 60% თვლის, რომ ვარჯიშების ხანგრძლივობა უნდა იყოს 1,5 საათი, რაც შეეხება დარჩენილ 20%-ს - თვლის, რომ ხანგრძლივობა პირველ წელიწადს უნდა შეადგენდეს 1 საათს.

მეორე წელიწადს: 20% თვლის საჭიროდ ორსაათიან ვარჯიშს; 40% - 1,5-2 საათიან ვარჯიშს; 30% - 1,5 ვარჯიშს; 10% - ერთი საათი და 50 წუთიან ვარჯიშს.

<u>შემდეგ კითხვაზე - რა რაოდენობის შეჯიბრებებში შეუძლიათ მონაწილეობა</u> - დამწყებ მოჭიდავეებს სასწავლო-საწვრთნო წლის პირველ და მეორე წელიწადს, სპეციალისტებმა და სპორტსმენებმა უპასუხეს შემდეგნაირად: 20%-მა უპასუხა - ერთ ან ორ შეჯიბრში; 10% - არც ერთ შეჯიბრში; 40% - ერთ შეჯიბრში. 10% - ერთიდან სამ შეჯიბრამდე; 10% - სამ შეჯიბრში; 10% - ცხრა შეჯიბრში.

მეორე წელიწადს: 10% - ერთი ან სამი; 10% - ორი ან სამი; 20% - სამი ან ხუთი; 10% - ოთხი ან ხუთი; 10% - სამი; 10% - ხუთი; 10% - სამი ან ოთხი; 10% - ცხრა; 10% უპასუხა - ეს არის დამოკიდებული სპორტსმენების ფიზიკურ მომზადებაზე.

<u>რა ხანგრძლივობის ვარჯიშის შემდეგ არის შესაძლებელი პირველ შეჯიბრში მონაწილეობა</u>, ამ შეკითხვაზე მწვრთნელებმა უპასუხეს შემდეგნაირად: 10% - ოთხი თვის შემდეგ; 10% - თორმეტი თვის

შემდეგ; 10% - ათი თვის შემდეგ; 10% - სამი წლის შემდეგ; 10% - ოცდაოთხი თვის შემდეგ; 10% - რვა ან თორმეტი თვის შემდეგ; 40% - რვა თვის შემდეგ.

გამოკითხული მწვრთნელების 80% თვლის, რომ სპორტსმენებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა პირადი ხასიათის შეჯიბრებებში პირველ და მეორე წელიწადს, 20% კი - გუნდური ხასიათის შეჯიბრებებში.

<u>რა უწყობს ხელს მაღალკვალიფიციური მოჭიდავის ზრდას</u> - ჩვენი ანკეტის მორიგი კითხვაა: 10%-მა უპასუხა - სასიამოვნო გარემო, გენეტიკა, შრომა, ხასიათი, მოთმინება, თავმდაბლობა; 10% - სწორი ვარჯიში ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაში, სპარინგპარტნიორები და მწვრთნელი, სწორი კვება და დისციპლინა;

10% - მწვრთნელის მხარში დგომა, მონდომება, ვარჯიში, განწყობა, გამძლეობა, ბრძოლის უნარი;

10% - კონკურენცია, მწვრთნელი, ბუნებრივი მონაცემები, სოციალური პირობები;

10% - მონდომება, მიზანდასახულობა, მწვრთნელი და კარგი პარტნიორები;

10% - მწვრთნელის კვალიფიკაცია, ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომა;

10% - შრომა, პასუხისმგებლობა, მებრძოლი ხასიათი;

30% - არ უპასუხეს აღნიშნულ შეკითხვას.

<u>რა უწყობს ხელს თავისუფალ ჭიდაობაში შეჯიბრებების სანახაობრიობის ზრდას</u> - არის ჩვენი ანკეტის შემდეგი შეკითხვა. ამ კითხვაზე მწვრთნელებმა უპასუხეს შემდეგნაირად: 20% - კარგი ორგანიზაცია და ძლიერი დაფინანსება; 10% - ამ სპორტის პოპულარიზაცია და მასიურობა; 35% - მოჭიდავის მაღალი ტექნიკო-ტაქტიკური მხარე, შეჯიბრებების კარგი რეკლამა (ტელევიზია, პრესა); 25% - ჭიდაობის დახვეწილი წესები, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მონაწილეობა - მათი ტექნიკური მხარე; 10% - არ უპასუხა აღნიშნულ შეკითხვას.

რაც შეეხება შემდეგ შეკითხვას: იყენებთ თუ არა საკონტროლო ნორმატივებს საერთო ფიზიკურ მომზადებაში და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში პირველი და მეორე წლის ბოლოს, სპეციალისტების პასუხები იყო შემდეგნაირი:

პირველ წელს ნორმატივებს იყენებს 30%; არ იყენებს - 40%; 30% - არ გასცა პასუხი აღნიშნულ შეკითხვას.

რაც შეეხება მეორე წელს - 40% იყენებს ნორმატივებს; 10% - არ იყენებს; 50% - არ გასცა პასუხი აღნიშნულ შეკითხვას;

როგორ შეფარდებას აკეთებთ საერთო ფიზიკურ და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებებს შორის: 10% - პირველ წელს ანაწილებს 60%-40%; მეორე წელს 50%-50%; 10% კი - პირველ და მეორე წელს საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას ანაწილებს 30%-70% (საერთო 30%, სპეციალური - 70%). 80%-მა მწვრთნელებისა არ გასცა პასუხი მოცემულ შეკითხვას.

<u>შეკითხვაზე მსაჯობთ თუ არა შეჯიბრს</u> მწვრთნელებისა და სპეციალისტების - 100%-მა უპასუხა, რომ - არა.

<u>შეკითხვაზე მოგწონთ თუ არა მსაჯობა</u> - 60%-მა - უპასუხა არა და აღნიშნა, რომ საქართველოში არის დაბალი დონის მსაჯობა, 10% - უპასუხა - კი, მხოლოდ - 30%-მა საერთოდ არ უპასუხა ამ შეკითხვას.

<u>შემდეგ შეკითხვაზე მოგწონთ თუ არა ჭიდაობის წესები</u> - 80%-მა - უპასუხა - მომწონს და არაფერ ცვლილებებს არ შევიტანდით; 10% - აღნიშნა, დაბალი წონითი კატეგორიების ამოღების გამო იჩაგრებიან მსუბუქი წონის სპორტსმენები და იკარგებიან სპორტისათვის. 10%-მა - არ უპასუხა ამ შეკითხვას.

<u>ჩვენი ანკეტის ერთ-ერთ შეკითხვაზე თუ რამდენი ილეთის შესრულება იციან მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა უნარის დონეზე (დამუშავებით)</u> რესპონდენტებმა უპასუხეს შემდეგნაირად: 50% - დღევანდელ ჭიდაობაში არსებული ყველა ტექნიკური მოქმედების შესრულება შეგვიძლია, 10% - 60 ილეთის შესრულება, 10% - 20-25 ილეთის შესრულება, 10% დგომში 15 ილეთის, ჩოქბჯენში 15 ილეთის.

10% უპასუხა - არ დამითვლია, 10% - არ გასცა პასუხი მოცემულ შეკითხვას.

რამდენ ილეთს „კარონკას“ იყენებთ (იყენებდით) ძლიერ მოწინააღმდეგესთან? ამ შეკითხვაზე პასუხები შემდეგნაირია: 10% - 3 ილეთს; 10% დგომში 3-4 ილეთს, ჩოქბჯენში - 1-2 ილეთს; 10% - 2 დგომში, 2 ჩოქბჯენში; 10% - დგომში ოთხი ჩოქბჯენში სამი; 10% - დგომში ხუთი, ჩოქბჯენში ხუთი; 10% დგომში და ჩოქბჯენში 3-3 ილეთი; 10% - დგომში - 2, ჩოქბჯენში - 3; 30% - არ გასცა პასუხი წარმოდგენილ შეკითხვას.

<u>შეკითხვაზე ასწავლით (აკეთებთ) თუ არა ილეთებს ორივე მხარეს (მარჯვნივ და მარცხნივ)</u>? ამ შეკითხვაზე 80% - უპასუხა - კი, მხოლოდ 20% - არ გასცა პასუხი ამ შეკითხვას.

შემდეგ შეკითხვაზე ასწავლით (ან იცით) თუ არა წმინდა გამარჯვებამდე ჭიდაობას? 70%-მა - გასცა პასუხი კი; 10% - უპასუხა წმინდა გამარჯვებამდე ჭიდაობის სწავლა აუცილებელია, რადგან შეჯიბრების დროს სპორტსმენმა უნდა დახარჯოს ნაკლები ენერგია. 20% - არ გსცა პასუხი ამ შეკითხვას.

ასწავლით (სწავლობთ) თუ არა შეხვედრის ჩატარების ტაქტიკას? – 60% - მოკლედ უპასუხა - კი; 30% - არ გასცა პასუხი საერთოდ; 10% - უპასუხა: დღევანდელ ჭიდაობაში დიდი როლი ენიჭება ტაქტიკურ მომზადებას და ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალური ყურადღება მივაქციოთ ტაქტიკურ მომზადებას.

ჩვენი ანკეტის შემდეგი შეკითხვა იყო - ასწავლით (სწავლობთ) თუ არა შეჯიბრში მონაწილეობის ტაქტიკას? რესპონდენტთა პასუხები განაწილდა შემდეგნაირად: 80% - უპასუხა ვასწავლი (ვსწავლობ); 10% - არ გასცა პასუხი ამ შეკითხვას; 10% - უპასუხა - აუცილებელია შეჯიბრების წარმატების დასრულებისთვის მისი სწორი ტაქტიკური წარმართვა.

რა დროს ანდომებთ ერთი ილეთის შესწავლას და გადადიხართ მეორეზე? იყო ჩვენი ანკეტის ერთ-ერთი კითხვა... 40% - უპასუხა: ყოველ ვარჯიშზე ვასწავლი ახალ ილეთს, მაგრამ ვამეორებინებ - ძველს. 10% - ყველა ვარჯიშზე ერთ ან ორ ილეთს ვასწავლი, მომდევნო ვარჯიშზე ვამეორებინებ მაქსიმალურად. 10% - უპასუხა, როგორც კი აითვისებენ მოსწავლეები ერთ ილეთს, ხდება ახალი ილეთის შესწავლა და ძველის გამეორება. 10% - ჩვენი აზრით ყოველ ვარჯიშზე დამწყებ სპორტსმენებში ერთი ან ორი ილეთის შესწავლა საკმარისია, გამოკითხულთა 30% - არ გასცა პასუხი ამ შეკითხვას.

ანკეტის მომდევნო კითხვაზე - რამდენჯერ ამეორებინებთ (იმეორებთ) ილეთებს ერთ ვარჯიშზე - პასუხი ასეთია: 10% - 10-15-ჯერ; 10% - 20-ჯერ; 10% - ერთი საათის განმავლობაში იმეორებენ; 10% - 15-20-ჯერ; 10% - 30-ჯერ; 10% - უპასუხა ამ შეკითხვას 20-30 წუთი; 10% - უპასუხა ვიდრე სრულყოფილად არ შეისწავლის; 10% - ილეთის სირთულიდან გამომდინარე; 20% - სანამ არ შეისწავლიან.

რამდენად სწრაფად ითვისებენ (სწავლობენ) ჭიდაობის ტექნიკასა და ტაქტიკას გოგონები? პასუხი შემდეგნაირია: 10% - მონდომებას გააჩნია, რამდენად სწრაფად აითვისებენ; 20% - საკმაოდ სწრაფად ითვისებენ; 10% - ბიჭებზე არანაკლებ სწრაფად; 10% - არც ისე სწრაფად, მაგრამ ბიჭებზე უფრო მეტი მცდელობა აქვთ; 20% - ბიჭებთან შედარებით უფრო რთულად; 20% - ვთვლი, რომ გოგონები ბიჭებზე უკეთესად ითვისებენ ჭიდაობის ტექნიკას; 10% - აღნიშნულ შეკითხვას არ გასცა პასუხი.

შეკითხვაზე: თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული მწვრთნელის პროფესიონალიზმი? პასუხები არის: 10% - საქმისადმი სიყვარულზე, კეთილდამოკიდებულებაზე; 10% - შემოქმედებაზე, გამოცდილებაზე, განათლებაზე; 10% - განათლებაზე და პრაქტიკაზე; 10% - ბავშვებთან ურთიერთობაზე, განათლებაზე, პრაქტიკაზე, კულტურაზე; 10% - გამოცდილებაზე, მონდომებაზე, სპორტისადმი სიყვარულზე; 10% - საქმისადმი სიყვარულზე, ჭიდაობის კარგ ცოდნაზე; 10% - გამოცდილებაზე, პრაქტიკაზე; 10% - ფანდების ცოდნაზე, პროფესიონალიზმზე; 20% - არ უპასუხა მოცემულ შეკითხვას.

საქართველოში თავისუფალი ჭიდაობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები - შემდეგი შეკითხვაა: 10% - ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ისე მასიური აღარ არის, როგორც ადრე, ეს საქართველოს პირველობაზეც გამოჩნდა; 10% - მდგომარეობა ნორმალურია, პერსპექტივები კი დიდი; 10% - საქართველოში თავისუფალი ჭიდაობა მაღალ დონეზეა განვითარებული, უფრო და უფრო ვითარდება; 10% - საშუალო დონეზეა; 10% - შედარებით გაუმჯობესდა მდგომარეობა, მაგრამ ჭიდაობის განვითარებისათვის აუცილებელია საკლუბო დონეზე დადგეს, რათა არ მოხდეს სპორტსმენების ადრეულ ასაკში ჭიდაობიდან წასვლა; 10% - პირობების უქონლობის გამო დაბალ დონეზეა; 10% - საქართველოში კარგ დონეზე შეიძლება ჩაითვალოს ჭიდაობის მდგომარეობა დღევანდელი შედეგებიდან გამომდინარე; 30% - არ უპასუხა ამ შეკითხვას.

ჭიდაობის იდეალებს შორის, სპეციალისტებმა დაასახელეს: ლ. თედიაშვილი, ა. ფაძაევი, ა. გოგოლიშვილი, ვ. იორდანოვი, ბ. საიტიევი, რ. მინდორაშვილი, დ. პოღოსიანი, გ. პეტრიაშვილი, ბ. ბაუმგარტნერი.

ბავშვების (სპორტსმენების) ჭიდაობიდან წასვლის მიზეზებს შორის რესპონდენტებმა უპასუხეს: ეკონომიური მდგომარეობა, თავისუფალი ჭიდაობის ცუდი რეკლამა, სუსტი ფიზიკური მონაცემები, სკოლიდან პირობების არშექმნა, ტრავმები, არასწორი მიმართვა-მოქცევა ბავშვებთან მწვრთნელის მხრიდან, გარემო, ბავშვის ხასიათი, ფინანსური პრობლემები, იმედგაცრუება, მწვრთნელის როლი, მშობლის უყურადღებობა. გოგონების წასვლის მიზეზად დაასახელა ერთმა სპორტსმენმა საზოგადოების არასწორი დამოკიდებულება (ზეგავლენა).

ფიზიკურ მომზადებაში, რა ვარჯიშებს იყენებთ... პასუხები შემდეგნაირია: 30% - საერთო განმავითარებელ და სპეციალურ ვარჯიშებს; 50% - საერთო განმავითარებელ ვარჯიშებს; 20% - არ უპასუხეს შეკითხვას.

რაც შეეხება შეკითხვას წონის დაკლება დადებითია თუ უარყოფითი? - მწვრთნელების და სპორტსმენების პასუხი არის ერთსულოვანი წონის დაკლება არის უარყოფითი ადრეულ ასაკში, იმიტომ, რომ მან შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს მოზარდის ზრდა-განვითარებაზე, დიდებში შეიძლება 2-4 კილოგრამის დაკლება.

ყველა ვარჯიშზე ატარებთ თუ არა სასწავლო-საწვრთნო შეხვედრებს? პასუხი არის: 10% - კვირაში ერთხელ; 10% - კვირაში ორჯერ; 10% - დღეგამოშვებით; 70% - ყოველ ვარჯიშზე.

მსოფლიოში თავისუფალ ჭიდაობაში მოწინავე ქვეყნებს შორის სპეციალისტებმა და სპორტსმენებმა დაასახელეს: რუსეთი, ამერიკა, უკრაინა, ირანი, თურქეთი, იაპონია, საქართველო, კუბა, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, გერმანია, მონღოლეთი, სომხეთი.

ჩატარებულმა ანკეტირებამ მოგვცა ნათელი სურათი მწვრთნელების აზრის შესახებ. შეიძლება ითქვას ის, რომ მწვრთნელების აზრი მოცემულ საკითხებში ერთმანეთს არ ემთხვევა; მათ პასუხებში არის შეუსაბამობა. ყველა მწვრთნელს და სპორტსმენს აქვს თავისი აზრი და შეხედულება, ეს არის დამოკიდებული მათ პრაქტიკაზე, განათლებაზე, გამოცდილებაზე და პროფესიონალიზმზე. დაველოდოთ, ვნახოთ ვინ იქნება მეტად წარმატებული.

ლიტერატურა:

1. Дякин А.М. Программа по вольной борьбе для комплексных и специализированных детскои-юношеских спортивных школ. М., ФиС, 1971, с. 94.
2. Матвеев Л.П., Новиков А.Д. Теория и методика физического воспитания, М., ФиС, 1976, с. 303.
3. Зациорский В.М. Спортивная метрология, М., ФиС, 1981, с. 256.
4. Алиханов И.И. Дидактические основы современной спортивной борьбы. Автореферат. дисс. в форме научн. докл. на соиск. учён. степ. доктора. пед. наук. М., 1983, с. 28.
5. Морозов А.К. Анализ техники основных приёмов в вольной борьбе. «Теория и практика физической культуры», 1999, №2, с. 62-63.

რეზიუმე

გორის თავისუფალი ჭიდაობის სკოლას დიდი ტრადიციები აქვს. ჰყავს აღზრდილი ევროპის ჩემპიონები, მსოფლიო ჩემპიონები, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური პრიზიორები. ბოლო წლების მანძილზე ჭიდაობის სკოლა შეივსო ახალი მწვრთნელები, ეს კადრი არის წარსულში შედეგიანი სპორტსმენები, რომლებიც იცავდნენ საქართველოს ღირსებას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ კითხვებზე მწვრთნელებმა გასცეს არაერთგვაროვანი პასუხი ანკეტის ძირითად საკითხებზე - ეს მათი ინდივიდუალური აზრია. მე ვთვლი, რომ ურთიერთთანამშრომლობით და აზრთა გაზიარებით სპორტული შედეგების მოპოვების თვალსაზრისით ეს ტრადიციები გაგრძელდება.

THE RESULTS OF QUESTIONNAIRE ABOUT IMPORTANT ISSUES IN FREE WRESTLING WITH TRAINERS AND SPORTSMEN FROM GORI

Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor

RESUME

The school of Free Wrestling in Gori has many good traditions. The school has brought up Europe champions. World champions, Olympics prize winners. In the school there are many new trainers who are successful ex-trainees of this school. They competed in favor of Georgia in the past. Although they had various answers when they filled in questionnaire, it’s their personal view, I think that with cooperation and mutual understanding and trust the traditions of our school to reach the best results and achievements will continue in Future.

ВЛИЯНИЕ ДОЗИРОВАННОЙ ХОДЬБЫ НА СЕРДЕЧНО – СОСУДИСТЫЕ И ВЕГЕТАТИВНЫЕ РЕАКЦИИ СТУДЕНТОВ

***Мариам Убирия**, приглашенный специалист, доктор медицинских наук*

Физические упражнения являются ни с чем не сравнимым и незаменимым средством поддержания и укрепления здоровья.Особенно возросло значение физических нагрузок в последнее время: ведь современная жизнь сопряжена с различными неблагоприятными факторами.Это недостаточная двигательная активность, нервно – психическое напряжение, часто приводящее к стрессу,нерациональное питание.Поэтому применение ходьбы является необходимым средством для быстрого и полного восстановления здоровья, трудоспособности человека и,безусловно, его физического совершенствования. При регулярных физических тренировках в организме запускаются механизмы общей адаптации, аследовательно,расширяются его функциональные возможности и совершенствуются регуляторные системы

Цель работы: исследовать реакции сердечно – сосудистой (ССС) и вегетативной нервной (ВНС) систем на дозированную ходьбу у студентов при привычной и максимальной скорости.

Методология и методы исследования. В исследовании приняли участие 25 студентов Горийского государственного учебного университета обоего пола в возрасте от 18 до 23 лет. Двигательная нагрузка в течение дня составила в среднем 5 км. Изучены: вегетативный индекс Кердо (ВИ), коэффициент Хильдебранта (КХ), тип саморегуляции кровообращения при привычной и максимальной скорости ходьбы.Перед началом ходьбы и после ее окончания всем испытуемым измеряли артериальное давление (систолическое САД и диастолическое – ДАД), подсчитывали частоту сердечных сокращений (ЧСС) и частоту дыхания (ЧД).Также было проведено анкетирование наследственности по сердечно – сосудистым заболеваниям. В качестве стандартной нагрузки применялась дозированная ходьба на 50 метров.

У половины студентов родители страдали такими сердечно – сосудистыми заболеваниями,как гипертоническая болезнь, ишемическая болезнь сердца, инсульт, варикозное расширение вен.

Исследование показателей у студентов при ходьбе с привычной скоростью. При определенном образе жизни, темпераменте, поле, наследственности образуется привычный для организма ритм двигательной активности,который можно назвать ендогенным, т.к. он закрепляется на уровне центральной нервной системы. В литературе имеются данные о минимизации энергозатрат при движении, совершаемом согласно эндогенному ритму двигательной активности.

Исходя из вышесказанного нами был изучен привычный для организма студентов ритм двигательной активности при ходьбе на ровной горизонтальной поверхности.Скорость привычной ходьбы составила в среднем 1,4 ± 0,06 м/с (5,04 км/ч).

При исследовании индекса Кердо было установлено увеличение числа студентов с преобладанием тонуса симпатической ВНС (до 92%) за счет снижения количества с парасимпатической ВНС и эйтонией.

Сопряжение деятельности сердечно – сосудистой и дыхательной систем по коэффициенту Хильдебранта при привычной скорости ходьбы сохраняется, как и в покое, преобладает рассогласованность этих систем за счет учащения ЧСС с 77,8 ± 3,5 до 106,7± 72,1 уд/мин при $p < 0,001$.При этом было отмечено увеличение ДАД с 73,5 ± 2,2 до 79,0 ± 2,5 мм рт.ст. при $p < 0,05$.

При исследовании типа саморегуляции кровообращения прослеживается увеличение до 92 % количества студентов с гиперкинетическим типом за счет перераспределения исследуемых в других группах.

Изучение показателей ВНС при ходьбе с максимальной скоростью. Нами было установлено, что контрольное расстояние 50 м студенты проходили со средней скоростью 2,04 ± 0,09 м/с. Время прохождения 50 метров в среднем составило 25,2 ± 1,26 с.

При исследовании тонуса ВНС по индексу Кердо при ходьбе с максимальной скоростью были получены следующие данные.Увеличилось число испытуемых с преобладанием тонуса симпатической ВНС до 92% (в покое 42%) за счет снижения тонуса парасимпатической ВНС и уменьшение числа студентов с эйтонией.

При изучении сопряженности сердечно – сосудистой и дыхательной систем по коэффициенту Хильдебранта не прослеживается его изменения по сравнению с покоем. Как и в покое, у большинства (71,4%) студентов выявляется рассогласованность данных систем за счет увеличения ЧСС до 154,5 ± 5б8 уд/мин ($p < 0,001$).

При исследовании типа саморегуляции кровообращения при максимальной скорости ходьбы у студентов увеличивается число исследуемых с гиперкинетическим типом саморегуляции кровообращения до 92% за счет уменьшения числа студентов с другими типами. ЧД возрастает до 23,3 ± 0,9 в мин.

Выводы

1. При привычной скорости ходьбы у студентов происходит активация симпатической ВНС, что ведет к учащению ЧД, ЧСС и перестройке саморегуляции кровообращения на гиперкинетический тип.

2. Максимальная скорость ходьбы у студентов поддерживается за счет активации симпатической ВНС, что проявляется в учащении ЧД и ЧСС, перестройке саморегуляции кровообращения на гиперкинетический

тип. Деятельность сердечно – сосудистой и дыхательной систем при максимальной скорости ходьбы рассогласована.

ЛИТЕРАТУРА:

1. Физиология спорта, Дж. Х. Уилмор, Д. Л. Костилл. - Киев, 2001, с.161 -173
2. Вегетативные расстройства: Клиника, лечение, диагностика /Под ред. А.М.Вейна. –М.:Медицина, 2000, 752 с.
3. Карлов В.Н. Реакции адаптации организма здоровых лиц и больных нейроциркуляторной дистонией на краткосрочную гипоксию и физическую нагрузку в зависимости от характера вегетативной регуляции сердечно – сосудистой системы: Автореф.канд.дис. Томск, 1990, 20 с.
4. Набиулин М. С., Кутькин В. М. Некоторые механизмы экономизации энергозатрат при различных видах двигательной активности. // Бюлл.СОРАМН,1995, № 1, с.72 – 75.

დოზირებული სიარულის მოქმედება სტუდენტების გულ–სისხლძარღვთა სისტემასა და ვეგეტატიურ რეაქციებზე

მარიამ უბირია, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

რეზიუმე

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ დოზირებული სიარულის დროს ორგანიზმში მიმდინარეობს ცვლილებები, რომელიც ეხება ვეგეტატიურ რეაქციებსა და გულ-სისხლძარღვთა სისტემას: ხორციელდება სიმპატიკური ვეგეტატური ნერვული სისტემის აქტივაცია, რაც გამოიხატება სუნთქვის და გულის შეკუმშვის გახშირებით და სისხლის მიმოქცევის ჰიპერკინეტიკურ ტიპზე გადასვლით. მაქსიმალური დატვირთვის დროს გამოვლინდა გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების ასინქრონული ურთიერთმოქმედება.

INFLUENCE OF DOZED OUT WALKING ON CARDIOVASCULAR AND VEGETATIVE REACTIONS OF STUDENTS

Mariam Ubiria, Specialist by Contract, Doctor

RESUME

At habitual speed of walking the activation of sympathetic vegetative nervous system appears at students that conducts to the increase of frequency of breath, cardiac rate and reorganization of self – control of blood circulation on the hyperkinetic type.

The maximal speed at students at walking is supported due to the activation of the sympathetic vegetative nervous system that is shown by the increase of frequency of breath and cardiac rate, reorganization of self – control of blood circulation on the hyperkinetic type of blood circulation.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

საერთაშორისო ტურიზმი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემები

მაია აზმაიფარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ტურიზმი დღეისათვის ერთ-ერთ მთავარ სოციალურ-ეკონომიკურ სექტორს წარმოადგენს, რომელიც ინარჩუნებს სტაბილურობას და XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ყოველწლიურად 4-5%-ით ზრდის თავის მაჩვენებლებს. საერთაშორისო და შიდა ტურიზმის კომბინაცია დღეისათვის აღიარებულია როგორც „უდიდესი მრეწველობა“. XXI საუკუნეში ტურიზმი პოპულარული, გლობალური საქმიანობა

გახდა. 2010 წელს მსოფლიო მასშტაბით 940 მილიონი საერთაშორისო ტურისტული ჩასვლა განხორციელდა, რაც 6,6% -ით ზრდა იყო 2009 წელთან შედარებით. 2010 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 919 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 4,7%-იანი ზრდა იყო. 2011 წელს ტურიზმის წილმა მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში 9% შეადგინა, რაც 6 ტრილიონ დოლარს აღემატება. მოსალოდნელია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა გაგრძელდება საშუალოდ 4%-იანი წლიური ზრდის ტემპით და უახლოეს მომავალში მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს, ანუ დაახლოებით 10 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება. აღნიშნულ სექტორში 255 მილიონზე მეტი ადამიანი მუშაობს, რაც მსოფლიო მასშტაბით დასაქმების 8,7% შეადგენს, მოსალოდნელია, რომ 2022 წლისთვის აღნიშნულ სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა 328 მლნ მდე გაიზრდებოდა, ის მთლიანი სამუშაო ადგილების 10%-ს შეადგენს.

საერთაშორისო ტურიზმი შეიძლება განხილული იქნეს როგორც საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ბუნების კომერციალიზაციის ფაქტორი. ბოლო ათწლეულში მსოფლიო საზოგადოება წააწყდა მთელ რიგ გლობალურ და ლოკალურ ეკოლოგიურ პრობლემას. ეს არის კლიმატის გლობალური დათბობა, ატმოსფეროს ოზონის შრის გარღვევა, დედამიწის ერთ დროს უხვ მოსავლიანი მიწების გაუდაბნოების პროცესი, ტყეების (ჟანგბადის ფილტვების) გაჩეხვის პრობლემა და ა. შ. ქვეყნები როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთობლივად ცდილობენ ამ პრობლემების მოგვარებას. ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის წარმოქმნის განმსაზღვრელ მიზეზს წარმოადგენს ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ანთროპოგენური, დაუდევარი, მფლანგველური და არარაციონალური საქმიანობა. ბუნებრივია აქ ჩნდება ასეთი კითხვა: რომელი უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკა თუ ეკოლოგია? მოგება თუ სუფთა ჰაერი? აი როგორი ალტერნატივის არჩევის წინაშე დადგა კაცობრიობა დღეს. სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაში 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულმა საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო კონვენცია ფლორასა და ფაუნას დაცვის შესახებ, რაც გულისხმობს ეკონომიკური ზრდის შენელებას გარემო ბუნებრივი პირობების დაცვის მიზნით. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ეკონომიკური აქტივობის ყოველმა სფერომ, მატერიალური წარმოების ყველა დარგმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი თავის პროგრესი ბუნების ეკოლოგიური პირობების დაცვისა და შენარჩუნების პირობებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურისტული საქმიანობა ხდება მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული და დინამიურად განვითარებადი სექტორი. ბუნებრივია აქ ჩნდება ასეთი კითხვა: რა დამოკიდებულებაშია ტურიზმის განვითარება რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემასთან? აქ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი. როგორც ი. ენჯეიჩიკი აღნიშნავს: ტურიზმით განპირობებული ხალხთა უდიდესი კონცენტრაცია ერთ რომელიმე განსაზღვრულ რეგიონულ სივრცეში ქმნის მრავალი სახის, გრანდიოზული მასშტაბის პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ტურისტული ზონების დაბინძურებასთან, იშვიათი ჯიშის მცენარეების გაჩეხვასთან, ენდემური ჯიშის ცხოველებზე ნადირობასა და დაუდევრობით გამოწვეულ ხანძრებთან". არსებობს ბევრად უფრო რადიკალური, ანტიტურისტული მოსაზრებებიც. ასე მაგალითად, ტურიზმის ცნობილი თეორეტიკოსის ი. კრიპენ-დორფის მოსაზრებით, ტურიზმმა გამოიწვია სტუმართმასპინძლობის ტრადიციის კომერციალიზაცია. ძველი სიტყვის „სტუმრის" ნაცვლად სიტყვით ლექსიკონში, საუბრისას ხმარებაში შემოვიდა ახალი კომერციული ტერმინები _"კლიენტი" და „ტურისტი". ი. კრიპენდორფმა განსაზღვრა ტურიზმის ეკონომიკური სისტემა ტერმინით „პეიზაჟის შემფასებელი", რითაც მან ხაზი გაუსვა ამ დარგის მიმართ არსებულ მზარდ მოთხოვნაზე, რომელიც ცალსახად მოქმედებს ყველა ახალ ტერიტორიაზე. მეორეს მხრივ, ტურისტული საქმიანობის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს სწორედ ეკოლოგიური ფასეულობანი და ველური ბუნების სილამაზე. გარემოს დაცვა ტურისტული ინდუსტრიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ტოლფასია. ამიტომ სუფთა და მწვანე გარემოს შენარჩუნებისათვის შეიძლება დაწესდეს შემდეგი სახის სპეციალური გადასახადები: ქალაქურ დასახლებაში შემავალ ავტომობილებზე, სატრანსპორტო საცობებზე, ხმაურიან თვითმფრინავებზე, საწვავზე, ჰაერის დაბინძურებაზე, მუნიციპალური გადასახადები და ა. შ.

ტურისტული საქმიანობისადმი გარემოსდაცვითი მიდგომა მიმართულია ტურიზმის მიერ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე მოხდენილი ზეგავლენისა და სახელმწიფო შემოსავლებში მისი როლის გადაფასებაზე. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობრივი შეფასება შეიძლება საგადასახადო ბალანსის მაჩვენებელთა მეშვეობით, სადაც გამოიყოფა უხილავი ექსპორტისა და იმპორტის მუხლები. იგი მოიცავს ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებსა და გასავლებსაც. ტურისტული საქმიანობის გარემოსდაცვითი ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, ახდენს ტურისტულ ბაზარზე სამეურნეო სუბიექტის, ანუ ტურისტული ფირმების საქმიანობის ეკოლოგიურ ანალიზს. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია დავეყრდნოთ ისეთ ეკოლოგიურ მაჩვენებლებს, როგორიცაა: ეკოლოგიური ეფექტი, მიწის

ნაყოფიერება, ჰაერის გაჭუჭყიანების დონე, კლიმატური კატაკლიზმების სიხშირე და ა. შ. საერთაშორისო ტურიზმის გარემოსდაცვითი ანალიზი გულისხმობს რაციონალური ბუნებათსარგებლობის ანგარიშთა შედგენას. ეკოლოგიური რენტა ეს არის ბუნების სარგებლობისათვის ტურისტული კომპანიების საქმიანობაზე დაწესებული გადასახადების სახით მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი, რომელიც უნდა მოხმარდეს ტურისტების მიერ ბუნებაზე მიყენებული ზარალის აღმოფხვრას და გარემოს აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. ველურ ბუნებაში ტურისტების დასვენებაზე ეკოლოგიური რენტის დაწესების მიზეზს წარმოადგენს ტურისტული და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების სპეციფიკურობა, მათი უნიკალური ბუნებრივ-გამაჯანსაღებელი, სულიერი, ესთეტიკური, ისტორიულ-კულტურული და სხვა დანიშნულება, მაგრამ ეკოლოგიური (ტურისტული) რენტა შეიძლება გადაიქცეს სახელმწიფოს მხრიდან ტურისტულ სექტორზე მონოპოლისტური ზემოქმედების ინსტრუმენტად. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად საჭიროა უნიკალური ხარისხის ტურისტული რესურსების სამეურნეო გამოყენებაზე დაწესდეს ოპტიმალური ეკოლოგიური რენტა. დიფერენციალური ტურისტული რენტა წესდება ტურისტული რესურსების გამოყენებაზე. საზღვარგარეთ მოგზაურობა უნდა ბევრს, მაგრამ ამის საშუალება აქვს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 14%-ს. მოგზაურობა ასოცირდება საზოგადოების ელიტარულ ნაწილთან, რადგანაც მოგზაურობა დიდ ფინანსურ შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული. ტურისტების მიერ საზღვრის გადაკვეთა განსაკუთრებით პრობლემატურია ტოტალიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნებში. თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისათვის მოგზაურობის პროცესი შეუქცევადი გახდა. მან შეიძინა კონიუნქტურული ხასიათი. გარემოს დაცვის ხელშეწყობისა და ტურისტული დასვენების მიზნით ადამიანს უწევს ბევრ სხვა სიამოვნებაზე უარის თქმა. საერთაშორისო ტურიზმში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული სხვადასხვა სახის ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესი. შედეგად ტურ-ოპერატორები და ტურისტული სააგენტოები, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ მოგზაურობის ტექნოლოგიებს, შეუძლიათ ტურისტებს შესთავაზონ მათ მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოებული ტურისტული პროდუქტი. ტურისტული კომპანიები ამ გზით მრავალი მილიონი დოლარის ღირებულების ოპერაციებს ატარებენ. თანამედროვე საერთაშორისო ტურიზმის წარმატება დამოკიდებულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, დროის ბიუჯეტსა და მოგზაურობით ადამიანთა გატაცებაზე. [1]

ამრიგად, საერთაშორისო ტურიზმი ბუნებრივ გარემოზე ზეგავლენის უნარის მქონე ერთ-ერთი უდიდესი დარგია. მართალია 2008 წლის მსოფლიო საფინანსო კრიზისმა დააზარალა ეს დარგი, მაგრამ მისი განვითარების გრძელვადიანი პროგნოზები დადებითია. საერთაშორისო ტურიზმის განვითარება დაკავშირებულია ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ სარგებელთან, რომელთა შორის არის გარემოს დაცვა, ეკოლოგიური თანამშრომლობის გაღრმავება, სახელმწიფო შემოსავლების ზრდა, სიღარიბის შემცირება, ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ადგილობრივი კულტურის განვითარება. გარემოს დაცვაზე ყურადღების გამახვილებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საზოგადოების წევრთა სულიერ ფასეულობებში. კერძოდ, შეიცვალა ადამიანთა დამოკიდებულება ბუნების გამოყენების მიმართ. დღეისათვის მათ გაცილებით მეტად სურთ ბუნებრივი რესურსების მიზანდასახულად გამოყენება, ვიდრე წინათ. თანამედროვე პირობებში ადამიანები უფრო მეტად იჩენენ გარემომცველი სამყაროს და სხვა კულტურათა მონაპოვრის შეცნობის ინტერესს. დღევანდელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უფრო მეტად სურს დაისვენონ საზღვარგარეთის კურორტებსა და თვალწარმტაც ბუნებაში, დაათვალიერონ მუზეუმები და ძეგლები.

საერთაშორისო ტურიზმი შეიძლება გადაიქცეს დეპრესიაში მყოფი რაიონების, პატარა და საშუალო ისტორიული მნიშვნელობის მქონე ქალაქების განვითარების ხელშემწყობად, რაც მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისათვის. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ ქვეყნების სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობას, რომელთაც თავი ვერ დააღწიეს კრიზისს, ვიდრე მთავარ სახელმწიფო სტრატეგიად მათ არ გამოაცხადეს საერთაშორისო ტურიზმი. მაგალითად: ზამბიის აგრარული პროდუქციის მწარმოებელმა ფერმერებმა გამოარკვიეს, რომ ისინი გამოიმუშავებდნენ სამჯერ უფრო მეტს, თუ ორგანიზებას გაუკეთებდნენ თავიანთ მიწაზე ტურისტების ჩამოსვლას ველური ბუნების დათვალიერების, ეკოლოგიურად გონივრული ნადირობისა და სხვა ტურისტული ღონისძიებების შეთავაზებით, ვიდრე მანამდე, როცა თავიანთ საკარმიდამოში ისინი იყენებდნენ რესურსდამზოგავ აგრარულ ტექნოლოგიას. ამის მეორე მაგალითია ფინეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი – როვანიემი. ადრე ის იყო ფინეთის ტყის მჭრელთა და ოქროს მომპოვებელთა ქალაქი, დღეს კი როვანიემი არის ფინეთის ტურისტული ცენტრი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ, ეგვიპტის კურორტი წარმოიქმნა ამ ქვეყანაში ნავთობის მოძიება-ამოქაჩვა-გადამუშავების მიზნით ბრიტანეთის ნავთობმომპოვებელ მუშაკთა გადმოსახლების ხარჯზე. ანდორას, რომლის ისტორიაც ითვლის სულ რაღაც 700 წელს, დიდხანს არ

შეეძლო აემაღლებინა მის მოქალაქეთა კეთილდღეობა. 1950-იან წლებამდე ამ ქვეყნის ეკონომიკის წამყვან დარგს წარმოადგენდა მეხილეობა. ევროპაში ანდორელი გლეხები ოდითგანვე ითვლებოდნენ ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ მოსახლეობად. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ საერთაშორისო ტურიზმი აიყვანა ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგთა რანგში, მიაღწია იმას, რომ ახლა ანდორა იქცა აღმავალ სახელმწიფოდ, რომელმაც ტურისტების მიღებით შეძლო ერის კეთილდღეობის ამაღლება. ანალოგიური სურათია დამახასიათებელი აღმოსავლეთ ჩეხეთისათვისაც. მთაში განლაგებული ბევრი საშახტე ქალაქი თავისი სპეციალიზაციით გადაერთო საერთაშორისო ტურიზმზე. სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის აქ აშენდა ტურისტული ინფრასტრუქტურა. ადრე მოქმედი სამრეწველო საწარმოები გადაიქცა მუზეუმებად, რომელიც გამიზნულია ტურისტების დასათვალიერებლად. აგრეთვე პოლონეთში ქვანახშირის მომპოვებელი სამრეწველო ობიექტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც ძველ შახტზე ტურისტებს შეუძლიათ გაეცნონ ქვანახშირის მოპოვების ტექნოლოგიას. პოლონეთის ქალაქ კრაკოვის ახლოს მიმდებარე ტერიტორიაზე XIII საუკუნეში მოიპოვებდნენ მარილს. იუნესკოს მოქმედი ცხრა მსოფლიო დონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში აღნიშნული შახტი შეტანილია მესამე ადგილზე, რომელიც შეუძლია დაათვალიეროს ნებისმიერ ტურისტს. ზოგიერთ საბადოში მარილისაგან გამოკვეთილია ქანდაკებები. შახტში მომუშავე მუზეუმში ტურისტებს შეუძლიათ გაეცნონ მარილის მოპოვების ისტორიას. აგრეთვე ავსტრიის დიდი ისტორიის მქონე ძველი ქალაქებიც მოგვიანებით გადაიქცა საერთაშორისო დონის პრესტიჟულ კურორტებად. გერმანიაში ტურისტებისათვის მიმზიდველია აგრეთვე მწვანედ შეფერილ ფერდობზე გაშენებული კურორტები, რომლებიც ესაზღვრებიან ავსტრიის ტერიტორიასთან მდებარე ტბას. ბავარიაში ამ რეგიონს უწოდებენ "ოქროს სანაპიროს". მისი გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა მარილი, რომელსაც აქ მოიპოვებდნენ 1212 წლიდან. ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში მარილის მოპოვების როლზე მოწმობს ის ფაქტი, რომ პატარა ქალაქების, სოფლებისა და ნაკადულების უმრავლესობამ მიიღო "მარილის" სახელწოდება. ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში ტურიზმის დადებითი ზეგავლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ სან-მარინოს რესპუბლიკა, რომელსაც ადრე ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაცია, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე მისი ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმი. [4]

ამრიგად, მთელ მსოფლიოში გაძლიერდა მოძრაობა გარემოს დაცვის მიზნით. შესაბამისად მოიმატა მაღალი შეგნების ტურისტების რიცხვმაც, რაც ხელს უწყობს აგროტურისტების რაოდენობის ზრდას ნაკლებად ცივილიზებულ რეგიონებსა და ქვეყნებში. ეს ვითარება განაპირობა ორმაგმა მიდგომამ: პირველი გაიზარდა ეკოლოგიისადმი ტურისტების მიმღები ქვეყნების ყურადღება და მეორე _ თვით მომხმარებლებიც გაცილებით უფრო მეტად აღიარებენ გარემო ბუნების სათუთ ხასიათს და აქტიურად ზრუნავენ მის შენარჩუნება-გაკეთილშობილებაზე.

ლიტერატურა:

1. დ. ქათამაძე, ლ. ქათამაძე, საერთაშორისო ტურიზმი, ბათუმი, 2013.
2. ტურისტული საქმიანობის დაგეგმვა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010.
3. მ. უკლება, საერთაშორისო ტურიზმი, თბ., 2009.
4. А. Ю. Александрова, МЕЖДУНАРОДНЫЙ ТУРИЗМ, Москва, 2002.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საერთაშორისო ტურიზმი, როგორც ბუნებრივ გარემოზე ზეგავლენის უნარის მქონე ერთ-ერთი უდიდესი დარგი. გაანალიზებულია შედეგები: დღევანდელი ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა გაგრძელდება საშუალოდ 4%-იანი წლიური ზრდის ტემპით და უახლოეს მომავალში მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს, ანუ დაახლოებით 10 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება. აღნიშნულ სექტორში 255 მილიონზე მეტი ადამიანი მუშაობს, რაც მსოფლიო მასშტაბით დასაქმების 8,7% შეადგენს, მოსალოდნელია, რომ 2022 წლისთვის აღნიშნულ სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა 328 მლნ-მდე გაიზრდებოდა, ის მთლიანი სამუშაო ადგილების 10%-ს შეადგენს.

INTERNATIONAL TOURISM AND PROBEMS OF RATIONAL USE OF NATURE

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

RESUME

The article deals with international tourism, as capable of influencing the natural environment - one of the largest industry. The results are analyzed: The article refers to the connection between the arrival of foreign tourist and the income. It is predicted, that the tourism will grow by average of 4% -annual growth rate, by 10% of gross domestic product, which is equal to about 10 trillion dollars. This sector employs over 255 million people worldwide, which is 8,7% of the total global employment. It is expected that by the year of 2022, the number of jobs created in this sector will have been increased up to 328 million, which is 10% of the total jobs.

„ტალანტ-მენეჯმენტი“ – ადამიანის პოტენციალის მართვის აქტუალური მიმართულება

***ხათუნა ბებნაძე**, ასოცირებული პროფესორი*

სოციალური სისტემების წარმატება ცალსახად დეტერმინებულია ადამიანური რესურსების სწორად წარმართვით. თითქოს, ერთი შეხედვით, მარტივი მტკიცებულება აქტუალურობას არ კარგავს, მუდმივი განსჯის ობიექტია, თუ როგორ მოხერხდეს ამ პოსტულატის განვითარება რეალურ სამყაროში, სადაც გადაულახავია უმუშევრობა, სიღარიბე და, უკეთეს შემთხვევებში, მთელი სიმძაფრით წარმოჩინდება თვითრეალიზების, თუ სამუშაოთი კმაყოფილების ტოტალური ნაკლებობა. კაცობრიობის ჰუმანიზაცია მსგავსი ტიპის კოლაფსებთან არათავსებადია. თვითკრიტიკულმა ინტელექტმა ვერ უნდა აიტანოს რესურსების უკმარისობის პირობებში ასეთი „გაჟონვები“, აღიაროს ეს ჩამორჩენილობა და მეტად განვითარდეს, მოძებნოს გზები, რათა მიღწეული იქნეს კაცობრიობის უმთავრესი მიზანი და შედეგი – ადამიანი მისი პოტენციალის საუკეთესო გამოვლინებებით.

პოტენციალის მართვის რაკურსები, მიზნის შესაბამისად, განსხვავებულ მიმართულებებს იძენს. პოტენციალი არის ფარული არარეალიზებული, გამოუყენებელი რესურსების ერთობლიობა, რომელიც განვითარების და მართვის შემთხვევაში, შესაძლოა გახდეს გამოსადეგი და წარმატების წყარო. პიროვნების, ორგანიზაციის, ქვეყნის წარმატების საწინდარი რესურსების ოპტიმალური გამოყენებაა. რესურსებში მოიაზრება: სამეწარმეო უნარი, ადამიანური რესურსები, შრომა, კაპიტალი, ტექნოლოგია, მიწა. თუმცა, ამ რესურსებიდან, მიწის გარდა, ყველა ადამიანისეულია. ამავე დროს, ადამიანი (მისი თვისებები, უნარები) არის ყველა რესურსის გამოყენების წინაპირობა შესაბამისად, აქტუალურია ადამიანის ფარული თუ აშკარა უნარების გამოვლენა, ინტელექტის, ტალანტის, პოტენციალის გამოყენების წარმატებასთან პირდაპირი კორელაციის გამო. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებებიდან აქტუალურია: პიროვნების ტალანტის შეფასება და მისი მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება–დანერგვა; წარმატებისა და ტალანტის მართვის, ტალანტის და ინტელექტის ურთიერთმიმართების საკითხების გარკვევა.

ტალანტის მართვის სისტემა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთჯერადი, მხოლოდ მიკროჯგუფებზე განვრცობადი პროცესი. ის უნდა აღვიქვათ, როგორც ერთიანი პროცესი, რომელიც თავის მთლიან ეფექტურობას და ეფექტიანობას აღწევს მაშინ, როცა დანერგილია სამ განზომილებაში:

ინდივიდის დონეზე – ეს არის საკუთარ თავში ტალანტების შეფასება, გამოვლენა, მართვა. შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება, მის გამოყენებაში დახმარება, თვითდაკვირვება, თვითგამოკვლევა, რაც ამ სფეროში განსაკუთრებით აქტუალურია, ობიექტის სირთულიდან გამომდინარე.

მიკროდონეზე – ორგანიზაციაში, ინსტიტუციებში მომუშავეთა ტალანტების შეფასება, გამოვლენა, სტიმულირება, განვითარება, ასევე ტალანტების მოზიდვა და დამაგრება.

მაგალითისთვის, ბიზნესისადმი პრაგმატული მიდგომების ინტერესშია ყველაზე ძვირადღირებული – ადამიანური რესურსის რეალური ღირებულების (Employee Value Proposition – EVP) – მასზე დანახარჯებისა და მისგან მიღებული სარგებლის თანაფარდობის – დადგენა ხანგრძლივვადიან პერიოდში. აქ იკვეთება ადამიანური რესურსების მართვის წმინდა ემპირიული მიდგომებიც.

მაკროდონეზე – ეს არის ქვეყანაში ყოველი ადამიანის ტალანტის გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობის სისტემის მუდმივი ფუნქციონირება.

თითოეულ დონეზე ტალანტების მენეჯმენტს ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა და სირთულე, რაც განსაკუთრებულ მიდგომებს საჭიროებს. თუმცა, შედეგი სწორი სტრატეგიის შემთხვევაში თვალშისაცემია – ტალანტის მართვა იძლევა საფუძველს გამოვლინდეს, გაიზარდოს და ათვისებული იქნეს ყველა პოტენციალი, რაც ზოგადად ეფექტიანობის მიღწევის მთავარი წინაპირობაა.

აშკარაა, რომ მიმდინარე გამოწვევები საჭიროებს სათანადო საპასუხო ქმედებებს – ტალანტების მართვის საჭიროების გაცნობიერებას, სტრატეგიების შემუშავებას, დანერგვას. თუ გავერკვევით უფრო სიღრმისეულად ტალანტის არსში, აღმოვაჩენთ საკითხის სირთულეს. ტალანტი არის პიროვნების ბუნებრივი მიდრეკილება ან უნარ-ჩვევა. მისი სინონიმია ნიჭი, ნიჭიერება. ამის შესახებ მეცნიერთა შეხედულებები განსხვავებულია. ძირითადად მიიჩნევა, რომ ის არის ბუნებით მიმადლებული, მინიჭებული, ობიექტურად არსებული. ანალოგიურიად, ნიჭიერის ინგლისურ შესატყვისს – „Talented"–ს აქვს სინონიმი – „დასაჩუქრებული" – "Gifted". მეცნიერთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მისი „შეძენა", „გამომუშავება" შესაძლებელია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ნიჭი აუცილებლად ვლინდება ყველა შემთხვევაში. ამიტომ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ტალანტის შეფასება-გამოვლენა-განვითარება-გამოყენება, ანუ მართვა. ტალანტის მართვის მეთოდოლოგია გარკვეულწილად შესწავლილია, თუმცა, დღემდე კვლევის ობიექტია მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიერ და მიიჩნევა, რომ ამ მხრივ სიზუსტისგან კაცობრიობა ჯერ კიდევ შორსაა და ხშირად იცვლის გეზს. კვლევებს ართულებს ხანგრძლივვადიან პერიოდში დაკვირვების აუცილებლობა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კვლევის ობიექტის განსხვავებულობა, თვითდაკვირვების შემთხვევაში კი – სუბიექტივიზმის არსებობა.

ნიჭიერების შესაფასებლად დღესაც გამოიყენება ინტელექტუალური ასაკის ბიოლოგიურ ასაკთან შეფარდების ანალიზი, თუმცა სხვადასხვა ასაკში და პირობებში ეს კოეფიციენტი არაადეკვატურია. პიროვნების ნიჭიერად შერაცხვის კრიტერიუმებიც ასევე იცვლება. ხშირად მოზარდები, რომელთაც აქვთ ხანმოკლე ბავშვობა – ადრეულ ასაკში ბრძენდებიან, რომლებიც განვითარებით უსწრებენ თანატოლებს, მოზრდილ ასაკში არაფრით გამოირჩევიან მათგან, თუმცა არსებობენ გამონაკლისებიც. ამასთან არის საწინააღმდეგო შემთხვევები: არაფრით გამორჩეული ბავშვები ან მოზარდები, რომლებიც არ ავლენენ განსაკუთრებულ ტალანტს, ზრდასრულ ასაკში აღწევენ გასაოცარ წარმატებებს. მიიჩნევა, რომ მათ, ვისაც რთული აზროვნება აქვთ, ბავშვობა უხანგრძლივდებათ, რადგან მეტ დროს მოითხოვს „რთული ტვინის" გამოყენების შესწავლა, თუმცა არც ეს თეორია ამართლებს ყველა შემთხვევაში. ნიჭიერად მიჩნეულ მოზარდთა სტატისტიკურ უმრავლესობაზე დაკვირვებით მეცნიერები თანხმდებიან, რომ ყოველგვარი გადახრა ნორმალური პარამეტრებისგან, დარღვევაა და სერიოზულ მეთვალყურეობას საჭიროებს. მაგალითად, გამ-ოვლენილია, რომ „ვერბალისტები" (სწრაფი და ბევრი საუბრისკენ მიდრეკილება), „ერუდისტები" (ინფორმაციისა და უნარ-ჩვევების დამახსოვრების უნარი) ხშირ შემთხვევაში „ცრუ" ინტელექტუალები არიან, ან ამ უნარის უკან შესაძლოა იმალებოდეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი, „ნამდვილი" ნიჭი და ვერ გამოვლინდეს ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანის გამო. ამავე დროს, არსებობენ „მძინარე ვარსკვლავები" – ფარული ნიჭის მქონენი, რომელთა გამოვლენა პიროვნების, ოჯახის, განათლების სისტემის, ქვეყნის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. დაკვირვება ცხადყოფს, რომ ყოველ ბუნებრივად, ნორმალურად განვითარებად (ჯანმრთელ) ადამიანს აქვს ერთი ან მეტი მიდრეკილება. ასეთ შემთხვევებში უნიჭობის გამოვლენა მიიჩნევა როგორც აღზრდის მარცხი. ასევე ხშირად აქვს ადგილი ტალანტის არასტაბილურ გამოვლინებებს. ადამიანები თანაბარზომიერად არ ავლენენ ტალანტს. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი შეხედვით „საშუალო ტალანტი" ავლენს საოცარ „გაბრწყინებას" და, პირიქით, „კაშკაშა ვარსკვლავები" მოკლე ან ხანგრძლივი დროით განიცდიან რეცესიას. ზოგიერთის „ტალანტი" კი საშუალო, თანაბარზომიერი ქმედითობის უნარით ვლინდება.

ტალანტის ცნება მჭიდროდ უკავშირდება ინტელექტის ცნებას, რამდენადაც თვით ინტელექტის გაგება ძალიან გაფართოვდა.

ინტელექტი განმარტებულია როგორც პიროვნების შესაძლებლობა შეიძინოს და გამოიყენოს საკუთარი რესურსები (თვისებები, ცოდნა, უნარ-ჩვევები). ზოგადად, ის განიხილება, როგორც დასწავლის, პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის უნარი.

არსებობს ხისტი მიდგომებიც – გამოუყენებელი ნიჭი ეს არის პოტენციური შესაძლებლობა, თუმცა, ეს არ არის ტალანტი. ტალანტი არაფერია მისი გამოყენების უნარის გარეშე.

გრეგორი გურჯიევი, ცნობილი ფილოსოფოსი, საფრანგეთის ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტის დამაარსებელი, მიიჩნევს, რომ ადამიანი არ რეალიზდება მისი თანაბარზომიერი, ჰარმონიული, სულიერი, ფიზიკური და ემოციური განვითარების გარეშე, რომელიც სამ საფეხურში გამოვლინდება. ესენია: ინდივიდუალური განვითარება, გუნდთან მუშაობის უნარი და სისტემის შექმნისა და მართვის უნარი.

ცნობილი ფსიქოლოგი აიზენკი (Hans Jürgen Eysenck) განასხვავებს ბიოლოგიურ, ფსიქომეტრულ, სოციალურ ინტელექტს.

ბიოლოგიური ინტელექტი (ინტელექტი A) ნეირო–ფიზიოლოგიური და ბიო–ქიმიური ფაქტორების გავლენით ყალიბდება, დაკავშირებულია ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქთან. ის გენეტიკურად დეტერმინებულია და წარმოადგენს ინდივიდისთვის დამახასიათებელი ფუნქციონირების ბიოლოგიურ ბაზას.

ფსიქომეტრული ინტელექტი იზომება ინტელექტუალური ტესტებით, დეტერმინდება, როგორც ბიოლოგიურ ინტელექტით, ასევე სოციალურ-კულტურულ ფაქტორებით.

სოციალური ინტელექტი (ინტელექტი B) მოიცავს ინტელექტი A–ს, დაკავშირებულია პიროვნების უნართან მოახდინოს ინტელექტის სოციალიზაცია.

ინტელექტის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჰოვარდ გარდნერის (Howard Gardner (1983, 1993)), რობერტ სტერნბერგის (Robert Sternberg (1988, 1997)), დეივიდ პერკინსის (David Perkins (1995)) ნაშრომები. ზოგადად ინტელექტი განიხილება როგორც:

1. დასწავლის უნარი – ნიშნავს ფორმალური და არაფორმალური სწავლის, გამოცდილების, განათლების მიღების უნარს;

2.პრობლემის დასმის უნარი – გულისხმობს პრობლემური სიტუაციის შეცნობის და ნათლად დეფინიცირების უნარს

3.პრობლემის გადაწყვეტის უნარი – მოიცავს ამოცანების დასმას, პროდუქტის შექმნას, რთული პროექტების განხორციელებას.

ჰოვარდ გარდნერმა შეძლო ინტელექტის რვა სახესხვაობის იდენტიფიცირება:

1. ლინგვისტური ინტელექტი (Linguistic) – სიტყვების ეფექტურად გამოყენების უნარი, როგორც ვერბალურად, ასევე წერილობით;

2. ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი (Logical-mathematical) – კალკულირების, გაზომვის და რთული მათემატიკური ოპერაციების შესრულების უნარი;

3. სივრცული ინტელექტი (Spatial) – სამყაროს და მისი გარდაქმნების ვიზუალურად ზუსტად აღქმის უნარი.

4. განხეულებულ-კინეტიკური ინტელექტი (Bodily-kinesthetic) – იდეების, გრძნობების, შესაძლებლობების გამოხატვა სხეულის გამოყენებით და შეფასების უნარი აღდგენისა თუ ტრანსფორმირებისთვის;

5. მუსიკალური ინტელექტი (Musical) – მუსიკალური ფორმების აღქმის, ჩაწვდომის, განსხვავების, ტრანსფორმირების, გამოხატვის შესაძლებლობა;

6. ინტერპერსონალური ინტელექტი (Interpersonal) – ადამიანის უნარი, აღიქვას, შეიცნოს, განასხვავოს სხვა ადამიანების განწყობა, ზრახვები, მოტივაცია, გრძნობები;

7. ინტრაპერსონალური ინტელექტი (Intrapersonal) – საკუთარი თავის შეცნობის და მის საფუძველზე ადაპტირების უნარი;

8. ნატურალისტური ინტელექტი (Naturalistic) – ბუნების, ცხოველთა ქცევების, არქეოლოგიის და ანთროპოლოგიისადმი ინტერესი და მათი შეცნობის უნარი.

რობერტ სტერნბერგმა ინტელექტის სამი სახეობა განასხვავა:

1. პრაქტიკული ინტელექტი (Practical intelligence) – ფორმალური და არაფორმალური განათლების ჩამოყალიბების უნარი, გარემოში ადაპტირების უნარი;

2. ემპირიული, ცდისეული ინტელექტი (Experiential intelligence) – უნარი გაუმკლავდეს ახალ სიტუაციებს, ახალ სიტუაციებში მოახდინოს ავტომატური ადაპტაცია, უნარი, იფიქროს ახალ გზებზე;

3. კომპონენტური ინტელექტი (Componential intelligence) – ინფორმაციის დამუშავების უნარი: მეტაკოგნიტური, შესრულების, წარდგენის, ცოდნის შეძენის უნარი, უნარი უხელმძღვანელოს კოგნიტურ პროცესებს.

დეივიდ პატრიკსმა კვლევევბით დაასაბუთა, რომ შესაძლებელია ინტელექტის გაუმჯობესება, გადახალისება ცოდნის გადაცემის, კოგნიტური უნარების დაუფლების საფუძველზე. მან გამოყო ინტელექტის სამი სახეობა:

1. ნერვული ინტელექტი (Neural intelligence). ნევროლოგიკური სისტემის ეფექტურობა და სიზუსტე. ის შესაძლოა იყოს როგორც თანდაყოლილი, გენეტიკური, ასევე შეძენილი. შესაბამისად, შესაძლებელია მისი გაუარესება, ან გაუმჯობესება;

2. ცდისეული, ემპირიული ინტელექტი (Experiential intelligence) – აკუმულირებული ცოდნა და გამოცდილება, განსხვავებულ გარემოში მიღებული გამოცდილებები. ის შესაძლებელია იყოს გააზრებული, როგორც ყველა გამოცდილების აკუმულირება. ემპირიული ინტელექტი იზრდება და მდიდრდება გამოცდილების მიღების კვალდაკვალ;

3. გონებრივი ინტელექტი (Reflective intelligence) – აღიქმება როგორც კონტროლის სისტემა, იძლევა ნერვული და ემპირიული ინტელექტის სწორად გამოყენების საშუალებას, მოიცავს პიროვნების პრობლემებთან გამკლავების, სწავლების, რთული ამოცანების გადაწყვეტის სტრატეგიებს, დამოკიდებულებებს, რომელიც აძლიერებს სიმტკიცეს, სისტემატიზაციის უნარს. მოიცავს თვითმონიტორინგს და თვითმენეჯმენტს. აზროვნების ჩვევები შესაძლებელია იქნეს დასწავლილი და გაუმჯობესდეს.

მიუხედავად მრავალი დეფინიციისა, თანამედროვე მენეჯმენტი ინტელექტს განიხილავს ბაზისური ინტელექტის, ემოციური ინტელექტის და სოციალური ინტელექტის ჭრილით. ამ მიმართულებით კვლევას ჩარლზ დარვინმა ჩაუყარა საფუძველი, რომელიც სწავლობდა ინტელექტის კოგნიტურ ასპექტებს, დამახსოვრების და პრობლემის გადაწყვეტის უნარებს.

ემოციური ინტელექტი დღეისათვის ასოცირდება დენიელ გოლმენის თეორიებთან. ის მოიცავს თვითშემეცნებას, თვითკონტროლს, თვითრეგულაციას, მოტივაციას, ემპათიას და სოციალურ უნარ-ჩვევებს.

ედუარდ თორდაიკმა (Edward Lee Thorndike) არაკოგნიტური ინტელექტის გამოსახატად გამოიყენა ტერმინი სოციალური ინტელექტი – ესაა უნარი მოახდინო საკუთარი უნარების სოციალიზაცია, გაიგო და მართო სხვა ადამიანების უნარები. სოციალური ინტელექტი განიხილება, როგორც ინტელექტის უმაღლესი დონე.

გავრცელებულია, აგრეთვე, ინტელექტის დონეებად დეფინიცირება. გამოყოფენ ინტელექტის პირველ დონეს, იგივე ბაზისურ ინტელექტს, რაც დასწავლით, დამახსოვრებით მიიღება და აისახება ინტელექტუალურ კოეფიციენტში, ანალიტიკური აზროვნება (დასწავლილი თეორიების ანალიზის უნარი); მრავალმხრივი ინტელექტი (სხვადასხვა სფეროების დაკავშირების უნარი), ემოციური ინტელექტი და სოციალური ინტელექტი..

გავრცელებულია ინტელექტის შეფასების რაოდენობრივი მეთოდებიც. არსებობს ინტელექტის სკალა. პიროვნებას 85-114 დიაპაზონის კოეფიციენტით აქვს საშუალო ინტელექტი, 115-124 – საშუალოზე მაღალი დონე, 125–134 – ტალანტი, 135-144 – მაღალი ტალანტი, 145–164 – გენიოსი, 165-179 – გენიოსის მაღალი დონე, 180-200 – გენიოსის ყველაზე მაღალი დონე >200 – არაგაზომვადი გენიოსობა. თუმცა ამ შეფასებათა სისტემას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, რადგან ვერ დასტურდება კორელაცია მაღალ ინტელექტუალურ კოეფიციენტსა და წარმატებას შორის.

ტალანტის გამოვლენაში აღიარებულია გენეტიკის, ხასიათის, კვების, აღზრდის, გარემოპირობების როლი. ტალანტ-მენეჯმენტში ამ ფაქტორების გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

ტალანტ-მენეჯმენტი ორგანიზაციის დონეზე დაკავშირებულია პერსონალის გამოუვლენელი შესაძლებლობების, ნიჭის, ინტელექტის მართვასთან. ეს თეორია უკავშირდება ცნობილი კონსალტინგური ფირმის – „მაკ კინზი და კომპანიის“ (McKinsey & Company) საქმიანობას, რომელმაც ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოაქვეყნა ნაშრომი: „ბრძოლა ტალანტისთვის“, სადაც კომპანიის წარმატების წინაპირობად განხილულია ტალანტის გამოვლენა, მოზიდვა, დამაგრება, ხელშეწყობის, მხარდაჭერის განვითარების აუცილებლობა. ეს იდეები განმტკიცდა მაკ კინზის ჯგუფის გვიანდელ შრომებშიც. დამუშავებულია ტალანტის მართვის სტრატეგიები მრავალეროვნულ კომპანიებში. ბოსტონის კონსალტინგური ჯგუფმა (BCG – Boston Consulting Group) წარმოადგინა ტალანტების შექმნის ტაქტიკა, ტალანტისთვის ბრძოლის საპირწონედ. BCG დღემდე ერთგულობს მის მიერ არჩეულ სტრატეგიას – მხოლოდ პიროვნებების უპირატესობების მიღწევით არის

შესაძლებელი ორგანიზაციების მხრიდან კონკურენტუპირატესობის მიღწევა. „ბეინ და კომპანია“ (Bain and Company) – პერმანენტულად ეხმაურება ტალანტ–მენეჯმენტის აქტუალურ მიმართულებებს. ამ კონსალტინგურ ფირმას 400–ზე მეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული ტალანტ–მენეჯმენტის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

დღეისათვის ღირებული მეცნიერული თეორიების უმრავლესობა კონსალტინგური ჯგუფების მიერ ყალიბდება. მათ აქვთ თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია ალღო აუღონ თანამედროვე გამოწვევებს – შექმნან აქტუალური თეორიები და მათი პოპულარიზაციის ბერკეტები. ტალანტის მართვის თეორიები მსგავსი ტიპის საუკეთესო ჯგუფების ყურადღების ცენტრშია რადგან:

- აშკარაა საუკეთესო ტალანტებისა და საუკეთესო ბიზნეს შედეგების კორელაცია;
- ტალანტი არის ღირებულების შექმნის სწრაფად მზარდი რესურსი;
- ბიზნესი იქმნება მეტად რთულ და დინამიკურ კონტექსტში;
- მმართველების და ფინანსური ბაზრების მოთხოვნები რთულად ზრდადია;
- დასაქმებულთა მოლოდინი მუდმივად იცვლება;
- სამუშაო ძალის ხელფასი „ტალანტებისთვის ბრძოლის“ შესაბამისია.

როდესაც მენეჯერებს უწევთ არჩევანის გაკეთება მრავალ პრიორიტეტს შორის, მათ ურჩევენ გაიხსენონ ძველი ჩინური ანდაზა: „თუ გინდა ერთწლიანი კეთილდღეობა – გაზარდე მწვანილი, თუ გინდა ათწლიანი კეთილდღეობა – გაზარდე ხე, თუ გინდა საუკუნოვანი კეთილდღეობა – გაზარდე ადამიანები“ და ამატებენ, რომ ადამიანების გაზრდის უნარი, ასევე ტალანტია.

ლიტერატურა:

1. http://www.heidrick.com/Pages/Default.aspx;
2. Георгий Иванович Гурджиев, Беседы с учениками, Париж, август 1922 г;
3. Hans J. Eysenck, Intelligence: A New Look, New Brunswick, New Jersey, 2000;
4. Howard Gardner, Frames of Mind: The Theory of Multiple intelligence, 2011;
5. The Cambridge Handbook of Intelligence, edited by Robert J. Sternberg, Scott Barry Kaufman, Cambridge University Press 2011;
6. David Perkins. The Emerging Science of learnable Intelligence. USA. 1995;
7. Daniel Goleman, Emotional Intelligence, International Bestseller, Harvard Business School Press, 2004;
8. Neil M. Glass , Management Master class: A Practical Guide To The New Realities of Business, 1998;
9. http://www.wilderdom.com/intelligence/IQWhatScoresMean.html
10. “The War For Talent” Elizabeth G. Chambers, Mark Foulon, Helen Handfield-Jones, Steven M. Hankin, Edward G. Michaels III, August 1998;
11. Martin Dewhurst, Matthew Pettigrew, and Ramesh Srinivasan, How multinationals can attract the talent they need, June 2012;
12. „Make Talent, Not War“ Jean-Michel Caye and Karin Hinshaw, December 14, 2011;
13. Rainer Strack, Jean-Michel Caye, Vikram Bhalla, Peter Tollman, Carsten von der Linden, Pieter Haen, and Horacio Quiros, Creating People Advantage, October 18, 2012;
14. Michael Mankins, Alan Bird and James Root, How to turn star performers into a star team, January 15, 2013;
15. http://juniorbiz.com/40-chinese-proverbs-for-entrepreneurship.

რეზიუმე

ტალანტ-მენეჯმენტი ორგანიზაციის დონეზე დაკავშირებულია პერსონალის გამოუვლენელი შესაძლებლობების, ნიჭის, ინტელექტის მართვასთან. პიროვნების, ორგანიზაციის, ქვეყნის წარმატების საწინდარი რესურსების ოპტიმალური გამოყენებაა. რესურსებში მოიაზრება: სამეწარმეო უნარი, ადამიანური რესურსები, შრომა, კაპიტალი, ტექნოლოგია, მიწა. თუმცა, ამ რესურსებიდან, მიწის გარდა, ყველა ადამიანისეულია. ამავე დროს, ადამიანი (მისი თვისებები, უნარები) არის ყველა რესურსის გამოყენების წინაპირობა შესაბამისად, აქტუალურია ადამიანის ფარული თუ აშკარა უნარების გამოვლენა, ინტელექტის, ტალანტის, პოტენციალის გამოყენების წარმატებასთან პირდაპირი კორელაციის გამო. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებებიდან აქტუალურია: პიროვნების ტალანტის შეფასება და მისი მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება-დანერგვა; წარმატებისა და ტალანტის მართვის, ტალანტის და ინტელექტის ურთიერთმიმართების საკითხების გარკვევა.

ტალანტის მართვის სისტემა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთჯერადი, მხოლოდ მიკროჯგუფებზე განვრცობადი პროცესი. ის უნდა აღვიქვათ როგორც ერთიანი პროცესი, რომელიც თავის მთლიან ეფექტურობას და ეფექტიანობას აღწევს მაშინ, როცა დანერგილია ინდივიდის, მიკრო და მაკრო დონეებზე. თითოეულ დონეზე ტალანტების მენეჯმენტს ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა და სირთულე, რაც განსაკუთრებულ მიდგომებს საჭიროებს. თუმცა, შედეგი სწორი სტრატეგიის შემთხვევაში თვალშისაცემია – ტალანტის მართვა იძლევა საფუძველს გამოვლინდეს, გაიზარდოს და ათვისებული იქნეს ყველა პოტენციალი, რაც ზოგადად ეფექტიანობის მიღწევის მთავარი წინაპირობაა.

TALENT MANAGEMENT - ACTUAL DIRECTION OF HUMAN POTENTIAL

Khatuna Bebnadze, Associate Professor

RESUME

The success of social systems is unambiguously determined by managing human resourses in an appropriate way. It is permanently discussed how to exteriorize this postulate in real life where unemployment and poverty still can’t be overcome and in better cases the lack of self-realisation or satisfaction with work is clearly expressed. Humanization of society is incompatible with such collapses. Self-critical intelligence should not be able to become accustomed to such “leakages”; one should confess this failure and develop himself, find ways to achieve the supreme target of humanity – a human, with the best detections of its potential.

Talent management system could not be discussed as a separate process related with only micro groups. It must be perceived as a whole process, which can attain total efficienty and effectiveness when Employee Value Proposition (EVP) is growing and it is implemented on three levels: individual, macro and micro levels.

Talent management includes the processes of identification of talent, planning, development, realization, stimulating, maintaining, growing, transforming and applying and this creates the basis for detecting, developing and utilizing all potentials, that are the background for total effectivity.

Talent identification is a very important process. There are many approaches in this direction. In recent researches talent is not only the ability of quickly remembering information. Talent does not exist without using it successfully in real life.

George Gurdjieff - founder of “The Institute for the Harmonious Development of Man” considers that an individual cannot realize oneself without his/her harmonious spiritual, physical and emotional development which includes individual development, team working skills, system creating and managing skills.

დროის მართვა, როგორც წარმატების დასაწყისი

ლია ბიბილაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე სამყაროში არსებობასა და წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის რაციონალური განაწილება და მისი სწორი მენეჯმენტი.

ყოველდღიურად იზრდება უკმაყოფილება იმის გამო, რომ ვერ ასწრებთ საჭირო საქმეების დასრულებას? გინდათ გააკეთოთ ყველაფერი, მაგრამ ვერ ახერხებთ და შექმნილი დისკომფორტი არ გაძლევთ დასვენების და განტვირთვის საშუალებას? ესე იგი, თქვენ ვერ მართავთ ყველაზე ძვირადღირებულ რესურსს – თქვენს დროს.

რა გიშლით ამაში ხელს? სამსახური, სოციალური ქსელი, პირადი ურთიერთობები, არაეფექტურად გადანაწილებული სამუშაო დღე. შედეგად უკმაყოფილება საკუთარი საქმისა და პიროვნების მიმართ, რაც შემდგომში ახალი შესაძლებლობის გამოჩენისას, პესიმიზმის საფუძველი ხდება. "მაინც ვერ მოვასწრებ, ამის დრო არ მაქვს." სინამდვილეში კი საჭიროა გააცნობიერო, რომ არ არსებობს დრო ყველაფრის გასაკეთებლად, რაც გვსურს, მაგრამ არის საკმარისი დრო იმის გასაკეთებლად, რაც საჭიროა. თუ განსაზღვრული გაქვს, რისი მიღწევაც გინდა ცხოვრებაში, გარკვეული ხარ შენს მიზნებში,

მაშინ იწყებ დროის ეფექტურ დაგეგმვას. დროის მენეჯმენტი არის ცხოვრების მართვა. შენ შეგიძლია აკონტროლო მოვლენების თანმიმდევრობა, აკონტროლო, თუ რა უნდა გააკეთო შემდეგ და შენ ყოველთვის თავისუფალი ხარ არჩევანში, რა გააკეთო. მთავარია, განსაზღვრო მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი დავალებები, რაც წარმატების გასაღებია.

პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ხდება ზოგიერთი ადამიანი უფრო წარმატებული, ვიდრე სხვა, ისაა, რომ ისინი ზუსტად საზღვრავენ ცხოვრებისეულ მიზნებსა და პრიორიტეტებს და ეფექტურად მართავენ საკუთარ რესურსებს, მართავენ ეფექტურად დროს. **მაგრამ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს?**

უნდა შევიმუშაოთ საკუთარი თავის დისციპლინა. ვაიძულოთ საკუთარი თავი, უარი ვთქვათ ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზე და მავნე ჩვევებზე. ნაკლები დრო დავუთმოთ სოციალურ ქსელებს, ჟურნალ-გაზეთებს, სატელევიზიო შოუებს, წინასწარ განვსაზღვროთ მომავალი დღეების აქტივობები, გამოვყოთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეები და მოვახდინოთ მათი სორტირება. დღის დასაწყისშივე დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებების შესრულება და არ გადავიდეთ ახალ დავალებაზე, სანამ არ დავასრულებთ პირველს. გამოვიყენოთ დროის მართვის ცნობილი მეთოდები.

ყველაზე გავრცელებული მეთოდია დღიურების წარმოება, სადაც ყოველდღიურად იქნება ჩამოწერილი შესასრულებელი საქმიანობები და მითითებული იქნება დროის მონაკვეთები.

ამ მეთოდებთან ერთად შეიძლება ეფექტური დროის მენეჯმენტის შემოღება, რაც მდგომარეობს შემდეგში:

1. დრო იხარჯება არა მხოლოდ სასწრაფოდ გასაკეთებელ საქმეებზე, არამედ მნიშვნელოვან საქმეებზეც;
2. სწორად არის განსაზღვრული, რა არის მნიშვნელოვანი და რა – სასწრაფო;
3. შედეგი და არა პროცესი არის დროის მენეჯმენტისათვის დამახასიათებელი თვისება;
4. არ უნდა მოხდეს საკუთარი საქმეების გადადება და ახალი ან სხვების თხოვნით სხვა საქმიანობის წამოწყება.

პირველ რიგში უნდა დადგინდეს, რა არის სასწრაფო და რა – მნიშვნელოვანი.

მნიშვნელოვანი საქმიანობა არის ის, რაც გვაძლევს სასურველ შედეგს. მათ მივყავართ დასახული მიზნის მიღწევამდე.

სასწრაფოდ შესასრულებელი (გადაუდებელი) საქმიანობა კი არის ის, რაც მოითხოვს დაუყოვნებელ ყურადღებას. ისინი წარმოადგენენ სხვის მიერ გამოთქმული საჭიროებების დაკმაყოფილებას ან ეხება პრობლემას, რომელიც სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

ყველაზე რთული პროცესია იმის დადგენა, რომელი საქმიანობაა მნიშვნელოვანი და რომელი სასწრაფო, რადგან არ არსებობს წესები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქმიანობების დაყოფა მნიშვნელოვნად და სასწრაფოდ განხორციელების კატეგორიის მიხედვით. თუ მენეჯერები თვითონ არ განსაზღვრავენ რა არის მნიშვნელოვანი და რა სასწრაფო, ვერ მოახდენენ დროის ეფექტურ გამოყენებას.

დროის დეფიციტს ხშირად უხილავი ,,დროის მჭამელები" იწვევენ. თუ გვეცოდინება, რისი ბრალია დროის არაეფექტური მოხმარება, მიზეზებთან ბრძოლაც გაადვილდება.

,,დროის მჭამელები" და მათთან ბრძოლის ხერხები:

„დროის მჭამელები"	პრევენციის ზომები
მუშაობა წინასწარ დაუგეგმავად	ყოველდღე გამონახეთ დრო, რათა დაგეგმოთ, რას გააკეთებთ იმ დღეს. დროის დაგეგმვაც მოითხოვს დროს, მაგრამ ეს რამდენიმე წუთი ღირს იმად, რომ თავიდან ავიცილოთ დროის უმიზნო კარგვა. დროის დაგეგმვისას აუცილებლად გაითვალისწინეთ „ლუფტები", რათა თავიდან აიცილოთ გაუთვალისწინებელი გარემოებებით გამოწვეული სტრესი.
ბუნდოვანი მიზნები	ნათელია თქვენთვის, რას უნდა მიაღწიოთ დღის, კვირის, თვის ბოლოს? ჩამოაყალიბეთ კონკრეტული მიზანი და იმუშავეთ მის მისაღწევად

საკუთარი ქცევის მართვა - თვითდისციპლინის დაცვა	პროფესიაში ყველაზე მეტ წარმატებას ის აღწევს, ვისაც შეუძლია საკუთარი თავისა და ქცევის მართვა, რაც სხვა არაფერია, თუ არა თვითდისციპლინის დაცვა. გამონახეთ მოტივაციის საშუალებები საკუთარი თავისთვის. მაგალითად, თუ დასახულ მიზანს წინასწარ განსაზღვრულ დროში, მიაღწიეთ, დაისაჩუქრეთ თავი რამე სასიამოვნოთი
მოუწესრიგებელი სამუშაო მაგიდა	სამუშაო მაგიდა ადამიანის ხასიათზე მეტყველებს. არეული სამუშაო კუთხე ქაოსური, საკუთარ საქმიანობაში გაურკვეველი ადამიანის ასოციაციას ბადებს. გადაავლეთ თვალი მაგიდას: ყველა ნივთი გჭირდებათ, რაც იქ დევს? რომელი მათგანი იპყრობს თქვენს ყურადღებას და გწყვეტთ ძირითად საქმიანობას? სამუშაო მაგიდის „სტრუქტურიზება“ თვითდისციპლინის დაცვაში დაგეხმარებათ.
,,მინდა, ყველაფერი ვიცოდე“	კითხვა პროფესიული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ კითხვისას აუცილებელია ზომიერება და, რაც მთავარია, იმის ცოდნა, რომელი ინფორმაციაა მნიშვნელოვანი ჩვენი პროფესიული ზრდის თვალსაზრისით და რომელი - მეორეხარისხოვანი. შეუძლებელია, ადამიანს ყველაფერზე ჰქონდეს ინფორმაცია. უმჯობესია ფოკუსირებული და ღრმა ცოდნა საჭირო საკითხზე, ვიდრე ზედაპირული ცოდნა ბევრი რამის შესახებ. დროის დასაზოგავად წინასწარ დააზუსტეთ, რის წაკითხვა გსურთ, რათა მეორეხარისხოვანი ინფორმაციისთვის დრო არ დაკარგოთ და ისევ დროის დეფიციტი არ დაგატყდეთ თავს.
განუსაზღვრელი პრიორიტეტები	ზუსტად იცით, რომელი საქმეა თქვენთვის პირველხარისხოვანი და რომელი - და მეორეხარისხოვანი? ამის განსაზღვრა აუცილებელია, რათა დრო არ დახარჯოთ შედარებით ადვილად მოსაგვარებელ, მაგრამ მეორეხარისხოვან საქმეებზე და ძირითადი და მნიშვნელოვანი გვერდზე არ დაგრჩეთ.
ცუდი კომუნიკაცია	იმისთვის, რომ დრო გონივრულად დაგეგმოთ, აუცილებელია, გქონდეთ საჭირო ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის შესახებ. ინფორმაციის მიღების საუკეთესო საშუალებაა მოწესრიგებული კომუნიკაცია კოლეგებსა და ხელმძღვანელ პირებთან. თვალი გადაავლეთ კომუნიკაციის თქვენეულ მეთოდებს. საკმაოდ დახვეწილია თუ არა ისინი იმისთვის, რომ დანარჩენებთან ჯანსაღი კომუნიკაცია გქონდეთ? თუ არ გაკმაყოფილებთ, გადახედეთ პროფესიულ ლიტერატურას ამ საკითხზე, დაესწარით ტრეინინგებს წარმატებული კომუნიკაციის თემაზე. ეს, დროის მენეჯმენტთან ერთად, სხვა კუთხითაც დაგეხმარებათ
გადადებული საქმეები	საქმე, რომელიც სახვალიოდ გადადეთ, მართლა არ არის მნიშვნელოვანი? გადაამოწმეთ, მიეკუთვნება თუ არა იგი პირველხარისხოვანი პრიორიტეტების რიცხვს. არა? მაშ, გადადეთ და ის გააკეთეთ, რაც მნიშვნელოვანია ახლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფრის ერთბაშად გაკეთება მოგიწევთ და იმედგაცრუებული დაასკვნით, რომ დრო არაფრისთვის გყოფნით.

აქედან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა მოახდინოთ თქვენი ფასეულობების, მიზნების დადგენა. აუცილებელია, ნათლად დაადგინოთ თქვენი გრძელვადიანი მიზნები და პიროვნული პრიორიტეტები. ეს აუცილებელია პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის.

დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვები: რა არის ჩემი მიზანი? რისთვის მინდა რომ ვიცხოვრო? რა მაინტერესებს ყველაზე მეტად? რას მინდა რომ მივაღწიო?

ამ შეკითხვებზე პიროვნული პრინციპების ჩამოყალიბება საშუალებას მოგცემთ, დრო უფრო ეფექტურად გამოიყენოთ და შეამციროთ არა მარტო სიტუაციური, არამედ მოვლენების მოლოდინით გამოწვეული სტრესის ფაქტორებიც.

შედეგად გაზრდით როგორც საკუთარ ეფექტურობას, ისე პატივისცემას საკუთარი თავის მიმართ. გახდებით უფრო ამაყები შესრულებული დავალებების გადახედვისას. ამის შემდეგ კი იზრდება თვითრწმენა და ხდებით უფრო თავდაჯერებულები და ოპტიმისტები. ახალ შემოთავაზებებში კი საფრთხეებისა და წინასწარი წარუმატებლობის გრძნობას კი არა, ახალ შესაძლებლობებს დაინახავთ.

დაიწყეთ დროის მართვა დღეიდან და თქვენ შეცვლით ცხოვრებას, იქნებით უფრო კმაყოფილი საკუთარი პიროვნებით, გატარებული დღითა და შესრულებული საქმეებით. გახდებით უფრო წარმატებულები პირად ცხოვრებასა და საქმიანობაში.

დრო შეზღუდულია, ადამიანი რომელიც ახერხებს დროის სწორად მართვას, ის მართავს და აკონტროლებს მთელ თავის ცხოვრებას. გამოიყენეთ ცხოვრების ლიმიტირებული დრო რაციონალურად. ნუ გაფლანგავთ მას უქმად.

ლიტერატურა:

1. გ. პირმისაშვილი, ზოგადი მენეჯმენტი, 2009.
2. ნ. ელბაქიძე, დროის მენეჯმენტი, 2013.
3. aris.ge
4. rogor.ge

რეზიუმე

წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის რაციონალური განაწილება და მისი სწორი მენეჯმენტი. სტატიაში განხილულია დროის მართვის ცნობილი მეთოდები, რომელთა გამოყენებაც საშუალებას იძლევა, დრო უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული, რაც უდავოდ წარმატების მიღწევის საწინდარია.

TIME MANAGEMENT AS THE BEGINNING OF SUCCESS

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

To be successful the most important role plays the effective time management . The article deals with the management of the known methods that are applied to allow time to be used more efficiently, which is a prerequisite for success.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა და მისი ფინანსური უზრუნველყოფა

დავით ბიძინაშვილი, პროფესორი

მთავრობამ წარმოადგინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომლის მიხედვითაც 2020 წლისთვის ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება იგეგმება. მაგალითად, დღეს თუ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 5811,7 ლარს შეადგენს, 2020 წელს ის 13 ათასი ლარი უნდა გახდეს, უმუშევრობა კი 15%-დან 12%-მდე უნდა შემცირდეს. კონკრეტულად როგორ და რა გზებით აპირებს მთავრობა ამ მაჩვენებლების მიღწევას?

დოკუმენტი, რომელიც ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებმა წარმოადგინეს და რომლის შექმნაში მთელი მთავრობა იყო ჩართული, ჩვენი ქვეყნისთვის სიახლეა. ასეთი სტრატეგიული ხედვები, სტრატეგიული დოკუმენტები საქართველოს, სამწუხაროდ, არ ჰქონია, ან თუ არსებობდა, მხოლოდ ქაღალდზე. ეს დოკუმენტი მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებებს ითვალისწინებს, მათ შორის, წარმატებული პოსტკომუნისტური ქვეყნებისას. საქართველოს მთავრობა შეეცადა ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე დიდი პრობლემების განსაზღვრას და მათი გადაჭრის გზების დასახვას.

რა არის დღეს ეკონომიკის ყველაზე დიდი პრობლემა?

საქართველოს ეკონომიკა არ არის კონკურენტუნარიანი. დღეს ქართული პროდუქცია არათუ უცხოეთში, საქართველოშიც ვერ ახერხებს კონკურენციის გაწევას. ამის მიზეზი ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობაა. ვგულისხმობთ საბანკო საკრედიტო რესურსებს. კონკურენტული არ არის ჩვენი შრომითი რესურსი. სამწუხაროდ, განვლილ ოცწლიან პერიოდში ჩვენმა კვალიფიციურმა პერსონალმა დაკარგა სამსახური და დროთა განმავლობაში - კვალიფიკაციაც. დიდია განათლების სისტემის ხარვეზების როლიც, აგრეთვე კონკრეტული ხედვის უქონლობის - რა გვსურდა. გახსოვთ, ალბათ, ხან შვეიცარიას ვაშენებდით საქართველოში, ხან სინგაპურს და ხანაც – მათ ნაზავს. საქართველოს მთავრობამ დასახა გზები, თუ როგორ გამოასწოროს ეს პრობლემები.

როგორ უნდა გახდეს იაფი საკრედიტო რესურსი უფრო ხელმისაწვდომი?

ბანკებს ლიკვიდური აქტივების ნაკლებობა არ აქვთ, მაგრამ გრძელვადიანი ფულის პრობლემა მაინც დგას. მათ აქვთ მოკლევადიანი ფული, მოტივირებული არიან, რომ მოკლევადიანი პროექტები დააფინანსონ და უმეტესწილად თავს იკავებენ სერიოზული საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისგან. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა, მთავრობამ დაიწყო პროექტი, რომელსაც ფულის დაგრძელების პროექტი უწოდეს. ბანკებისგან ისესხეს 44 მილიონი ლარი, წლეულს აპირებენ კიდევ 200 მილიონის სესხებას და იმავე ბანკებს, დაახლოებით +1%-ით, უკან მიასესხებენ, ოღონდ უკვე ხანგრძლივი ვადით. რეალურად გამოდის, რომ ბანკმა მთავრობას მისცა ფული X პროცენტად, მთავრობა კი მას დაუბრუნებს X+1%-ად და ბანკს ეს გრძელვადიანი ფულადი რესურსი, ფაქტობრივად, 1% უჯდება. მას უკვე აქვს გარანტია, რომ სახელმწიფოსგან ამ ფულს არ დაკარგავს. ამიტომ უჩნდება ინტერესი და შესაძლებლობა, გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტები დააფინანსოს შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

საქართველოს მცირე ეკონომიკა ვერ ზემოქმედებს გარე ბაზარზე, სამაგიეროდ, გარე ბაზარი, მათ შორის ფინანსური, დიდ გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზარზე. თუ, რა თქმა უნდა, ხელოვნური ბარიერები არ არსებობს. ასეთი კი შესაძლოა იყოს პოლიტიკური რისკი, ინფლაციის რისკი, ეკონომიკის ჩაკეტილი იდეოლოგია და სხვ. საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანაა, გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ევროპული ეკონომიკისა და ფინანსური ბაზრის ნაწილიც უნდა ვიყოთ. ეს უკვე ნიშნავს გაცილებით იაფი ფინანსური რესურსის შემოსვლას. მაგრამ ყველაფერს განაპირობებს მოლოდინები ქვეყნის გარეთ თუ შიგნით. ამ მოლოდინების ფორმირების ძალიან საინტერესო ეტაპი მიმდინარეობს ახლა. კერძო საინვესტიციო ფონდები ძალიან კარგი მექანიზმია, რომ თვითონაც დააბანდონ ინვესტიციები და სხვებმაც ირწმუნონ, რომ ჩვენს ქვეყანაში ინვესტირება მომგებიანია.

საყურადღებო და შედარებით გრძელვადიანი ამოცანაა ადგილობრივი დანაზოგების წახალისება. ბანკებში დეპოზიტები არსებობს, მაგრამ ადგილობრივი დანაზოგები ძალიან ცოტაა. მოსახლეობის დიდ ნაწილს დანაზოგი არ აქვს, რადგან მათი შემოსავალი ძალიან მცირეა, ასე კი დანაზოგები არ იქმნება, ქვეყანაში ვერ ხორციელდება ინვესტიცია, ეკონომიკა არ იზრდება, შესაბამისად, ხალხი არ მუშაობს და შემოსავალი არ აქვს - როგორც ვხედავთ, ერთგვარ ჩაკეტილ წრეს ვიღებთ. ეს წრე მთავრობამ უნდა გაარღვიოს. რეალური ნაბიჯები იდგმევა, რათა დაზოგვას ხელი შეეწყოს, მაგალითად, საპენსიო ფონდის ჩამოყალიბებით.

სამთავრობო პროგრამის თანახმად, უმუშევრობა დღეს 15%-ია. უმუშევრობის რეალური დონე კი ბევრად მაღალია. თუ ასეა, რატომ არ აისახა ეკონომიკურ სტრატეგიაში რეალური მაჩვენებელი და შემდეგ მისი შემცირება 2020 წლისთვის?

დღეს საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს ტერმინს "უმუშევარი". არსებობს განსაზღვრება „დასაქმების მაძიებელი". მსოფლიოშიც და ეკონომიკურ თეორიაშიც, უმუშევრად მიიჩნევა ადამიანი, რომელსაც არ აქვს სამსახური, უნდა მუშაობა და ეძებს მას. ამ კრიტერიუმით თუ დავითვლით, ჩვენი მოსახლეობის მხოლოდ 15%-ია უმუშევარი. მაგრამ მოსახლეობას თუ ვკითხავთ, არიან თუ არა ისინი დასაქმებული, მივიღებთ დაუსაქმებლობის საკმაოდ დიდ მაჩვენებელს. ყველაზე ცუდი არის თვითდასაქმების ძალიან მაღალი დონე როგორც სოფლად, ისე

ქალაქში. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა არაფორმალური დასაქმებიდან ადამიანები ფორმალურ დასაქმებაზე გადავიდნენ. დღეისთვის აგრარულ სფეროში 70-მდე ახალი საწარმოა შექმნილი. გასული წლის მეორე კვარტლიდან დღემდე ბიზნესში 15 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ეს ძალიან ცოტაა იმ ფონზე, როცა სამუშაო ძალა საქართველოში დაახლოებით 2 მილიონ ადამიანს ითვლის. ადამიანებმა ეკონომიკური ზრდის სიკეთე დასაქმებითა და შემოსავლის მიღებით უნდა იგრძნონ და არა იქიდან, რომ სახელმწიფო ეკონომიკურად გაძლიერდება და მერე ვიღაცას სოციალურ დახმარებას გაუზრდის. სტრატეგიაშიც წერია, რომ საქართველოს მთავრობის მიზანი ინკლუზიური, ანუ ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდაა. შარშან ერთ ადამიანზე მშპ-ის მოცულობით საქართველო მსოფლიოში 115-ე ადგილზე იყო, 2012 წელს კი 116-ე. აი, ეს იყო რეალურად მთელი ჩვენი პროგრესი - ერთი პოზიციით წავიწიეთ წინ.

გავრცელდა საქართველოს მთავრობის განცხადება ქვეყანაში 8%-იანი ეკონომიკური ზრდის შესახებ. ეს ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებული მაჩვენებელია, რომელიც ეყრდნობა გადასახადის გადამხდელთა დეკლარირებას. ყოველი თვის შუა რიცხვებში, ყველა გადასახადის გადამხდელი ვალდებულია წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია, ანუ წინა თვის ბრუნვა და ეკონომიკური აქტივობა აჩვენოს. შემიძლია გითხრათ, რომ დამატებული ღირებულების გადამხდელი საწარმოების ბრუნვა გაზრდილია 16%-ით გასული წლის იანვართან შედარებით. ფინანსთა სამინისტროს გათვლებით, ეკონომიკურმა ზრდამ უნდა შეადგინოს მინიმუმ 8%. საგრძნობლად გაზრდილია სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული საწარმოების ბრუნვა - 83%-ით. 43%-ით არის გაზრდილი ბრუნვა სამშენებლო სექტორში.

2013 წელს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ მოახერხა საშემოსავლო ნაწილის შევსება და ნაწილი ხარჯებსაც დააკლდა, ყველა ძირითადი მიმართულებით ხარჯები შესრულდა იმაზე მეტი, ვიდრე – 2012 წელს. სწორმა მენეჯმენტმა ბევრი თანხა გამოათავისუფლა, მათ შორის ჯანდაცვასა და ინფრასტრუქტურაში. ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი შეჩერდა კორუფციული გარიგების მაღალი რისკების გამო. კომპანიამ, რომელმაც არჩევნებში ,,ქართული ოცნების'' გამარჯვების მეორე დღეს თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, რამდენიმე კვირით ადრე ერთ-ერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის ტენდერში გაიმარჯვა. ცხადია, ასეთი ტენდერები ახალ მთავრობას უნდა გაეუქმებინა. . შესაბამისად, გასული წლის პირველ ნახევარში შედარებით სუსტი იყო ეკონომიკური ზრდა. ბიუჯეტმა გადასახადების სახით, დაახლოებით 600 მილიონ ლარამდე ვერ მიიღო, თუმცა 1 მილიარდ 300 მილიონი წინასწარ ამოღებული გადასახადები დახვდათ. ძალიან ცოტა დრო ჰქონდა ახალ მთავრობას იმისთვის, რომ გასული წლის ბიუჯეტში, რომელიც "ნაციონალური მოძრაობის" მიერ იყო შემუშავებული, სიღრმისეულად ჩაეხედა. ახალი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ წლევანდელ ბიუჯეტში მსგავსი პრობლემები აღარ იყოს.

საქართველოში მოხდა ეროვნული ვალუტის მკვეთრის გაუფასურება მოკლე დროში. - ეს პროცესი მოხდა მთელ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, ზოგან მეტად და ზოგან ნაკლებად. აშშ-ის ეკონომიკის გამოცოცხლებამ გამოიწვია დოლარზე მოთხოვნის ზრდა ყველა ქვეყანაში, მათ შორის, მაგალითად, თურქეთში 20%-ით. ჩვენი ეკონომიკა დოლარიზებულია და ყველა საქმიანი გარიგების 70-75% დოლარში იდება. როცა ეკონომიკის გამოცოცხლება იწყება, დოლარზე მოთხოვნა იზრდება. ჩნდება სუბიექტური ფაქტორიც - ცუდი მოლოდინების ტირაჟირება, რომ ქვეყანა ინგრევა, ლარს კუპონის ბედი ელის. ვალი სახელმწიფოსაც უცხოურ ვალუტაში აქვს აღებული და თუ დოლარის კურსი ლარის მიმართ იზრდება, ეს არც სახელმწიფოს აწყობს, რადგან ვალის მომსახურების ხარჯები იმატებს. რაც შეეხება ბიუჯეტის შევსების სარგებელს, რადგან ინფლაციის უმნიშვნელო ზრდა ვერ შეავსებდა ბიუჯეტის დანაკლისს. ხელოვნურად შექმნილმა აჟიოტაჟმა, ოპონენტებისა და "ყველაფროლოგი" ექსპერტების უსაფუძვლო განცხადებებმა გამოიწვია ის, რომ ადამიანებმა, რომლებსაც ჰქონდათ ლარი, მისი დაკარგვის შიშით, ამ ფულის კონვერტირება დოლარში გადაწყვიტეს, ვისაც დოლარი ჰქონდა, ელოდებოდა კურსის კიდევ უფრო ზრდას. შესაბამისად, დოლარზე მოთხოვნა გაჩნდა, ბაზარს კი დოლარი არ მიეწოდებოდა. შემდეგ ეროვნულმა ბანკმა დოლარის ინტერვენცია დაიწყო. თუ მთელი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ბაზარზე ყიდულობდა დოლარს და, მაგალითად, შარშან $500 მილიონზე მეტი აქვს შეძენილი, მხოლოდ ბოლო დროს მან $480 მილიონი გაყიდა ხელოვნური აჟიოტაჟის ჩასაცხრობად. ეკონომიკა მივიდა წონასწორობამდე, დოლარის გაზრდილმა ფასმა შემცირება დაიწყო და ბოლო დროს ეროვნულ ბანკს $60 მილიონის კვლავ ყიდვამ მოუწია, რათა ძალიან მკვეთრი ვარდნა აერიდებინა. არანაირი ეკონომიკური საფუძველი არ არსებობდა და არც არსებობს, რომ დოლარის კურსი ლარის მიმართ მკვეთრად გაიზარდოს.

კონცეფციის მთავარი იდეაა, საქართველოს ეკონომიკა 2014-2020 წლებში გაიზარდოს სწრაფად, საშუალოდ წლიურად მინიმუმ 7%-ით და 2020 წლისთვის მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგინოს მინიმუმ 8500 აშშ დოლარი. ბიზნესის ხედვით საქართველო უნდა გადაიქცეს ქვეყანად, რომელიც მიისწრაფის, გახდეს რეგიონში კონკურენტუნარიანი, ექსპორტზე ორიენტირებული, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე, მაღალი ხარისხის განათლების სისტემის და ევროპული ღირებულებების მატარებელი ქვეყანა. კონცეფციის ცენტრალური იდეაა საქართველოს გადაქცევა რეგიონული მიზიდულობის ცენტრად. რეგიონული მიზიდულობის ცენტრის იდეა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ვიცით, საქართველო წარმოადგენს მოცულობით მცირე ბაზარს, შესაბამისად, რთულდება ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესება მხოლოდ საქართველოს გასაღების ბაზრით. თუმცა, თუ საქართველო გახდება რეგიონული მიზიდულობის ცენტრი, მათთვის ხელმისაწვდომი გახდება რეგიონის ბაზარი, რომლის მოსახლეობაც 400 მილიონს აჭარბებს. ცხადია, დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა რიგი ამოცანების გადაჭრა. საქართველოს მთავრობამ გამოყო ხუთი სტრატეგიული ამოცანა, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად, რომლებიც ყველაზე პრიორიტეტულია მოცემული 7 წლის მანძილზე და ასევე, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია არსებული რეალობის, რესურსების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ეს ხუთი ამოცანაა: ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, საქართველოს გადაქცევა რეგიონული მიზიდულობის ცენტრად, შრომის სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება, ინოვაციური პოტენციალის გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურის განვითარება.

თითოეული სტრატეგიული ამოცანა მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, კონკურენციის ზრდის ხელშეწყობა, ნათელი და ცხადი რეგულაციების უზრუნველყოფა, ბიზნესდავების გადაჭრის ეფექტური სისტემების ჩამოყალიბება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, საჯარო სამსახურების ეფექტურობის ზრდა, ბიზნესსა და მთავრობას შორის კომუნიკაციის ფორმალიზებული სისტემის შექმნა.

საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია გათვლილია 7 წელიწადზე და შესაბამისად, მოიცავს მოკლე და საშუალო ვადაში გადასაჭრელ საკითხებს. ამ ეტაპზე, ჩვენი აზრით, ამ საკითხთაგან გამოსაყოფია ისეთი ამოცანები, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვანია მომდევნო 2 წლის მანძილზე. ვფიქრობთ, ამ საკითხების გადაჭრა არსებით გავლენას იქონიებს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე და შექმნის ეკონომიკური წინსვლისთვის საჭირო პირობებს.

ეს საკითხებია:

- საგადასახადო დანაშაულების ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია და დიფერენციაცია;
- ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებლო სამსახურის რეფორმირება;
- საგადასახადო დავების ეფექტური მექანიზმის შექმნა;
- საგადასახადო შემოწმების მექანიზმის დახვეწა;
- კერძო არბიტრაჟის განვითარება საქართველოში;
- ეკონომიკური დეკლარაციის მიღება ხელისუფლების მიერ.

უმთავრესია, რომ მთავრობის მიერ შემუშავებულ სტრატეგიით მივიღოთ ცხადად ჩამოყალიბებული ეკონომიკური ხედვა, მკაფიო ამოცანები, რომელთა შესრულება არა მხოლოდ სასურველია, არამედ შესაძლებელიც.

ლიტერატურა:

1. http://economy.ge
2. http://geostat.ge
3. http://mof.ge
4. http://nbg.gov.ge
5. http://found.ge
6. http://cge.ge

რეზიუმე

მთავრობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც 2020 წლისთვის ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება იგეგმება. მაგალითად, დღეს თუ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 5811,7 ლარს შეადგენს, 2020 წელს ის 13

ათასი ლარი უნდა გახდეს, უმუშევრობა კი 15%-დან 12%-მდე უნდა შემცირდეს. კონკრეტულად როგორ და რა გზებით აპირებს მთავრობა ამ მაჩვენებლების მიღწევას?

დოკუმენტი, რომელიც ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებმა წარმოადგინეს და რომლის შექმნაში მთელი მთავრობა იყო ჩართული, ჩვენი ქვეყნისთვის სიახლეა. ასეთი სტრატეგიული ხედვები, სტრატეგიული დოკუმენტები საქართველოს, სამწუხაროდ, არ ჰქონია, ან თუ არსებობდა, მხოლოდ – ქაღალდზე. ეს დოკუმენტი მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებებს ითვალისწინებს, მათ შორის, წარმატებული პოსტკომუნისტური ქვეყნებისას. საქართველოს მთავრობა შეეცადა ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე დიდი პრობლემების განსაზღვრას და მათი გადაჭრის გზების დასახვას.

SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE STRATEGIC PLAN AND ITS FINANCIAL ARRANGEMENTS OF GEORGIA

David Bidzinashvili, Professor

RESUME

The government in the socio - economic development of the strategy presented, according to which by 2020 is expected to improve the economic parameters. For example, today the country's gross domestic product per capita in 5811.7 GEL 13 thousand in 2020 to become the unemployment rate is 15% - 12% - will be reduced. Specifically how and in what ways the government is going to achieve this performance?

- The document, which was presented to the Ministry of Economy and Finance and was involved in the creation of a government of our country is a novelty. Such strategic visions, strategic documents, unfortunately, have not had any, or if there is only on paper. This document provides best practices from around the world, including the successful post-communist countries. The government has tried to define the economy's biggest problems and ways of solving them.

ეკონომიკური ზრდის ძირითადი ინდიკატორები და საქართველოს მდგრადი განვითარება

გიული გიგუაშვილი, პროფესორი
მაყვალა გოგოლაძე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

ცივილიზაციის ისტორიის მანძილზე ყველა სახელმწიფოს მიზანი მეტნაკლებად მდგომარეობდა სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში, რაც თავის მხრივ, მოითხოვდა ეკონომიკური ზრდის წყაროების შესწავლას, მისი გაზომვასა და ანალიზის მეთოდიკის შემუშავებას. მაკროეკონომიკური პოლიტიკის არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის პოტენციალისა და მიმართულებების სწორად შეფასება და გააზრება. ეკონომიკური კვლევების მიზნობრივად წარმართვა, ეკონომიკური ზრდის მეცნიერული და პრაქტიკული მეთოდების ძიება.

მაკროეკონომიკის სხვადასხვა სკოლები და თეორიები საუკუნეების მანძილზე იკვლევენ ეკონომიკური ზრდის გამომწვევ მიზეზებს, მათ შორის გამოირჩევა კეინსიანური, მონეტარული, ნეოკლასიკური და ნეოკეინსიანური სკოლები. მეცნიერებმა უამრავი მეთოდი და მიდგომა შეიმუშავეს ეკონომიკური კეთილდღეობისა თუ ზრდის გასაზომად და შესაფასებლად. მათგან რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ კაცზე ყველაზე კარგად შესწავლილი და ხშირად გამოყენებადი ინდიკატორია. ამასთან, მიჩნეულია, რომ ის საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის საუკეთესო მაჩვენებელია. საზოგადოდ მიღებულია, რომ მშპ-ს ზრდისას ქვეყანაში იზრდება ცხოვრების სტანდარტები გრძელვადიან პერიოდში. ე.წ. “72-ის წესის” თანახმად 3%-იანი წლიური ზრდა მშპ-ს გაორმაგებს 24

წელიწადში, ხოლო 8%-იანი წლიური ზრდა მშპ-ს გაორმაგებს 9 წელში. რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს მკვეთრ განსხვავებებს ქვეყნებს შორის. მაგალითად, თუ ერთ ქვეყანას აქვს 5%-იანი, ხოლო მეორეს 3%-იანი ზრდა, რომელიც თითქოს ერთმანეთის მსგავსია, 20 წლის შემდეგ პირველს ექნება 165%-იანი ზრდა, ხოლო მეორეს 80%-იანი. ეკონომიკური ზრდა ხშირად განიხილება ასევე ცხოვრების სტანდარტის ზრდის კონტექსტში, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს საერთო ეფექტი მშპ-ს ზრდაში, მაგრამ დაბალი ცხოვრების სტანდარტები ჰქონდეს ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობას, რადგან ეს ზრდა მოსახლეობის უმცირესი ნაწილის შემოსავლების გაზრდით წარმოიშვა. [1]

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური საქმიანობის შესაფასებელი მაჩვენებლებიდან მშპ ყველაზე კარგად შესწავლილი მაკროეკონომიკური ინდიკატორია, მიუხედავად ამისა, მშპ-ს საზოგადო ეკონომიკურ საზომად გამოყენებას აქვს რამდენიმე პრობლემა:

- მისი ზრდა დამოკიდებულია შერჩეული საქონლის კალათის ნომინალურ ღირებულებაზე საბაზო წლის მიხედვით;
- ის არ ითვალისწინებს ნეგატიურ გარეგან ეფექტებს გარემოს დაბინძურებაზე, რომელიც ეკონომიკური ზრდის შედეგია. არადა ცხადია, რომ ეკონომიკის ზრდა შეიძლება გადაჭარბებულად იყოს შეფასებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარემოს დაბინძურებას.

გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევის მიზნით ეკონომისტებმა შემოგვთავაზეს მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტი. მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკური ზრდის თვისობრივად ახალი ინდექსია, ის ითვალისწინებს გარემოზე იმ უარყოფით ზემოქმედებას, რომელიც ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია. [2] პირველად ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ვენ ჯიაბაომ გამოთქვა სურვილი ეკონომიკური ზრდა ჩინეთში შეფასებულიყო მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექსით. მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტის 2004 წლის პირველი მაჩვენებელი გამოქვეყნდა 2006 წლის სექტემბერში, ის ასახავდა ფინანსურ დანაკარგებს გარემოზე ზემოქმედების გამო და ჩინეთში შეადგენდა 511.8 მილიარდ იენს ($66.3 მილიარდი), ანუ ეროვნული ეკონომიკის 3.05%-ს. მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლის ექსპერიმენტმა მარცხი განიცადა 2007 წელს, როცა ნათელი გახდა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მცდელობები ამცირებდა ზრდის განაკვეთს პოლიტიკურად მიუღებელ დონემდე (თითქმის ნულამდე ზოგიერთ რეგიონში), ამიტომ პოლიტიკოსებმა და მთავრობამ შეაჩერა 2005 წლის მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლა, რომელიც 2007 წლის მარტში უნდა გამოქვეყნებულიყო.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც მშპ-ს უკავშირდება, არის ის, რომ ის არ გვაწვდის არანაირ ინფორმაციას, შემოსავლების განაწილებაზე ქვეყანაში. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ეკონომისტებმა შეიმუშავეს უთანასწორობის მათემატიკური საზომი – ჯინის კოეფიციენტი, რომელიც საზოგადოებაში მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავებას ასახავს. ეს ინდექსი შემუშავებული იქნა 1910 წელს იტალიელი სტატისტიკოსის, კორადო ჯინის მიერ. კოეფიციენტი ხშირად გამოიყენება საზოგადოებაში შემოსავლის უთანასწორობის დასათვლელად. [3]

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მშპ არ აღრიცხავს პოზიტიურ გარეგან ეფექტებს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სახის მომსახურებამ, როგორიცაა განათლება და ჯანმრთელობა; მისგან გამორიცხულია ყველა აქტივობა, რომელსაც ადგილი აქვს ბაზრის გარეთ; მშპ არ მოიცავს აგრეთვე იმ საქონელს, რომლის წარმოება არ მოხდა მიმდინარე ფისკალურ წელს, როგორიცაა მეორადი მანქანები ან სახლები, მასში არ შედის ახალი საქონელი; ის ასევე არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას უკვე ნაწარმოები საქონლის ცვეთის ან ღირებულების ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ცხოვრების სტანდარტების ცვლილებაზე და სხვა.

ამ პრობლემებიდან გამომდინარე, მშპ-ს მეცნიერებმა დაუპირისპირეს მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორი, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა ჭეშმარიტი პროგრესის ინიდიკატორად. ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორში მშპ-სგან განსხვავებით მისი გამოთვლისას არ იკრიბება ყველა კომპონენტი, მომხმარებელთა დანახარჯები დაბალანსებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა შემოსავლის განაწილება, დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება გარემოს დაბინძურებას და სხვა ეკონომიკურ არამდგრადობას.

მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორი (ISEW) ზოგადად განისაზღვრება შემდეგი ფორმულით: ISEW = პერსონალური მოხმარება + სახელმწიფოს ხარჯები გარდა თავდაცვისა - თავდაცვის კერძო დანახარჯები + კაპიტალის ფორმირება + საშინაო შრომითი ძალიდან მიღებული მომსახურება - გარემოს ზემოქმედების ხარჯები - ეროვნული კაპიტალის ცვეთა. ინდექსი დაფუძნებულია William Nordhaus-ს და James Tobin-ს შრომებზე – ეკონომიკური კეთილდღეობის საზომი (Measure of Economic Welfare), რომელიც პირველად გამოითვალა 1989 წელს Herman Daly-ს და John B. Cobb-ის მიერ. შემდეგ

მათ დაამატეს სხვა რამდენიმე დანახარჯი მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორიდან და მოგვიანებითი ეს შრომები ჩამოყალიბდა როგორც ჭეშმარიტი პროგრესის ინდიკატორი (Genuine Progress Indicator). [4]

სამწუხაროდ, შემდგომში, იმის გამო, რომ აღნიშნული ინდიკატორების გამოთვლა ძალიან დიდ რესურსებს მოითხოვდა და პოლიტიკოსებისათვის არასასურველ შედეგებს იძლეოდა, მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტის მსგავსად, მოხდა მათი უგულებელყოფა.

ქვეყნის კეთილდღეობის დონის შეძლებისდაგვარად ობიექტურად შეფასების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია მრავალი სპეციფიკური მეთოდი, რომელთაგან ერთ-ერთი უახლესი და საკმაოდ დახვეწილი მეთოდი ეკუთვნის გაეროს ე.წ. ჰუმანური განვითარების ინდექსის ოფისს. ამავე სახელს ატარებს კეთილდღეობის დონის შესატყვისი ინდექსიც: „ჰუმანური განვითარების ინდექსი“, შემოკლებით ჰგი (HDI=Human Development Index). გაეროს ჰუმანური განვითარების ინდექსი არის მცდელობა, შეიქმნას კომპოზიციური ცხოვრების სტანდარტების ინდექსი. [5]

ჰუმანური განვითარების მიდგომა ჩამოყალიბდა 1980-იან წლებში იმ პოზიციის პასუხად, რომელიც ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანის განვითარებას შორის ავტომატურ კავშირს უშვებდა. პაკისტანელმა ეკონომისტმა დოქტორმა მაჰბუბ ალ ჰაქმა დაასაბუთა განვითარების ალტერნატიული მოდელის საჭიროება და შემოიღო ჰუმანური განვითარების ანგარიშები 1980-იან წლებში გავრცელებული მრავალი ფაქტორის გამო. მათ შორის:

- მეოცე საუკუნეში გავრცელებულმა რწმენამ იმის შესახებ, რომ საბაზრო ძალების ზემოქმედება ბოლოს მოუღებდა სიღარიბეს, გვიჩვენა, რომ “ყოვლისშემძლე” საბაზრო ძალებსაც აქვს თავისი შეზღუდვები;
- სტრუქტურულ ცვლილებათა პროგრამების ჰუმანური დანახარჯები სულ უფრო აშკარა ხდებოდა;
- სოციალური სენი (დანაშაული, სოციალური სტრუქტურის დასუსტება, გარემოს დაბინძურება და ა.შ.) კვლავ ვრცელდებოდა მძლავრი და თანმიმდევრული ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი;
- დემოკრატიზაციის ტალღამ ადამიანებზე ორიენტირებული განვითარების მოდელების ახალ მისწრაფებებს დაუდო საფუძველი.

ჰუმანური განვითარება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანთა არჩევანის გამრავალფეროვნება და შესაძლებლობათა განვითარება, რაც მათ შეუქმნის ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს ცოდნის მიღების შესაძლებლობით, ღირსეული ცხოვრებით და შესაძლებლობას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც მათს ცხოვრებაზე მოახდენს ზეგავლენას. ჰუმანური განვითარება ყოველთვის “განუსაზღვრელი” იყო იმ გაგებით, რომ მას შეიძლება გააჩნდეს იმდენი განზომილება, რამდენი გზაც არსებობს ადამიანთა არჩევანის გამრავალფეროვნებისათვის. არ არსებობს საბოლოო შეთანხმება ჰუმანური განვითარების ძირითად განზომილებებთან დაკავშირებით; ისინი წარმოიქმნება დროთა განმავლობაში და განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ამჟამად ჰუმანური განვითარების მიდგომისათვის არსებობს შემდეგი ძირითადი განზომილებები:

- ეფექტიანობა – რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მათზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ჰუმანური განვითარება ზრდისა და პროდუქტიულობისაკენ იხრება;
- თანასწორობა – განაწილების სამართლიანობა, განსაკუთრებით არჩევანისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით;
- უფლებამოსილების მინიჭება და მონაწილეობა – განსაკუთრებით დემოკრატიული მმართველობა, გენდერული თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და კულტურული თავისუფლება;
- მდგრადობა – დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით;
- ჰუმანური უსაფრთხოება – ყოველდღიურ ცხოვრებაში ქრონიკული საფრთხეებისაგან დაცვა, როგორიცაა, მაგალითად, შიმშილი, უმუშევრობა და კონფლიქტი.

ჰუმანური განვითარების მიდგომა ესწრაფვის ეფექტიანობას, თანასწორობას და თავისუფლებას შორის ქმედითი კავშირის დასამყარებლად. იგი აღიარებს, რომ არ არსებობს ავტომატური კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და ჰუმანურ პროგრესს შორის. ამგვარი კავშირის დასამყარებლად საჭიროა გულდასმით შემუშავებული პოლიტიკის გატარება ყველა დონეზე მრავალი მონაწილის, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ.

ადამიანური განვითარების ინდექსის გაანგარიშების როლი და მნიშვნელობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეფასებისათვის სულ უფრო იზრდება. ქვეყნები, სადაც HDI 0,5-ზე ნაკლებია, გაეროს მეთოდოლოგიით მიეკუთვნება განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს, 0,5-დან 0,8-მდე - განვითარების საშუალო დონის მქონე ქვეყნებს, ხოლო 0,8-ზე მეტი - მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. 2011 წლის მონაცემებით საქართველოს 75-ე პოზიცია უჭირავს სხვა 177 ქვეყანას შორის. საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსი კი 0.733-ს წარმოადგენს.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტრანსფორმაციის შეფასების მიზნით, თუ გადავხედავთ ეკონომიკური ზრდის ტემპებს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ეკონომიკის საკმაოდ მაღალი, საშუალო წლიური 6,9 პროცენტიანი ზრდის ტემპი ფიქსირდებოდა, ამასთან, საყურადღებოა, რომ ქვეყანაში დაბალი ტემპებით ხდებოდა წარმოების ფაქტორების აკუმულირება. საკუთრივ, დასახელებულ პერიოდში ინვესტიციების მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან საშუალოდ 25 პროცენტი იყო, მაშინ, როდესაც სწრაფად მზარდ ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ 40 პროცენტს შეადგენდა. ამასთან, პრაქტიკულად არ ხდებოდა ადამიანური კაპიტალის გამოყენების ზრდა. შედეგად, ეკონომიკის მატების დიდი ნაწილი პროდუქტიულობის ზრდაზე მოდიოდა. მსოფლიო ბანკის მიხედვით, პროდუქტიულობის ასეთ მაღალ, საშუალოდ 4.8 პროცენტიანი ზრდის ტემპს ე.წ. „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ფაქტორი“ განაპირობებდა (World Bank, 2013).

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013*
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	13 789,9	16 993,8	19 074,9	17 986,0	20 743,4	24 344,0	26 167,3	26 824,9
მშპ-ს რეალური ზრდა, პროცენტი	9.4	12.3	2.3	-3.8	6.3	7.2	6.2	3.2
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	3 133,1	3 866,9	4 352,9	4 101,3	4675,7	5 447,1	5 818,1	5 982,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://www.geostat.ge

მთლიანი შიდა პროდუქტი დადებითი ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბოლო წლებშიც. 2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 3,2% შეადგინა. მთავრობის პროგნოზით 2014 წელს ზრდის დადებითი ტენდენციები კვლავ შენარჩუნებული იქნება.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, საშუალო მოსახლის ცხოვრების დონის უკეთეს ამსახველს არა მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, არამედ მოხმარება ერთ სულზე წარმოადგენს. მართლაც, ის ადამიანი იღებს ყველაზე დიდ სარგებელს, რომელიც მოიხმარს ყველაზე მეტს. თუმცა, დღევანდელი მოხმარების მაქსიმიზაცია შესაძლებელია ხვალინდელი კეთილდღეობის შემაფერხებელი ფაქტორი იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კეთილდღეობის დინამიკური ოპტიმიზაციისათვის, დღევანდელი შემოსავლების ნაწილი ინვესტიციებში ჩაიდოს, რაც წარმოებასა და განკარგვად შემოსავალს გაზრდის. ამ უკანასკნელის ზრდა კი კვლავ მოხმარების ზრდის შესაძლებლობას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოხმარება მთლიანი შიდა პროდუქტის დიდ ნაწილს იკავებს, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას შედარებით ზრდის. ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალებას გვაძლევს რაოდენობრივად შევაფასოთ საანგარიშო პერიოდის მანძილზე ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგები. ეკონომიკური ზრდის ტემპის საფუძველზე აგრეთვე შესაძლებელია ქვეყნის საწარმოო–ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების დონის, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და წარმოების ეფექტიანობის, აგრეთვე ცხოვრების საშუალო დონის ამაღლების შეფასება. მიუხედავად ამისა, ეკონომიკაში არსებული რეალური ვითარებისა და მასში მიმდინარე დინამიური პროცესების სრულყოფილი ანალიზი წარმოუდგენელია ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივი მახასიათებლების (სიღარიბის დონე, სოციალურ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის არსებული ბალანსი, შესაძლებლობებისა და შედეგების განაწილების სფეროში არსებული მდგომარეობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროებში არსებული ვითარება და ა. შ.) ცვლილების თავისებურების, აგრეთვე ინსტიტუციურ–სტრუქტურული ცვლილებების ხასიათის შეფასების გარეშე. ე. ი. მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპის მაჩვენებელი საკმარისი არ არის ეკონომიკაში მიმდინარე თვისობრივი ცვლილებების და ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური

განვითარების დონის ზუსტი შეფასებისათვის. ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლების ცვლილების ხასიათი უნდა განვიხილოთ ხარისხობრივი მახასიათებლების დინამიკასთან მჭიდრო კავშირში, რაც ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის უფრო ვრცელი და კომპლექსური მახასიათებლის, კერძოდ კი, ეკონომიკური განვითარების დონის შეფასების საშუალებას მოგვცემს.

ეკონომიკური განვითარება გულისხმობს, როგორც ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას. ე.ი. ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლების ამაღლების, ეფექტიანი ეკონომიკური საქმიანობისათვის აუცილებელი პირობების (მაკროეკონომიკური, სამართლებრივ–ინსტიტუციური, პოლიტიკური, სოციალური) ფორმირების, სოციალურ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის, ეროვნული მეურნეობის პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების, ცხოვრების ხარისხის საყოველთაო, საზოგადოების ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი გაუმჯობესებისა და ა.შ. ერთიანი პროცესია. [6]

ამრიგად, ეკონომიკური განვითარება შინაარსობრივად ბევრად უფრო ტევადი ცნებაა ვიდრე ეკონომიკური ზრდა. უფრო მეტიც, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების პარალელურად შესაძლოა აღინიშნოს ეკონომიკური განვითარების დანარჩენი კომპონენტების არსებითი გაუარესება. ასე მაგალითად, საქართველოში, 2004–2012 წლებში, ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებლების პირობებში, აღინიშნა უმუშევრობის ზრდა (საქსტატის მონაცემების თანახმად უმუშევრობის დონემ 2005 წლისათვის შეადგინა 13,8%, ხოლო 2012 წლისათვის 15%), უთანაბრობის გაღრმავება შემოსავლების განაწილებაში და სიღარიბის დონის ამაღლება. სიღარიბის რეალურ დონეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ რეგისტრირებული სიღარიბის, ანუ სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის ცვლილებით მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 2007 წლის 6,4%–დან 2012 წლისათვის ამაღლებულია 9,7%–მდე). ამასთან, პრობლემებია მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების ჯანმრთელობის დაცვის, განათლების დონის ამაღლებისა და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემაში, სრულყოფას საჭიროებს ეროვნული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, დასახვეწია ბიზნესის, მ.შ. მცირე და საშუალო ბიზნესის, განვითარებისათვის აუცილებელი გარემო პირობები. [7]

ამრიგად აშკარაა, რომ ეკონომიკური ზრდის ჭეშმარიტი ფასეულობა განისაზღვრება არა თავისთავად ეკონომიკური ზრდის ტემპის სიდიდითა და შესაბამისად, პროდუქციის გამოშვების მოცულობის გადიდებით, არამედ იმით, თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი: საზოგადოების ყველა ფენის კეთილდღეობის დონის შედარებით თანაბარზომიერ ამაღლებას და სიღარიბის დონის შემცირებას, სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას, პროგრესული ინსტიტუციურ–სტრუქტურული ცვლილებების დაჩქარებას და ა. შ.

გრძელვადიანი პერიოდისათვის საყოველთაო ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ტემპის მნიშვნელოვანი ამაღლება და სტრუქტურულ–ინსტიტუციური ცვლილებების დაჩქარება, ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთიკური თვალსაზრისით გამართლებული ბალანსის დაცვა სოციალურ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის.

სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია სისტემური ხასიათის ღონისძიებების კომპლექსური განხორციელება. ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი „საქართველო 2020“, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს 2014-2020 წლებისთვის.

სტრატეგიაში დეტალურადაა აღწერილი ის მექანიზმები და ინდიკატორები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდა, მათ შორისაა: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა, ადამიანური კაპიტალის განვითარება, აგრეთვე, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი წინაპირობების შენარჩუნება, როგორიცაა: მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობა და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა. [8]

საქართველო 2020 წლისათვის მიზნად ისახავს შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლების მიღწევას:

ინდიკატორი	**მიმდინარე მაჩვენებელი 2013 წ.**	**საპროგნოზო მაჩვენებელი 2020 წ.**
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	5811,7	13 000
ჯინის კოეფიციენტი	0,41	0,35
ინფლაცია (%)	-0,9	4.0
უმუშევრობა (%)	15,0	<12
გადასახადები (წილი მშპ-ში, %)	24	25
ექსპორტი (წილი მშპ-ში, %)	35	50
მიმდინარე ანგარიში (წილი მშპ-ში, %)	6.7	6
სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან (%)	34	<40

სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, შესაბამისად: ფისკალური დისციპლინა, უმუშევრობის დაბალი დონე და ფასების სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანდათანობითი შემცირება და ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება.

საქართველო ისწრაფვის გახდეს თავისუფლების, კეთილდღეობის და სოციალური სამართლიანობის ქვეყანა, სადაც საზოგადოების ყველა წევრი ისარგებლებს ეკონომიკური ზრდით მოტანილი სიკეთით და მაქსიმალურად იქნება გამოყენებული თითოეული მოქალაქის პოტენციალი ქვეყნის განვითარების პროცესში.

ლიტერატურა:

1. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა ,,დიოგენე", თბ., 2008, გვ. 507.
2. http://www.marketplace.org/topics/business/economy-40/alternative-indicator-green-gdp
3. http://www.scribd.com/doc/328232/United-Nations-Gini-Coefficient
4. http://www.investopedia.com/terms/g/gpi.asp, Bensel, Terrence; Turk, Jon (2011). *Contemporary Environmental Issues*. Bridgepoint Education. 1935966154.
5. http://hdr.undp.org/reports/global/2014/
6. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე" 2013. ტომი I, N2 -გვ.17
7. http://www.economy.ge/ge/economic-data/macroeconomic-indicators
8. http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelos-socialur-ekonomikuri-ganvitarebis-strategiis-proeqti-saqartvelo-2020 - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020"-გვ. 5-6

რეზიუმე

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ ზრდას. საუკუნეების მანძილზე მეცნიერებმა არაერთი მეთოდი და მიდგომა შეიმუშავეს ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის შესაფასებლად. სტატიაში განხილულია ეკონომიკური ზრდის ისეთი მნიშვნელოვანი ინდიკატორები, როგორიცაა: მშპ, მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტი, ჯინის კოეფიციენტი, მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორი (ISEW), „ჰუმანური განვითარების ინდექსი" და ა.შ. განხილულია ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ძირითადი ტენდენციები; წარმოდგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020"-ის პრიორიტეტები და მათი განხორციელების მექანიზმები.

KEY INDICATORS OF ECONOMIC GROWTH AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

Giuli Giguashvili, Professor
Makvala Gogoladze, Senior Specialist of Teaching Process Management Service

RESUME

For ensuring a sustainable economic development of the country, special attention is given to the economic growth. For centuries, scientists have devised various methods and approaches to assess the economic growth and prosperity. The article reviews the growth of such important economic indicators as GDP and green GDP, Gini Coefficient, an Indicator of Sustainable Economic Welfare (ISEW), "Human Development Index" and others. The paper discusses the major trends in economic growth in our country. The priorities and mechanisms of implementation of the strategy of social-economic development of Georgia “Georgia 2020” are also represented in the paper.

საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასექტები

***ლალი ოსაძე**, ასოცირებული პროფესორი*

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა 1992 წელს დაიწყო, როგორც კი საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღადგინა. ევროკავშირი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს გარდამავალი პერიოდის მძიმე წლებში დაეხმარა. 1995 წელს თბილისში ევროკომისიამ წარმომადგენლობა (დელეგაცია) გახსნა. ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა უფრო ინტენსიური 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გახდა, როდესაც ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA). ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ქვაკუთხედია. 1996 წელს მიღებული ეს შეთანხმება, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში, თავდაპირველად ათი წლის ვადით იყო მიღებული, თუმცა ის ყოველ წელს, ავტომატურად, ერთი წლით გრძელდებოდა. შეთანხმება ითვალისწინებდა ფართომასშტაბიან თანამშრომლობას პოლიტიკური დიალოგის, ვაჭრობის, ინვესტიციების, ეკონომიკური, საკანონმდებლო და კულტურული თანამშრომლობის სფეროებში. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საშუალებით, რომელიც აუქმებს კვოტებს ვაჭრობის სფეროში და იცავს ინტელექტუალური, საწარმოო და კომერციული საკუთრების უფლებას, მხარეებმა ერთმანეთს მიანიჭეს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. 2005 წლის დეკემბერში ევროკავშირმა საქართველოს მიანიჭა პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება. ეს უფლება 2008 წელს აგვისტოს ომის შედეგად შეწყდა, შემდეგ ისევ გაგრძელდა. GSP+ ითვალისწინებს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას.

2003-2004 წლებში ევროკომისიამ შეიმუშავა ევროკავშირის ახალი საგარეო პოლიტიკის მიმართულება – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება და გამყოფი ხაზების ნაცვლად ყველასთვის კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 2004 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ჩართვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში. ევროკავშირსა და საქართველოს მიერ სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული. სამოქმედო გეგმა პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც საქართველოს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ ამოცანებს განსაზღვრავს. ის ხუთი წლის ვადით შემუშავდა. მისი განხორციელება საქართველოს დაეხმარა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დებულებების შესრულებაში.

2009 წლის გაზაფხულზე ევროკავშირმა წამოაყენა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, რომლის მიზანი იყო საქართველოში, ისევე როგორც აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, სომხეთსა და უკრაინაში, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა. აღმოსავლეთ პარტნიორობა მიზნად ისახავს უფრო მტკიცე პოლიტიკურ თანამშრომლობას ევროკავშირთან; კერძოდ, ახალი თაობის ასოცირების შეთანხმებების პერსპექტივასა და ევროკავშირის ეკონომიკაში ინტეგრირებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის საშუალებით.

2013 წლის ივლისში ევროკავშირმა და საქართველომ დაასრულეს მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) თაობაზე. შეთანხმების პარაფირება 2013 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე შედგა.

2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ, საქართველოში, ისევე, როგორც მოლდოვასა და უკრაინაში, ბევრია გასაკეთებელი. ევროკავშირი მზადაა დაეხმაროს საქართველოს ეკონომიკის აღდგენასა და ზრდაში და ხელი შეუწყოს ქართული ეკონომიკის უკეთ ინტეგრაციას მსოფლიო ბაზართან.

1990–იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, ევროკავშირი ეხმარება საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტების შედეგების აღმოფხვრაში. 2003 წლის ივლისში, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნამ განამტკიცა ევროკავშირის სურვილი, უფრო აქტიური წვლილი შეიტანოს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საქმეში და ურთიერთობების გაღრმავებაში საქართველოსთან და მის მეზობლებთან რეგიონში სომხეთთან და აზერბაიჯანთან. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე ევროკავშირი აფხაზეთსა და სამხერეთ ოსეთში ყველაზე დიდი დონორი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა, განაგრძოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის დახმარების პროექტების განხორციელება აფხაზეთში, მისი დაფინანსებით განხორციელებული პროექტები სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში დასრულდა. ევროკავშირის მონიტორინგი საქართველოში 2008 წლის ოქტომბერში დაიწყო. მას საფუძვლად დაედო ის მექანიზმები, რომელიც ევროკავშირის შუამავლობით თბილისსა და მოსკოვს შორის აგვისტოს ომის შემდეგ გაფორმებული შეთანხმებებით იყო გათვალისწინებული. ევროკავშირის მანდატი გულისხმობს ამ შეთანხმებების მონიტორინგს და ის საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ვრცელდება.

ევროკავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც ყველანაირად მხარს უჭერს და ხოტბას ასხამს მრავალფეროვნებას; ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დევიზია ,,ერთიანობა მრავალფეროვნებაში". ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს კულტურულ ფასეულობებს. და ჩვენ გვჯერა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ხელს შეუწყობს ამ ფასეულობათა დაცვას. საქართველო ახორციელებს ისეთ კანონმდებლობას, რომელიც მის მოქალაქეებს დისკრიმინაციისგან დაიცავს. ევროკავშირი მიესალმება ამ ინიციატივას, რომელიც ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მოთხოვნას ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის თანახმად. დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობა უბრალოდ უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის მიმართ თანასწორ მოპყრობას, მათ შორის, იმ მოქალაქეების მიმართაც, რომლებიც უმცირესობებს განეკუთვნებიან. ასეთი კანონმდებლობა იცავს მოქალაქეთა არსებულ უფლებებს, მაგალითად, მოქალაქეთა უფლებას, მათ მიმართ არ იქნეს გამოყენებული დისკრიმინაცია სამუშაო ადგილებზე.

შეთანხმება მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სტაბილურობას და თანამშრომლობას რეგიონში. საქართველო, სადაც მშვიდობა და კეთილდღეობა იქნება გამეფებული, რუსეთის ინტერესებშიც არის. ასოცირების შესახებ შეთანხმებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დროთა განმავლობაში ყველა ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში, ისარგებლებს იმ უპირატესობებით, რომლებსაც მოიტანს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის წყალობით ამაღლებული ცხოვრების დონე.

შეთანხმება აქტიურად უჭერს მხარს დისკრიმინაციის არარსებობას და მაქსიმალურად უწყობს ხელს უმცირესობათა დაცვას. იგი აღიარებს უმცირესობების მნიშვნელოვან როლს ეროვნული ერთიანობის გრძნობის გაღრმავების საქმეში. საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის ცხოვრების დონის ამაღლების წყალობით ასოცირების შესახებ შეთანხმება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნულ ერთიანობაში.

ევროკავშირი ღრმა პატივისცემით არის განმსჭვალული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და საქართველოს ეროვნულ ცხოვრებაში მისი მნიშვნელოვანი როლისადმი. 2014 წლის მარტში ევროკომისარი შტეფან ფულე შეხვდა პატრიარქ ილია II-ს და მათ ისაუბრეს ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ. პატრიარქმა გამოხატა საქართველოს ევროპული არჩევანისადმი თავისი უპირობო მხარდაჭერა.

შეთანხმება საქართველოს ბევრ საგრძნობ სარგებელს მოუტანს. დროთა განმავლობაში ასოცირების შესახებ შეთანხმება შედეგად მოიტანს ქართველთა ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, განსაკუთრებით დემოკრატიის გაძლიერების, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური სტაბილურობის გაზრდის, ასევე, უფრო ძლიერი და აყვავებული ეკონომიკის მეშვეობით. ეკონომიკის პროგნოზირებული ზრდა წელიწადში 4.3%-ის ტოლი უნდა იყოს.

საქართველო რეალურ სარგებელს მიიღებს ვაჭრობის სფეროში წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების და ევროკავშირის ბაზრის - მსოფლიოში უდიდესი ბაზრის - მისაწვდომობის გაადვილების შედეგად. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დროთა განმავლობაში დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს არა მარტო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობაში, არამედ, ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების მსოფლიო მასშტაბით აღიარების წყალობით, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაშიც. აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მომხმარებლებს ბევრად დიდი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყოფს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას და საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს. ყველაზე სენსიტიური სექტორები სარგებელს ნახავენ ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდების წყალობით, რომლებიც შესაძლებელს გახდის საქართველოს ეკონომიკის დაუბრკოლებელ ადაპტაციას.

ევროკავშირთან ვაჭრობა არ ხდება რუსეთთან ვაჭრობის ხარჯზე. ბიზნესკავშირები ყველაზე კარგად სტაბილურ და პროგნოზირებად სამართლებრივ გარემოში ვითარდება და სწორედ ეს არის განმსაზღვრელი ფაქტორი საწარმოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას იმასთან დაკავშირებით, თუ სად აწარმოოს ვაჭრობა. არ არსებობს სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი, როდესაც დაცულია შესაბამისი წესები.

ტარიფების გაუქმების შედეგად საქონელბრუნვის გაზრდის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, საქართველო ნახავს სარგებელს. რაც შეეხება საქონელს, იმპორტზე გადასახადი ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტირებულ ყველა საქონელზე ან, პირიქით, დაუყოვნებლივ იქნება გაუქმებული. შედეგად მოსალოდნელია საქართველოში ვაჭრობის 12%-ით ზრდა ექსპორტის კუთხით და 7.5%-ით იმპორტის კუთხით. ეს მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ქვეყნის ეკონომიკისთვის და კომპანიებისთვის. გარდა ამისა, ევროპელი იმპორტიორები დაზოგავენ 10.8 მილიონ ევროს გადასახადების შემცირების შედეგად, მაშინ, როცა ქართველი იმპორტიორები ყოველწლიურად დამატებით 84.2 მილიონ ევროს დაზოგავენ საბაჟო გადასახადის გაუქმების შედეგად.

შეთანხმება უზრუნველყოფს ფართო ჩარჩოს საქართველოს წარმოების სტიმულირებისთვის, ბიზნესის გაძლიერებისთვის და დასაქმების ზრდისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. შეთანხმება ითვალისწინებს რიგ დაუყოვნებელ სარგებელს საქართველოსთვის, რაიმე რეფორმების პროცესის გარეშე:

1) ევროკავშირი გააუქმებს ყველა საიმპორტო მოსაკრებელს ქართულ იმპორტზე იმ დღიდან, როდესაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ძალაში შევა. ამ გადაწყვეტილების წყალობით საქართველოს ექსპორტი დაუყოვნებელ სარგებელს მიიღებს.

2) ასევე დაუყოვნებელი სარგებელი შეიძლება მიიღონ კომპანიებმაც ევროკავშირში ან საქართველოში დაფუძნების უფრო მარტივი პირობების შემოღების წყალობით. ეს გაზრდის ინვესტიციებს და შექმნის სამუშაო ადგილებს საქართველოში.

3) კომპანიები შეძლებენ მომსახურების უფრო ფართო მასშტაბით გაწევას, ვიდრე ადრე, რაც ასევე გააფართოებს მათ საქმიანობას და შექმნის სამუშაო ადგილებს.

მართალია, რომ 2012 წელს საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში შეფერხება აღინიშნა. ეს შეფერხება სხვადასხვა ბიზნესმა ნამდვილად იგრძნო. მაგრამ მსოფლიო ბანკის პროგნოზებით, ეს დროებითი ვარდნა იყო და მომდევნო წლებში საქართველოს ეკონომიკა ისევ დაიწყებს ზრდას და მოსალოდნელია, რომ 2014 და 2015 წლებში მშპ-ის ზრდა 6.3%-ის ტოლი იქნება, ხოლო 2016 წელს, 6.5%-ისა. ამგვარი ზრდა უკავშირდება სიტუაციის გაუმჯობესებას ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მომავალ წლებში ამ პროგნოზის გამართლებასთან ერთად რეფორმებიც თანდათანობით წინ

წავა. ქართულ ბიზნესს არ უნდა ეშინოდეს ამ თვალსაზრისით რაიმე მოულოდნელი ნეგატიური შედეგებისა. გარდა ამისა, რეფორმები განამტკიცებს დემოკრატიას და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ სტაბილურობას საქართველოში და ქვეყანას ინვესტორებისთვის უფრო პროგნოზირებად და მიმზიდველ ადგილად აქცევს.

საქართველოს სოფლის მეურნეობას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, მაგრამ საჭიროა მისი მოდერნიზება, საჭიროა მისი უფრო ეფექტიანად წარმოება. მას ესაჭიროება ინვესტიციები და სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების მეტი პროფესიონალიზმი და თანამედროვე უნარები. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს ამ მიზნების მიღწევას. მაგრამ ნებისმიერი რესტრუქტურიზაცია გულისხმობს, რომ ზოგიერთი ფერმერისთვის შეიძლება აღარ იყოს მომგებიანი ფერმერული საქმიანობა და მათთვის შესაძლოა უმჯობესი იყოს გადამზადება და სამუშაოს შეცვლა. ასეთ მოქალაქეებს დასჭირდებათ ახალი უნარ-ჩვევების შეძენა და ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ამ თვალსაზრისით შესატყვისი პროექტების შემუშავებაში. ასე მოხდა ბევრ ქვეყანაში, რომელთაც გადაწყვიტეს, გაეუმჯობესებინათ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო სექტორი, რათა მას მეტი წვლილი შეეტანა ქვეყნის ეკონომიკაში.

საქართველო დაადგა განვითარებული საბაზრო ეკონომიკისკენ მიმავალ გზას. რეფორმები მიზნად ისახავს ქვეყნის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორების, ასევე მომსახურებათა ბაზრის უფრო ეფექტიანად და უფრო თანამედროვედ ქცევას, ევროკავშირის სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოებას. რეფორმები მხოლოდ იმ სფეროებზე ვრცელდება, რომელთაც რეგულირება სჭირდება, მაგალითად, მომხმარებელთა დაცვის და უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების კუთხით. ეს რეფორმები მიზნად ისახავს შესაბამისი სექტორების უფრო კონკურენტუნარიანად ქცევას. ეს ნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანი კომპანიები უკვე ეყრდნობიან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და არაფერი აქვთ საწუხარი რეფორმების პროცესთან დაკავშირებით.

სოფლის მეურნეობის სექტორში ევროკავშირი უკვე აწარმოებს ექსპორტს საქართველოში და ეს არ ცვლის ადგილობრივი წარმოების პროდუქციას, როგორიც არის ქართული ღვინო, ყველი, ხილი ან ბოსტნეული. გარდა იმისა, რომ მომხმარებლების სხვადასხვა სახის პრეფერენციები აქვთ (როგორიც არის, მაგალითად, გემოვნება), ევროკავშირში საკვები პროდუქტების წარმოება მაღალი ღირებულებისაა, ამიტომ საქართველო არ არის მაინცდამაინც დიდი ინტერესის ბაზარი. მით უმეტეს, თუ იმპორტირებულმა საქონელმა კონკურენცია უნდა გაუწიოს ადგილობრივად წარმოებულ უფრო იაფ პროდუქციას, რომელიც უფრო მეტად შეესატყვისება ადგილობრივი ადამიანების გემოვნებას. ასე რომ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის დაწყება ავტომატურად არ მოიტანს ევროპიდან იმპორტირებული საქონლის შემოდინების რისკს.

ამჟამად ექსპორტი ევროკავშირიდან საქართველოში მოიცავს უმნიშვნელო ოდენობის ბოსტნეულს, ხილს, ყავას და მარცვლეულს. ევროკავშირს საქართველოში შემოაქვს მინიმალური რაოდენობით ხორცი და ცოცხალი ცხოველები, ასევე, წარმოებული პროდუქტები, როგორიც არის კაკაო, შაქარი და დამუშავებული მარცვლეულიდან წარმოებული საკვები (სულ დაახლოებით 22 მილიონი ევროს ოდენობის) ან ღვინო და სპირტიანი სასმელები (36 მილიონი ევრო).

ევროკავშირი და საქართველო განახორციელებენ რეფორმებს იმისთვის, რომ ქვეყნის მმართველობის სტანდარტები ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოვდეს.

ევროკავშირმა უკვე გამოყო მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში განსახორციელებელ რეფორმების პროცესს დაეხმარება. მხოლოდ 2011–13 წლებში ეს დახმარება მოიცავს 180 მლნ ევროს, რაც საქართველოს მშპ–ს 1.5%–ს შეადგენს. მომდევნო წლების განმავლობაში ეს ოდენობა არ შეიცვლება და შესაძლოა გაიზარდოს კიდეც. ევროკავშირი უკვე რამდენიმე წელია ეხმარება საქართველოს რეფორმების პროცესში. ვაჭრობის სფეროს რეფორმირება ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებიდან დიდი ხნით ადრე დაიწყო. ვაჭრობის სფეროში რეფორმები 31 მლნ ევროს (2011–2013) ღირებულების სპეციალური ,,ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა. ეს დახმარება არის ნაწილი ,,ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის“ სახელწოდებით ცნობილი დახმარების დიდი პაკეტისა, რომელიც 180 მლნ ევროს შეადგენს (2011–2013). ეს დახმარება მოიცავს როგორც ფინანსურ, ისე ტრეინინგებითა და კონსულტირებით დახმარებას (დაძმობილება Twinning, TAIEX და ა.შ.). წევრი ქვეყნების ორმხრივი დახმარება კოორდინირებულია ევროკავშირის მიერ გაწეულ სხვა დახმარებასთან. ახალი „ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის“ (2014–20) ფარგლებში მნიშვნელოვანი დახმარებაა გათვალისწინებული სამომავლოდაც, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელებაში.

ევროკავშირმა საქართველოს სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია, ესაა: კონსულტირება კანონმდებლობის მომზადებასა და შემუშავებაში, ტექნიკური რჩევები კანონის აღსრულებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების ზრდის საკითხებში, ტრეინინგი სამთავრობო სტრუქტურებში, რეფორმების პროცესის სტრატეგიული დაგეგმვა და შედეგების შეფასება. ამ მიზნების მიღწევის მთავარი ინსტრუმენტი არის „დაძმობილება“ (Twinning -წევრი ქვეყნების ექსპერტების დახმარება უფრო ხანგრძლივვადიანი პროგრამების ფარგლებში) და TAIEX (მოკლევადიანი საკონსულტაციო და ვერიფიკაციის მისიები). გათვალისწინებულია ასევე პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება 2015–17 წლებში. ამასთან, TAIEX ინსტრუმენტის ფარგლებში რეგულარულად ეწყობა სხვადასხვა სემინარები, მრგვალი მაგიდები, სასწავლო ვიზიტები და ა.შ. დაბოლოს, სპეციალური მრჩევლის, ტომას ჰამარბერგის წყალობით ევროკავშირი დახმარებას უწევს საქართველოს ადამიანის უფლებების, სამართლისა და სხვადასხვა სფეროებში.

ევროკავშირი შეთანხმებას დებს საქართველოსთან, რადგან მიაჩნია, რომ საქართველო ადგას ევროპულ გზას და მისი სურვილი ევროპული მართვის მოდელის დამკვიდრებაა. საქართველო ევროკავშირისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პარტნიორია, თუმცა, ეკონომიკურად ნაკლებ მნიშვნელოვანი. სწორედ ამიტომ ამბობს დამოუკიდებელი კვლევა, რომ შეთანხმების საერთო გავლენა ევროკავშირზე – საქართველოს სიდიდისა და დანარჩენ მსოფლიოსთან ევროკავშირის ვაჭრობაში საქართველოს წილის (0.1%) გათვალისწინებით – უმნიშვნელო იქნება. ამის საპირისპიროდ მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად საქართველო დამატებითი შემოსავლის სახით თითქმის 300 მლნ ევროს, ანუ მშპ–ს 4.3% მიიღებს, თუკი რეფორმები განხორციელდება. ასე რომ, საქართველოს მიერ შეთანხმებიდან მიღებული სარგებელი რეფორმების პროცესზეა დამოკიდებული.

უფრო მეტიც, შეთანხმების თავებში პოლიტიკური და სამართლებრივი, თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების შესახებ განსაზღვრულია კონკრეტული პოლიტიკური და რეფორმის მიზნები. მე–4 თავი დეტალურად შეეხება შიდა რეფორმების მოთხოვნებს და ადგენს, რომ საქართველომ და ევროკავშირმა უნდა ითანამშრომლონ შემდეგ სფეროებში:

- დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის განვითარება, განმტკიცება, სტაბილურობისა და ეფექტიანობის გაზრდა;
- ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა;
- შემდგომი წინსვლა სამართლებრივი და მართლმსაჯულების რეფორმირების პროცესში იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა;
- სამართალდამცავი ორგანოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების განმტკიცება, მათი მიუკერძოებულობისა და ეფექტიანობის გარანტირება;
- სახელმწიფო ადმინისტრაციის სფეროს შემდგომი რეფორმირება;
- ანგარიშვალდებულების მქონე, ეფექტური, ეფექტიანი, გამჭვირვალე და პროფესიული სახელმწიფო სამსახურის მშენებლობა;
- კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება.

ევროკავშირი სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენს მცირე და საშუალო საწარმოების და საერთოდ ბიზნესის მიმართ, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი რეფორმებით დაინტერესება და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შესაძლო უარყოფითი შედეგის შემსუბუქება. ეს მიდგომა ასახულია პროექტში, რომელიც აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტულობის გაზრდაზეა მიმართული. პროექტი ,,East Invest“ უშუალოდ მცირე ბიზნესის ხელშემწყობ ორგანიზაციებსა და უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა გამიზნული; სწორედ მათ აქვთ ევროკავშირის ბიზნესწრეებთან თანამშრომლობისა და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარების პოტენციალი. სულ მალე დაიწყება პროექტის მეორე ფაზა. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებას ასევე ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსირების მექანიზმი, რომელიც გასცემს სესხებს ისეთი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებსაც თავისი საქმიანობისთვის კომერციული ბანკებიდან დაფინანსების მიღება გაუჭირდებოდათ.

ევროკავშირის მიზანია, მოხდეს საქართველოსთან დადებული შეთანხმების განხორციელება საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში. ევროკავშირი მზადაა, განიხილოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მიზანი ისეთი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობაა, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიას მოუტანს სარგებელს.

საქართველო-ევროკავშირსა და საქართველო-საბაჟო კავშირს შორის ურთიერთობის პირობებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ საქართველო და ევროკავშირი ერთმანეთში უფრო იოლად ვაჭრობენ (ტარიფების გაუქმებისა და შესაბამისი კანონმდებლობის დაახლოების წყალობით). საბაჟო კავშირის საპირისპიროდ, თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ ითხოვს პარტნიორებისგან თავიანთი საიმპორტო და საექსპორტო მოსაკრებელი სხვა სავაჭრო პარტნიორების ასეთივე მოსაკრებელს გაუთანაბრონ, ასევე, არ ავალდებულებს მათ, იქონიონ ასეთივე სავაჭრო პოლიტიკა მთელი მსოფლიოს მიმართ. თავისუფალი სავაჭრო სივრცის შემთხვევაში საქართველო და ევროკავშირი სხვა სავაჭრო პოლიტიკის მიმართ თავიანთ სუვერენულ არჩევანს ინარჩუნებენ. საბაჟო კავშირის შემთხვევაში კი ეს სუვერენული უფლება გადაეცემა საბაჟო კავშირის ორგანოს, რომელიც საბაჟო კავშირის შესახებ შეთანხმებას ახორციელებს. ამ შემთხვევაში კავშირის ცალკეულ წევრს აღარ აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური სუვერენობის შენარჩუნებასთან ერთად მსოფლიოს ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ანალიზი ადასტურებს, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრციდან საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე საბაჟო კავშირიდან.

წყაროები:

http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/index_ka.htmhttp://
www.newposts.ge/?l=G&id=43169http:/
/www.netgazeti.ge/GE/105/News/30381/

რეზიუმე

2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას. ეს შეთანხმება ორივე მხარეს აკისრებს ვალდებულებებს. ევროკავშირი მზადაა დაეხმაროს საქართველოს ეკონომიკის აღდგენასა და ზრდაში და ხელი შეუწყოს ქართული ეკონომიკის უკეთ ინტეგრაციას მსოფლიო ბაზართან.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა 1992 წელს დაიწყო. ევროკავშირმა საქართველოს სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია.

ევროკავშირი შეთანხმებას დებს საქართველოსთან, რადგან მიაჩნია, რომ საქართველო ადგას ევროპულ გზას და მისი სურვილი ევროპული მართვის მოდელის დამკვიდრებაა. საქართველო ევროკავშირისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პარტნიორია, თუმცა, ეკონომიკურად ნაკლებ მნიშვნელოვანი. სწორედ ამიტომ, შეთანხმების საერთო გავლენა ევროკავშირზე – საქართველოს სიდიდისა და დანარჩენ მსოფლიოსთან ევროკავშირის ვაჭრობაში საქართველოს წილის (0.1%) გათვალისწინებით – უმნიშვნელო იქნება. ამის საპირისპიროდ მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად საქართველო დამატებითი შემოსავლის სახით თითქმის 300 მლნ ევროს, ანუ მშპ–ს 4.3% მიიღებს, თუკი რეფორმები განხორციელდება. ასე რომ, საქართველოს მიერ შეთანხმებიდან მიღებული სარგებელი რეფორმების პროცესზეა დამოკიდებული.

THE POLITICAL AND ECONOMIC ASPECTS OF GEORGIA-EUROPEAN UNION

Lali Osadze, Associate Professor

RESUME

In June 2014 the Associate Treaty between the European Union and Georgia was signed. This Treaty imposes obligations on both sides: The European Union is ready to help Georgia restore and grow the economy and integrate it with the world market.

The relation between the European Union and Georgia began in 1992 and EU did a lot of important helpings to Georgia.

The EU concludes a Treaty with Georgia because it thinks Georgia is leads the European way and its wish is to set the European model of management. Georgia is a politically important partner for the EU, though it is less important

economically. That is why the general influence of the Treaty on the EU will be unimportant because the share of Georgia in the trade of the EU with the other world is insignificant (only 0.1%). But it is possible that Georgia would annually receive the additional income almost 300 million of Euros – 4.3% of the whole inner production if the reforms would be realized. So, the profit from the Treaty for Georgia depends on the reforms.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში მოგების გადასახადის ანალიზი

***ხალიანა ჩიტაძე**, ასოცირებული პროფესორი*
***ლალი სადაღაშვილი**, ასოცირებული პროფესორი*

***ანოტაცია**. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონის შესაბამისად პირდაპირ გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნება მოგების გადასახადი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას მისი ისეთი უპირატესობანი, როგორიცაა: ა) მიზანმიმართულება; ბ) დაბეგვრის დიფერენციაცია; გ) გამოქვითვების მარტივი მექანიზმების გამოყენება. საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ა) საინვესტიციო საქმიანობის განვითარების საქმეში მოგების გადასახადის გამოყენებას, რაც გამოიხატება საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული დასაბეგრი მოგების ნაწილის გადასახადის გათავისუფლებაში. მას მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით დადებითი გავლენა ექნება და საბოლოო ჯამში ახალი საწარმოს შექმნის საფუძველზე ხელს შეუწყობს დასაბეგრი ბაზის მოცულობის გადიდებას, ახალი საწარმოების შექმნა ძირითადად შესაძლებელია უცხოური კაპიტალის განაწილებით; ბ) იმისათვის, რომ გამოიკვეთოს საგადასახადო შეღავათების მინიჭების მნიშვნელობა, საჭიროა ძირითადად პარტნიორ ქვეყნებთან გაფორმდეს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების თაობაზე შეთანხმებები. აქედან გამომდინარეობს ნაშრომის აქტუალობა და მათი სრულყოფა წარმოადგენს ძირითად ამოცანებს.*

გადასახადები ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია, რომელიც სახელმწიფოს არსებობას განაპირობებს, გადასახადები ქვეყნის ძირითადი სახელმწიფო საფინანსო გეგმის – ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენენ. არც ერთ სახელმწიფოს გადასახადების გარეშე არსებობა არ შეუძლია, რადგანაც ისინი, ერთი მხრივ, უნდა ემსახურებოდეს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის შევსებას, ხოლო, მეორე მხრივ, კატალიზატორი და სტიმულის მიმცემი უნდა იყოს ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური და საინვესტიციო მდგომარეობის წინსვლისა და განმტკიცების თვალსაზრისით. ნებისმიერი სახელმწიფო არსებობისათვის მოიცავს სამ ძირითად ფაქტორს: ტერიტორიული ერთიანობა, საჯარო ხელისუფლება და საგადასახადო სისტემა. „სწორედ რომ საგადასახადო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელ და განმამტკიცებელ ატრიბუტს სახელმწიფო დროშასთან, გერბთან და ჰიმნთან ერთად“.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საგადასახადო სისტემამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. შემცირდა გადასახადების რაოდენობა, შემცირდა განაკვეთები, ერთი შეხედვით გამარტივდა საგადასახადო კანონმდებლობა, მაგრამ მიუხედავად არსებული ძვრებისა, დღეისათვის საქართველოში მოქმედი გადასახადები მაინც მძიმე საგადასახადო ტვირთის მატარებელია. ქვეყანაში მოქმედი გადასახადები და საგადასახადო სისტემა უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფის საქმეს, არამედ იგი უნდა იყოს ერთგვარი ხელშემწყობი და სტიმულატორი ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისა, უფრო მეტი და მეტი ადგილობრივი მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლების დონეს. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შემოსავლები საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ ბოლო სამი წლის განმავლობაში სისტემატიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება, კერძოდ: აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2010 წელს – 23,5%, 2011 წელს – 25,2%, 2012 წელს კი – 25,3% შეადგინა, თუმცა იგი

ჯერჯერობით დაბალია, რამეთუ საზღვარგარეთის უმრავლეს ქვეყანაში საშუალოდ იგი 30–35%–მდე მერყეობს.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად გადასახადის სახეებია: ა) საერთო-სახელმწიფოებრივი და ბ) ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები ამოღების თვალსაზრისით იყოფა: პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. როგორც ანალიზი გვიჩვენებს ბოლო წლებში მაღალი ტემპით ხასიათდება პირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, კერძოდ: 2010 წელს პირდაპირი გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა – 2033,1 მლნ. ლარი, 2011 წელს – 2642,0 მლნ. ლარი, 2012 წელს კი – 2856,0 მლნ. ლარი, თუმცა მათი ხვედრითი წილი მთელ საგადასახადო შემოსავლებში გაცილებით ნაკლებია და მთელი საგადასახადო შემოსავლების თითქმის 58-60% მიღებულია არაპირდაპირი გადასახადებიდან (დღგ, აქციზი). საბიუჯეტო საგადასახადო შემოსავლებს მოგების გადასახადს მეტად მცირე ადგილით უჭირავს, რომელიც არ აღემატება 14,0%–ს.

პირდაპირი გადასახადებიდან მეტად მნიშვნელოვანია მოგების გადასახადი. საქართველოში დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების პირდაპირი გადასახადებიდან საშემოსავლო გადასახადთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოგების გადასახადს, რომელიც საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს მისი ისეთი უპირატესობანი, როგორიცაა: ა) მიზანმიმართულება, ბ) დაბეგვრის დიფერენციაცია, გ) გამოქვითვების მარტივი მექანიზმების გამოყენება. მოგების გადასახადის გადამხდელთა საქართველოს საწარმო და უცხოური საწარმო, რომლებიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულებების მეშვეობით და/ან შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროებიდან. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება.

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის, ხოლო არარეზიდენტი საწარმო (გარდა საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებელისა), რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულებების მეშვეობით, არის მოგების გადასახადის გადამხდელ მუდმივ დაწესებულებებთან დაკავშირებული საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით, რომელიც მცირდება კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებით. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, მოგების გადასახადიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები 2010, 2011, 2012 წლების განმავლობაში სისტემატიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად 2010 წელს მოგების გადასახადის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 575 მლნ 974,2 ათასი ლარი, 2011 წელს – 832 მლნ 201,3 ათასი ლარი, 2012 წელს კი – 844 მლნ. ლარი. ამ სამი წლის განმავლობაში მოგების გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები გაიზარდა 47%–ით, რაც ძირითადად განპირობებულია მოგების გადასახადით დასაბეგრი ობიექტის გადიდებით, რასაც ხელი შეუწყო 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებამ (საგადასახადო კოდექსის 99–ე მუხლი) მოგების გადასახადიდან თავისუფლდება მთელი რიგი საწარმოების საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის გამოყენება ხორციელდება წარმოების გაფართოებისათვის, ეს კი ხელს უწყობს ახალი საგადასახადო ბაზის შექმნას და მოგების გადასახადის სახით მიღებული შემოსავლების ზრდას (აქვე უნდა განვიხილოთ 2013 წლის მოგების გადასახადი რამდენს შეადგენს, გაიზარდა თუ შემცირდა). საბიუჯეტო საგადასახადო შემოსავლებს შორის მოგების გადასახადს მეტად მცირე ადგილი უჭირავს, რომელიც არ აღემატება 14,3%–ს.

საზღვარგარეთული პრაქტიკის ანალიზის მიხედვით ხდება მაღალი დიფერენცირებული გადასახადის შერწყმა მრავალფეროვან შეღავათებთან, ამით მცირდება ეკონომიკის დარგების დასაბეგრი ბაზა. მეორეს მხრივ საშუალო და დაბალი საგადასახადო განაკვეთები ერწყმის შეღავათების ზომიერ გამოყენებას და დასაბეგრი ბაზის გაფართოებას. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში: აშშ–ში, კანადაში, შვეიცარიაში, ჩინეთში გამოიყენება პროგრესული საგადასახადო განაკვეთები, მაგალითად იტალიაში – 37%, იაპონიაში – 54%, ზოგიერთ ქვეყანაში იგი დიფერენცირებულია სიდიდის მიხედვით, სახელდობრ ესპანეთში არსებობს ორი განაკვეთი 30 და 35%, ლუქსემბურგში სამი – 15, 25, 34 და ა.შ.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსით მოგების გადასახადის დასაბეგრი კოეფიციენტი შეადგენს 15%–ს.

გრაფიკი №1

მოგების გადასახადის განაკვეთის ცვლილება



აღნიშნულიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა მოგების გადასახადის დიფერენციაცია დასაბეგრი მოგების მოცულობის გათვალისწინებით და მოგების საგადასახადო განაკვეთის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მოგების გადასახადის რეგულირების ერთ-ერთი ხერხია შეღავათების დაწესება სახელმწიფო პრიორიტეტების მიმართ. ასეთ შეღავათებად ითვლება: ა) დაბალი განაკვეთები, ბ) დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენებას უფლება, გ) სარეზერვო ფანდებში ანარიცხების გამოქვითვა, დ) კაპირალუტ დაბანდებაზე გაწეული ხარჯების გამოქვითვა, ე) გასული წლის ზარალის გადატანა და სხვა. უნდა აღინიშნოს საერთაშორისო ექსპერტთა მიერ საგადასახადო შეღავათების მიმართ ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულების არსებობა. „საგადასახადო შეღავათებით სახელმწიფო რესურსები გარდაუვალად მიიმართება მათთან, რომელთა სუბსიდიებიც გათვალისწინებული არ იყო. ისინი შლიან ბაზრის გავლენას, რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე. ისინი ხშირად უპირატესობას ანიჭებენ უცხოურ ინვესტიციებს და აფერხებენ კონკურენტუნარიან სამამულო მეწარმეების განვითარებას“ ამერიკელი მეცნიერის დ. ჯენკინსის, რ. კკონრადის და სხვათა მიერ შემუშავებული „მსოფლიოს საგადასახადო კოდექსის საფუძვლები“ უარყოფს საგადასახადო შეღავათებს, გადასახადებიდან გათავისუფლებას და სხვა სპეციალურ პრეფერენციებსა და შეთანხმებებს.

აღნიშნული დებულებები, მოსაზრებანი და მიმართულება საფუძვლად დაედო საქართველოს საგადასახადო პოლიტიკას, რომელშიც შეღავათებისა და ხარჯების გამოქვითვის თითქმის ისეთივე მექანიზმია ჩადებული, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ამით საწარმო მნიშვნელოვან შეღავათებს ვერ ღებულობს“ (У. Хасси, Д. Любик. Основы мирового налогово кодекса с коментариями Глумингом, 1982).

საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს: ა) საინვესტიციო საქმიანობის გაფართოების საქმეში მოგების გადასახადის გამოყენებას, რაც გამოიხატება საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული (იგულისხმება ინვესტიციები ძირითადად კაპიტალში) დასაბეგრი მოგების ნაწილის გადასახადის გათავისუფლებაში. მას მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით დადებითი ზეგავლენა ექნება და საბოლოო ჯამში ახალი საწარმოების შექმნის საფუძველზე ხელს შეუწყობს დასაბეგრი ბაზის მოცულობის გადიდებას. ახალი საწარმოების შექმნა ძირითადად შესაძლებელია უცხოური კაპიტალის მონაწილეობით; ბ) იმისათვის, რომ გამოიკვეთოს საგადასახადო შეღავათების მინიჭების მნიშვნელობა, საჭიროა ძირითადად პარტნიორ ქვეყნებთან გაფორმდეს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების თაობაზე შეთანხმებები.

საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს: – საინვესტიციო საქმიანობის ფართოდ გაშლას,

რომლის ხელშემწყობი ფაქტორი მოგების გადასახადის გამოყენებაც არის, რაც გამოიხატება იმაში, რომ საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული (იგულისხმება ინვესტიციები ძირითად კაპიტალში) დასაბეგრი მოგების ნაწილი გათავისუფლდეს გადასახადისაგან, რომელსაც მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით დადებითი ზეგავლენა ექნება და ახალი საწარმოების შექმნის საფუძველზე ხელს შეუწყობს დასაბეგრი ბაზის მოცულობის გადიდებას.

ჩვენი აზრით, საჭიროა მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება, რადგანაც დაბალი საგადასახადო განაკვეთი დამატებითი სტიმულია ბიზნესისათვის, რადგან საგადასახადო ტვირთი მცირდება, მეწარმეებს მეტი ფულადი სახსრები რჩებათ, იმისათვის, რომ გააფართოონ საქმიანობის არეალი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა გახდება საწინდარი წარმოების გაფართოებისა, რაც ერთმნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბ., 2013 წლის 24 მაისის მდგომარეობით.
2. შესწორებები და კომენტარები საგადასახადო კოდექსში. 2012 წლის 20 დეკემბერი.
3. ლ. სადაღაშვილი, საქართველოს საგადასახადო სისტემის აქტუალური საკითხები და მისი სრულყოფის გზები, გორი, 2011.
4. www.statistic.ge

რეზიუმე

საქართველოს საგადასახადო სისტემაში მოგების გადასახადის ანალიზი ნაშრომში „საქართველოს საგადასახადო სისტემაში მოგების გადასახადის ანალიზი“ განხილულია მოგების გადასახადის როლი და მნიშვნელობა, როგორც ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო. ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული ბოლო ათწლეულში საქართველოს საგადასახადო სისტემაში მომხდარ გარდაქმნაზე, რაც გამოიხატება, როგორც გადასახადის რაოდენობის შემცირებაში, ასევე გადასახადის განაკვეთების შემცირებაში და საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივებაში. პირდაპირი გადასახადების ჯგუფიდან გამოყოფილია მოგების გადასახადი და მასზე ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მოცემულია ქვეყნის ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების რაოდენობა და შედეგები. ნაშრომში განხილულია დადებითი და უარყოფითი მხარეები. გადმოცემული დასკვნები სრულყოფენ მოგების გადასახადს, როგორც ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროს.

PROFIT TAX ANALYZE IN GEORGIA'S TAX SYSTEM

Khaliana Chitadze, Associate Professor
Lali Sadaghashvili, Associate Professor

RESUME

In the thesis Profit Tax Analyze in Georgia's Tax System is considered the role and importance of income tax as one of the main sources of replenishment the budget. In the thesis attention is drawn to transformation of tax system in Georgia, also to reducing taxes and simplifying a tax code. Profit tax is separated from direct tax group and is shown the amount of money transferred by individuals tended to be increased based on the survey. To build up income tax on proportional principle will damage people in need. Conclusions given as a result of analyze will complete income tax as one of the sources of replenishment the budget.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის თავისებურებები

თეა ხორგუაშვილი, პროფესორი
ნინო ორჯონიკიძე, პროფესორი

ყოველი განვითარებული სახელმწიფოს ფინანსური სისტემის წამყვანი ელემენტი დღეს არის ეროვნული ბანკი, რომელიც ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ოფიციალურ გამტარებლად გვევლინება. თავის მხრივ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საბიუჯეტო პოლიტიკასთან ერთად, სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირების საფუძველს შეადგენს. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკების სტრუქტურის, მონეტარული პოლიტიკის მიზნებისა და ამ მიზნების მისაღწევად არსებული მონეტარული სტრატეგიების შესწავლა საკმაოდ აქტუალურია. ქვეყნის ცენტრალური ბანკის პოლიტიკა მისი ძირითადი ფუნქციების განხორციელებისას ერთმანეთს უხამებს მთავრობის პოლიტიკის ინტერესებს, რომელიც მიმართულია უპირველეს ყოვლისა ეკონომიკის აღმავლობისაკენ. მეწარმეობის ინტერესებს, რომლებიც მიმართულია საინვესტიციო შესაძლებლობათა სტიმულირებისაკენ. პროფკავშირების ინტერესებს, რომლებიც განპირობებულია უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების გაფართოებისაკენ სწრაფვით, და რაღა თქმა უნდა პირველ რიგში უხამებს საკუთარ ინტერესებს, რაც ფინანსური სტაბილურობის მიღწევაში მდგომარეობს. ისინი ფულის ემისიის ექსკლუზიური უფლებითაც სარგებლობენ.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ზრუნავს საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

საქართველოს 2013-2015 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ საქართველოს პარლამენტი ადგენს: განისაზღვროს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2013-2015 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები:

1. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2013-2014 წლებისათვის შეადგენს 6 პროცენტს, ხოლო 2015 წლისათვის – 5 პროცენტს.

2. საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2013–2015 წლების განმავლობაში ძირითადად გამოყენებული იქნება მონეტარული პოლიტიკის შემდეგი ინსტრუმენტები: რეფინანსირების სესხები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, სავალუტო ინტერვენციები, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები.

3. 2013–2015 წლების განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე მოქმედი რისკები ძირითადად არის ნავთობსა და საკვებზე მსოფლიო ფასების ცვლილება, გეოპოლიტიკური რისკების ცვლილება, რეგულირებადი ფასების ცვლილება, ინფლაციის იმპორტი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან და სხვა. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ მოახდენს რეაგირებას გარეგანი ფაქტორების შედეგად ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებითი გადახრისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახრა იმდენად ძლიერია, რომ გავლენას ახდენს ინფლაციაზე მოქმედ ფუნდამენტურ ფაქტორებზე (ინფლაციის მოლოდინი, მთლიანი შიდა პროდუქტის პოტენციური დონიდან გადახრა).

ექვსი მთავარი მიზანი მუდამაა მოხსენიებული, ქვეყნების ცენტრალურ ბანკების მიერ, როდესაც ისინი განიხილავენ მონეტარული პოლიტიკის მიზნებს. ესენია:

1) დასაქმების მაღალი დონე
2) ეკონომიკური ზრდა
3) ფასების სტაბილურობა
4) საპროცენტო განაკვეთების სტაბილურობა
5) ფინანსური ბაზრების სტაბილურობა
6) სავალუტო ბაზრების სტაბილურობა

ცენტრალური ბანკების პრობლემა არის ის, რომ მას სურს მიაღწიოს გარკვეულ მიზნებს, მაგალითად, როგორიცაა ფასების სტაბილურობა მაღალი დასაქმების პირობებში, მაგრამ ის პირდაპირ, უშუალოდ ვერ ახდენს ზეგავლენას მიზნებზე. არამედ მას გააჩნია ინსტრუმენტების ერთობლიობა (ღია ბაზრის ოპერაციები, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებები, სავალდებულო რეზერვების ცვლილებები), რომლებსაც შეუძლიათ არაპირდაპირი გზით ზემოქმედება მოახდინონ მათს მიზნებზე გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. (ტიპიურად, ძირითადად 1 წლის შემდგომ) ხოლო თუკი ცენტრალური ბანკი დაელოდება იმას, რომ ნახოს თუ რა დონეზე იქნება ფასების დონე და დასაქმების დონე ერთი წლის შემდგომ, მაშინ უკვე ძალიან დაგვიანებული იქნება რაიმე კორექციების (შესწორებების) შეტანა მის პოლიტიკაში, ხოლო შეცდომები კი უკვე გამოუსწორებელი (გარდაუვალი) და შეუქცევადი იქნება.

ყველა ცენტრალური ბანკი შესაბამისად მისდევს მონეტარული პოლიტიკის განსხვავებულ სტრატეგიას, ირჩევენ რა ცვლადებს (სიდიდეებს), რომლებიც მათ ინსტრუმენტებს შორისაა და ასრულებს მათს მიზნებს.

2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმის დროს წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი და შემდგომ მტკიცდება პარლამენტის მიერ. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმი გულისხმობს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას. გრძელვადიან პერიოდში ფასების ცვლილების სასურველ დონედ საქართველოში განიხილება წლიური ინფლაცია 3 პროცენტის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ინფლაციის მაღალი დონე, რაც პროდუქტიულობის ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს უკავშირდება. განვითარების არსებულ ეტაპზე, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში, 2012-2014 წლებისთვის, 6 პროცენტს შეადგენს. დროთა განმავლობაში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, ეროვნული ბანკი ეტაპობრივად შეამცირებს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს 3 პროცენტამდე. ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად საქართველოს ეროვნული ბანკი საოპერაციო ორიენტირად ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან (შვიდ დღემდე) საპროცენტო განაკვეთს იყენებს. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მართვით ეროვნული ბანკი ზეგავლენას ახდენს ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კომერციული ბანკების ჯერ მოკლევადიან, ხოლო შემდგომ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე და საბოლოო ჯამში ქვეყანაში ერთობლივ მოთხოვნაზე. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი შედარებით ახალ პრაქტიკას წარმოადგენს და 90–იანი წლებიდან მოყოლებული საკმაოდ წარმატებული გამოდგა ინფლაციასთან ბრძოლაში. აღნიშნული რეჟიმი პირველად ახალი ზელანდიის ცენტრალურმა ბანკმა დანერგა 1990 წელს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს წინასწარ ცხადდება საშუალოვადიანი პერიოდისთვის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი - ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონე. ინფლაციის ერთ–ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია, შესაბამისად ეროვნული ბანკის მიზანს სწორი ინფლაციის მოლოდინის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამიტომ ეროვნული ბანკი მისი საქმიანობის გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ერთ-ერთ უპირატესობას მისი გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან წინასწარ დადგენილი ერთი მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი და შეიქმნას მოლოდინები მონეტარული პოლიტიკის მიმართულების შესახებ. ამდენად ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა არ ითვალისწინებს ინფლაციის დონის 0 პროცენტამდე შემცირებას, არამედ 2012-2014 წლებისათვის ინფლაციის დონის 6%-ზე შენარჩუნებას. გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული მიზნობრივი მაჩვენებელი თანდათან შემცირდება და დაუახლოვდება 3 პროცენტიან დონეს. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება ეკონომიკის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. იგი უნდა ასახავდეს ფასების ცვლილების ისეთ მაჩვენებელს, რომელიც ოპტიმალური იქნება ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა იმისათვის, რომ უკეთ შეასრულოს თავისი ფუნქციები და ამოცანები, კერძოდ კი გაატაროს შემუშავებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მას ესაჭიროება არა მხოლოდ პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი, არამედ გარკვეული ინსტრუმენტებიც. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტისთვის საოპერაციო

ორიენტირს წარმოადგენს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომლის მიღწევაც აუცილებელია ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ოპერაციული ორიენტირის მისაღწევად სებ-ი იყენებს საოპერაციო ჩარჩოს რომელიც შედგება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და პროცედურებისაგან. საოპერაციო ჩარჩო განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება არსებული ინსტრუმენტებით ფულად ბაზარზე სასურველი საპროცენტო განაკვეთის მიღწევა. სებ-ის საოპერაციო ჩარჩო შედგება შემდეგი ინსტრუმენტებისაგან:

- რეფინანსირების სესხები;
- სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონები;
- სახაზინო ობლიგაციების აუქციონები;
- სავალუტო აუქციონები;
- ღია ბაზრის ოპერაციები;
- ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები;
- მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები.

ჩამოთვლილი ინსტრუმენტების სხვადასხვა კომბინაციები საქართველოს ეროვნულ ბანკს საშუალებას აძლევს ამა თუ იმ ეტაპზე სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად გაატაროს "ძვირი" ან "იაფი" ფულის პოლიტიკა. ანუ ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით ეკონომიკური პროცესის მონაწილეთა ქმედითი აქტივობის დაქვეითება ან ამაღლება. ამასთან, გადამწყვეტია ბანკების კრედიტუნარიანობაზე ზემოქმედება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ინსტრუმენტი ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შინაგანად არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და გამოიყენება სახელმწიფოს საბიუჯეტო, საგადასახადო, სტრუქტურულ, საინვესტიციო პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში და ეყრდნობა კარგად დამუშავებულ კანონმდებლობას.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და კომიტეტის გადაწყვეტილებები
(პ.პ - პროცენტული პუნქტი)

2014		
თარიღი	**ცვლილება (პ.პ)**	**ახალი განაკვეთი (%)**
26-03-2014	**0**	4.00
12-02-2014	**+0.25**	**4.00**

2013		
თარიღი	**ცვლილება (პ.პ)**	**ახალი განაკვეთი (%)**
18-12-2013	0	3.75
06-11-2013	0	3.75
25-09-2013	0	3.75
14-08-2013	**-0.25**	**3.75**
19-06-2013	**-0.25**	**4.00**
08-05-2013	**-0.25**	**4.25**
27-03-2013	**-0.25**	**4.50**
13-02-2013	**-0.5**	**4.75**

2012		
თარიღი	**ცვლილება (პ.პ)**	**ახალი განაკვეთი (%)**
19-12-2012	**-0.25**	**5.25**
21-11-2012	**-0.25**	**5.50**
24-10-2012	0	5.75
26-09-2012	0	5.75
29-08-2012	0	5.75
18-07-2012	0	5.75

20-06-2012	-0.25	5.75
23-05-2012	-0.25	6.00
25-04-2012	-0.25	6.25
28-03-2012	0	6.50
15-02-2012	0	6.50
18-01-2012	-0.25	6.50

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2014 წლის 26 მარტს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 4.0 პროცენტს შეადგენს.

ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის ზრდა პირდაპირ აისახება საბანკო სექტორის მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე. მოკლევადიანი განაკვეთების ცვლილება გადაეცემა უფრო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს და საბოლოო ჯამში საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი იწვევს დანაზოგების ზრდას და ამცირებს ფირმების ინვესტიციებსა და სამომხმარებლო დანახარჯებს. სხვა თანაბარ პირობებში, აღნიშნული პროცესი ერთობლივი მოთხოვნის შებოჭვას და შედეგად ფასების დონის შემცირებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის გამო აღნიშნული არხის მოქმედება შეზღუდულია მხოლოდ ლარის სესხებისთვის და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებით ეროვნული ბანკი ვერ მოახდენს გავლენას უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთებზე. ინფლაციასა და საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებობს კავშირი და რაც უფრო მაღალია ეს კორელაცია, მით უფრო ეფექტიანი იქნება გატარებული მონეტარული პოლიტიკა.

სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში უდიდესია. ასევე უმნიშვნელოვანესია ის თუ როგორ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას გაატარებს ეროვნული ბანკი და რამდენად ეფექტურად გამოიყენებს იგი მის ხელთ არსებულ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს. ცენტ რალური ბანკების არასათანადო და არასწორ მოქმედებებს, რასაც შესაძლოა მოყვეს მათი უმთავრესი ამოცანის – ფასების სტაბილურობის ვერ შენარჩუნება ქვეყანაში, ხშირად დამანგრეველი შედეგები მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის და მის სრულ მოშლას იწვევს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ დიდი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკაში ცენტრალურ ბანკს და რაოდენ საბედისწერო და სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს მის მიერ მონეტარული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას დაშვებული თითოეული შეცდომა ქვეყნის ეკონომიკისათვის. ასე, რომ ისევე როგორც სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს, საქართველოს ეროვნულ ბანკსაც უდიდესი წვლილი შეაქვს, საკუთარი საქმიანობით, საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და სტაბილურობის შენარჩუნებაში. ყოველივე ამას კი, ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის სწორად შემუშავებითა და შემდეგ კი უკვე მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენების წყალობით ახერხებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ორგანული კანონი "ეროვნული ბანკის შესახებ" თბილისი, 2009 წლის 24 სექტემბერი. #1676 – Iის
2. საქართველოს პარლამენტის დადგენილება "ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ", ქუთაისი, 20 დეკემბერი 2012 წ. N120-Iს"
3. ლ. ქოქიაური, საბანკო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2012.
4. http://nbg.gov.ge/
5. http://www.ecb.europa.eu/home/html/index.en.html
6. http://www.bankofengland.co.uk/Pages/home.aspx
7. http://www.federalreserve.gov/
8. http://en.wikipedia.org/

რეზიუმე

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ცენტრალური ბანკების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია, მოცემული საკითხის აქტუალურობა არცაა გასაკვირი. აღნიშნული დაწესებულებები ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ოფიციალურ გამტარებლად გვევლინება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კი, საბიუჯეტო პოლიტიკასთან ერთად, სახელმწიფოს ეკონომიკის რეგულირების საფუძველს შეადგენს. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ თითოეულ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და არსებითად განსაზღვრავს სამომავლოდ ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობას. მათი სრულფასოვნი ფუნქციონირების გარეშე კი, მნიშვნელოვნად იზრდება საბანკო პანიკებისა და ფინანსური კრიზისების გაღრმავების რისკები. ეროვნულ ბანკს უდიდესი პასუხისმგებლობა აქვთ აღებული, რადგან მათ არასწორ ქმედებას ქვეყნის ეკონომიკისათვის საკმაოდ დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ცენტრალური ბანკების ქმედებები ზეგავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთებზე, გაცემული კრედიტების მოცულობაზე, ფულის მიწოდებაზე, ფაქტობრივად ყველაფერზე, რასაც აქვს პირდაპირი ზემოქმედება არა მხოლოდ ფინანსურ ბაზრებზე, არამედ მთლიანად ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციაზე. იმ უდიდესი როლიდან გამომდინარე კი, რომელსაც ისინი თამაშობენ ფინანსურ ბაზრებზე და მთლიანად ეკონომიკაში, აუცილებელია კარგად გავერკვეთ, თუ როგორ ფუნქციონირებენ აღნიშნული დაწესებულებები.

შესაბამისად, კვლევის შედეგად უნდა გაეცეს პასუხი შემდეგ კითხვებს: როგორია ცენტრალური ბანკების სტრუქტურა და ვინ ფლობს მართვის სადავეებს? ვინ აკონტროლებს ცენტრალურ ბანკებს და რა განსაზღვრავს მათ ქმედებებს? რა მიზნები ამოძრავებს მას და როგორ ცდილობს მათ მიღწევას? სწორედ ამის შემდეგ გვექნება შესაძლებლობა, შევაფასოთ სახელმწიფო ცენტრალური ბანკების ფუნქციონირების თავისებურებები, მათ მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკა და მიღებული გადაწყვეტილებები.

PECULIARITIES OF THE NATIONAL BANK'S MONETARY POLICY

Tea Khorguashvili, Professor
Nino Orjonikidze, Professor

RESUME

The present work aims to study the national central banks and their monetary activities. Given the fact, that in the modern world importance of the national central banks is quite high, given the urgency of the issue is not surprising. those institutions are in charge of monetary policy. Monetary policy with the budgetary policy is the basis of the government regulation of the economy. Accordingly, each of the decisions taken by the central banks of the utmost importance, and essentially determines the future of the country's economic activity. without Their functioning significantly increasing the risk of deepening the financial crisis and banking panics. The central banks have taken a huge responsibility, because their wrong move can bring great harm to country’s economy. The central banks' actions affect interest rates, the amount of credits, and the money supply, in fact everything that has a direct impact not only on the financial markets, but the economic growth and inflation. Due to the huge role that they play in the financial markets and the overall economy, it is necessary to look into how to operate these organizations.

Accordingly, the survey should be answered the following questions: What is the structure of the central banks, and who holds the reins of power? Who controls the central banks and what determines their actions? What are the objectives and how he is trying to achieve them? After that, we will have the opportunity to evaluate the performance characteristics of the central banks, monetary policy and the decisions taken by them.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი
Social Sciences and Law

თანამონაწილეობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში

მალხაზ ლომსაძე, პროფესორი

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ თანამონაწილეობას ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით თანამონაწილეობა ნიშნავს დანაშაულის თანამონაწილეობას როლების დაუნაწილებლად. ამ განსაზღვრების მიხედვით თანაამსრულებლობაც თანა-მონაწილეობაა.

ვიწრო გაგებით თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშაულის მონაწილეთა შორის როლების დანაწილებას (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). მაგრამ, თუ თანამონაწილეობას ფართოდ გავიგებთ, ამსრულებელს ამ შემთხვევაშიც თანამონაწილედ მოიხსენიებენ.

თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის კვალიფიკაციაზე. მაგალითად, თუ განზრახ მკვლელობისას ამსრულებლის მოქმედება მომზადების ან მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, თანამონაწილეც პასუხს აგებს განზრახ მკვლელობის მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის. თუ ამსრულებელმა დაასრულა დანაშაული, თანამონაწილეც დამთავრებული დანაშაულის მონაწილესავით დაისჯება.

თანამედროვე სისხლის სამართალი თანამონაწილეობას განზრახ მოქმედებად მიიჩნევს. ყველა თანამონაწილე ერთიანი განზრახვით უნდა მოქმედებდეს. ცნობილია, რომ ობიექტური მხრივ ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივად უნდა იყოს დაკავშირებული დანაშაულებრივ შედეგთან (მიზეზობრიობის თეორია). მაგრამ თანამონაწილეობის დასჯადობა მარტო მიზეზობრიობას არ შეიძლება ეფუძნებოდეს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ გამართლებული იქნებოდა გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობა, რასაც თანამედროვე სისხლის სამართალი უარყოფს.

”თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ერთიან უმართლობას გულისხმობს. ეს არის ერთიანი მიზნით დეტერმინებული უმართლობა. მაგალითად, განზრახ მკვლელობის უმართლობა.”[1] მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველას ერთი და იგივე მიზანი ჰქონდეს. საკმარისია, რომ ერთ ამსრულებელს ჰქონდეს სხვისი ნივთის მითვისების მიზანი, ხოლო მეორე, რომელსაც ეს მიზანი არა აქვს, ეხმარება თანაამსრულებელს ამ მიზნის განხორციელებისათვის. ორივე თანაამსრულებელი ერთ უმართლობას — ქურდობას ახორციელებს. თანამონაწილეობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვითაც.[2]

ორგანიზატორი დანაშაულის ერთ-ერთი თანამონაწილეა. კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ”ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.”

ორგანიზატორის საქმიანობა სხვადასხვაგვარი მოქმედებით გამოიხატება. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე წინასწარ დაგეგმავს დანაშაულს. ორგანიზატორი შეიმუშავებს დანაშაულის ჩადენის გეგმას და სხვა თანამონაწილეებს აუხსნის, როგორ უნდა იმოქმედონ. აქ უბრალოდ რჩევა როდი იგულისხმება, რაც ფსიქიკური დახმარებისათვის არის დამახასიათებელი.

ორგანიზატორი შეიძლება დანაშაულის ჩადენის ადგილზეც შეიძლება იყოს და უშუალოდ ხელმძღვანელობდეს დამნაშავეთა საქმიანობას, თვალყურს ადევნებდეს მათ მოქმედებას და უთითებდეს, როგორ უნდა მოიქცნენ.

რაც მთავარია, ორგანიზატორმა შეიძლება შექმნას ორგანიზებული ჯგუფი და ხელმძღვანელობდეს მის საქმიანობას.

---

[1] ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989 .

[2] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 195-196.

ორგანიზატორის საქმიანობა განზრახი მოქმედებაა. იგი ყოველთვის პირდაპირ განზრახვით მოქმედებს. თუმცა ქართულ ლიტერატურაში ორგანიზატორის არაპირდაპირი განზრახვით მოქმედების თეორიასაც დიდი გასავალი აქვს. თ. წერეთელი მიიჩნევს, რომ ორგანიზატორი ძირითადად პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. აქ იგულისხმება დანაშაული, რომლის უშუალო მონაწილეც ის არის, მაგრამ თ. წერეთელი არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევას, როცა ორგანიზატორი არაპირდაპირი განზრახვითაც მოქმედებს.

„თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, — ამბობს თ. წერეთელი, — იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა დაზარალებული შეიძლება გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით ძარცვის მიმართ."[1]

მკვლელობა გამიზვნითი დელიქტია და ამიტომ თავისი ბუნებით ის ყოველთვის მოითხოვს პირდაპირ განზრახვას. ეს პრინციპი ვრცელდება არა მარტო ამსრულებელზე, არამედ თანამონაწილეზეც, მათ შორის, ორგანიზატორზეც.

ორგანიზატორი პასუხს აგებს ჯგუფური დანაშაულის მხოლოდ იმ ცალკეული ეპიზოდისათვის, რომელიც მისი განზრახვით იყო მოცული.

დანაშაულის თანამონაწილეთა შორის წამქეზებელი ყველაზე უფრო რთული და მრავალმხრივი ფიგურაა. ყოველთვის ახერხებს სხვის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად. ამიტომ ფართო გაგებით წამქეზებლობა შუალობით ამსრულებლობასაც მოიცავს. მაგრამ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტი დანაშაულის თანამონაწილეობას გულისხმობს.

ზოგჯერ "სხვისი დაყოლიება" ისე ესმით, თითქოს ეს ნიშნავს ამსრულებლის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ წამქეზებლობა დანაშაულის დამხმარის წაქეზებით გამოხატოს. მაგალითად, ვინმე აქეზებს ნაცნობს, ათხოვოს თოფი მკვლელობის ამსრულებელს. ესეც სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად, რაც შესაბამისად უნდა შეფასდეს. ასევე შეიძლება ორგანიზატორის წაქეზებაც. ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მსჯელობა წამქეზებლის წაქეზების იურიდიულ კვალიფიკაციაზე.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს წამქეზებლობის განსხვავებას ინტელექტუალური ანუ ფსიქიკური დახმარებისაგან. წამქეზებელია ის, ვინც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას მოტივს უქმნის. წამქეზებელმა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება უნდა მიაღებინოს. წამქეზებელმა უნდა შეუქმნას ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის „ისეთი ძლიერი მოტივი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიძგს გადაწყვეტილების მიღებისათვის."[2]

ფსიქიკური დამხმარის მოქმედება, წამქეზებლობასთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობისაა. ფსიქიკური დამხმარე ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას განუმტკიცებს. მაგალითად, წამქეზებლის ზემოქმედებით კაცმა მკვლელობა გადაწყვიტა, მაგრამ ეძებს დამფარავს. გამოჩნდა დამხმარე, რომელმაც მას, მკვლელობის შემთხვევაში, დაფარვა აღუთქვა.

წაქეზება მიზეზობრივად არის დაკავშირებული იმ შედეგთან, რომელსაც ამსრულებელი ახორციელებს. ამსრულებლის მოქმედებისაგან განსხვავებით, წაქეზება ფსიქიკურ მიზეზობრიობას წარმოადგენს.

წაქეზებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ფსიქიკური საშუალება. ასეთია, მაგალითად, თხოვნა, დარწმუნება, მუქარა, ბრძანება და სხვა.

ზოგჯერ მუქარამ შეიძლება ისეთ ინტენსივობას მიაღწიოს, რომ გამოირიცხოს ამსრულებლის პასუხისმგებლობა და უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შექმნას.

წამქეზებელი მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან, მაგრამ ეს არ არის დასჯადობის საფუძველი. წამქეზებელი ისჯება იმის გამო, რომ ის ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას სჩადის. ერთიანი უმართლობა თანამონაწილეობის დროს ნიშნავს იმას, რომ ყველა თანამონაწილე მოქმედებს ერთიანი განზრახვით და ობიექტურად ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან.

„ერთიანი განზრახვა" ნიშნავს იმას, რომ წამქეზებელს (თანამონაწილეს) და ამსრულებელს ერთი და იგივე მიზანი უნდა ამოძრავებდეს. თუ მაგალითად, თანამონაწილე მოქმედებს მკვლელობის მიზნით, ეს მიზანი უნდა ჰქონდეს ამსრულებელსაც, ან და თანამონაწილეს ეს მიზანი არ ჰქონდეს, მაგრამ იცოდეს, რომ ამსრულებელი ამ მიზნით მოქმედებს და ეთანხმებოდეს მას.

---

[1] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 149. თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 246.

[2] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 156.

წაქეზება „აუცილებლობით გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე. ამიტომ უმოქმედობით წაქეზება შეუძლებელია. [1]

სუბიექტური მხარე წაქეზებისა პირდაპირი განზრახვაა. თუმცა, ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ წაქეზება არაპირდაპირი განზრახვითაცაა შესაძლებელი.[2]

დანაშაულის თანამონაწილეობის მესამე სახეა დახმარება. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. დახმარება ორი სახისაა: 1) ფიზიკური და 2) ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური.

ფიზიკური დახმარება უნდა განვასხვაოთ დანაშაულის ამსრულებლობისაგან. ამსრულებელი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობას ახორციელებს მთლიანად ან ნაწილობრივ, დამხმარე კი შემადგენლობის არც ერთ ნაწილს არ ასრულებს.

ფიზიკური დახმარება ორი ძირითადი სახით შეიძლება გამოვლინდეს: 1) ამსრულებლისათვის საშუალების მიცემა და 2) დაბრკოლების თავიდან აცილება.

საშუალების მიცემად ითვლება საწამლავის მიცემა დამნაშავისათვის მკვლელობის მიზნით.

დაბრკოლების თავიდან აცილებად კი ჩაითვლება ესეთი შემთხვევა, როდესაც მკვლელობის მომენტში მეორე თანამზრახველი აკავებს მსხვერპლის ახლობელს და ამით უადვილებს დამნაშავეს დანაშაულის აღსრულებას.

ფსიქიკური დახმარებაა, მაგალითად, ამსრულებლის დარიგება, რჩევა, როგორ მოიქცეს, რომ დანაშაული გაუადვილდეს. დახმარებაა აგრეთვე დაპირება, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ საგნებს და სხვა.

ზოგჯერ ფსიქიკური დახმარება იმით გამოიხატება, რომ დამნაშავე ამსრულებელს განუმტკიცებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, უფრო მეტ გაბედულობას მატებს მას. სწორედ ამით განსხვავდება ფსიქიკური დახმარება წამქეზებლობისაგან.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობაში დახმარება შესაძლებელია უმოქმედობით. მაგალითად, დედა კლავს შვილს, მამა ამას ხედავს, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებს. აქ მამის უმოქმედობა მიზეზობრივად არის დაკავშირებული შვილის მკვლელობასთან. აქ დედაც ამსრულებელია და მამაც. ერთი მოქმედებით სჩადის მკვლელობას, მეორე — უმოქმედობით.

სუბიექტური მხარე დახმარებისა განზრახ მოქმედებაში გამოიხატება. დამხმარე, ისევე, როგორც ყველა თანამონაწილე, ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას ახორციელებს, რაც მათი ქმედებების ერთიანი განზრახვით შეკავშირებას გულისხმობს. დამხმარე პირდაპირი განზრახვით მოქმედებს.

როგორც წესი, თანამონაწილენი პასუხს აგებენ კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლით, რა მუხლითაც პასუხს აგებს ამსრულებელი. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ თანამონაწილისა და ამსრულებლის ქმედებები სხვადასხვა მუხლებით დაკვალიფიცირდეს. ვთქვათ, წამქეზებლის ან დამხმარის მოქმედება დაკვალიფიცირდა 108-ე მუხლით, ხოლო ამსრულებლის — 109-თი. თანამონაწილე და ამსრულებელი ამ შემთხვევაში მაინც ერთ უმართლობას — განზრახ მკვლელობას სჩადიან.

იმის აღსანიშნავად, რომ მკვლელობა ჩადენილია თანამონაწილეობით, მითითება ხდება 24-ე მუხლზე.

თუ ამსრულებელი გასცილდა საერთო განზრახვას და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა, ვიდრე ეს თანამონაწილეთა საერთო განზრახვით იყო გათვალისწინებული, თანამონაწილენი პასუხს არ აგებენ ამ უმართლობისათვის. ამ დროს დგება ამსრულებლის ექსცესი. ექსცესი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს უკიდურესობას, თავშეუკავებლობას, წრეგადასულობას.[3]

ექსცესი ორი სახისაა, რაოდენობრივი და თვისობრივი. თვისობრივი ექსცესი ნიშნავს იმას, რომ ამსრულებელმა, სხვა თანამონაწილეთაგან განსხვავებით, თვისობრივად განსხვავებული დანაშაული ჩაიდინა. მაგალითად, ყაჩაღობის ნაცვლად ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

რაც შეეხება რაოდენობრივ ექსცესს, იქ თანამონაწილეებთან შეთანხმებულ და ამსრულებლის ჩადენის დანაშაულს შორის თვისობრივ განსხვავებას ვერ ვხედავთ. ამიტომ ამ შემთხვევას რაოდენობრივ ექსცესს უწოდებენ.

ამსრულებლის ექსცესისათვის თანამონაწილე თუ ამსრულებელი პასუხს არ აგებს. ექსცესისათვის პასუხს აგებს მხოლოდ ამსრულებელი.

---

[1] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ 163.
[2] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 163.
[3] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 141.

ლიტერატურა:
1. ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989;
2. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965;
3. თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, თბილისი, 2003;
4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976;
5. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1973.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია თანამონაწილეობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში, თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათი, თანამონაწილეობის თავისებურებები. ნაშრომში ჩამოყალიბებულია მთელი რიგი არგუმენტირებული დებულებები.

PARTICIPATION INTO A PREMEDITATED MURDER WITH AGGRAVATING CIRCUMSTANCES

Malkhaz Lomsadze, Professor

RESUME

The article discusses the participation into a premeditated murder with aggravating circumstances, accessory character and participatory features. The paper sets out a number of argumentative provisions.

სტრესის ემპირიული გამოვლინებები და ფსიქოდიაგნოსტიკა

***ქეთევან ლომსაძე**, ასოცირებული პროფესორი*
***მარიამ უბირია**, მოწვეული სპეციალისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი*

სტრესის განმარტებიდან გამომდინარე, ის არის სიტუაცია, რომელშიც ადამიანი ან გარემო აყენებს ისეთ მოთხოვნებს, რომელიც დისპროპორციაშია ადამიანის შესაძლებლობებთან. სტრესული მდგომარეობა მოიცავს ადამიანის ფუნქციონირების ყველა სფეროს: ფიზიოლოგიურს, პიროვნულს, პიროვნებათაშორისს და სოციალურს; სტრესი იწვევს მნიშვნელოვან პიროვნულ ცვლილებებს არა მარტო იმ ადამიანებში, ვინც განიცდის მას, არამედ მის გარშემომყოფებშიც, რამდენადაც ის ძირეულად ცვლის მის ურთიერთობებს და შეიძლება გავლენა იქონიოს მის მომავალ ცხოვრებაზეც.

სტრესის დიაგნოსტირების თანამედროვე ავტორიტეტული კლასიფიკაციის სისტემებია: “დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაცია - მე-10 გადასინჯული გამოცემა“ (ICD) და ”გონებრივი დარღვევების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური ჩამონათვალი” (DSM-IV, DSM-IV-TR), (ამერიკული ფსიქიატრიული ასოციაციის მიერ შედგენილი კრებულის IV გამოცემა). აღნიშნული სინდრომების აღწერა მოცემულ გამოცემებში იდენტური არ არის, თუმცა ერთმანეთის მსგავსია

DSM-IV- აღწერს დარღვევებს და მათი გავრცელების სპეციფიკას შესაბამისი მიზეზების ახსნის გარეშე. DSM-IV-ში დაახლოებით 230 გონებრივი დარღვევაა დაჯგუფებული 17 ძირითადი ”ფსიქიკური დარღვევების” კატეგორიაში. მასში ქცევა ვარირებს მორცხვობისა და დამცირების ირაციონალური შიშიდან (სოციალური ფობია) სახლში, სკოლაში ქცევის სისტემატურ დარღვევამდე (ქცევითი დარღვევები). დეპრესიის მოშლილობები მოიცავს ადამიანის სხეულს, განწყობას და აზრებს. ადამიანი ამ დროს პასიური ცხოვრების სტილით ცხოვრობს, მხოლოდ ჭამს და სძინავს, გამიჯნულია სოციალური გარემოსაგან. მარტივი ფორმის დროს ის შეიძლება განვიხილოთ როგორც

მწუხარება, თუმცა მწუხარებას შეუძლია გამოიწვიოს ნამდვილი დეპრესია, თუ ის სისტემატიურ ხასიათს ატარებს გარკვეული დროის განმავლობაში, მისთვის ხშირად დამახასიათებელია ტირილიც.

მწუხარება ან დანაკარგი, უფრო ხშირად ადამიანის სიკვდილის ფაქტითაა გამოწვეული. თუმცა ანალოგიური ემოციური და ფიზიოლოგიური სიმპტომები ახასიათებს ნებისმიერ სხვა დანაკარგს, მაგალითად: განქორწინებას, ურთიერთობის გაწყვეტას ან რაიმე მატერიალურ დანაკარგს; როდესაც არსებობს გარკვეული სიმპტომები, აუცილებელია დადგინდეს არის თუ არა ეს პოსტ-ტრამვული სტრესული მოშლილობა. ამის დასადგენად არსებობს შემდეგი მეთოდიკა;

კრიტერიუმი ა: აღნიშნულ პიროვნებას გადატანილი უნდა ჰქონდეს ტრამვული მოვლენა, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ორივეს უნდა მოიცავდეს:

1) ადამიანი იყო მონაწილე ან მოწმე მოვლენის, სადაც იყო დაპირისპირება, მუქარის, სერიოზული დაზიანების ან სიკვდილის ფაქტით. ასევე ეს მოვლენა საფრთხეს უქმნიდა მის ან სხვა მონაწილის ფიზიკურ არსებობას;

2) აღნიშნულმა სისტემამ გამოიწვია ადამიანში შიშის ძლიერი განცდა;

3) ბავშვებში ეს ვლინდება დეზორგანიზირებულობით და აუტირებით.

კრიტერიუმი ბ – ადამიანი ხელახლა განიცდის შემდეგი სიმპტომებიდან ერთ-ერთს მაინც:

1. ტრამვული მოვლენის შესახებ ხშირი ფიქრების და მოგონებების ქონა. ბავშვებთან ეს შეიძლება თამაშის შინაარსში ტრამვული თემების ჩართვით გამოვლინდეს;
2. კოშმარები, რომლებიც ხშირად მეორდება, ეხება ისევ მატრამვირებელ მიზეზს;
3. გადატანილი მოვლენის ხელახალი გაელვებები (ფლეშბექი);
4. მსგავსი მოვლენის ნახვისას სტრესის განცდა;
5. მატრამვირებელი მოვლენის მიზეზების მიმართ ფიზიკური მგრძნობელობა; თითქოს დენმა გაიარა გულში.

კრიტერიუმი გ – ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ადამიანს უნდა ქონდეს მინიმუმ სამი მაინც:

1. ტრამვული მოვლენის შესახებ ფიქრის, საუბრის და გრძნობის გარიდების მცდელობა;
2. იმ ადგილების ან ხალხისგან თავის არიდება, რაც ახსენებს ტრამვულ მოვლენას;
3. ტრამვატული მოვლენის მნიშვნელოვანი ნაწილის მახსოვრობის სიმძიმე (ფსიქოლოგიური ამნეზია);
4. ინტერესის მნიშვნელოვანი დაკარგვა, ადრე დამახასიათებელი საქმიანობისადმი;
5. სოციალური გარემოსაგან იზოლირების განცდა;
6. სირთულეების განცდა;
7. განცდა, რომ შენი სიცოცხლე შეიძლება ხანმოკლე იყოს.

კრიტერიუმი დ- ადამიანს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ორი სიმპტომი ჩამოთვლილთაგან:

1. დაძინების ან ძილის გართულება;
2. განრისხების გახშირებული შემთხვევები;
3. ყურადღების კონცენტრირების გაძნელება;
4. მუდმივი ან ზედმეტი სიფხიზლე და ზესიფრთხილე ნებისმიერი მოვლენისადმი გარემოში;
5. შიშის რეაქციის ჰიპერტროპულობა.

სტრესში მყოფ ადამიანებს აღენიშნებათ რიგი სიმპტომები, რომლებიც მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული სიმპტომები შეიძლება დაჯგუფდეს სტრესის ფაზების შესაბამისად:

1) სიმპტომების ჯგუფი, რომელიც სტრესის I ფაზას, ანუ მობილიზაციის ფაზას ახასიათებს, არის ორგანიზმის ზოგადი აქტიურობის მომატება, სერთო აღგზნებადობის გაძლიერება;

2) სიმპტომთა ჯგუფი, რომელიც დამახასიათებელია სტრესის II, ანუ მოშლილობის ფაზისათვის, არის ძლიერი ემოციების გაჩენა, ჩვეულებრივ უარყოფითი ხასიათის, როგორიცაა: შიში, პანიკა, მოუსვენრობა, გაღიზიანება, ბრაზი, რისხვა და ა. შ.

3) სტრესის დაძლევის მოტივაციის გაჩენა კი უნდა დაუპირისპირდეს III, ანუ დესტრუქციის ფაზას. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ამ ფაზაში ადგილი ჰქონდეს არასწორ მოქმედებას, სიტუაციის რეალური შეფასების უნარის მოშლას ან სხვა ფსიქიკურ დარღვევას. ზოგადად სტრესის ქცევითი და ფსიქიკური ნიშნები შემდეგია:

- იზოლირება სოციალური გარემოსგან, საკუთარი გარეგნობისადმი ინტერესის დაკარგვა.
- განწყობილების მოულოდნელი ცვლა, იუმორის გრძნობის დაკარგვა.
- აქტიურობის დაცემა ან პირიქით გაძლიერება, დაწყებული საქმის დაუსრულებლობა.
- საკუთარი თავისადმი და სხვებისადმი ზედმეტად კრიტიკულობა.

- მუდმივი გაღიზიანებულობა, ადვილად გაბრაზება.
- შიში და დეპრესიული მდგომარეობა.
- აგრესია საკუთარი თავისადმი და გარშემომყოფებისადმი.
- დაძინებასთან დაკავშირებული პრობლემები, ან ზედმეტი ძილიანობა.
- მგრძნობიარობა უმნიშვნელო შემთხვევებზე და უსიამოვნებებზე.

რაც შეეხება სომატურ ცვლილებებს, რომელიც სტრესს ახლავს თან, შემდეგია:

- გულმკერდის ტკივილი
- თავის ტკივილი და პერიოდული თავბრუსხვევა
- კუჭის ტკივილი, რომელიც ჭამის შემდეგ გაივლის.
- ხშირი ფაღარათი.
- მაღალი წნევა.
- ჭარბი ოფლიანობა.
- ხშირი ინფექციები (გაციება, გრიპი და ა. შ.)

სტრესის სიმპტომების გარკვეული სიხშირე და რაოდენობა იძლევა სტრესის ხარისხის დიაგნოსტირების საშუალებას, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს საფუძვლიანი გამოკვლევა თერაპიის მეთოდიკის შერჩევის მიზნით. დიაგნოსტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოარკვიოს, თუ რატომ აქვს ადგილი კლიენტის ცხოვრებაში მოცემულ მოვლენებს, რა არის მათი მიზეზი და როგორია მათი დინამიკა. სიმპტომების დადგენას არ მივყავართ დიაგნოზამდე, მას აუცილებლად უნდა მოყვეს შემდეგი საფეხური, რაც გულისხმობს არა მარტო სიმპტომების არსებობის დადასტურებას, არამედ მასთან ერთად მათი გამომწვევი მიზეზების მოძიებას. დიაგნოსტირების ბოლო ეტაპი - ტიპოლოგიური დიაგნოზი გულისხმობს, მიღებული მონაცემების ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრას პიროვნების მთლიან, დინამიკურ სურათში, რაც ფსიქოდიაგნოსტიკის ფორმატში ხორციელდება.

სტრესული აშლილობის დიაგნოსტირებისათვის არსებობს კლინიკურ-ფსიქოლოგიური მეთოდიკებისა და ფსიქომეტრიული სკალების მთელი კომპლექსი; მათი მოძიება შესაძლებელია სხვადასხვა თერაპიულ ლიტერატურაში, მაგალითად ნაძეჟდა ტარაბრინას ცნობილ წიგნში [7]. ჩვენ დავჯერდებით მხოლოდ ძირითადი მეთოდების მოკლე აღწერას.

ანამნეზის აკრეფას ფსიქოლოგიაში ბიოგრაფიული მონაცემების შესწავლით იწყებენ, საიდანაც ამოკრეფენ არსებულ პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებულ ფაქტებს. ზოგჯერ ამ პროცედურის შესრულება მოითხოვს მეგობრების, ოჯახის წევრების, თანამშრომლების, მშობლების, პედაგოგების, მეზობლების და ა.შ. ინტერვიურებასაც.

კლინიკური ინტერვიუს შემთხვევაში, კლასიკური ვარიანტისაგან განსხვავებით, მეტი თავისუფლება ეძლევა კლიენტს. მას ნაკლებად ვაძლევთ შეკითხვებს (მხოლოდ სტიმულირებისათვის და გარკვეული მიმართულების მისაცემად). ძირითადად ვუსმენთ, საშუალებას ვაძლევთ ბოლომდე დაიცალოს. ამის გამო კლინიკური ინტერვიუს ხანგრძლივობა სხვა სეანსებთან შედარებით დიდია. ეს გასაგებიცაა, რადგან კლინიკური ინტერვიუ დიაგნოსტირების ძირითადი ფსიქოთერაპიული მეთოდია მისი მიმართულების დადგენის პროცესში. ამიტომ აქ დაშვებული შეცდომა შემდეგი დიაგნოსტირების და თერაპიის პროცესის წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება გახდეს. ასევე არაა სასურველი ინტერვიუს ხელოვნურად ზედმეტად გახანგრძლივება, რასაც შეიძლება მოყვეს კლიენტის მიერ თერაპევტის შეცდომაში შეყვანა.

შეიძლება ინტერვიუს პროცესშივე გამოჩნდეს პრობლემის მიზეზი, ან მიმართულება მაინც სად უნდა ვეძებოთ ის დიაგნოსტირების შემდეგ ეტაპზე. ამრიგად კლინიკური ინტერვიუ მეტად მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო, რთული და ხანგრძლივი მეთოდია. მაგრამ ის არის ასევე ყველაზე ეფექტური და აუცილებელი ელემენტი დიაგნოსტირებაში. მის სწორად წარმართვაზეა დამოკიდებული დიაგნოსტირების სიზუსტე და შესაბამისად თერაპიის მიზნობრიობა. აღნიშნული კი საბოლოო შედეგის წარმატების საწინდარია. ერთ-ერთი სირთულეა ის, რომ ეს მეთოდი ყველაზე ძვირადღირებულია, რადგან კვალიფიციური სპეციალისტის დიდი დროის მოხმარებას გულისხმობს. აღნიშნული პროცედურის შემდეგ, რაც ინტერვიუს მეთოდით მიმდინარეობდა კლიენტთან, მიმდინარეობს ტესტირება, რომელიც შესაბამისად ირჩევა პრობლემის ტიპის, გონებრივი განვითარების დონის, უნარების, წარმატებების, ხასიათის და აღქმის თვისებების გათვალისწინებით.

ყოველივე ამ პროცედურის შემდეგ, ჩვენ გვაქვს პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ვაგრძელებთ დიაგნოსტირების პროცესს.

ანამნეზის აკრეფის აღნიშნული ვარიანტების საშუალებით მოვიპოვებთ ცნობიერების დონეზე არსებულ ინფორმაციას, მაგრამ თუ ინფორმაცია გვსურს მივიღოთ ქვეცნობიერიდან, მაშინ ვიყენებთ პროექციულ მეთოდებს. პროექციულ მეთოდიკებს მივმართავთ, როდესაც ცნობიერში არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი პრობლემის მიზეზის დასადგენად, არ არის საკმარისი მის ამოსაწურად.

ამრიგად, სტრესის დიაგნოსტირება, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ფსიქოლოგიური პრობლემის შემთხვევაში, თითოეული პიროვნებასთან კონკრეტულ მიდგომას და მეთოდებს საჭიროებს. ჩვენ შევეცადეთ მოკლედ და ზოგადად შევხებოდით აღნიშნულ საკითხს და გვეჩვენებინა მისი მთლიანი, შემოკლებული სურათი.

ლიტერატურა:

1. სტრესი და იძულებით გადაადგილება: ფსიქოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, თბილისი, 2011.
2. ზ. ბებერაშვილი და სხვ., ფსიქოტრავმატოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2009.
3. Н. В. Тараврина, Практикум по психологии посттравматического стреса, Питер, 2001.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სტრესის სიმპტომატიკის და დიაგნოსტირების საკითხები.მასში შეძლებისდაგვარად სრულადაა მოცემული სტრესის ძირითადი სიმპტომები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სტრესის დიაგნოსტირება, ჩამოთვლილი და განხილულია სტრესის დიგნოსტირების ძირითადი მეთოდები. რამდენადაც პიროვნება მუდმივად ცვალებადი სუბიექტია, თანაც ყოველი მათგანი ინდივიდუალური და განუმეორებელია მთელი თავისი სტრუქტურით, შესაბამისად სტრესული მდგომარეობაც, მისი გამომწვევი მიზეზიც და გამოვლინებაც განსხვავებულია ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. ამიტომ არ არსებობს ერთიანი ტესტი, რომელიც პრობლემის სრულ და უდაო სურათს მოგვცემს. უნივერსალური ტესტის არ არსებობის ფონზე ფსიქოლოგები საკმაოდ ზუსტ შეფასებას აღწევენ დიაგნოსტირებისას სხვადასხვა მეთოდების კომპლექსურად გამოყენების და პროფესიონალიზმის საშუალებით.

EMPIRICAL MANIFESTATIONS OF STRESS AND PSYCHODIAGNOSTIC

Ketevan Lomsadze, Associate Professor
Mariam Ubiria, Specialist by Contract, Doctor

RESUME

In our own research, we are primarily interested in finding the ways that psychological assistance can help people in a state of distress. Therefore, we will for the most part deal with the psychological dimension of stress. Regardless of our focus, it is important to first describe the stress-related physiological processes. We list the following ways in which an individual can seek psychological support from professional psychologists.